საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა დასავლეთ ევროპასთან

„ვეცნიერება“

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, ეთნოგრაფიისა
და არქეოლოგიის ინსტიტუტი

ზოთა ბადრიძე

საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან

(X–XIII სს.)

F 57.186
3

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1984

ეროვნული
ბიბლიოთეკა

9 (С 41)
63.3 (2 Г)
9 (47.922)
ბ 157

ნაშრომში საკმაოდ ვრცლადაა განხილული ქართველთა მონაწილეობა ბიზანტიაში ბარდა სკლეროსის აჯანყების ჩაქრობაში. საგანგებოდაა გაშუქებული ათონის ივერთა მონასტრის ძმობის კულტურულ-ისტორიული საქმიანობა და ახსნილია მისი ისტორიული ფონი. ყოველი მხრივაა განხილული ბიზანტიური ბოძებების საკითხი ივერთათვის და მისი იურიდიული და ფაქტიური შინაარსი.

ნაშრომში გაშუქებულია საქართველოს ურთიერთობები დასავლეთ ევროპასთან, კერძოდ ჯვაროსნებთან.

წიგნი გათვალისწინებულია საქართველოს ისტორიის სპეციალისტებისათვის, ბიზანტიის ისტორიითა და კავკასიის წარსულით დაინტერესებული ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

რედაქტორი — პროფ. გ. ყ ო რ დ ა ნ ი ა

К310.100

საქართველოს პარლამენტი
ეროვნული ბიბლ...

ბ $\frac{0505010000}{М\ 607(06)-84}$ 191—84

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1984

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავტორისაგან

X—XIII სს. საქართველოს მჭიდრო პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური კონტაქტები ჰქონდა მაშინდელ დასავლურ სახელმწიფოებთან: ჯერ ბიზანტიის იმპერიასთან და მოგვიანებით კი ახლო აღმოსავლეთში აღმოცენებულ ჯვაროსნულ სამეფო-სამთავროებთან. მათთან კონტაქტებმა იმთავითვე დიდი კვალი დააჩნიეს ფეოდალური საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსს, სათანადოდ იმოქმედეს ქართული მიწების ერთ სახელმწიფოდ თავმოყრის პროცესზე, ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ბრძოლებზე საკუთარი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის.

ზემოაღნიშნული ისტორიული მოვლენები საკმაოდ შთამბეჭდავად აისახა მრავალრიცხოვან წერილობით წყაროებში: ბიზანტიური, დასავლეთევროპული, სომხური... განსაკუთრებით საინტერესო და მრავალმხრივია ამ თემაზე ქართული წყაროების ჩვენებები. სამწუხაროდ, ბევრი მხარე ამ წყაროების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით ჯერ ისევ შესასწავლია და ახლებურ გააზრებას მოითხოვს.

საქართველოს ურთიერთობებს ჯვაროსნებსა და ბიზანტიასთან კარგა ხანია იკვლევენ ჩვენი სპეციალისტები (ივ. ჯავახიშვილი, ზ. ავალიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, პ. ინგოროყვა, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გრ. ფერაძე, მ. თარხნიშვილი, გ. გოზალიშვილი, შ. მესხია, ვ. კოპალიანი, გ. ჟორდანია და სხვ.), რომელთა ნაშრომებშიც დადგენილი თუ ახლებურად იქნა ახსნილი და დანახული ზემოხსენებული ურთიერთობების ბევრი მხარე. კერძოდ, გამოვლენილია ძირითადი წყაროები, ისტორიულ-ქრონოლოგიურადაა გააზრებული ხსენებული პრობლემის მრავალი დეტალი, ერთგვარად განზოგადებითაა შეფასებული ამ ურთიერთობათა მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესაბამისი პერიოდისათვის. სავსებით ცხადია, რომ ამგვარ სამუშაოს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ერის ისტორიის მეცნიერული რეკონსტრუქციისათვის.

ზემოხსენებული თემატიკის კვლევას კარგა ხანია სათანადო ადგილი ეთმობა ჩვენს სხვადასხვა დროს გამოცემულ ნაშრომებში, რომელ-

თა ერთი ნაწილი[1] შესულია ამ წიგნში. აქ გამოქვეყნებული ნაშრომები ერთმანეთთან ქრონოლოგიური და თემატური პრინციპითაა დაკავშირებული. წინამდებარე ნარკვევები წარმოდგენილია მცირეოდენი რედაქციული ცვლილებებით.

ავტორი მადლობით მიიღებს ყველა სასარგებლო შენიშვნას და მოსაზრებას.

---

[1] ეს ნაშრომებია: 1. Contribution á l'histoire des relations entre le Tao et Byzance (Les années 70 du Xe siècle). Insurrection de Barda Skleros. „Bedi Kartlisa", Paris, 1975, vol. XXXIII; 2. საქართველო და ბიზანტია (პოლიტიკურ ურთიერთობათა უმთავრესი დეტალის დადგენისათვის), „მნათობი", 1974, № 2; 3. К локализации одного архонтства, упомянутого Константином Багрянородным в „De cerimoniis aulae byzantinae." Byzantinobulgarica, V. Sofia, 1978; 4. პირველ ქართველ ათონელთა მოღვაწეობის ისტორიული ფონი. „ივერონი", ათონის ქართველთა მონასტრის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 1983; 5. შირიმნის ბრძოლის ლოკალიზებისა და თარიღის შესახებ. „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1979, № 3; 6. Deux-études pour servir à l'histoire du Tao. Bedi Kartlisa, Paris, 1973, vol. XXXI; 7. საქართველო და ჯვაროსნები. თბ., 1973; 8. ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელსა და დემეტრე I-ზე; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 125, 1968; 9. Georgien und die deutsche Welt in die Zeit Shota Rusthaweli. „Georgica", VI, Iena — Tbilissi, 1983.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე პორფიროგენეტის „ბიზანტიის კარის ცერემონიათა შესახებ“-ში მოხსენიებული ერთი საარხონტოს ლოკალიზებისათვის

ფრ. დოელგერის მიერ კონსტანტინე პორფიროგენეტის „ბიზანტიის კარის ცერემონიათა შესახებ“-ის იმ ფრაგმენტების დათარიღება, რომელშიაც მოხსენიებულნი არიან X ს. ბულგარეთის მმართველები[1], დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე „ქართველთა სამეფოს“ — ქართველ ბაგრატიონთა სახელმწიფოს ისტორიის მკვლევრებში. საქართველო, ისე როგორც ბულგარეთი, მჭიდრო კავშირში იყო ბიზანტიის იმპერიასთან[2].

„ცერემონიათა შესახებ“-ში შემონახულია ერთი ცნობა, რომელიც საინტერესოა „ქართველთა სამეფოს“ სახელმწიფო სტრუქტურის შესწავლის მხრივ.

ზემოხსენებული ცნობა დაცულია კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულების იმ ნაწილში, სადაც ავტორი იძლევა რჩევას, თუ როგორი ღირებულების საბეჭდავები უნდა შეებათ ხოლმე იბერიის მმართველებისათვის გაგზავნილი ეპისტოლეებისათვის. ამასთან დაკავშირებით აქ ნათქვამია, რომ იბერიის კურაპალატს საჭიროა გაეგზავნოს ორი სოლიდის ღირებულების მქონე ბულები[3]. მასვე უნდა მიემართოს ხოლმე ასეთნაირი ფორმულით: „ქრისტესმოყვარე კურაპალატს“.

---

[1] Fr. Dölger. Der bulgarenherrscher als geistlicher Sohn der byzantinischen Kaiser. Byzanz und die europäischen Staatwelt. Ettal. 1953.

[2] ამ სამეფოს შესახებ იხ. С. Джанашиа. Об одном примере искажения исторической правды. По поводу книги Н. Токарского «Архитектура древней Армении». Тбилиси, 1947, с. 22—25; შ. ბადრიძე, „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. 113, 1965.

[3] Constantini Porphyrogeniti imperatoris De ceremoniis aulae byzantinae libri duo, rec... Reiske, Bonnae, 1829—1830, II, p. 687—688.

„ἔχει δὲ περὶ αὐτὸν ὁ κουροπάλάτης ἑτέρας ἐζουσίας δ' εἰς τὸν ἄρχοντα τοῦ Βεριασάχ, Ἰβηρία. εἰς τὸν ἄρχοντα τοῦ Καρνατάης, Ἰβηρία. εἰς τον ἄρχοντα τοῦ Κοῦελ, Ἰβηρία· εἰς τὸν ἄρχοντα τοῦ Ἀτζαρᾶ, Ἰβηρία. „κέλευσις ἐκ τῶν φιλοχρίστων δεσποτῶν πρός ὁ δεῖνα".

„კურაპალატს ექვემდებარება ოთხი სხვა არხონტი. ვერიასახის არხონტი იბერიაში; კარნატაის არხონტი იბერიაში; ყველის არხონტი იბერიაში; აჭარის არხონტი იბერიაში; მიმართვა: „მავანს ქრისტესმოყვარე უფალთაგან"[4].

„ცერემონიათა შესახებ"-ის ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტი დიდი ხანია იქცევს მკვლევართა ყურადღებას, რომლებიც ცდილობენ სხვადასხვა ასპექტში განიხილონ იგი. ჩვენ ამჟამად მხოლოდ ერთი საკითხი გვაინტერესებს, კერძოდ — თუ როგორ უნდა გავიგოთ სახელწოდება „კარნატაი", „კარნატაის არხონტი".

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ „ცერემონიათა შესახებ" — წარმოადგენს სხვადასხვა დროის მასალებზე დაფუძნებულ კომპილაციას. კონსტანტინე პორფიროგენეტის ტექსტის მეცნიერული გაგება საჭიროებს განისაზღვროს დრო იმ მასალების შექმნისა, რომლებიც საფუძვლად დაედო „ცერემონიათა შესახებ"-ის განსახილველ ნაწილს. ამ თვალსაზრისით დიდად საინტერესოა ფრ. დოელგერის დასკვნები[5].

გაანალიზა რა „ცერემონიათა შესახებ"-ის 47—48-ე თავების ის ადგილები, სადაც მოიხსენიებიან X ს. ბულგარეთის მმართველები, ფრ. დოელგერმა დაასკვნა, რომ მითითებულ თავებში შეკრებილი და კომპილირებულია სხვადასხვა დროის ამსახველი მასალები[6]. ამათგან მასალათა I და II ჯგუფები (47-ე თავში) მომდინარეობენ 922—924 წწ-დან, როცა ბიზანტიის იმპერატორი იყო რომანოზ I, მისი თანამმართველი — კონსტანტინე VII. მასალათა IV ჯგუფი (იგი პირველთან შედარებით ნაგვიანევია) თარიღდება 945—959 წლებით, როცა იმპერატორი იყო კონსტანტინე VII, მისი თანამმართველი კი რომანოზ II. დასასრულ, ფრ. დოელგერის თანახმად, III ჯგუფი თარიღდება 920—922 წწ., როცა იმპერატორად იყო კონსტანტინე VII, მის თანამმართველად კი რომანოზ I[7].

---

[4] იქვე.

[5] Fr. Dölger. Der Bulgarenherrscher als geistlicher Sohn der byzantinischen Kaiser. Byzanz und die europäische Staatenwelt. Ettal, 1953.

[6] იქვე, გვ. 186—187, 193—195.

[7] იქვე, გვ. 185—194.

ფრ. დოელგერის დასკვნებს, რომლებიც X ს. ბულგარეთის ისტორიის მასალებს ეფუძნებიან, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ქართული ისტორიოგრაფიისათვის, რადგანაც საშუალებას გვაძლევენ დავადგინოთ: იბერიის კურაპალატი და მისი არხონტები, რომელთათვისაც დანიშნული იყო მიმართვები, მაშინ მოღვაწეობდნენ, როცა კონსტანტინე პორფიროგენეტი გვევლინებოდა იმპერატორად, ე. ი. ფორმულა, რომელიც შეიცავს კურაპალატისა და მისი არხონტების მოხსენიებას, ამოღებულია 920—922 წწ. ამსახავი აქტებიდან. ეს ფორმულა ხომ ფრ. დოელგერის მიერ გამოყოფილი და დათარიღებული მასალების III ჯგუფშია მოთავსებული?

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ იბერიის კურაპალატი, რომლის მმართველობაც მოიცავდა 920—922 წწ., შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ „ქართველთა სამეფოს“ ცნობილი მმართველი ადარნასე II (888—923)[8], რომელსაც ექვემდებარებოდა კარნატაის საარხონტო. ეს უკანასკნელი, როგორც კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობიდან ჩანს, „ქართველთა სამეფოს“ სახელმწიფოებრივ სისტემაში X საუკუნიდან მაინც არსებობდა.

„კარნატაის“ ლოკალიზების საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვაობას იწვევს და არ შეიძლება საბოლოოდ გადაწყვეტილად ჩაითვალოს.

ჩვენი აზრით, კარნატაი ეს იგივე კარინია, ანუ ერთი ძველი ქართული მინაწერის ენაზე რომ ვთქვათ (იხ. შემდეგ) — „ქვეყანაჲ კარნისაჲ“.

„კარინისა“ და „კარნატაის“ იგივეობის ვარაუდი შესაძლოა იმითი დამტკიცდეს, რომ ჯერ კიდევ ანტიკური დროიდანვეა დამოწმებული კარინის ისეთი სახელწოდება, რომელიც თითქმის იდენტურია კონსტანტინე პორფიროგენეტთან მოხსენიებული კარნატაისა.

მართლაც, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, სტრაბონის მიერ მოხსენიებული „ქალაქი კარანი“, რომლის მიხედვითაც ქვეყანას ეწოდება „კარანიტიდა“ (ბერძნ. „კარენიტის“)[9], სხვა არაფერია, თუ არა კარინის ქვეყანა. კარინ-ად ითვლება აგრეთვე პლინიუსის მიერ მოხსენიებული „კარინიტიდე“. ამ ავტორის თანახმად, „კარინიტიდე“ ის მხარეა, საიდანაც სათავეს იღებს ევფრატი. ეს უკანას-

---

[8] C. Toumanoff. Studies in Christian Caucasian History. Georgetown, 1963, p. 493.

[9] H. Hübschmann. Die altarmenischen Orstnamen. Strassburg, 1904, S. 213, 288.

კნელი ჯერ მიემართება დერზენეში, შემდეგ კი ანაიტიკაში, ე. ი. აკილისენაში[10].

ჩვენი მსჯელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს არაბული აგათანგელოზისა და მისი ბერძნული პარალელური ვერსიის მონაცემებს. მხედველობაში გვაქვს არაბული აგათანგელოზის ის ადგილი, სადაც ჩამოთვლილნი არიან მისიონერები, რომლებიც სომხეთის სხვადასხვა მხარეებში გააგზავნა სომეხთა განმანათლებელმა გრიგოლ პართელმა. ამ მისიონერთა შორის ჩამოთვლილნი არიან: „ევფალია (რომელიც გააგზავნეს) ბასიანში, ბასა — კოლაში, მოსე — აკილისენასა და დერზენეში, ევსევი — დარანალიაში, იოანე — კარანიტიაში“[11].

ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს აქ სახელწოდება „კარანიტია“. იგი არაბულ აგათანგელოზში შემორჩენილია როგორც „კუანიტია“, ე. ი. კუანიტიის მხარე. ჟ. გარიტისეულ ლათინურ თარგმანში, ფრაზას თუ მთლიანობაში მივიყვანთ, ჩვენთვის საინტერესო ადგილი ისეთნაირად იკითხება, რომ იოვანე ეპისკოპოსი გაიგზავნა „კვ' ნუტუნ“ მხარეში[12].

ზემოთ ციტირებული ადგილის წაკითხვაში თავის დროზე, მხოლოდ არაბული ვერსიის გათვალისწინებით, სათანადო კორექტივი შეიტანა ჯერ კიდევ ნ. ადონცმა. მან მიუთითა, რომ „კუანიტა“ უნდა წაკითხული იქნას როგორც „კარენიტინ“, სომხური კარინ[13]. ეს თვალსაზრისი ნ. ადონცს დასაბუთებულად მიაჩნდა იმ საფუძველზე, რომ „კუანიტია“ მოიხსენიება იმ ქვეყანათა გარემოცვაში, რომლებიც ნამდვილად კარინის მეზობლად იყვნენ. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ აგათანგელოზის ახალი ვერსიის გამოვლენამ მთლიანად დაადასტურა ნ. ადონცის ვარაუდი. დასახელებულ ვერსიაში ნამდვილად იკითხება არა „კუანიტ“, როგორც იგი გვხვდება არაბულ ვერსიაში, არამედ „კარანიტინ“, ე. ი. ისეთივე ფორმით, როგორც ნ. ადონცი კითხულობდა. აგათანგელოზის თხზულების მითითებულ ადგილზე ვკითხულობთ, რომ იოვანე გაგზავნილი იქნა „კარანიტინ“-ში[14].

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შესაძლებელია ჩვენი დაკვირვება განვაგრძოთ შენიშვნით, რომ ძველ დროში არსებობდა არა მხოლოდ პუნქტი „კარანი“ (სტრაბონი), არამედ ქვეყანა, მხარე, რომელიც

---

[10] Plinii Naturalis Historia, ed. Teubn. V, 1870, p. 83; H. Hübschmann, 288; Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана. СПб., 1908, с. 52—53.

[11] G. Garitte. Documents pour l'étude du livre d'Agatange. Città dei Vaticano. 1946, p. 103.

[12] იქვე.

[13] Н. Адонц. დასახ. ნაშრომი, გვ. 328.

[14] G. Garitte. დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

მის ირგვლივ მდებარეობდა და იწოდებოდა „კარანიტიდად“ (სტრაბონი), „კარანიტიდად“ (პლინიუსი), „კარანიტიად“ (აგათანგელოზი).

აქედან გამომდინარე, ე. ი. რომ ძველი დროიდანვე არსებობდა ქვეყანა, რომელიც თავისი ფორმით წააგავდა კონსტანტინე პორფიროგენეტის „კარნატაის“, შეიძლება ვამტკიცოთ: „კარნატაი“ ეს იგივე კარინია, ქვეყანა, რომლის ცენტრიც იყო კარნუ-ქალაქი, ე. ი. კარინის ქალაქი. ეს ქალაქი, შემდგომი ხანების ერზერუმი (კარინის ცენტრი), საქართველოსთან ერთ-ერთი ახლომდებარე პუნქტი იყო და იგი ქ. კარინს ძველთაგანვე უკავშირდებოდა ხეობით, რომელიც მიემართებოდა ზემო ევფრატიდან მდ. ოლთისის აუზისაკენ (ე. წ. „გურჯიბოლაზი“).

ადრიდანვე კარინის მხარე ბიზანტიის ინტერესთა სფეროში მოექცა, მისი ცენტრი კარნუ-ქალაქი კი თვალსაჩინო როლს ასრულებდა ჯერ კიდევ სასანიანთა ხანაში. ამის შემდეგ კარნუ-ქალაქი თანდათანობით გადაიქცა მსხვილ ქალაქად. ჯერ კიდევ პროკოფი კესარიელი გვამცნობს, რომ ეს ქალაქი ძველის ადგილზე ააშენა თეოდოსი II-მ (408—450), რის გამოც მას თეოდოსიუპოლს (თეოდოსიუპოლისს) ეძახდნენ.

სპეციალურ ლიტერატურაში რამდენჯერმე სცადეს დაედგინათ „კარინის“ ეტიმოლოგია. ნ. ადონცის აზრით, „კარინის“ ვითარცა ქვეყნის სახელწოდების არსებობა გვიჩვენებს, რომ თეოდოსი II-ის მიერ ქალაქის აშენებამდე აქ უკვე არსებობდა ან ქალაქი, ან, თუნდაც, რომელიმე დასახლებული პუნქტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ქალაქის სახელწოდებად თეოდოსიუპოლი უნდა ჰქონოდა ადგილობრივ მოსახლეობას (რომლებადაც ნ. ადონცი სომხებს მიიჩნევს), მაგრამ ეს უკანასკნელები ამ ქალაქს უბრალოდ კარინს უწოდებდნენ. „თუ ეს ქალაქი, ადგილი, — წერდა ნ. ადონცი, — პირველად სომხებისათვის ცნობილი გახდა როგორც თეოდოსიუპოლი, მაშინ საჭირო აღარ იქნებოდა მისი სომხური სახელწოდება“[15].

ნ. ადონცის კონცეფციაში გარკვეული ცვლილებები შეიტანა ჰ. მანანდიანმა. იგი არ უარყოფს სანდოობას პროკოფი კესარიელის ცნობისა, რომ იმპერატორ თეოდოსიმდე თეოდოსიუპოლის ადგილზე ნამდვილად არსებობდა დასახლებული პუნქტი, მაგრამ, ჰ. მანანდიანის აზრით, არსაიდან არა ჩანს, რომ ეს პუნქტი ან თვითონ თეოდოსიუპოლი ოდესმე იწოდებოდნენ ვითარცა კარინი. ძველი სომეხი ავტორები ამ ქალაქს უწოდებდნენ არა კარინს, არამედ კარნუ-ქალაქს, ე. ი. „კარინის მხარის ქალაქს“. სახელწოდება „კარინის“ გადატანა კი „კარი-

---

[15] Н. Адонц. დასახ. ნაშრომი, გვ. 143.

ნის მხარის ქალაქზე", როგორც ამის შესახებ მიუთითა ჯერ კიდევ ლ. ინჯიჯიანმა, მოხდა „გვიან და შეცდომის გამო"[16].

ასეა თუ ისე, ერთი კი ცხადია, და ჩვენთვის ახლა ესაა მთავარი, რომ „კარინის ქვეყანა" ძველთაგანვე არსებობდა და ამ სახელწოდებას უკვე ბერძნულ-რომაულ ტრადიციაში ისევე გამოთქვამდნენ ადგილობრივი ფორმით, როგორც ეს შემონახულია კონსტანტინე პორფიროგენეტთან იმ არხონტების ჩამოთვლისას, რომლებიც იბერიის კურაპალატს ექვემდებარებიან.

საერთოდ შესაძლებელია იმის მტიცებაც კი, რომ სახელწოდება „კარინი" ქართული წარმოშობის ტოპონიმია. აქ იგულისხმება „კარი" (მრ. კარნი) ვითარცა ბუნებრივი გასასვლელი[17]. ასეთნაირი ეტიმოლოგიის დადგენისას ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ ამ მხარეში არტაქსიას და ზარიადრის გამოჩენამდე, „კარენიტა" (რომლის ცენტრიც იყო კარინი) და „ქსერქსენე", როგორც ამას სტრაბონი მოწმობს, ეკუთვნოდათ „ხალიბებს და მოსინიკებს"[18]. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ სომხების პირველ გამოჩენამდე კარინ-თეოდოსიუპოლისსა და მის სანახებში, ეს ადგილები ვერ იქნებოდნენ სომხური იერის მატარებელნი და თვით ტოპონიმები „კარინ-კარენიტა" ვერ შეიქმნებოდა სომხურ გარემოში. არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებც, რომ კარინ-თეოდოსიუპოლისი და მისი ქვეყანა თავისებურ „კარს" წარმოადგენდნენ ქართული სახელმწიფოს ურთიერთობისათვის მცირე აზიაში: ეს მხარე ხომ ადრეანტიკური დროიდანვე მდებარეობდა ფარნავაზიანების ქართლის სახელმწიფოს სამხრეთ სანაპიროში[19]. დასასრულ, საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ X საუკუნეშიაც კი „კარინის ქვეყანა", ქართველთა წარმოდგენით, ეს იყო „ქუეყანაჲ კარნისაჲ"[20], საიდანაც აშკარაა, რომ ამ დროის (X ს.) ქართველთა შორის ზემოხსენებული მხარის სახელად კვლავ იხმარებოდა მისი არქაული ქართული ფორმა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, საჭიროა გაირკვეს კიდევ ერთი გარემოება, სახელდობრ, არსებობდა თუ არა X ს. პირველ მეოთხედში სათანადო ვითარება, რომელიც გვაგულვებინებს კარნატაის

---

[16] Я. Манандян. О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен. Ереван, 1954, с. 122.

[17] ნ. ბერძენიშვილი. კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობაში. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. II, თბ., 1965, გვ. 24.

[18] Страбон. География в 17 книгах. Перевод, статья и комментарии Г. А. Стратановского, М., 1964, с. 48.

[19] Г. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб., 1959, с. 291.

[20] P. Peeters. Une colophone géorgien de Thornik le moine. „Analecta Bollandiana", L, 1932, p. 360.

არსებობას იბერიაში? სხვა ფაქტებითაც თუ მტკიცდება „კარნატაის“ არსებობა იბერთა სახელმწიფოს შემადგენლობაში? ან, ჩვენი მსჯელობისათვის დაბრკოლებას ხომ არ ქმნის ის გარემოება, რომ ბერძნები (ბიზანტიელები) ქ. კარინს თეოდოსიუპოლისს უწოდებდნენ, რის გამოც მოსალოდნელი იყო, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტთან კარინის ქვეყანა უნდა წოდებულიყო არა „კარინის“, არამედ „თეოდოსიუპოლისის“ ქვეყნად, ისე როგორც ხშირად იხსენიება მასთან კარნუ-ქალაქი „თეოდოსიუპოლისად“ თხზულებაში „იმპერიის მმართველობის შესახებ?“.

რა თქმა უნდა, კონსტანტინე პორფიროგენეტი კარგად იცნობს სახელწოდებას „თეოდისიუპოლისს“, რომელსაც იგი ხშირად იხსენიებს[21], მაგრამ ეს მხოლოდ ქალაქის სახელწოდებაა! და თუმცა კონსტანტინე პორფიროგენეტი „მმართველობის შესახებ“-ში არ იხსენიებს სახელწოდებას თვით კარინის ქვეყნისა, რომლის ცენტრიც თვით თეოდოსიუპოლისი იყო, მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი სახელწოდება არ არსებობდა. ამიტომაც ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ სწორედ „კარნატაი“ იყო „კარინის ქვეყნის“ სახელწოდება.

ბუნებრივია, ასეთი განცხადების დროს საჭიროა იმისი გახსენებაც, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტის „ცერემონიათა შესახებ-“ში, იქ, სადაც მოხსენიებულნი არიან იბერიის კურაპალატის არხონტები, ჩვენთვის გასაგები ყველა საარხონტოს სახელწოდება მოხსენიებულია კავკასიური, კერძოდ, ქართული ფორმით. ასეთებია: ყველი, აჭარა და, უეჭველია, ვერიასახი. ყველი, ანუ ყველის ციხე ძველი ქართული პროვინციის სამცხის ერთ-ერთი ცენტრი იყო. „ცერემონიათა შესახებ“-ში ყველის ციხის სახელწოდება მოცემულია წმინდა ქართული ფორმით, მაშინ როცა „მმართველობის შესახებ“-ში ყველის ციხის სახელწოდება გადმოცემულია ბერძნული ფორმით, სახელდობრ, როგორც „ტიროკასტრონ“[22]. ესაა სიტყვასიტყვით თარგმანი სახელწოდებისა „ყველის ციხე“, რამდენადაც „ტიროს“ ნიშნავს „ყველს“, „კასტრონ“ კი ციხეს.

ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტთან ქართული ადგილების სახელწოდებები გადასულია ქართული წარმოშობის დოკუმენტებიდან.

ზემონათქვამის შემდეგ საკვირველი არაა, რომ ჩვენ სწორედ ქა-

---

[21] Constantinus Porphyrogenitus. De administrando imperio. Greek text ed. by Gy. Moravcsik. Engl. transl. by R. J. H. Jenkins. Budapest, 1949, p. 208, 210, 212 etc.

[22] იქვე, გვ. 215.

რთული ტრადიციის საფუძველზე ვცდილობთ ტოპონიმ „კარნატაის“ ახსნას.

ის, რომ კარინის მიწები ქართველებს ეკუთვნოდათ არა მარტო X ს. ბოლოს, არამედ ამ საუკუნის პირველ მეოთხედშიც, კარგად მტკიცდება კონსტანტინე პორფიროგენეტის „იმპერიის მმართველობის შესახებ“-ის სხვა ადგილებში დაცული ცნობებითაც.

როგორც დადგენილია, X ს. პირველი ნახევრის მთელ სიგრძეზე ქართველები სისტემატურად მონაწილეობდნენ ბიზანტიელთა ლაშქრობებში არაქს-ევფრატის ხეობებსა და ვანის ტბის სანაპიროებზე განლაგებული არაბული საამიროების წინააღმდეგ. ამის სანაცვლოდ ქართველები ცდილობდნენ მიეღოთ ბიზანტიელებისაგან მათთან ერთად დაპყრობილი ტერიტორიების ნაწილი ზემოხსენებულ მხარეში. ხშირად ქართველებს საშუალება ეძლეოდათ აქ საკუთარი ძალებითაც დაეპყროთ ტერიტორიები არაბებისაგან[23]. აღსანიშნავია, რომ თუ პირველ შემთხვევაში ქართველები ბიზანტიელთაგან ბოძებულ მიწებს ლენური წესით ფლობდნენ, სხვა შემთხვევაში მიწებს სამამულო წესით იკავებდნენ და ცდილობდნენ იქ არავინ შეეშვათ[24].

ამის მაგალითად გამოდგება კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ მოთხრობილი ფაქტი კეჯეს ციხეზე, რომელიც ქართველთა ხელში იყო. ამ ციხეს ბიზანტიელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რადგანაც იქიდან შეიძლებოდა მეთვალყურეობა თეოდოსიუპოლზე. ამ მიზნით ბიზანტიელებს არაერთხელ მიუმართავთ ქართველებისათვის, რათა მათ დაეთმოთ ეს ციხე, დროებით მაინც, ვიდრე ბიზანტიელები თეოდოსიუპოლისს აიღებდნენ, მაგრამ ამაოდ. ქართველები ამ თხოვნას უარით პასუხობდნენ[25].

ეს ძალზე საინტერესო ცნობაა, რომელიც ჩვენ საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, რომ არა მარტო ქართველები იღებდნენ ბიზანტიელთაგან ტერიტორიებს დროებით მფლობელობაში, არამედ ასეთი წესით ბიზანტიელებსაც შეეძლოთ მიეღოთ ქართველებისაგან.

უეჭველია, კეჯეს ციხე მდებარეობდა სადღაც თეოდოსიუპოლისთან ახლო, რაშიაც ჩვენ გვარწმუნებს კონსტანტინე პორფიროგენეტის მთელი მოთხრობა[26]. ამიტომ სავსებით დამაჯერებელია იმ მეცნიერთა აზრი,

---

[23] Ш. Бадридзе. Таоиское царство и наследство Давида куропалата. Автореферат дисертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Тбилиси, 1975, с. 29—31.

[24] იქვე.

[25] Const. Porph., დასახ. ნაშრომი, გვ. 208.

[26] კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვებით, ქართველები თანახმანი იყვნენ კეჯეში შეეშვათ მხოლოდ ბიზანტიელთა მცირერიცხოვანი მხედრობა ტურმარქის მეთაუ-

რომლებიც კეჯეს ციხის ლოკალიზაციას ახდენენ აშ-ყალას მიდამოებში, კარინის მხარეს[27].

დასასრულ, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობებით ჩანს ის დროც, როცა ქართველებს უკვე ფეხი ჰქონდათ მოკიდებული კეჯეს ციხის მიდამოებში. კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვებით, კეჯეს ციხეს ქართველებს ხშირად თხოვდნენ როგორც იმპერატორი ლეონი, ისე თვითონ კონსტანტინე[28]. ლეონი — ესაა იმპერატორი ლეონ ბრძენი (886—912), კონსტანტინე კი პოლიტიკურ სარბიელზე გამოვიდა 913 წლიდან. აქედან აშკარად ჩანს, რომ ქართველები კეჯეს ციხეს ფლობდნენ ჯერ კიდევ X ს. პირველი ნახევრის შუა ხანებიდან (თუ უფრო ადრიდან არა), ყოველ შემთხვევაში იმ დროიდან მაინც, რომლის უკიდურესი თარიღი იყო 912 (ე. ი. ლეონ ბრძენის გარდაცვალების) წელი. ერთი სიტყვით, ძალიან კარგად მტკიცდება, რომ ქართველები საკმაოდ მკვიდრად ბინადრობდნენ თეოდოსიუპოლისთან უკვე X ს. პირველი მეოთხედიდან.

ამის შემდეგ, იმავე კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, ქართველები სისტემატურად იმყოფებოდნენ კარინში, ცდილობდნენ ფეხი მოეკიდებინათ აქ. კონსტანტინე პორფიროგენეტის მოთხრობით, ქართველები ენერგიულად ცდილობდნენ დაუფლებოდნენ ავნიკის ციხესა და საამიროს და ბიზანტიელებთან ერთად ააოხრეს იგი, ხელთ იგდეს ნადავლი და ტყვეები, ცეცხლს მისცეს იგი[29]. კონსტანტინე პორფიროგენეტის მტკიცებით, ქართველებს და კურაპალატს არასდროს აუოხრებიათ ავნიკი, მაგრამ როცა იგი ბიზანტიელებმა ააოხრეს, ქართველები მივიდნენ იქ, დაეუფლნენ იქაურობას (ავნიკს) და ამის შემდეგ ცდილობდნენ იქ გამაგრებას[30].

ავნიკი და მისი მხარე (რომლის შესახებაც, სხვათა შორის, ცნობები შემონახულია კლავიხო რუი გონსალესის მიერ, რომელმაც ამ ად-

---

რობით, რომელსაც თეოდოსიუპოლისზე თვალთვალის უფლება ექნებოდა. ეს წინადადება იწვევდა ბიზანტიელთა უკმაყოფილებას, ვინაიდან, მათი აზრით, მკირერიკხოვან ბიზანტიელთა რაზმს არ შეეძლო სათანადო კონტროლი დაეწესებინა თეოდოსიუპოლისისკენ მიმავალ გზებზე, ვინაიდან ქალაქისაკენ სხვადასხვა გზები მიემართებოდა და მტერს მათზე გავლით შეუმჩნევლად შეეძლო ქალაქში შესვლა ღამით (De administrando imperio, p. 208). კონსტანტინე პორფიროგენეტის მთელი მონათხრობიდან ნათლადა ჩანს, რომ კეჯე, ეს თეოდოსიუპოლისზე სამეთვალყუროდ საუკეთესო პუნქტი, თეოდოსიუპოლისის სანახებში მდებარეობდა.

[27] ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოზე. ტ. IV, ნაკვ. II, თბ., 1952, გვ. 266.

[28] Const. Porph. De administrando, გვ. 208.

[29] იქვე, გვ. 212.

[30] იქვე.

გილას 1405 წელს გაიარა), მდებარეობდა არაქსის სამხრეთით და ერზერუმის აღმოსავლეთით, ჰასან კალას რაიონში[31]. იმავე კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვებით, დროის რომელიღაც მონაკვეთში ქართველები ფლობდნენ აგრეთვე მასტატს[32].

ამ ცნობებიდან დამაჯერებლად ჩანს, რომ X ს. დასაწყისიდან, ყოველ შემთხვევაში, მისი შუა ხანებიდან მაინც, როდესაც ქართველთა სახელმწიფო კარინ-თეოდოსიუპოლისის ცხოვრებაში შეიჭრა, ქართველები უკვე მყარად ბატონობდნენ კარინის გარკვეულ ნაწილში.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ უკვე X ს. პირველი მეოთხედიდან ადარნასე II-ს (888—923) ექვემდებარებოდა კარნატაის საარხონტო, ტერიტორია კარინში, რომელიც წარმოადგენდა „ქართველთა სამეფოს“ სანაპირო საერისთავოს.

აქტიურ პოლიტიკას ატარებდნენ ქართველები კარინში X ს. ბოლომდეც, ცნობილი დავით კურაპალატის (+1001) დროს, როგორც ამის შესახებ წყაროები მოწმობენ.

---

[31] E. Zdanevitch. Ruy Gonzales de Clavijo en Géorgie, observations sur son chemin d'Avnik à Trébizonde du 5 au 15 septembre 1405. — Actes du XIIe congrès international d'études Byzantines. Beograd, 1964. p. 250.

[32] Const. Porph. დასახ. ნაშრომი, გვ. 212.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტაოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობისათვის X საუკუნის 70-იან წლებში

(ბარდა სკლეროსის აჯანყების ისტორიისათვის)

პოლიტიკა, რომლის მიზანიც იყო აშკარა დაპყრობებისა თუ ბიზანტიური ბოძებების შეძენის მეოხებით მოეპოვებინა მიწები ტაოში ქართველებისათვის, შეენარჩუნებინა მათთვის ეს მიწები, განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა 978 წელს ქართველების, კერძოდ, დავით ტაოელის იმ პოზიციაში, რომელიც მან დაიკავა ბარდა სკლეროსის აჯანყების მიმართ, აგრეთვე იმ შედეგებში, რომლებიც დავითს ამ მოქმედებამ მოუპოვა.

X საუკუნის მეორე ნახევრის ბიზანტიის ისტორია კარგად იცნობს პოლიტიკური ხელისუფლებისათვის მებრძოლი პროვინციული არისტოკრატიის აჯანყებებს[1], რომელთა შორისაც განსაკუთრებით გამოირჩევა ბარდა სკლეროსის აჯანყება.

ბიზანტიის ისტორიის ამ კაპიტალურ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველთა ისტორიის თვალსაზრისითაც, იმის გამო, რომ აღნიშნული აჯანყების ლიკვიდაციის საქმეში რელიეფურად ჩანს მათი მონაწილეობის კვალიც.

დასახელებულმა გარემოებამ კარგა ხანია მიიქცია მკვლევართა ყურადღება, რაც იქიდანაც ჩანს, რომ წარსული საუკუნიდან აღნიშნულ ფაქტზე საკმაოდ მოგვითხრობენ როგორც ქართველი, ისე სხვა მკვლევრები[2].

---

[1] ამ საკითხზე იხ. Г. Г. Литаврин. Внутренняя и внешняя политика Византии во второй половине X—первой четверти XI в. История Византии, т. 2, изд. „Наука", М., 1967.

[2] Lebau. Histoire du Bas-Empire, t. XIV. pp. 157—158; დ. ბაქრაძე. საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, ტფ., 1895, გვ. 127; მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, ტფ., 1906, გვ. 127; G. Schlumberger. L'Epopée byzantine à la fin du Xe s., v. 1. 1895, p. 415; А. Натроев. Иверский монастырь на Афоне. Тифл., 1909, с. 28—31; А. С. Хаханов. Очерки по истории грузинской словесности. вып. II, М., 1897, с. 121; В. Василевский. К истории 976—986 гг., „Труды", т. II, вып. I!, 1912, с. 119: Z. Avalischvili, La succession du curopalate David d'Ibérie, dynaste de Tao. Byzantion. VIII, I, Bruxelles, 1933, p. 17 —178 etc.

სრულიად სანდოდ შეიძლება მივიჩნიოთ ყველა ავტორის ცნობა, რომელსაც აღნიშნულ პრობლემაზე ბიზანტიურთან ერთად ქართული და სომხური წყაროებიც შეიცავენ.

მეორე მხრივ კი, ადრიდანვე ჩანს სხვა ხაზიც, რომელსაც ჩვენთვის საინტერესო ფაქტი არსებითად ბიზანტიური ტრადიციის მიხედვით წარმოუდგენია[3]. ეს ხაზი განსაკუთრებით მტკიცდება თორნიკე ბერზე ნ. ადონცის შრომის[4] გამოქვეყნების შემდეგ, რომელშიც თუმცა უეჭველ ფაქტადაა ცნობილი ქართველთა მონაწილეობა ბარდა სკლეროსის აჯანყების ჩაქრობის საქმეში, მაგრამ ამავე დროს მიჩნეულია, რომ ქართულ ტრადიციაში ამ მონაწილეობის მაუწყებელი მასალები გაზვიადებულად და საეჭვოდაა გადმოცემული, ბიზანტიურ ტრადიციაში კი საქმე უფრო სწორადაა ასახული.

უეჭველია, ნ. ადონცის თვალსაზრისის მიხედვით, ევროპული თუ რუსული ბიზანტინოლოგია თანდათან ივიწყებს ქართულ, ვითომცდა ტენდენციური ტრადიციიდან გამომდინარე და ადრეგავრცელებულ ვერსიას ბარდა სკლეროსის აჯანყების ლიკვიდაციაში ქართველთა მასშტაბური მონაწილეობის შესახებ და ამ ფაქტს მარტოოდენ ბიზანტიური ტრადიციის მიხედვით თუ აღნიშნავს[5]. მეორე მხრივ კი ქართული ისტორიოგრაფიისათვის არსებითად შეუფასებელი რჩება ბიზანტინისტთა მიერ ათვისებული ეს კონცეფცია[6], რის გამოც დღემდე ვერ ხერხდება იმ მიზეზების ახსნა, თუ რატომაა, რომ 30-იანი წლების ბოლოდან ბიზანტიის ისტორიის ყველაზე კომპეტენტურ გამოცემებშიაც

---

[3] Г. Гельцер. Очерк политической истории Византии. В. кн. „Очерки по истории Византии", под редакцией и с предисловием В. Бенешевича. СПб., 1912, с. 100; Г. Герцберг. История Византии, М., 1897, с. 167; Ш. Диль. История Византии. М., 1948, с. 92.

[4] N. Adontz. Thornik le moine. Etudes Armeno-Byzantines. Lisbonne. 1965. p. 297—318.

[5] იხ. მაგ., G. Ostrogorsky, Geschichte des Byzantinischen Staates. München, 1940; М. Левченко. История Византии. М. — Л., 1940, 165—166; „История Византии", т. II, М., 1967, с. 218.

[6] С. Джанашиа. Об одном примере искажения исторической правды. Тб., 1947, с. 29; ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა, V, თბ., 1963, გვ. 32—42; მ. კახაძე. ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, თბ., 1954, გვ. 31—45; პ. ინკოროყვა. გიორგი მერჩულე. თბ., 1954, გვ. 67; ვ. კოპალიანი. ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1962, გვ. 128—140; მისივე, ბიზანტია — საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. თსუ შრომები, ტ. 61, 1956, გვ. 119—123; მისივე. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970—1070 წლებში. თბ., 1969, გვ. 27—42; Н. Ломоури. К истории восстания Варды Склира, თსუ შრომები, ტ. 67, 1957, გვ. 30—31.

კი ქართველთა როლი საუკეთესო შემთხვევაში ბიზანტიური ტრადიციის მიხედვითაა გადმოცემული და მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით კმაყოფილდება[7]. ბუნებრივია, ამის გამო ჩვენში მომუშავე სპეციალისტები არც ცდილობენ ქართული ტრადიციის მეცნიერულ რეაბილიტაციას.

ეს გარემოება საჭიროდ ხდის სპეციალურად შევეხოთ ბარდა სკლეროსის აჯანყების ისტორიის დეტალებს, რომლებიც საქართველოს ისტორიასთან უშუალო შეხებაში იმყოფებიან.

ბარდა სკლეროსის აჯანყება მაშინ ხდება, როცა იოანე ციმისხი (969—976) უკვე გარდაცვლილია და ბიზანტიის სათავეში ახალგაზრდა ბასილი II (976—1025) დგას.

976 წელს ბარდა სკლეროსი, მცირეაზიული პროვინციული არისტოკრატიის კოლორიტული წარმომადგენელი და იოანე ციმისხის ომების ვეტერანი[8], ენერგიულად შეეცადა ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და თავს იმპერატორად აცხადებს.

თავიდანვე ბარდა სკელორსს მხარს უჭერს იმპერიის სამხედრო წრეების ერთი ნაწილი, სანაპირო ოლქების მაჰმადიანი მფლობელები[9], ჯეჰანისა და მელიტენის სომხური თემები[10]. ბარდა სკლეროსსვე მოემხრნენ ტარონის მთავრის შვილები გრიგორი და ბაგრატი[11]. ბარდა იპყრობს კაპადოკიას, ანტიოქიას თუ ნიკეას და იმპერიის აზიური ნაწილის გარკვეულ სექტორში მბრძანებელი ხდება[12].

ბარდა, რომელიც თავის მიწებზე სასტიკ ტეროორს ამყარებს, კონსტანტინოპოლისაკენ მიემართება. იგი შიშის ზარს სცემს იმპერატორების მხედრობას და ამარცხებს მას ორ ბრძოლაში ლაპარასა და რანგავად წოდებულ ადგილზე. სხვათა შორის, ბარდა აქ ატყვევებს იმპერატორის მხედართმთავარ ლეონ პროტოვესტიარხს, ხოლო მეორე მხედართმთავარს პეტრე ფოკას კი ჰკლავს.

ასეთ ვითარებაში ბასილი თავისთან მოიხმობს ცნობილ პიროვნებას, პოლიტიკურსა და სამხედრო მოღვაწეს ბარდა ფოკას, რომელიც, აქამდე ბერად აღკვეცილი, იმყოფება გადასახლებაში და დაავალებს და-

---

[7] Н. Ломоури. დასახ. ნაშრომი, გვ. 30. 31; М. Лордкипанидзе. Из истории грузино-византийских взаимоотношений на грани X—XI вв. კრ. „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“, ტ. II, თბ., 1972, გვ. 34.

[8] „История Византии“, т. II, с. 234.

[9] В. Г. Васильевский. К истории 976—986 гг., с. 60.

[10] Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика по прозванию. Перевод Н. Эмина, М., 1864, с. 133.

[11] იქვე, გვ. 134.

[12] ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობები, გვ. 30.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

აშოშმინოს მისივე სეხნა სკლეროსი. იდეა, ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინათ ბარდა სკლეროსი და ბარდა ფოკა, ეკუთვნოდა ცნობილ ბასილი პარაკიმომენოსს, მეტსახელად პეტეინოს (ჩიტი), რომელიც თანმიმდევრობით და ერთნაირი ერთგულებით ემსახურებოდა ოთხ იმპერატორს — კონსტანტინე პორფიროგენეტს (919—944), რომანოზ II (959—963), ნიკიფორე ფოკასა (963—969) და იოანე ციმისხს (969—976). პირველ ხანებში სწორედ ეს ბასილი წარმართავდა ბასილი II-ის საქმიანობასაც.

იმაზე, თუ რა მოიმოქმედა ამის შემდეგ ბარდა ფოკამ, დაწვრილებით მოგვითხრობს გიორგი კედრენე. მას შემდეგ, გადმოგვცემს გიორგი კედრენე, რაც ბარდა სკლეროსის მოწინააღმდეგე ძალებს უსარდლეს, ბარდა ფოკა კესარიაში ჩავიდა, აქედან კი წავიდა ამორიუმში, სადაც პირველი ბრძოლა მიაგო ბარდა სკლეროსს, მაგრამ იგი დამარცხდა და უკან დაიხია ხარსიანონში.

ბარდა ფოკას სკლეროსი ფეხდაფეხ მისდევს, ბასილიკა თერმაში (სამეფო აბანოებში) გადამწყვეტ ბრძოლას უმართავს და ისევ ამარცხებს. მაშინ, კედრენეს მიხედვით, ბარდა ფოკა გაემართა იბერიაში, რათა დახმარება ეთხოვა დავით კურაპალატისათვის, რომელთანაც ის ძველთაგანვე მეგობრობდა. დავითმა მას მისცა ჯარი არამცირედი, რომლითაც ფოკა თავის მხედრობასთან ერთად ღალისის სანაპიროზე პანკალეის ველზე განლაგდა. აქ ფოკა ხელმეორედ შეებრძოლა სკლეროსს, მაგრამ ბრძოლის დასაწყისისათვის მისმა მხედრობამ კვლავ უკან დახევა იწყო და მტერს ზურგიც კი უჩვენა. მაშინ, ამბობს კედრენე, ფოკა წინ გამოემართა, სკლეროსი ორთაბრძოლაში გამოიწვია, სძლია მას და ბრძოლის ველიდან გააქცია. სკლეროსმა თავშესაფარი ბაღდადში პოვა[13].

„ხოლო ადგილი პანკალია,—გადმოგვცემს კედრენე ომის აღწერილობის ბოლოს, — დაბლობი გაშლილი და ცხენთა საჯირითო, მდებარეობს ღალისის მახლობლად. და კვლავ გაჩაღდა ფიცხელი ბრძოლა. მაშინ თავის ხალხს ფოკამ რომ შენიშნა, რომ ცოტას ღალატობდნენ და გაქცევაზე ეჭირათ თვალი, უმჯობესად ჩათვალა სახელოვანი სიკვდილი, ვიდრე ლაჩრული და ნაძრახი სიცოცხლე, გაარღვია მოწინააღმდეგის ფლანგები და სასწრაფოდ მიიჭრა სკლეროსთან.

რადგან (სკლეროსი) მაგრად შეხვდა მის შემოტევას, არავის ჯარისკაცთაგანს დახმარება არ უფიქრია, არამედ მხედართმთავრის შეგმით, მათი აზრით, უნდა გადაწყვეტილიყო საქმე, ვინაიდან შემაძრწუნებელი სანახობა იშლებოდა მაყურებელთათვის, როდესაც ორი ვაჟ-

---

[13] აღნიშნული ფაქტებისათვის იხ. N. Adontz-ის დასახ. ნაშრომი, გვ. 297—298.

კაცის პირისპირ შებრძოლება დიდად გამოამჟღავნებდა მათ გამბედაობას და სულიერ ძალას. ასე, რომ სკლეროსი და ფოკა ერთიმეორის პირისპირ დადგნენ და ხელჩართული ბრძოლა გაიმართა.

და სკლეროსმა ფოკას ცხენს მახვილით ჩამოაჭრა მარჯვენა ყური აღვირითურთ და თან დასცინოდა, ხოლო ფოკამ ლახტი დაჰკრა მას თავში და ცხენის ქედზე გადააგდო სკლეროსი, ძლიერი დარტყმის მიყენების წყალობით, თვითონ კი ფოკამ დეზი ჰკრა ცხენს, გაარღვია მტრის ფლანგები და გადავიდა. ავიდა ერთ ბორცვზე და თავის გაქცეულ მებრძოლებს უკან მოუხმო.

სკლეროსის თანამებრძოლებმა რომ დაინახეს, რომ ის ცუდად გამხდარიყო დარტყმის მიყენების გამო და უკვე გულწასული იყო ჭრილობებისაგან, იქვე წყაროსთან მიიყვანეს ის სისხლის მოსაბანად, ფოკას შესახებ კი ფიქრობდნენ, რომ ის საბოლოოდ დაიღუპა.

სკლეროსის ცხენი დაფრთხა და გაექცა მას, ვისაც ეჭირა, და შუა რაზმებში დარბოდა უმხედროდ და უწესრიგო ძალით, სისხლში ამოსვრილი (მას ეგვიპტურ ცხენს ეძახდნენ). იცნეს ვისი ცხენიც იყო: იფიქრეს, რომ მათი არქონტი დაიღუპა და არეულ-დარეულნი გაიქცნენ"[14].

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, თუ რა როლი შეასრულეს დავით კურაპალატის ძალებმა ბარდა სკლეროსის აჯანყების ჩაქრობაში, ძვირფას ცნობებს შეიცავენ ქართული და სომხური წყაროებიც.

ამათგან პირველ ყოვლისა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გიორგი მთაწმინდელის განთქმული თხზულება „ცხოვრება იოვანესი და ეფთვმესი"[15], სადაც ჩვენთვის საინტერესო ცნობები გადმოცემულია ამ ძეგლის მთავარი პერსონაჟების იოვანე და ექვთიმე მთაწმინდელების ბიოგრაფიასთან დაკავშირებით. თხზულების მიხედვით იოვანე იყო „ნათესავით ქართველი", განთქმული მეომარი და „საჩინო" დავით კურაპალატის მთავართა შორის, მისი „საკუთარი". მან დატოვა ამქვეყნიური ცხოვრება და ბერად აღიკვეცა „დიდებულსა ოთხთა ეკლესიათასა", საიდანაც შემდეგ იგი წავიდა „საბერძნეთში" და „ულუმბოს" მთაზე, ერთ-ერთ მონასტერს შეაფარა თავი. აქ იგი დარჩა ჟამთა არა-მცირედთა. სწორედ იმ ხანებში „ბერძენთა მეფემ" დავით კურაპალატს მისცა „ზემონი ქვეყანანი", რისთვისაც მას მძევლად გამოართვა „აზნაურთა შვილნი". ამ უკანასკნელთა შორის იყო იოვანეს ძე ეფთვმეც, რომელიც მძევლად იოვანეს ცოლისძმებმა გაუშვეს.

---

[14] ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა. ტ. V, 1963, გვ. 30—32.

[15] იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. II, (XI—XV), თბ., 1967.

ამაზე იოვანე გულგაცეცხლებული დარჩა. იგი სასტიკად უსაყვედურებს თავის სიმამრს და ბიზანტიის კარს სთხოვს მისცეს მას თავისი შვილი, რომელთან ერთადაც იგი კვლავ ულუმბოში ბრუნდება[16].

გადის კიდევ დრო და „შემდგომად რამდენისამე ჟამისა“ იოვანე ექვთიმესთან ერთად მთაწმინდაზე მიდის ათანასე დიდის ლავრაში, სადაც ორ წელზე მეტ ხანს დარჩა მზარეულად[17].

სწორედ ამ ხანებში („მათ ჟამთა“) იოვანეს „თჳსი“ დიდი თორნიკე „თჳსსა ქვეყანასა მონაზონ იქმნა“. იგი გაიგებს, რომ იოვანე „ულუმბთა არს“ და იქ წავა, მაგრამ ვერ ნახავს და როცა იოვანეს ნამდვილ ადგილსამყოფელს გაიგებს, მთაწმინდისაკენ მიემართება, მივა და იქვე დამკვიდრდება[18].

ამ ამბების შემდგომ „იქმნა განდგომილება“ სკლეროსისა, რომელმაც მთელი ხმელეთი იგდო, ისე რომ „მეფენი და დედოფალი შეწყუდეულად იყვნეს ქალაქსა შინა ჭირითა და იწროებითა“. მაშინ ეს უკანასკნელები გადაწყვეტენ, რომ მათი „შემწე“ „დავით კურაპალატისაგან კიდე არავინ არს“, მაგრამ უჭირთ მასთან „კაცნი“ გააგზავნონ, ვინაიდან ყველა გზა ბარდა სკლეროსს ხელში აქვს ჩაგდებული[19].

და სწორედ მაშინ, როცა „მეფენი და დედოფალი“ დიდ ზრუნვაში იყვნენ, ეგების დავით კურაპალატთან გასამგზავრებლად შესაფერისი ვინმე ვიშოვნოთო, მათ შეატყობინებენ, რომ იოვანე და თორნიკე ათანასე დიდთან, მის ლავრაში იმყოფებიან. სასწრაფოდ თორნიკეს სასახლეში გამოიძახებენ. ბოლოს დიდი და დაჟინებული ყოყმანის შემდეგ თორნიკე თანხმდება და სასახლეში მიდის[20].

ამ დროს, „ცხოვრების“ მიხედვით, ბასილი და კონსტანტინე მცირეწლოვნები, „წუთლა ყრმა იყვნეს“, ისე, რომ სახელმწიფოს მთელი მმართველობა ხელთ ეპყრათ დედოფალსა და პარაკიმომენოსს. როგორც კი თორნიკე ადგილზე მივიდა, პარაკიმომენოსმა სასწრაფოდ იგი სასახლეში შეიყვანა, სადაც მეფენი და დედოფალი ფეხზე წამოდგნენ, პატივით მოიკითხეს და გვერდზე მოისვეს.

„ცხოვრების“ თანახმად დედოფალი უბრძანებს ბასილის და კონსტანტინეს ფერხთ ჩაუვარდნენ თორნიკეს და ასეთნაირად იხვეწება: „წმინდაო მამაო, რაჲცა ამათ ობოლთა თანა ჰქმნა, ღმერთმან მოაგოს სულსა შენსა“[21].

---

16 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II, გვ. 45.
17 იქვე, გვ. 45—46.
18 იქვე, გვ. 47.
19 იქვე, გვ. 48.
20 იქვე,
21 იქვე, გვ. 47.

შესაბამისი თხოვნის შემდეგ თორნიკე ითავებს დავით კურაპალატთან წასვლას და საიმპერატორო კარის თხოვნის—სკლეროსთთან ბრძოლაში დაგვეხმარეო — გადაცემას. „ხოლო იხილა რა კურაპალატმან, ფრიად განიხარა და წიგნები მეფეთა მიითუალა და ყოველივე საქმე თორნიკ გააცადა, რომლისათჳსცა განზრახვა ქმნეს, რათა ლაშქარნი წარგზავნენ საბერძნეთს და სპასალარად თორნიკ გააჩინეს. ხოლო თორნიკ კურაპალატისა და თავისა წიგნები მეფეთა წინაშე წარსცა და ყოველი ნება კურაპალატისა აუწყა“[22].

მაშინ, გვამცნობს „ცხოვრება“, „მისცეს მეფეთა ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი კურაპალატსა, რაჲთა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ“[23]. იმაზე, თუ რა იგულისხმება ამ „ბოძებაში“, ჩვენ ცალკე ვისაუბრებთ, ახლა კი ჯერ ისევ „ცხოვრებას“ მივყვეთ. ამ უკანასკნელის მიხედვით, დავით კურაპალატმა თორნიკეს, რომელიც „მეფეთა“ სკლეროსის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზატორად აჩინეს, მისცა თორმეტი ათასი რჩეული მხედარი და „შეწევნითა ქრისტესითა აოტა სკლიაროსი და ვიდრე სპარსეთამდე მეოტად წარიქცია და მერმე შეიქცა და სიტყვისაებრ მეფეთაჲთასა დაატყვევნა ყოველნი დიდებულნი საბერძნეთისანი და მონაგები მათი იავარ-ყო“[24].

დავით კურაპალატისა და მისიანების მონაწილეობაზე ბარდა სკლეროსის აჯანყების ჩაქრობაში საგანგებოდ მოგვითხრობს სომეხი მემატიანე ასოღიკიც. მის მიხედვით, ბარდა სკლეროსის აჯანყების შემდეგ, ბასილი მეფემ მოიხმო მხედართმთავარი თორნიკე, ტომით ქართველი, რომელიც წმ. მთაზე ათონზე მონაზვნობდა და გააგზავნა ტაოს კურაპალატთან, წინადადებით, რომ მისცემდა დიდ ტერიტორიებს, რაც შეასრულა კიდევაც, თუ იგი დასახმარებლად გამოაგზავნიდა მხედრობას. დავითმა შეკრიბა ქართველთა მხედრობა ერისთავთ-ერისთავის ჯოჯიკის მეთაურობით და თორნიკესთან ერთად გააგზავნა იგი ტირან ბარდასთან საბრძოლველად. ამ უკანასკნელებმა ტირანის ხელქვეითი ქვეყნიდან მოკიდებული დაიწყეს ბერძენთა მიწების აოხრება. მეფე ბასილიმ გაათავისუფლა საპყრობილედან ბარდა, რომელიც აგრეთვე ფოკად იწოდებოდა და კირ-ჟანის (იოანე ციმისხის მიერ) კუნძულზე იყო გადასახლებული, მისცა მას ბერძენთა დასავლეთის მხედრობა და იბერიის ჯარებთან ერთად გააგზავნა ტირანის წინააღმდეგ ორ ბანაკად; ტირანი შეებრძოლა ერთ-ერთ ამ ბანაკს და ის იყო უნდა გაქცეული-

---

[22] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. 1967, გვ. 48.
[23] იქვე.
[24] იქვე.

ყო, რომ მოუსწრო მეორე ბანაკმა და ბრძოლა განახლდა. შეშინებული ტირანი ბარდა გაიქცა[25].

როგორც ვხედავთ, წყაროები (გიორგი კედრენე, გიორგი მთაწმინდელი და ასოლიკი) ერთხმად მიუთითებენ, რომ დავით კურაპალატის ძალებმა მონაწილეობა მიიღეს ბარდა სკლეროსის აჯანყების ჩაქრობაში, მაგრამ რა მასშტაბითა და რა კუთხით, ამას განსხვავებული კომპოზიციით წარმოგვიდგენენ.

მართლაც, მაგალითად, კედრენეს ტაოელების მონაწილეობის ფაქტი ძალიან მკრთალად აქვს წარმოდგენილი თავის ისტორიაში, მაშინ როცა განსაკუთრებით ქართული და აგრეთვე სომხური „ვერსიებით" ეს ამბავი უფრო რელიეფურადაა დახატული.

რატომაა ასე, ან რომელ ვერსიას უფრო უნდა ვენდოთ?

დავიწყოთ გიორგი კედრენედან.

მ. კახაძის აზრით, კედრენესთან ქართველთა ღვაწლის გადმოცემის სიმკრთალე წყაროს ტენდენციურობის ბრალია[26]. კედრენე დავითს არხონტს უწოდებს, მაშინ როცა იგი დიდი კურაპალატი იყო. ამასთან დაკავშირებით მ. კახაძეს ახსენდება ივ. ჯავახიშვილის აზრი, რომ ბიზანტიის მთავრობა, დამცირების მიზნით იბერიის მმართველებს განზრახ უწოდებდა ხოლმე არხონტებს[27]. ხოლო ვინაიდან ცნობილია, რომ დავითმა, როგორც ასოლიკი გადმოგვცემს, დააწყნარა ყველა ქვეყანა და მას ნებაყოფლობით დაემორჩილნენ სხვა მეფეები, ყოვლად შეუძლებელია, რომ ბიზანტიელ ჟამთააღმწერელს, რომელიც X—XI სს. ცხოვრობდა, ეს ამბები არ სცოდნოდა და მაინც იგი დავითს არხონტს უწოდებს, უთუოდ იმიტომ, რომ მისი დამცირება სურს. მ. კახაძის აზრით, კედრენეს ტენდენციურობა იქიდანაცა ჩანს, რომ იგი განგებ არ ასახელებს სკლეროსის წინააღმდეგ მებრძოლი იბერთა ლაშქრის

---

[25] Всеобщая история Степаноса Таронского ..., с. 135.

[26] მ. კ ა ხ ა ძ ე. ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. გვ. 38.

[27] „საზოგადოდ,—წერს ივ. ჯავახიშვილი — ბიზანტიის მთავრობა ცნობილია თავისი მედიდურობით და თავის მიწერ-მოწერაში ყოველთვის ცდილობდა მეზობელი მფლობელებისათვის, რომელნიც თავიანთ ქვეყანაშიაც და ყველგანაც მეფეებად ითვლებოდნენ, მეფის სახელი არ ეწოდებინა. ქართველთა და სომეხთა მეფეების შესახებაც ამ ხანის ბიზანტიელი მწერლები არასდროს არ ხმარობდნენ სახელწოდებას „მეფე" (ბაზილევს), არამედ მხოლოდ ან „მთავარი" (არხონ), ან არადა „ექსუსიატეს", ე. ი. მფლობელი; სომეხთა მეფეებს ბერძნები უწოდებდნენ—„არხონტოს არხონტონ", რაც უდრის ერისთავთ-ერისთავს, ან სომხურს „იშხანაც იშხანს" და არა მეფეს. საქართველოს მეფეთაგან ამ დროს მხოლოდ აფხაზთა მეფე გახადეს ღირსი „ექსკუსიატეს"-ის სახელწოდებისა. მესხეთის მფლობელს მარტივად მთავარს, „არხონ"—უძახდნენ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ქართველი ერის ისტორია. წ. II, თბ., 1965, გვ. 109—110.

რიცხვს და მხოლოდ ამბობს, რომ ფოკამ დავითისაგან წამოიყვანა ხალხი არამცირედი. ამით მას სურს მიჩქმალოს ქართველთა დამსახურება ბიზანტიის საიმპერატორო კარის წინაშე[28]. გარდა ამისა, განაგრძნობს მ. კახაძე, კედრენეს მიხედვით დავით კურაპალატთან სათხოვნელად თვითონ ფოკა მივიდა, მაგრამ კედრენეს ავიწყდება, რომ ფოკა მაშინ მეფის მორჩილი სარდალი იყო და არა დამოუკიდებელი მეფე. ამიტომ ასეთი საქციელის უფლება არ ჰქონდა. თანაც სახელმწიფო რომ სახელმწიფოს დახმარებოდა, ამისათვის საჭირო იყო იურიდიულ მხარეთა ოფიციალური წარმომადგენლები (დესპანები), რომლებსაც შეეძლოთ ეკისრათ ვალდებულებები თავიანთი მთავრობების სახელით. ეს მართლაც ასე მოხდა, და არა ისე, როგორც მოთხრობილია კედრენესთან[29]. მ. კახაძისავე შეხედულებით, კედრენესთან საეჭვოდაა მოთხრობილი თითქოს ფოკამ დავით დიდს ძველი მეგობრობის საფუძველზე სთხოვა დახმარება და ამ უკანასკნელმაც მას მხედრობა გააყოლა. შეუძლებელია ეს გაეკეთებინა შორსმჭვრეტელ პიროვნებას — დავით კურაპალატს, რომელიც არავის არ გაატანდა ჯარს, თუ ამ უკანასკნელს არ გააყოლებდა თავის მეთვალყურეს და მეთაურს. მაგრამ თუ ამაზე კედრენე დუმს, იმიტომ, რომ ტენდენციური ჟამთააღმწერელი ამ ფანდით ლამობს თორნიკეს როლის უგულებელყოფას[30].

მ. კახაძის აზრით, კედრენე განგებ იგონებს ფოკას და სკლეროსის ორთაბრძოლას, რათა ამით სკლეროსზე გამარჯვება მთლიანად ფოკას მიაწეროს, მაგრამ იგი წინააღმდეგობაში ვარდება, ვინაიდან ფოკა საკუთარი მიზნების განხორციელებისათვის კი არ იბრძოდა, არამედ მოქმედებდა მეფის ბრძანებით როგორც მისი მოხელე, სამეფო ტახტის განსამტკიცებლად და არა დამოუკიდებლად როგორც უზურპატორი[31].

დასასრულ, მ. კახიძის აზრით, სკლეროს-ფოკას ორთაბრძოლის აღწერილობაში ბევრი ისეთი დეტალი ჩანს, რომელიც მოკლებულია ლოგიკურობას[32]. თანაც სკლეროსის დამარცხების მთავარ ფაქტორად მიჩნეულია შიში, რომელიც მის ჯარს შეიპყრობს და გააქცევს. ესეც

---

[28] მ. კ ა ხ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

[29] იქვე.

[30] იქვე, გვ. 39—40.

[31] იქვე, გვ. 40.

[32] ასეთი ალოგიკურია თითქოს დეტალი, რომ სკლეროსი ხმალს მოუქნევს ფოკას და მის ცხენს ყურს ჩამოაჭრის. მ. კახაძის თქმით, კედრენეს ავიწყდება, რომ აქ სერიოზული ბრძოლაა და არა გასართობი ფარიკაობა (გვ. 40). შემდეგ ფოკა ცხენს დეზს ჰკრავს და შემობრუნდება, მაგრამ განა ბრძოლის ცეცხლით ანთებული უალვირო ცხენის მართვა შესაძლებელია? (გვ. 40) ან არადა, დასასრულ, რატომ გაიქცნენ ფოკას ჯარები, ესეც გაუგებარია (იქვე).

კედრენეს იმიტომ ესაჭიროება, რომ უგულებელყოს ქართველთა დახმარება.

მ. კახაძის შეხედულება, რომ კედრენეს ვერსია ტენდენციურადაა აგებული, უმთავრესად იმ თვალსაზრისითაა მისაღები, თუ ვიფიქრებთ, რომ კედრენე წმინდა ბიზანტიური კუთხით შლის მოვლენას და ფაქტებსაც იმდენად მოუხმობს, რამდენადაც ცდილობს საკუთრივ ბიზანტიის ისტორიის წარმოჩენას. ამიტომ, იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ისეთ „წვრილმანებს", როგორიცაა ქართველთა მონაწილეობა სკლეროსის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, თუმცა კი, ეს ფაქტი მთლიანად არაა გამორიცხული მისი თხრობიდან. ამდენად, ტენდენციური ჩანს კედრენეს ზოგადი კონცეფცია, მისი გარკვეული დეტალები კი ეჭვს არ უნდა იწვევდნენ.

ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე არ უნდა იყოს, მაგალითად, მართებული კედრენეს ტენდენციურად მიჩნევა იმ არგუმენტით, რომ მასთან დავით ტაოელს არხონტი ეწოდება. ცნობილია, რომ დავითი არ იყო საერთაშორისო ურთიერთობებით სანქცირებული მეფე, რის გამოც, ბუნებრივია, მას ასეთნაირად ვერც კედრენე მოიხსენიებდა. გარდა ამისა, თუ ვამტკიცებთ, რომ ბიზანტიელები, როგორც წესი, ყველა თავის კავკასიელ პარტნიორს და მათ შორის ქართველ მეფეებსაც არხონტებს უწოდებდნენ, პირადად გიორგი კედრენე არაფერ შუაში აღარ იქნება, ვინაიდან იგი მექანიკურად იმეორებს ბიზანტიის ოფიციალურ თვალსაზრისს ქართველი მმართველის იურიდიული სტატუსის შესახებ. არც იმის ფიქრია ლოგიკური, რომ ფოკას, როგორც კეისრის მოხელეს უფლება არ ექნებოდა მოლაპარაკება ეწარმოებინა დავითთან. ჩვენ ასეთი ეჭვისათვის არავითარი საფუძველი არა გვაქვს. თანაც, კედრენე არსად არ ამბობს, რომ დავითთან მოლაპარაკება დაიწყო ფოკამ, როგორც მ. კახაძე აღნიშნავს[33]. კედრენე უბრალოდ ამბობს, რომ ფოკამ სთხოვა დავითს მხედრობა და იგი მისგან წამოიყვანა. ამით კი არ გამორიცხება ის, რომ შეთანხმება დავითთან მხედრობის გაგზავნის თაობაზე წინასწარი მოლაპარაკების გზით შეიძლება სხვის მიერ ყოფილიყო ორგანიზებული. და ბოლოს, არც იმის მტკიცებაა მართებული, თითქოს ფოკა თავს არ გასწირავდა სკლეროსთან ორთაბრძოლაში, ვინაიდან როგორც ერთხანობას რეპრესირებული, ის ნაწყენი იქნებოდა საიმპერატორო კარზე. მ. კახაძე გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ პოლიტიკოსები არასოდეს თავის მოქმედებაში სწორხაზოვნები არ არიან ხოლმე და გუშინდელი მტრები დღეს შეიძლება მოყვრებადაც იქცნენ. ამიტომ ფოკას ადრინდელი განწყობილებებით მისი პოლიტიკური საქციელის

---

33 მ. კ ა ხ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

ახსნა ბარდა სკლეროსის აჯანყების ხანებში დამაჯერებელი არაა და ვერ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ფოკა, სკლეროსის წინააღმდეგ ბრძოლისას, როგორც ეს შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურეს, მიზნად ისახავდა ფოკათა საგვარეულოს ხელახალ აღზევებას და სკლეროსის როგორც პირადი კონკურენტის დამხობას[34], რისთვისაც ის, საჭიროების შემთხვევაში, თავსაც დასდებდა. ეტყობა, სწორედ ამას გრძნობდა თავის დროს ბასილი პარაკიმომენოსი, ორივე ბარდას ერთმანეთთან შებრძოლების გეგმას რომ ადგენდა.

გიორგი კედრენეს მიერ სკლეროსის დამარცხებაში ქართველთა მონაწილეობის ტენდენციურად გადმოცემის შესახებ საინტერესო და, რაც მთავარია, ძეგლის შინაარსის შინაგან ანალიზზე დაფუძნებული თვალსაზრისი აქვს ნ. ადონცს.

ნ. ადონცის აზრით, ის, რომ კედრენესთან ბევრი რამ საეჭვოდაა მოთხრობილი, დასტურდება ბარდა ფოკას კედრენესთან გადმოცემული ბიოგრაფიით[35]. მაგალითად, კედრენეს მიხედვით, ფოკამ სკლეროსთან ორთაბრძოლა გადაიხადა — ერთხელ პანკალიაში ღალისის სანაპიროსთან, მეორედ კი ამორიუმთან. მაგრამ სინამდვილეში, როგორც ეს ლეონ დიაკონის მიხედვით ვიცით, პანკალია ამორიუმთან მდებარეობდა და არა ღალისთან[36]. ეს ნიშნავს, რომ პანკალეის ბრძოლა იგივე ამორიუმის ბრძოლა იყო, რასაც კარგად ადასტურებს იაჰია ანტიოქიელიც. იგი იცნობს პანკალეის ბრძოლას და მის თარიღად სდებს 978 წლის 19 ივნისს. იაჰიას არ მიაჩნია იგი უკანასკნელ ბრძოლად, რომელშიც ბარდა სკლეროსი დამარცხდა. ასეთი ბრძოლა იაჰიას შემდგომ პერიოდში მომხდარად მიაჩნია. კერძოდ, 979 წლის 24 მარტს, როცა სკლეროსი დამარცხდა და გაიქცა[37].

ამრიგად, კედრენე შეცდა, როცა ერთი ბრძოლა ორ ფაქტად წარმოიდგინა. მართლაც, საგულისხმო მსგავსებაა. კედრენესთან ამორიუმის ბრძოლა მთავრდება ბარდა ფოკასა და ბარდა სკლეროსის ერთ-ერთი მხედართმთავრის გაბრას ერთპიროვნული შებრძოლებით. ამ ბრძოლაში ფოკა იმარჯვებს, გაბრა კი კვდება.

პანკალიაშიც იგივე ამბები ხდება, მაგრამ აქ ერთიმეორეს ებრძვიან ფოკა და სკლეროსი და აქაც გამარჯვებული კვლავ ფოკაა. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ კედრენეს თხრობაში შერწყმულია ორი ვერსია ერთი და იმავე ამბისა, რომელიც შეცდომით ორ სხვადასხვა

---

[34] История Византии, т. 2, с. 212.

[35] N. Adontz. Thornik..., გვ. 298.

[36] Leonis Diaconis Historia..., Bonnae, 1828, 170; N. Adontz. p. 144.

[37] Император Василий Болгаробойца. Извлечения из летописи Яхъи Антиохийского; издал, перевел и объяснил В. Р. Розен. СПб., 1883, с. 3.

ამბადაა წარმოდგენილი. უთუოდ იმიტომ, რომ ამ ამბის გადმოცემისას კედრენემ გამოიყენა ხალხური სიმღერები, რომლებშიაც ბრძოლის დეტალები სხვადასხვანაირად უნდა ყოფილიყო მოთხრობილი.

შესაძლებელია, ამ ორთაბრძოლის ამბავი კედრენემ იმისათვის გამოიყენა, რათა დაემტკიცებინა, რომ გამარჯვება ისეთ საშიშ მტერზე, როგორიც იყო ბარდა სკლეროსი, მთლიანად ბარდა ფოკას პირადი დამსახურებაა[38].

ამრიგად, ნ. ადონცისათვის აშკარაა, რომ კედრენეს ვერსიაში შერბილებულადაა ასახული ის როლი, რომელიც ქართველებმა ბარდა სკლეროსის დამარცხების საქმეში შეასრულეს.

ისე კი, როგორც ვხედავთ, არც კედრენე უარყოფს იმ ფაქტს, რომ გადამწყვეტი ბრძოლის დროს ქართველები ფოკასთან იმყოფებოდნენ. ეს ბრძოლა არ მომხდარა პანკალეაში, არამედ ბასილიკა თერმაში. ზარზმის წარწერაც თავის მხრივ ადასტურებს, რომ სკლეროსი დამარცხებულ იქნა ხარსიანოსში, ადგილზე, რომელსაც ერქვა სარვენისი[39].

როგორც ვიცით, კედრენეს მიხედვითაც ჩანს, რომ გადამწყვეტი ბრძოლის მომენტში ქართველები ბარდა ფოკასთან ერთად ებრძოდნენ სკლეროსს, მაგრამ მისი ცნობებიდან არ ირკვევა, თუ რამდენი იყვნენ ისინი. ამაზე პირდაპირ მიგვითითებს მხოლოდ „იოვანესა და ეფთვმეს ცხოვრება“, რომლის თანახმადაც დავითის ლაშქარი, რომელიც მან სკლეროსის წინააღმდეგ გაგზავნა, 12 000 კაცს ითვლიდა[40].

იგივე „ცხოვრება“ ამ მხედრობის მეთაურად მიიჩნევს იოვანე თორნიკეს[41], რომელიც დავითმა უსარდლა თავის ჯარებს, ასოღიკი კი თორნიკეს[42]თან ერთად ერისთავთ-ერისთავ ჯოჯიკსაც ასახელებს[42].

ვიდრე ამ ცნობებს მოვლენათა ჩარჩოში გავიაზრებდეთ, უნდა გავიხსენოთ, რომ თანამედროვე ევროპულ ბიზანტინოლოგიაში კვლავ გავრცელებული რჩება ნ. ადონცის თეზისი იმის შესახებ, რომ თუმცა კედრენეს ტენდენციურობის კვალი ამჩნევია, მაგრამ შეცდომებისა თუ გადაჭარბებისაგან არც „იოვანესა და ეფთვმეს ცხოვრებაა“ დაზღვეული, რაც მისი ცნობების მიმართ სანდოობას ანელებს. ნ. ადონცის თქმით, თავი უნდა შევიკავოთ „იოვანესა და ეფთვმეს ცხოვრების“ ცნობათა მნიშვნელობის გაზვიადებისაგან. არა ჩანს, მაგალითად, რომ ამ თხზულებას გააჩნდეს ზუსტი თარიღები. მისმა ავტორმა არ იცის,

---

[38] N. Adontz, Op., cit. გვ. 298.

[39] იქვე.

[40] ძვ. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. გვ. 48.

[41] იქვე.

[42] Всеобщая история..., с. 135.

თუ იოვანე და თორნიკე როდის და რა პირობებში დამკვიდრდნენ წმ. მთაზე (ათონზე).

ნ. ადონცის მითითებით, არსებობს „წმ. იოვანეს და ეფთვმეს ცხოვრების“ სხვა ვერსია, ტფილისის საეკლესიო მუზეუმის № 222 სვინაქსარი, რომელსაც იგი, მისივე თქმით, მ. ჯანაშვილის მიერ გადმოცემული შინაარსით იცნობს[43].

ამ ვერსიაში, შენიშნავს ნ. ადონცი, არაფერია მოთხრობილი მძევლებზე და განსხვავებულადაა გადმოცემული ექვთიმეს ბიოგრაფიის პირველი პერიოდი. იოვანემ, ეს მისი სასულიერო სახელია, ამ ვერსიის მიხედვით, მონაზვნობა მიიღო, მისი შვილი ექვთიმე კი აღსაზრდელად წაიყვანა პაპამ დედის მხრივ. ერთხელ „შემდგომად ჟამთა რაოდენთამე“, რაღაცა საქმის გამო, ეს პაპა ექვთიმესთან ერთად კონსტანტინოპოლში მოხვდება იმპერატორ ნიკიფორესთან (ფოკა). იოვანეც აქ მოვა და მოითხოვს შვილს თავისთან წასაყვანად, მაგრამ პაპა მას არ ანებებს. ბოლოს საკითხს გადაწყვეტს იმპერატორი. იგი მამას და პაპას ავალებს დაუძახონ ექვთიმეს და ვისკენაც ეს უკანასკნელი წავა, იმასთან დარჩეს. ასეც ხდება. ღვთაებრივი განგების ძალით შვილი მამას ირჩევს და მასთან ერთად ათონზე მიემართება[44].

ნ. ადონცის მიხედვით, სვინაქსარული ვერსია ადასტურებს, რომ ექვთიმე გაგზავნილი არა ყოფილა მძევლად კონსტანტინოპოლში. გარდა ამისა, „ცხოვრებას“ ბუნდოვანი და არეული წარმოდგენა აქვს მძევალთა საკითხზე. ჰაგიოგრაფის მოთხრობით, მძევლები წაყვანილ იქნენ იმიტომ, რომ დავით დიდს ებოძა ტერიტორიები, მაგრამ მას ეს ტერიტორიები სინამდვილეში მიეცა 978 წელს, რაზედაც ჰაგიოგრაფი, სხვათა შორის, შემდეგში თვითონვე საუბრობს. ამიტომ შეუძლებელია ექვთიმეს მძევლად წაყვანა ამ დროისათვის ვიგულისხმოთ, თუმცა „ცხოვრებაში“ მისი მძევლობა ტერიტორიული ბოძების საკითხთანაა დაკავშირებული.

„იოვანესა და ეფთვმეს ცხოვრების“ მიხედვით, განაგრძობს ნ. ადონცი, ექვთიმე გარდაიცვალა 1023 წელს. იგი მაშინ 65 წლისა იყო. აქედან ირკვევა, რომ ექვთიმე დაბადებულა 963 წელს (1028—65=963); 977—978 წწ. კი, სხვა ცნობების მიხედვით, იგი უკვე ოლიმპზე ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა. ცხოვრების მიხედვით

---

[43] N. Adontz, გვ. 301. აღნიშნული ძეგლი „იოვანესა და ეფთვმეს ცხოვრების“ სვინაქსარული ვერსიაა, რომელიც ამჟამად სათანადო მეცნიერული ფორმითაა გამოცემული. იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. IV, სვინაქსარული რედაქციები (XI—XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, თბ., 1968.

[44] დასახ. ძეგლები, გვ. 331—332.

კი მძევლად წაყვანის დროს ექვთიმე ჯერ კიდევ პატარად ჩანს, რაც უკვე ეჭვს იწვევს ცხოვრების ცნობების მიმართ და საერთოდ მძევლობის საკითხზე. აქედან გამომდინარე, მძევლების წაყვანა უნდა მომხდარიყო 991 წლისათვის, როცა ბარდა ფოკას აჯანყებაში დავით კურაპალატის გამომჟღავნების შემდეგ ეს უკანასკნელი იძულებული გახდა სათანადო პირობებში დამორჩილებოდა ბიზანტიას[45]. და განა მარტო ეს? ნ. ადონცის თქმით, „ცხოვრებაში" სხვა რამეცაა საეჭვო. მაგალითად, ის ადგილები, სადაც იგი თორნიკეზე გვამცნობს. „ცხოვრების" თანახმად თორნიკე ჯერ ბერად შედგა თავის ქვეყანაში, მერე ჯერ წავიდა ოლიმპზე, აქედან კი ათონის მთაზე გადავიდა. როდის მოხდა ეს, ამაზე „ცხოვრება" არ მიუთითებს, მაგრამ ისე კი ცხადია, რომ ეს ამბავი უნდა მომხდარიყო 978 წლამდე, ვინაიდან პანკალეის ბრძოლის (978 წლის 19 ივნისს) შემდეგ, როცა თორნიკეს დაევალა საიმპერატორო კარის თხოვნა გადაეცა დავით კურაპალატისათვის, ცხოვრების მიხედვით, იგი უკვე ათონის მთაზე იმყოფებოდა. ეს კი სიმართლეს არ შეესაბამება, ვინაიდან ხელნაწერთა ანდერძები მოწმობენ, რომ 977—978 წლებისათვის თორნიკე ოშკს იმყოფებოდა[46]. ერთ-ერთი ასეთი მინაწერი, რომლის შემდგენელიც დავით გადამწერია, შენიშნავს ნ. ადონცი, თორნიკეს ქებით მოიხსენიებს. დავითი, გადაიღებს რა 977 წლის მინაწერს, მას თორნიკეზე ახალი საინტერესო ცნობებით ავსებს. ამ ჩამატებების შედეგად თორნიკე უკვე სინკელოზის პატივით იხსენიება. იმავე მინაწერის მიხედვით თორნიკე ერთგულად ემსახურება წმინდა მეფეებს. როდესაც საბერძნეთში გამოჩნდა კაცი განლაღებული (სკლეროსი), მაშინ თორნიკემ ისწრაფა და მოიწია ძლიერისა და უძლეველი დავით კურაპალატის წინაშე და მისი ბრძანებით დაამხო სკლეროსი და განამტკიცა წმ. მეფენი. დავით გადამწერი, ნ. ადონცის მიხედვით, არაფერს ამბობს არც თორნიკეს ათონზე ყოფნაზე, არც დავით კურაპალატთან მის ელჩობაზე საიმპერატორო კარის დავალებით. არაფერს ამბობს იგი დედოფალსა და პარაკიმომენოსზე. უეჭველია, ფიქრობს ნ. ადონცი, რომ „იოვანესა და ეფთვმეს ცხოვრების" უმთავრესი წყარო სწორედ ეს დავით გადამწერის მინაწერია. სხვა წყაროები კი, გარდა ხელნაწერთა კოლოფონებისა, „ცხოვრების" ავტორს არ ჰქონია. ზოგი რამ კი მან საკუთარი შეგონებით შექმნა. ასეთებია, მაგალითად, სცენა, როცა ახალგაზრდა იმპერატორები დედის დავალებით ფეხქვეშ უვარდებიან თორნიკეს და ევედრებიან; რომ თორნიკეს თხოვნით იბარებს და ესაუბრება პარაკიმომენოსი. ეს, ნ. ად-

---

[45] N. Adontz. Thornik..., გვ. 307.

[46] იქვე, გვ. 302.

ონცის თქმით, მიამიტი გონების შემონაქმედია, რომელმაც არაფერი იცის იმპერატორის კარის გარიგების შესახებ[47].

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შემდეგ, რაც შეიმუშავა აზრი იმის შესახებ, რომ „იოვანესა და ეფთვმეს ცხოვრების“ პასაჟები არეულადაა წარმოდგენილი, ნ. ადონცი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე უფრო სანდოა კედრენეს ვერსია, რომლის მიხედვითაც დავით კურაპალატს ბიზანტიის საიმპერატორო კარი კი არ დაუკავშირდა, არამედ ბარდა ფოკა. თანაც, ვითომც, ამ დროს თორნიკე ბერად იყო არა ათონზე, არამედ ოშკში, რის გამოც, უეჭველია, რომ ბარდამ იგი ოშკიდან გამოიყვანა და კურაპალატთან გაგზავნა. 979 წელს 24 მარტის ბრძოლის შემდეგ კი თორნიკემ კვლავ დატოვა მიწიერი სიდიადე, რათა ათონზე წასულიყო. ამიერიდან თორნიკე სინკელოზი გახდა, რაც მას, უეჭველია, საიმპერატორო კარისადმი გარკვეული სამსახურის საფასურად ებოძა[48].

ნ. ადონცის აზრით, ქართული ტრადიცია არ იცნობს ბარდა ფოკას ამბავს და სკლეროსზე გამარჯვების მთელი პატივი აქ თორნიკესადმია მიკუთვნებული. ამ ტრადიციაში ბიზანტიელი მხედართმთავრის სახე მთლიანად თორნიკეს მიერაა ასიმილირებული იმ საფუძველზე, რომ საიმპერატორო კარის თხოვნა ბარდასადმი, ამ უკანასკნელისა კი თორნიკესადმი, ორი ერთიმეორის მსგავსი ფაქტია.

ქართული ტრადიცია არ იცნობს იმ ფაქტს, რომ ფოკა გადასახლების შემდეგ აღზევდა იმპერიის ჯარების მხედართმთავრად, თუმცა კი იცნობს იმ როლს, რაც პარაკიმომენოსმა ითამაშა, როცა მან ბარდა ფოკა გამოიძახა, მაგრამ აქაც ბარდა თორნიკედაა გადაკეთებული. პარაკიმომენოსი დედოფალთან ერთად თხოვს თორნიკეს მფარველობა გაუწიოს ობოლ იმპერატორებს და მეამბოხეებისაგან დაიფაროს[49].

თავის თვალსაზრისს ნ. ადონცი ასე ამთავრებს: „ამ ორი ფიგურის (ფოკა და თორნიკე, შ. ბ) შერწყმა ადრევეა მომხდარი. სომეხი ისტორიკოსი ასოღიკი იცნობს თორნიკეს თავგადასავალს იმ ვერსიით, რომელშიაც ბარდას სახე ჯერ კიდევ მთლიანად არაა ასიმილირებული. ამ ვერსიით იმპერატორმა ბასილიმ ბარდა ფოკა გადასახლებიდან გამოიყვანა და გააგზავნა სკლეროსის წინააღმდეგ. ასოღიკმა არ იცის, რომ ბარდა ფოკა ამ დროს მონაზვნობაში იყო, მაშინ როცა თორნიკეს იცნობს როგორც მონაზონს წმ. მთისა, საიდანაც ბასილიმ იგი დავითთან გასაგზავნად გამოიძახა“[50].

---

[47] N. Adontz. დასახ. ნაშრომი, გვ. 302.
[48] იქვე, გვ. 149.
[49] იქვე, გვ. 150.
[50] იქვე.

ამრიგად, ნ. ადონცის მიხედვით, ბარდა სკლეროსის აჯანყებაში დავით კურაპალატისა და მისიანების მონაწილეობის დასადგენად მთავარი სანდო ხაზი გიორგი კედრენესაგან უნდა ავიღოთ. მასში ამბების თანმიმდევრობა განსაკუთრებით სწორადაა დაცული, თუმცა, რა თქმა უნდა, კედრენესაც შეცდომებისა და ტენდენციის კვალი აქვს. ქართული მასალებიდან კი მხოლოდ იმ ცნობების ამოკრება შეიძლება, რომ ბარდა სკლეროსის აჯანყების გარკვეულ ეტაპზე თორნიკე ოშკში იმყოფებოდა, საიდანაც იგი ფოკამ გამოიყვანა და დავითთან დახმარების სათხოვნელად გაგზავნა. დავითმაც გამოაგზავნა მხედრობა, რომელმაც ბარდას აჯანყების ჩაქრობაში მიიღო მონაწილეობა, შემდეგ კი თორნიკე ათონზე გაემგზავრა, სადაც დამკვიდრდა კიდეც. ის ამბავი კი, ვითომც თორნიკე ადრე იმყოფებოდა ათონზე და მას დავითთან გამგზავრება საიმპერატორო კარმა სთხოვა, როგორც ამაში ქართული წყარო გვარწმუნებს, სინამდვილეს არ შეესაბამება[51].

როგორც ვხედავთ, ნ. ადონცის თვალსაზრისი, რომ „იოვანესა და ეფთვმეს ცხოვრების“ პასაჟები დამახინჯებულადაა წარმოდგენილი და ამიტომ ისტორიული ფაქტის დასადგენად მათ არ შეიძლება ვენდოთ, მიღებულია საკუთრივ „ცხოვრების“ ცალკეული ადგილების თითქოსდა შინაგანი წინააღმდეგობების გამოაშკარავების გზით.

ასეთ თვალსაზრისს უახლეს ბიზანტინისტიკაშიაც ჰყავს მიმდევრები, რომელთაგანაც ყველაზე მეტად გამოირჩევა ფრ. დოელგერი[52].

გამომდინარეობს რა ნ. ადონცის თეზისიდან, რომ „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“ „წინააღმდეგობებსა და შეუსაბამობებს“ შეიცავს, რის გამოც სანდოობას მოკლებულია, ფრ. დოელგერი იმასაც ამტკიცებს, რომ საეჭვოა „ცხოვრების“ ის ცნობაც, რომ ექვთიმემ ბერძნული „ბალავარიანი“ ქართულიდან გადაიღო[53].

ადონც-დოელგერის ცდა სახელი გაუტეხოს „იოვანესა და ეფთვმეს ცხოვრების“ სანდოობას, ნაწილობრივ წარმატებით იქნა გაბათილებული მ. თარხნიშვილისა და დ. ლენგის მიერ.

დაეფუძნა რა კ. კეკელიძის არგუმენტებს, მ. თარხნიშვილმა აშკარა გახადა ევროპული ბიზანტინოლოგიისათვის, რომ წმ. ექვთიმე დაბადებული უნდა იყოს არა 963, არამედ 955 წელს[54]. და რომ, მაშასადა-

---

[51] N. Adontz. დასახ. ნაშრომი, გვ. 302.

[52] Fr. Dölger. Der griechische Barlaam-Roman ein Werk des hl. Johannes von Damaskos. Ettal. 1953.

[53] დოელგერს ეს საკითხები, როგორც ცნობილია, სჭირდებოდა ბერძნული „ბალავარიანის“ ავტორობის სადისკუსიო საკითხის გადასაჭრელად.

[54] M. Tarchnišvili. Die Anfänge der schriftstellerischen Tätigkeit des hl. Euthimius und der Aufstand des Bardas Skleros. „Oriens Christianus“. 32 (1954), 116—119.

მე, „შეუსაბამობები“ ექვთიმეს დაბადების წელსა და „ცხოვრებიდან“ ამოკრებილ ცნობებს შორის მხოლოდ მასალის არაზუსტ ცოდნაზე დაფუძნებული მოჩვენებითობაა. მ. თარხნიშვილისავე აზრით, ნ. ადონცი ცდება, რომ სურს სანდოობას მოკლებულად გამოაცხადოს „იოვანესა და ეფთვმეს“ ვრცელი „ცხოვრების“ დეტალები იმაზე მითითებით, რომ ეს უკანასკნელები, ე. ი. „დეტალები“ არ მოიპოვებიან ამავე „ცხოვრების“ სვინაქსარულ ვერსიაში. მ. თარხნიშვილის თანახმად, საკითხის ასეთი გააზრება მცდარია, ვინაიდან ეს „ახალი ცხოვრება“ — სვინაქსარული ვერსია სხვა არაფერია, თუ არა ვრცელ „ცხოვრებაზე“ დამოკიდებული და მისგან ამოკრებილი ციტატებით კონსტრუირებული ძეგლი. მ. თარხნიშვილმავე საფუძვლიანად აჩვენა, თუ რამდენად თავისუფალია გაზვიადებებისაგან „ცხოვრების“ ის ადგილები, რომლებიც ექვთიმეს ლიტერატურულ პროდუქციასა და მოღვაწეობაზე მოგვითხრობენ. ფრ. დოელგერს, მაგალითად, ეჭვი ეპარებოდა „ცხოვრების“ იმ ცნობებში, რომელიც ექვთიმეს ხელიდან გამოსულად ასახელებს 75 ნაწარმოებს და ასეთ ინფორმაციას გაზვიადებულად თვლიდა[55]. მ. თარხნიშვილმა კი კ. კეკელიძის განმაზოგადებელ დასკვნებზე დაფუძნებით ეჭვმიუტანლად უჩვენა, რომ არათუ 75, არამედ შეიძლება დასახელებულ იქნას კიდევ ასოდე ნაწარმოები, რომელიც ექვთიმეს ხელიდანაა გამოსული[56].

დასასრულ, „ცხოვრების“ ცნობათა სანდოობის მტკიცება მ. თარხნიშვილმა იმ კუთხითაც სცადა, რომ მისი, ე. ი. „ცხოვრების“ რიგი ადგილები არსებითად იმასვე მოგვითხრობენ, მაგალითად, ბარდა სკლეროსის აჯანყების ისტორიაში ქართველთა მონაწილეობის ფაქტზე, რასაც სხვა ქართველი, ბერძენი და სომეხი კარგად შემოწმებული ავტორები[57].

ქვევით ჩვენ ვაღრმავებთ მ. თარხნიშვილის მიერ „ცხოვრების“ ცნობათა წარმატებით დაწყებული რეაბილიტაციის ცდას, ვინაიდან უამისოდ გზის გაკვლევა უაზრობაა; საკითხი ხომ იმ ძეგლის ღირებულებას ეხება, რომელიც ბარდა სკლეროსის აჯანყების ისტორიაში ქართველთა მონაწილეობის თაობაზე ჩვენი ინფორმაციის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს?

დავიწყოთ იმ არგუმენტის განხილვა, ვითომც „იოვანესა და ეფთვმეს ცხოვრების“ ქრონოლოგია მცდარია, რომ თითქოს 977—978 წწ.

---

[55] Fr. Dölger. Der griechische Barlaam-Roman ein werk des Johannes von Damaskos. Ettal. 1953, გვ. 31.

[56] M. Tarchnišvili, დასახ. ნაშრომი, გვ. 115. შდრ. დ. ლენგი. ექვთიმე ქართველი და ვარლაამისა და იოსაფის თქმულება. ალ. გამყრელიძის თარგმანი. „მნათობი“, 1956, № 3, გვ. 160—161.

ექვთიმე ასაკსრული ჩანს, ცხოვრებაში კი იგი ამ დროს მცირეწლოვანადაა ნაგულისხმევი, ისე, რომ, ვითომც, მძევლადაც იქნა წაყვანილი.

როგორც ჩანს, ნ. ადონცს ბუნდოვნად ესმის ბიზანტიის მიერ ქართველებისათვის ტერიტორიული ბოძებების პრობლემა X ს-ში და ჰგონია, რომ ასეთ ბოძებებს ადგილი შეიძლება ჰქონოდა მხოლოდ ერთხელ და ისიც ბარდა სკლეროსის აჯანყების ხანაში. მძევლების წაყვანა კი შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ 991 წელს. მაგრამ ახლა უკვე საკმაო გაბედულებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ჩვენ ხელთ არსებული მასალებშიაც კი X საუკუნისათვის რამდენჯერმე ხერხდება თვალის მიდევნება ასეთი ბოძებებისადმი.

გარდა ამისა, არც ისაა სწორი, თითქოს „ცხოვრების" მიხედვით ექვთიმე დაბადებულია 963 წელს, საიდანაც გამომდინარეობს, რომ 978 წლისათვის ის სულ რაღაც 15 წლისაა, ეს კი არ ეთანხმება სხვა ცნობებს, რომელნიც მოწმობენ, რომ ამ ხანებში ექვთიმე საკმაოდ სრული ასაკისაა და ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწევა.

ნ. ადონცის ეს დებულება მთლიანად ეფუძნება ქართველოლოგიაში ერთ დროს გავრცელებულ შეცდომას, თუმცა 1938 წ. როცა ნ. ადონცის შრომა გამოქვეყნდა, ეს შეცდომა უკვე გასწორებული იყო. შეხედულება, ვითომც ექვთიმე 65 წლისა გარდაიცვალა, მომდინარეობს დ. ბაქრაძის ზეპირი ვარაუდიდან და არ დასტურდება ფაქტებით, რომლებიც ექვთიმეს დაბადების დროს უფრო ადრე გვაგულისხმებინებენ.

მართლაც, „იოვანესა და ეფთჳმეს" ცხოვრების მიხედვით, ექვთიმეს მძევლად წაყვანის დროისათვის საბერძნეთ-ბიზანტიაში მოიხსენიება „მეფე"[58], შემდეგ, ბარდა სკლეროსის აჯანყების დროისათვის კი, ამავე „ცხოვრების" მიხედვით, ქვეყნის სათავეში ჩანან „მეფენი"[59]. უეჭველია, რომ ტერმინები ზუსტად გადმოგვცემენ ისტორიულ სინამდვილეს. პირველ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ბიზანტიის ტახტზე არის ერთი პიროვნება („მეფე"). იგი უნდა იყოს იმპერატორი ნიკიფორე ფოკა (963—969)[60], მეორე შემთხვევაში კი სახელმწიფოს სათავეში

---

[57] M. Tarchnišvili, გვ. 120—140.

[58] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II, გვ. 43.

[59] იქვე, გვ. 45.

[60] კ. კეკელიძის აზრით, ექვთიმეს მძევლად წაყვანა დროის მიხედვით ემთხვეოდა ბიზანტიის მიერ დავით დიდისადმი „ზემო ქვეყნებისა" და კურაპალატობის ბოძებას. ორივე ეს ბოძება ერთდროული იყო. აქედან გამომდინარე, მას ადგილი უნდა ჰქონოდა 961 წელს, ვინაიდან დავითი კურაპალტად სწორედ ამ დროს გახდა. ამ აზრის დასამტკიცებლად კ. კეკელიძეს მოჰყავს სუმბატ დავითის ძის „ქრონიკის" სიტყვები: „გარდაიცვალა ადარნასე კურაპალატი ქრონიკონსა რპა... და დაუტევა ძენი ბაგრატ და დავით... გარდაიცვალა ესე ბაგრატ ერისთავთა ერისთავი ქრონიკონსა რპ, ხოლო ძმა მისი დავით, კურაპალატი იქმნა დიდად". აქედან იგი დაასკვნის: „ცხადია, ადარ-

იმყოფებიან „მეფენი“ — ბასილი II და კონსტანტინე VIII[61].

ამ ორიენტირებით და იმის გათვალისწინებით, რომ ვიდრე ექვთიმეს მძევლად წაიყვანდნენ, იგი პაპის ოჯახში იზრდებოდა, ადვილია მიხვედრა, რომ ექვთიმე ნიკიფორე ფოკას მეფობაზე (963—969) ადრე უნდა იყოს დაბადებული[62]. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ქრონოლოგიითაც იგი 978 წელს უკვე მოწიფულია.

ექვთიმეს დაბადების დროის განსაზღვრის შემდეგ მოჩვენებითი წინააღმდეგობანი „ცხოვრებასა“ და დოკუმენტურ ჩვენებებს შორის, რომლებიც, ნ. ადონცის მიხედვით, „ცხოვრების“ ავტორიტეტის საზიანოდ მეტყველებენ, გადალახულად შეიძლება მივიჩნიოთ.

მაგრამ იქნებ ექვთიმეს სვინაქსარული „ცხოვრების“ მონაცემები გამოდგებიან ვრცელი „ცხოვრების“ ცნობათა საეჭვო ღირებულების დასამტკიცებლად? ვფიქრობ, რომ არა. მართალია, „ცხოვრების“ ვრცელი და სვინაქსარული რედაქციები ერთი შეხედვით განსხვავებულად მოგვითხრობენ ექვთიმეს საბერძნეთში მოხვედრის ფაქტზე, მაგრამ ეს განსხვავებები წმინდა კომპოზიციური ელფერისანი არიან და არ შეიცავენ ფაქტობრივ წინააღმდეგობებს.

ნასეს გარდაცვალების შემდეგ, 961 წელს, მის ორ შვილთაგან ერთს ბაგრატს, მიუღია მხოლოდ ერისთავთ-ერისთავის ტიტული, მეორეს, დავითს — კურაპალატის; ამნაირად, დავითს კურაპალატობა მიუღია 961 წელს. აქედან გამომდინარე, კ. კეკელიძეს ექვთიმეს მძევლად აყვანის დროისათვის „ცხოვრებაში“ მოხსენიებულ ბერძენთა „მეფედ“ რომანოზ II (+963) მიაჩნია (იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში. ეტიუდები ძვ. ქართული. ლიტერატურის ისტორიიდან. IV, თბ., 1957, გვ. 92—93), მაგრამ ეს აზრი სწორი არაა, ვინაიდან, აშკარაა, რომ დავითი გაკურაპალატდა ბარდა სკლეროსის აჯანყების პერიოდში X ს. 70-იან წწ. ბოლოს (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 170). ამიტომ, აშკარაა, რომ სუმბატის „ქრონიკის“ 961 წელი გულისხმობს არა დავითის გაკურაპალატებას, არამედ საერთოდ მის გახელმწიფებას. მაშასადამე, ტერიტორიული ბოძებები, რომელიც მოხდა ექვთიმეს მძევლად წაყვანის დროს და კურაპალატობის მინიჭებაც ერთდროული აქტი ვერ იქნებოდა. რომ ეს აქტები ქრონოლოგიურად ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულია, შემდეგიდანაც ჩანს: მძევლად გაშვების შემდეგ ექვთიმე მისმა მამამ იოვანემ თავისთან წაიყვანა ჯერ ულუმბოში, მერე კი ათონზე. აქ კი იოვანე 965 წელს მოვიდა (П. У с п е н с к и й, История Афона. ч. III, Киев, 1877, с. 105). აქედან საფიქრებელია, რომ ექვთიმე მძევლად ბიზანტიაში წაიყვანეს ნიკიფორე ფოკას (963—969) დროს. (ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი. საქართველოს და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970—1070 წწ. თბ., 1969, გვ. 24—25). ამ აზრს ექვთიმეს „ცხოვრების“ სვინაქსარული ვერსიაც ადასტურებს, რომლის მიხედვითაც ექვთიმეს ბიზანტიაში მოხვედრისას ამ სახელმწიფოს სათავეში არის ნიკიფორე, ე. ი. ნიკიფორე ფოკა (ძვ. ქართული აგიოკრაფიული ლიტერატურის ძეგლები. IV, გვ. 332).

[61] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. თხზ., იხ. მისი, ეტიუდები, IV, გვ. 93.

[62] ასეთ თარიღად შეიძლება მიახლოებით 955 წელი დავდოთ. საკითხის შემაჯამებელი თვალსაზრისისათვის. იხ. M. T a r c h n i š v i l i, დასახ. თხზ., გვ. 119.

დავიწყოთ, იმის აღნიშვნით, რომ სვინაქსარულ რედაქციას ექვთიმეს საბერძნეთში მოხვედრის დროიდან ნიკიფორე ეგულება ბიზანტიის კეისრად[63]. ნიკიფორე კი, როგორც ცნობილია, ტახტზე იჯდა 963—969 წწ. აღნიშნული მოწმობა სავსებით ეთანხმება ვრცელი ცხოვრების ქრონოლოგიურ ქარგასა და საკმარისად აძლიერებს და აკონკრეტებს კიდევაც მას.

უეჭველია, ნ. ადონცს კონკრეტულად არ მიუწვდებოდა ხელი სვინაქსარული „ცხოვრების" მონაცემებზე, თორემ ექვთიმეს დაბადების დროზე მსჯელობისას ძალიან გაუჭირდებოდა მისთვის გვერდის ავლა.

ახლა კი შევეხოთ იმ მთავარ ფაქტს, რომლითაც ნ. ადონცს ექვი შეაქვს ექვთიმეს მძევლობის საკითხშიც. მისი აზრით, ის რაც მოთხრობილია ვრცელ ვერსიაში, არ გვხვდება სვინაქსარულში. ეს კი, თავის მხრივ, ვრცელის ცნობას სანდოობას უკარგავს. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ მძევლობის ფაქტის არარსებობა სვინაქსარულ ვერსიაში მისი საერთო არარსებობის დასამტკიცებლად არ გამოდგება.

იმის დასადგენად, სანდოა, თუ არა ვრცელი „ცხოვრების" დეტალი მძევლობაზე, ჯერ უნდა გაირკვეს ასეთი საკითხი: ადგილი ჰქონდა თუ არა საერთოდ ბიზანტიის მხრივ ქართველებისადმი ტერიტორიულ ბოძებებს, როგორც ამას მძევლობის ისტორიასთან კავშირში გვამცნობს „ცხოვრება", ხოლო, თუ ჰქონდა, ეწინააღმდეგება, თუ არა მძევლობის პასაჟი შინაარსობრივად სვინაქსარული „ცხოვრების" საერთო ქარგას. წინაალმდეგ შემთხვევაში ამ უკანასკნელის დუმილი მძევლობაზე ვრცელი რედაქციის ცნობის ჭეშმარიტების გასაბათილებლად ვერ გამოდგება.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ პირველ საკითხზე — ჰქონდა თუ არა ადგილი ქართველებისადმი ბიზანტიის მიერ ტერიტორიების ბოძებებს, ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ X ს-ში ამ „ბოძებებს" ქართველებისათვის რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი და იგი მოულოდნელი არაა ნიკიფორე ფოკას ხანისათვის. რაც შეეხება მძევლობის ფაქტს, ის გარემოება, რომ სვინაქსარული და ვრცელი „ცხოვრებანი" ერთმანეთისაგან განსხვავებულად წარმოგვიდგენენ ექვთიმეს ბიოგრაფიის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთს, მართლაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მათში ფაქტიური მასალებიც განსხვავებულია, მაგრამ საგანგებო ჩაკვირვების საფუძველზე ეს შთაბეჭდილება არ მართლდება. ნ. ადონცს კი ამისთანა დაკვირვების საშუალება არ ჰქონდა, ვინაიდან მას ხელი არ მიუწვდებოდა სვინაქსარული ვერსიის დედანზე. თანაც, მის დროს არათუ შესწავლილი, არამედ დასმულიც კი არ იყო

---

[63] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, გვ. 332.

ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიცაა სვინაქსარული და ვრცელი რედაქციების ურთიერთმიმართების საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვანაირადაა საქმე დღეს, როცა ამ მხრივ ზოგი რამ უკვე გაკეთებულია[64]. ამჟამად მიჩნეულია, რომ ვრცელი „ცხოვრების“ ვერსია მომდინარეობს სვინაქსარული რედაქციიდან. ეს უკანასკნელი არის ვრცელი ცხოვრების წყარო[65]. ჩვენ არ ვისახავთ მიზნად იმ თეზისის გარკვევას, თუ რომელი ვერსია რომლის წყაროა და ვკმაყოფილდებით მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ამ რედაქციებს შორის ძალზე მჭიდრო ურთიერთობა არსებობს. სწორედ ამიტომაა, რომ ამ საკითხზე კითხვა ასე ისმის ხოლმე: ან პირველია მეორის წყარო, ან მეორეა პირველის წყარო. სხვა ვარიანტი არ არსებობს. აქედან გამომდინარე, იმისდამიხედვით, თუ რომელია წყარო ვერსია, შეიძლება იმაზე საუბარი, გიორგი მთაწმინდელმა (ვრცელი ცხოვრების ავტორმა) ექვთიმეს ბიოგრაფიის დეტალები ჩვენთვის უცნობი მასალებით აღადგინა და მერე ეს დეტალები სვინაქსარულ ვერსიაშიც ვრცელი ცხოვრებიდან გადავიდა, თუ პირიქით, ვრცელი ცხოვრების მასალები სვინაქსარული ვარიანტიდან იქნა ამოკრებილი. ჩვენ ახლა გვერდს ვუვლით ამ საკითხისადმი ჩვენი დამოკიდებულების გადმოცემას და შევეცდებით გავარკვიოთ: ხომ არ ეწინააღმდეგებიან ერთიმეორეს შინაარსობრივ-მატერიალური გაგებით სვინაქსარული და ვრცელი რედაქციების ცნობები ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთში?

არა, არ ეწინააღმდეგებიან.

მართლაც გადავხედოთ სვინაქსარული ვერსიის მონაცემებს. მის მიხედვით იოვანე არის წარმოშობით ტაოელი. მისი შემონაზვნების შემდეგ ექვთიმე იზრდება დედულეთში, პაპასთან, რომელიც რაღაცა საქმის გამო აღმოჩნდება ბიზანტიაში ნიკიფორე ფოკასთან. პაპა ამ დროს ექვთიმესთან ერთადაა. ამავე ექვთიმეს წასაყვანადაა მოსული იოვანეც.

ვრცელი რედაქციის ფაქტები სრულიადაც არ ეწინააღმდეგებიან ამ ცნობებს და ამ რედაქციის თავისებურება იმაშია მხოლოდ, რომ იგი ტოვებს სვინაქსარული ვერსიით ცნობილ ზოგიერთ დეტალს, ზოგს კი ახალს ასახელებს და უფრო აკონკრეტებს. მაგალითად, ვრცელი ვერსია არაფერს ამბობს იოვანეს სადაურობაზე, მაგრამ დამატებითი შტრიხით გვაგებინებს: ექვთიმე იმიტომ მოხვდა საბერძნეთში, რომ იგი იქ მძევლად იქნა წაყვანილი. აქვე დასახელებულნი არიან ექვთიმეს გამგზავნელებიც: ესენი იოვანეს ცოლისძმები არიან. სვინაქსარული

---

[64] ამის თაობაზე იხ. ე. გ ა ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი ს გამოკვლევა ძვ. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების IV ტომისადმი. გვ. 47—49.

[65] იქვე, გვ. 93.

ტრადიციის მიხედვით კონსტანტინოპოლში მოხვედრამდე ექვთიმე დედულეთში პაპასთან იმყოფებოდა. სვინაქსარული ტრადიცია არაფერს ამბობს, თუ რა კონკრეტული მიზნით გაჩნდება ექვთიმეს პაპა კონსტანტინოპოლში, თანაც საიმპერატორო კარზე და კმაყოფილდება იმის აღნიშვნით, რომ აქ იგი ჩამოვიდა რაღაც საქმისათვის. სამაგიეროდ, თუ სვინაქსარულ რედაქციაში ვრცლადაა აღწერილი პაპისა და იოვანეს დავა ექვთიმეზე, ვრცელ რედაქციაში ეს ამბავი უფრო მოკლედაა გადმოცემული. ეს რედაქცია ჯერ მოგვითხრობს ექვთიმეს მძევლად წაყვანაზე. ტოვებს მისი პაპის (იქ იგი მოხსენიებულია სახელითაც—აბუჰარბი) კონსტანტინოპოლში ჩასვლის ფაქტს და პირდაპირ გადადის იოვანესა და აბუჰარბის დავაზე. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ განსხვავებანი ვრცელსა და სვინაქსარულ რედაქციებს შორის წმინდა სტრუქტურული ხასიათისაა. საერთო მოვლენები კი მათ ერთნაირად წარმოუდგენიათ. ოღონდ ერთს ფაქტების მხოლოდ ერთი წყება მოჰყავს, მეორეს — მეორე. ამიტომ, აშკარაა, რომ ყველა დეტალი, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს სვინაქსარულსა და ვრცელ რედაქციებს, დამოუკიდებელი ღირებულებისაა და ერთნაირ ყურადღებასა თუ ნდობას იმსახურებს.

ამ საფუძველზე მძევლობის შემცვლელი პასაჟიც ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მიუღებელია ნ. ადონცის მტკიცებაც, თითქოს „ცხოვრებაში“ თორნიკეს ბიოგრაფიის ელემენტები შეცდომითაა ასახული. ნ. ადონცის მიხედვით „ცხოვრებაში“ ჩანს, რომ თორნიკე თავდაპირველად ბერად იყო თავის ქვეყანაში, მერე ოლიმპზე წავიდა, უფრო მოგვიანებით კი ათონზე. არც ერთი ამ ამბის მაუწყებელი თარიღი „ცხოვრებაში“ მითითებული არაა, თუმცა აშკარაა, რომ იგი 978 წლამდე იგულისხმება. რაც შეეხება ისტორიულად ღირებულ ფაქტებს, ისინი თითქოს სულ სხვა რასმე გვიმტკიცებენ. მაგალითად, დავით გადამწერის ანდერძის მიხედვით, თორნიკე 978 წლის წინ ოშკში ჩანს, ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ ბარდა ფოკამ იგი სწორედ ოშკიდან გამოიყვანა და დავით კურაპალატთან ჯარების სათხოვნელად გააგზავნა, შემდეგ, კი, როცა სკლეროსზე გაიმარჯვა, თორნიკე უკვე ათონზე წავიდა და დამკვიდრდა.

ნ. ადონცის ეს შეხედულება მართლა რომ საბუთდებოდეს, გენერალურად შეცვლიდა ქართველოლოგიაში გავრცელებულ წარმოდგენებს ბარდა სკლეროსის აჯანყების ბოლო პერიოდის მოვლენებზე, მაგრამ საქმე ისაა, რომ მთელი ეს მსჯელობა გაუგებრობის შედეგია.

ნ. ადონცის ერთადერთი არგუმენტი იმისათვის, იმყოფებოდა თუ არა თორნიკე ოშკში ბარდა სკლეროსის აჯანყებამდე, ესაა „სამოთხის“ ცნობილი მინაწერები, რომელნიც სამეცნიერო ბრუნვაში ასეთი სახი-

თაა გავრცელებული: „იესო ქრისტე, ყოველთა სუფევათა მფლობელო, ადიდე შენ მიერ დიდებული მეფე ჩვენი დავით მაგისტროსი და იოვანე და შვილნი მისნი...“ „მეოხ ეყვენით სვინგელოზსა და შვილთა მისთა“... „წმინდაო იოანე ოქროპირო და წმინდაო ეფრემ, მეოხ ეყვენით იოანე ვარაზ-ვაჩეს და შვილთა მისთა: წმინდაო ნათლისმცემელო, ოხე შენ მიერ ნათელ-ცხებულის თანა მიქაელ, აბუჰარბ“, „მე იოვანე თორნიკ ყოფილმან და ძმამან ჩემმან იოვანე ვარაზ-ვაჩე, ძეთა სულკურთხეულისა ჩორდვანელისა, მოვიგეთ წმიდა ესე წიგნი, რომელსა ეწოდების წმინდათა მამათა მიერ „სამოთხე“... სალოცველად და სადიდებლად პირველად ძლიერისა და ღვთის მსახურისა მეფისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა კუროპალატისა დავითისათვის... რამეთუ მართლმადიდებლობისა თვალი არს და მსგავსად შემოქმედისა თვსისა სიმდაბლისა წესსა შინა დაუკლებლად იქცევის... და მათსა შემდგომად სალოცველად თავთა ჩუენთა: პირველად იოვანე თორნიკ ყოფილისათვის და აწ წმინდათა მეფეთა მიერ იოანე სვინგელოზისათვის, რომელმანცა სიყვარულისათვის ღვთისა დაუტევა დიდებაჲ ქვეყანისაჲ და ჰპოვა ზეცისაჲ... რამეთუ... მსწრაფლ შეიცვალა ხატი ერისკაცობისაჲ და შეიმოსა სახე მეუდაბნოეთაჲ... და ერთგულებით ჰმსახურა ძელსა ცხოვრებისასა და წმიდათა მეფეთა, რაჟამს იგი აღმოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა კაცი განლაღებული (სკლეროსი) და მხდომად აღუდგა წმინდათა მეფეთა; ამან ისწრაფა და მოიწია ძლიერისა და ყოველ კერძოვე უძლეველისა დავით კუროპალატისა და ბრძანებითა ამათითა დაამხვა განზრახვაჲ მისი და განამტკიცნა წმინდანი მეფენი... და მერმე იოვანე ვარაზ-ვაჩისათვის და მეუღლისა მისისა და შვილთა მისთა მიქაელისა და ჩორდვანელ — ზორვარისა ჩოროლოჰდისათვის და თორნიკისათვის და ძმისწულთა ჩემთა — ჩორდვანელ პატრიკისათვის და ბაგრატ პატრიკისათვს და სალოცველად სულისა ბაგრატ მაგისტროსისა და მშობელთა ჩემთა ჩორდვანელისათვის და მარიამისათვის და ძმათა ჩემთა ბაგრატისათვის და არშუშაჲსათვის და აბუჰარბისათვის და მამის ძმისა აბულჰარბისათვის და არშუშაჲსათვის და ყოველთა სახლისა, ჩემისა მიცვალებულთათვის“... „ესე ანდერძი მე ულირსმან... დავით, დის წულმან ღმერთშემოსილისა მიქაელ მოდრეკილისამან დავწერე“[66].

რა შეიძლება ითქვას თორნიკეს ადგილსამყოფელზე „სამოთხის“ მინაწერების მიხედვით?

გარკვევით არაფრის თქმა შეიძლება!

აშკარაა, რომ „სამოთხის“ მინაწერები სხვადასხვა დროის მასალებს შეიცავენ. მაგალითად, ერთ მინაწერში დავით დიდი მაგისტროსადაა მოხსენიებული, რაც იმას მოწმობს, რომ ეს მინაწერი გაკეთებულია

---

[66] თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა. ქრონიკები, ტ. I, 1893, გვ. 107—108.

ბარდა სკლეროსის დამარცხების წინ. შემდეგში კი დავითი კურაპალატი გახდა და მინაწერის მომდევნო ნაწილშიაც მისი ტიტული უკვე კურაპალატის ფორმითაა წარმოდგენილი. შემდეგ თორნიკეს ბიზანტიის საიმპერატორო კარის მიერ სინკელოზობა ებოძა, რაზეც თვით მინაწერი მოგვითხრობს. ამიტომ, თორნიკე მინაწერში უკვე სინკელოზის პატივით ფიგურირებს. რაც შეეხება დავით გადამწერს, უეჭველია, იგი გადამწერია „სამოთხის" სხვა ვარიანტისა, რომელმაც ამავე დროს გადაიღო ამ ვარიანტის მინაწერიც, რომელშიაც დავით დიდი მაგისტროსადაა მოხსენიებული. ამავე დროს დავითმა ძველ მინაწერს თავისი ღვაწლის მაუწყებელი თუ სხვა ახალი ცნობებიც დაუმატა, რომლებიც გვამცნობენ თორნიკეს ღვაწლზე სკლეროსის წინააღმდეგ ბრძოლაში; „სამოთხის მინაწერებიდან, რომლებიც ძვირფას ცნობებს გვაწვდიან თორნიკეს ოჯახური წრის წარმოსადგენად, ვიგებთ, რომ თორნიკე არის „სამოთხის" „მომგები", უეჭველია, იმ ეგზემპლარისა, რომელიც დავითის ხელიდან გამოვიდა. თუმცა ის კი არა ჩანს, თუ დავით გადამწერის მიერ სამუშაოს შესრულების დროს სად იმყოფებოდა თორნიკე.

ამიტომ, აქედან გამომდინარე, არავითარი საფუძველი არა გვაქვს არ ვენდოთ „ცხოვრებას", რომლის მიხედვითაც სკლეროსის აჯანყების დროისათვის თორნიკე ათონზე იმყოფებოდა, აქედან კი გამოიყვანეს და სკლეროსის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩააბეს. გამარჯვების შემდეგ კი კვლავ ათონზე დაბრუნდა და ხელი მიჰყო ივერთა მონასტრის დაარსებას.

დასასრულ უნდა აღინიშნოს ნ. ადონცის ერთი შეცდომაც; იგი ფიქრობს, რომ დავით გადამწერის მინაწერი და აგრეთვე მისი მსგავსი ანდერძები უნდა იყოს ერთადერთი წყარო აგიოგრაფისათვის თორნიკეს საქმეთა წარმოსადგენად. ამიტომ, ქართული ტრადიციიდან თითქოს უნდა დავუჯეროთ მხოლოდ იმ მომენტებს, რომელნიც დავითის მინაწერებიდან მომდინარეობენ. სხვა დეტალები კი, როგორიცაა ცნობა, რომ სკლეროსის აჯანყებისას თორნიკე ათონზე იმყოფებოდა, ან თითქოს თორნიკე მოციქულად წავა საიმპერატორო კარის თხოვნით, რომ ახალგაზრდა იმპერატორები ფეხქვეშ უვარდებიან თორნიკეს და ა. შ. მთლიანად აგიოგრაფის საკუთარ წარმოდგენას ეფუძნება. ნ. ადონცის ეს მსჯელობაც მცდარია, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ გიორგი მთაწმინდელს „ცხოვრების" წერისას გამოუყენებია წყაროების საკმაოდ ფართო წრე. ასეთებია: იოვანესა და ექვთიმეს „სარწმუნო" მომსწრეთა და თანამშრომელთაგან მოსმენილი ცნობები, ივერთა მონასტრის საქმიანი დოკუმენტები და სხვა[67] და არა მარტო დავითის მინაწერი თუ

[67] ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თბ., 1945, გვ. 138—140; კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, მესამე გამოც. თბ., 1941, გვ. 205.

სხვა მისთანა ანდერძები. ამიტომ თორნიკეს ბიოგრაფიის ის დეტალები რომლებიც არაა აღნიშნული დავითის მინაწერში, მაგრამ მოთხრობილია „ცხოვრებაში“, სავსებით შესაძლებელია, ზემომითითებული წყაროებიდანაც იყოს აღებული. თუმცა, რომ აგიოგრაფს ზოგი რამ საკუთარ წარმოდგენებზე დაყრდნობითაც შეეძლო გაეაზრებინა და გამხატვრულებინა, ესეც არ უნდა იყოს გამორიცხული[68]. ასეთი საქციელი ადვილად გასაგები იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ გიორგი მთაწმინდელის თხზულება თავისი სულით პოლემიკური ნაწარმოებია. იგი მიზნად ისახავს ათონის ივერთა მონასტრისადმი მტრულად განწყობილ ბერძნებს[69] უჩვენოს ქართველთა განსაკუთრებული წვლილი ბიზანტიის სახელმწიფოში, თვით საიმპერატორო ტახტის გადარჩენის საქმეშიც კი. ამიტომაც, თავის თხზულებაში ავტორი ფაქტებს გარკვეულ ნაწილში ამ მიზნებისათვის კრებს და განალაგებს. ეს გარემოება ამ ფაქტების ღირებულებას ოდნავადაც არ ამცირებს. ამიტომ გიორგი მთაწმინდელის მიერ ნაჩვენები ის გზა, თუ რა პირობებითა და თანმიმდევრობაში მოხვდნენ დავით კურაპალატი და მისიანები ბარდა სკლეროსის მოწინააღმდეგეთა ბანაკში, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. გიორგი მთაწმინდელსა და გიორგი კედრენეს შორის „განსხვავება“ მხოლოდ იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ერთი მოვლენას ქართულ-ათონური ინტერესების კუთხით ხედავს და ფაქტებსაც ამ თვალსაზრისით არჩევს. მეორე კი მოვლენას ბიზანტიური—მსოფლიო ისტორიის თვალსაზრისით უდგება და „წვრილმანებს“, რაც გიორგი მთაწმინდელთანაა დაცული, გვერდს უვლის. აღნიშნული მიზეზების გამო საკითხის მთლიანობაში წარმოდგენისათვის ორივე ტრადიციის გათვალისწინება და მათი ერთიმეორით შევსებაც აუცილებელი და საჭიროა. ასეთ შემთხვევაში, თუ ორივე ტრადიციის მიხედვით ვიმსჯელებთ, ნეიტრალური პოზიციით ჩვენთვის საინტერესო მოვლენა შემდეგნაირად წარმოგვიდგება.

თავდაპირველად, სკლეროსის გამარჯვებათა ეტაპზე ბარდა ფოკა გადასახლებიდან დააბრუნეს და კვლავ მხედართმთავრად განაწესეს, მაგრამ მისი მოწინააღმდეგე სკლეროსი გამარჯვებას იხვეჭდა (კედრენეს ხაზი). მაშინ ბიზანტიის კარზე გადაწყვიტეს დახმარება ეთხოვათ დავით კურაპალატისათვის, რისთვისაც მასთან მოციქულად ათონზე ბერად მყოფი თორნიკე გააგზავნეს (გიორგი მთაწმინდელის ხაზი).

დავითი დათანხმდა, გარკვეული პირობებით, დახმარებოდა საიმპე-

---

[68] ერთ-ერთ ასეთ გამხატვრულებულ სცენად, როგორც ვნახეთ, ნ. ადონცს იმპერატორების თორნიკესადმი ვედრების სცენა მიაჩნია, რაც მისი აზრით, დაუშვებელია სინამდვილედ წარმოვიდგინოთ. საიმპერატორო კარზე ასეთ რამეს არავინ არ დაუშვებდა.

[69] ამ მტრობის შესახებ იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 136—137.

რატორო კარს, რისთვისაც თორნიკესა და ჯოჯიკის მეთაურობით გაგზავნა 12 000 მხედარი, რომელმაც დამოუკიდებლად მიჰყო ხელი სკლეროსის მომხრე ოლქების დალაშქვრას (გიორგი მთაწმინდელისა და ასოლიკის „ხაზები“).

სწორედ ამ ხანებში დავით კურაპალატის ჯარების სათხოვნელად გამოემართა ბარდა ფოკა, რომელმაც შეიერთა ეს ჯარები, „ხალხი არამცირედი“ (კედრენე).

ბოლოს ამ შეერთებულმა ძალებმა გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართეს სკლეროსს და დაამარცხეს (კედრენესა და გიორგი მთაწმინდელის ხაზები).

ახლა ისღა დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ სტეფანოს ტარონელის მთელი მოთხრობა, რომელსაც ჩვენ ადრე გავეცანით, არსებითად, ასეთი დიფუზური ვერსიის ნიმუშია, რაც კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს რწმენას მის მაღალსანდოობაში. ამ მოთხრობაში შენახულია ზოგიერთი ისეთი დეტალი, რომელიც ერთგვარად ავსებს კიდევაც ქართულ-ბერძნული ტრადიციის ფაქტებს. მაგალითად, მასში მითითებულია, რომ ქართველთა ლაშქრის მეთაურად დავით კურაპალატის მიერ განჩენილი იყო არა მხოლოდ თორნიკე, არამედ ერისთავთ-ერისთავი ჯოჯიკი. ამასთანავე, ვიდრე ბარდა ფოკას შეუერთდებოდნენ, ქართველებმა დამოუკიდებლად დაიწყეს მოქმედება და ხელი მიჰყვეს იმ მიწების აოხრებას, რომელნიც ტირან სკლეროსს ექვემდებარებოდნენ.

ის ფაქტი, რომ დავითის მხედრობა მონაწილეობას იღებდა სკლეროსის წინააღმდეგ გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში, კარგად დასტურდება ზარზმის ისტორიული წარწერითაც, რომელშიც ეკვდრის მაშენებელი ივანე სულაჲს ძე გვამცნობს: „ღმრთისმშობელისა მეოხებითა მე ივანე, ძემან სულაჲსმან, აღვაშენე წმინდა ეგუტერი მას ჟამსა, ოდეს საბერძნეთს გადგა სკლიაროსი, დავით კურაპალატი ადიდენ ღმერთმან, უშველა წმინდათა მეფეთა და ჩვენ ყოველნი ლაშქარს წარგვავლინა. სკლიაროსი გავაქციეთ, მე მას ქვეყანასა, რომელსაც ჰქვიან ხარსანანა, ადგილსა, რომელსა ჰქვიან სარვენისნი, მუნ ესუენა ტახტი“[70].

---

[70] Е. Такайшвили. Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. I, Тифлис, 1905, с. 19. ჩვენ ახლა გვერდს ვუვლით ამ წარწერასთან დაკავშირებული ზოგიერთი დეტალის გარკვევას. კერძოდ იმას, თუ როგორ უნდა წავიკითხოთ მისი ტექსტის ელემენტები: ა) „მე მას ქუეყანასა“, როგორც ამას ერთნი კითხულობენ. (ე. თაყაიშვილი. დასახ. გამოც., გვ. 19.), თუ „რე მას ქუეყანასა“ (მ. კახაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 35); ბ). „მუნ ესუენა ტახტი“ (ე. თაყაიშვილი, იქვე. დ. გორდეევი. საისტორიო მოამბე. 1, 1925, გვ. 107—12), თუ „მუნ ესუენა ხატი“ (Н. Марр. Христианский Восток. т. VI, вып. 3, 1922, с. 321—324). ჩვენთვის საინტერესო ფაქტები ამჟამად ამ დეტალების დადგენის გარეშეც ჩანს.

აღნიშნული წარწერა რამდენიმე თვალსაზრისით გვიკონკრეტებს მოვლენებს. პირველ რიგში იგი გვიჩვენებს, რომ, როგორც საფარაუ-დოა, იმ ლაშქარში, რომელიც დავით ტაოელის მიერ გაგზავნილი იყო სკლეროსის წინააღმდეგ, შედიოდნენ არა მარტო ტაოელები, არამედ ქართველთა სამეფოს მკვიდრნიც. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ივანე სულაᲥს ძე, ზარზმის ეკვდრის მაშენებელი და სკლეროსის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე, სამცხელი უნდა იყოს. სამცხე კი ბაგრატ რეგვენისა თუ გურგენის ხელში იგულისხმება და დავითს არ ექვემდებარება. ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ სკლეროსის წინააღმდეგ ბრძოლისათვის იმ ლაშქარში, რომელიც დავით კურაპალატის ბრძანებით იყო გაგზავნილი, ტაოელებთან ერთად ქართველთა მეფეების მხედრებიც მონაწილეობდნენ. 978 წლისათვის კი ამ ძალების მჭიდრო თანამშრომლობა სხვა ფაქტებითაც ვლინდება და ეჭვს არ იწვევს.

გარდა ამისა, ზარზმის წარწერაში საკმაოდ ნათლადაა მითითებული ის ადგილი, სადაც სკლეროსი იქნა განადგურებული. წარწერის მიხედვით სკლეროსი გააქციეს „ქუეყანასა, რომელსა ჰქვიან ხარსანანი, ადგილსა, რომელსა ჰქვიან სარვენისნი“.

ჯერ კიდევ ნ. ადონცმა მიუთითა, რომ გადამწყვეტი დარტყმა ბარდა სკლეროსმა განიცადა ხარსიანოსში, ბასილიკა თერმაში[71]. ეს უკანასკნელი კი არის იგივე სარვენისი, აქვა სარავენა[72].

ქართველოლოგიისათვის ეს ცნობა დიდხანს დაუდგენელი რჩებოდა. ამასთანავე იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ადგილი ჰქონდა ერთგვარ წინააღმდეგობასაც კი ზარზმის წარწერის მონაცემებსა და კედრენეს ცნობებს შორის, ვინაიდან ამ უკანასკნელს გადამწყვეტი ბრძოლის ადგილი მდ. ღალისის სანაპიროზე გადაჰქონდა[73]. მაგრამ აქ არავითარი წინააღმდეგობა არაა. ხარსიანი-ხარსიანოსი იყო მცირე კაპადოკიის ჩრდილოეთით მდებარე ბიზანტიის ერთ-ერთი თემი და მართლაც განლაგებული იყო მდ. ღალისის ქვემო და შუა დინებაზე[74]. კედრენეს ცნობის ნაკლი მხოლოდ ისაა, რომ, როგორც უკვე ვთქვით, მას ხარსიანოსში გადმოაქვს პანკალეა და ჰგონია, რომ სკლეროსი დამარცხებულ იქნა პანკალეის ბრძოლაში.

---

[71] N. Adontz, p. 295.

[72] იქვე.

[73] მ. კახაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 43—44.

[74] De thematibus, I, 2, 19. Сочинения Константина Багрянородного с предисловием Г. Ласкина. М., 1899, с. 25; E. Honigmann. Charsianon Kastron, Byzantion, X (1939), I, 129—160. M. Tarchnišvili. Die Anfänge der schriftstellerische..., 123; Н. Ломоури, К истории восстания..., с. 37.

ამრიგად, წყაროების კრიტიკული შესწავლით ირკვევა, რომ დავით დიდმა და ქართველებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ბასილი II ტახტის გადარჩენისა და ბარდა სკლეროსის აჯანყების ლიკვიდაციის საქმეში.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ჩვენს წინაშე ისმის ერთი ასეთი კითხვაც: რატომ ჩაება დავით ტაოელი ბარდა სკლეროსის წინააღმდეგ ბრძოლაში, რამ განაწყო იგი სკლეროსის წინააღმდეგ და მაკედონელთა ტახტის მომხრედ აქცია? რატომ მაინცდამაინც დავით ტაოელს მიმართა ბიზანტიის საიმპერატორო კარმა სკლეროსთან ბრძოლაში დახმარებისათვის? რატომ იყვნენ ბიზანტიის კარზე დარწმუნებული, რომ დავით კურაპალატის მეტი მათი შემწე არავინ იქნებოდა[75]. ამ კითხვაზე ლიტერატურაში გარკვეული პასუხია გაცემული. მაგალითად, ნ. ლომოურის აზრით, დავით ტაოელის მთავარ საგარეო-პოლიტიკურ მიზანს წარმოადგენდა ხელთგდება „ტაო-კლარჯეთის" სამხრეთით მდებარე ტერიტორიებისა, რომელთა თაობაზე დავით კურაპალატსა და ბარდა სკლეროსს შორის წარმოიშვა წინააღმდეგობა. აჯანყების დაწყებამდე ბარდა სკლეროსი დანიშნული იყო მმართველად ხანზითსა (ტიგროსის ზემო წელზეა) და ალ-ხალდიატში (ტარონის მხარეში, ვანის ტბის დასავლეთით). მაშასადამე, სკლეროსი უკვე აჯანყებამდე იჯდა დიდი სომხეთის დასავლეთში. აჯანყების პირველსავე ეტაპზე ბარდა სკლეროსმა ხელთ იგდო ტაო-კლარჯეთის მოსაზღვრე ოლქები და „ბასიანი, ე. ი. თეოდოსიუპოლის, ანუ კარინის-ერზერიუმის ოლქი"*. ეს, ნ. ლომურის აზრით, კარგად დასტურდება ასოლიკის ცნობით, რომ სკლეროსის წინააღმდეგ გაგზავნილმა თორნიკემ და ჯოჯიკმა, „დაიწყეს ტარონიდან მოკიდებული" ბერძენთა იმ ქვეყნის აოხრება, რომელიც ტირანს, ე. ი. სკლეროსს ექვემდებარებოდა. მოტანილი ცნობიდან ჩანს, ფიქრობს ნ. ლომოური, რომ აჯანყებისთანავე სკლეროსი დამკვიდრებული ყოფილა „ტარონში", ე. ი. ტაო-კლარჯეთის მეზობელ მხარეში. იგი დავით კურაპალატის კონკურენტი გამხდარა. ეს კი დავითისათვის მიუღებელი იყო, ვინაიდან თავის სამეზობლოში ძლიერი კონკურენტის გაჩენას იგი ერიდებოდა არა როგორც ბიზანტიის ვასალი, არამედ როგორც დამოუკიდებელი მმართველი[76].

---

[75] „მეფეთა და დედოფალთა საბერძნეთისათა განიზრახეს ვითარმედ: ჩვენიშემწე დავით კურაპალატისაგან კიდე არავინ არს. „ცხოვრება იოვანესი და ეფთვმესი". იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. II (XI—XVII).1967, ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, გვ. 45.

* sic! ბასიანი და თეოდოსიუპოლის, ე. ი. კარინის ქვეყანა, ერთი და იგივე არაა.

[76] Н. Ломоури. К истории восстания..., с. 37—39.

ზემომიმოხილულ თვალსაზრისს იზიარებს მ. ლორთქიფანიძეც, რომელიც ნ. ლომოურთან შედარებით დამატებით იმ ფაქტზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ სკლეროსის მიერ პირველი წარმატებების მოპოვებისთანავე ვანის ტბის სანაპიროებზე ამოძრავდა ბადი იბნ-დასტაკი, რომელმაც თავისი უფლებები აღადგინა მანაზკერტში. ეს ამბავი კი, უნდა ვიფიქროთ, მიუღებელი იქნებოდა დავით ტაოელისათვის, რომელსაც თვითონ ჰქონდა პრეტენზიები მანაზკერტის მიმართ[77]. ამიტომაა, რომ დავითი წინააღმდეგი იქნებოდა ბარდა სკლეროსისა, რომლის ზურგსაც ამ შემთხვევაში ბადი იბნ-დასტაკი ამოეფარა.

იმის გასარკვევად, თუ რამ განაპირობა დავით ტაოელის გამოსვლა ბარდა სკლეროსის წინააღმდეგ, საჭიროა გავითვალისწინოთ ქართველთა და ბიზანტიელთა ურთიერთობა და მისი ხასიათი X საუკუნეში.

ამ საუკუნის მთელ სიგრძეზე, თავიანთი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად, ქართველები და ბიზანტიელები ერთად იბრძოდნენ, რათა დაუფლებოდნენ არაქს-ევფრატის ხეობათა და ვანის ტბის სანაპირო მიწებს. ამასთანავე ქართველები ბიზანტიელებთან ერთად მოქმედების საფასურად ახერხებდნენ თავიანთი წილის მიღებას ზემოაღნიშნულ მხარეებში, რაც წარმოგვიდგებოდა როგორც სიუზერენის — ბიზანტიის მიერ ქართველებისათვის გავლენის სფეროების ბოძება ზემოდასახელებულ მხარეებში[78]. მბოძებელი ქართველებს ტერიტორიებს გავლენის სფეროებად აძლევდა დროებით, თვითონ კი მათ მუდმივ მფლობელად რჩებოდა. ქართველები კი (ამათ შორის ყველაზე ტიპიური წარმომადგენელი დავით ტაოელია) მუდამ ცდილობდნენ მიღებული მიწების მუდმივ საკუთრებაში მოქცევას და მათ მფლობელობაში ვისიმე ჩაზიარებასაც კი ძალზე მტკივნეულად განიცდიდნენ. ასეთ მოზიარედ გამოვიდა, როგორც ირკვევა, აჯანყების დაწყებისთანავე ბარდა სკლეროსი, რომელსაც ამის გამო დავით ტაოელი მტრად მოეკიდა.

ის ფაქტი, რომ აჯანყების დაწყებისთანავე ბარდა სკლეროსი დავით ტაოელს მის მიწებზე მოზიარედ შეექმნა, შესაძლებელია დადგინდეს სტეფანოზ ტარონელის ცნობით, რომელშიაც მითითებულია, რომ სკლეროსის წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნილმა თორნიკემ და ჯოჯიკმა, დავით ტაოელის მხედართმთავრებმა, „ტაოელთა ქვეყნიდან

---

[77] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ტაო-კლარჯეთი („ქართველთა სამეფო"). იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, თბ., 1973, გვ. 479.

[78] შ. ბ ა დ რ ი ძ ე. „ტაოს პრობლემის" პოლიტიკური და ეკონომიური ასპექტი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე", 1974, 73, № 2.

მოკიდებული დაანგრიეს და აოხრეს ბერძენთა მთელი ქვეყანა, რომელიც მოძალადის (ე. ი. სკლეროსის, შ. ბ.) ხელში იყო"[79].

ბარდა სკლეროსის აჯანყებაში ქართველთა მონაწილეობის ფაქტის კვლევისას ზემოაღნიშნულ ციტატაზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია. უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევრები, უმეტესწილად, სარგებლობენ ხოლმე სტეფანოზ ტარონელის ტექსტის რუსული თარგმანით, რომელშიაც შეცდომით „ტაოს" მაგივრად „ტარონი" იკითხება. სახელდობრ, ნ. ემინის თარგმანში დაბეჭდილია: „დაწყებული ტარონის მიწიდან, მათ დაიწყეს ბერძენთა ქვეყნის აოხრება, რომელიც ტირანს ექვემდებარებოდა"[80]. აქ აშკარა შეცდომაა, რადგანაც სტეფანოზ ტარონელის ტექსტის ორიგინალში, როგორც ვნახეთ, იკითხება არა ტარონი, არამედ ტაო.

ტექსტის სწორე წაკითხვის შემთხვევაში შესაძლებელი ხდება იმის წარმოდგენა, რომ სკლეროსს ხელთ ეპყრა მიწები „ტაოელთა ქვეყნიდან მოკიდებული" და არა „ტარონიდან მოკიდებული", რომლებიც თითქოს დავით კურაპალატს სადავოდ წარმოედგინა. ტარონი და მისი სანახები შორსაა, ვიდრე საკუთრივ ტაოს რეგიონი, სადაც, ჩანს, აჯანყებისთანავე ბარდა სკლეროსი და მისი მომხრეები აქტიურობდნენ და ისხდნენ.

ზემორე ნათქვამიდან გასაგები ხდება, თუ რატომ უნდა ყოფილიყო განწყობილი დავით დიდი ბარდა სკლეროსის წინააღმდეგ. მისთვის ხომ დაუშვებელი იყო ტაოს სანახებში, მის სიახლოვეს ბარდა სკლეროსისა და მისი მომხრეების აქტიური ტრიალი.

სტეფანოს ტარონელის ტექსტის სწორი წაკითხვის შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, ჩვენ საშუალება გვეძლევა კონკრეტულად წარმოვიდგინოთ დავით ტაოელის პირადი ინტერესებიც. ამ დროს ქართველთ-ბიზანტიელთა ურთიერთობა ხომ ორთავე მხარის ინტერესებს გულისხმობს?

უეჭველია, ეს კარგად ეცოდინებოდათ ბიზანტიის მესვეურებს, როცა ისინი სკლეროსის წინააღმდეგ ბრძოლისას დავით ტაოელს თხოვდნენ დახმარებასა და მოკავშირეობას.

ყველაფერი ეს ხდებოდა საიმპერატორო ხელისუფლებისათვის უაღრესად კრიტიკულ მომენტში, როცა სკლეროსი ზედიზედ ამარცხებდა მაკედონელთა ტახტის ერთგულ მხედრობას და ბიზანტიის საიმპერატორო ხელისუფლებას დამხობით ემუქრებოდა. ამიტომ ურთიერთო-

---

[79] სტეფანოზ ტარონელის ქართული თარგმანი მოგვყავს ე. ცაგარეიშვილის მიხედვით. იხ. მისი, სომხური წყაროები საქართველო — ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X—XI საუკუნეებში. „მრავალთავი", II, თბ., 1973, გვ. 171.

[80] «Начиная с земли таронской, они начали опустошать страну греческую, подвластную тирану». «Всеобщая история Степаноса Таронского»..., с. 135.

ბამ ბიზანტიის საიმპერატორო კარსა და დავით დიდს შორის ასეთ ვითარებაში ისეთი ხასიათი მიიღო, რომ მოკავშირის ფაქტიურ მძებნელად ბიზანტიის კარი გამოვიდა.

ურთიერთკავშირი დროებით ორივესათვის — ბიზანტიისა და ტაოსათვის — სასარგებლო აღმოჩნდა.

ბიზანტიამ გაიადვილა მრისხანე მეამბოხის თავიდან მოცილება და ამასთანავე სიუზერენული უფლებების შენარჩუნება დავითისათვის ნაბოძებ იმ მიწებზე, რომლებიც ბარდა სკლეროსის აჯანყების პირველ ეტაპზე იმპერიამ ფაქტიურად უკვე დაკარგა.

დავითმა კი მოახერხა მოეცილებინა პირადი კონკურენტი ტაოს საზღვრებთან — ბარდა სკლეროსი.

ამასთანავე ირკვევა, რომ დავითმა, რომელიც ბიზანტიის საიმპერატორო კარის დამხმარის როლში გამოვიდა, კარგად გამოიყენა თავისი როლი და სამსახურის წილ მაკედონელთა სახლს მოსთხოვა გავლენის სფეროების გაფართოება „ზემო ქვეყნების“ რაიონში. მაკედონელთა სახლმაც დააკმაყოფილა დავითის მოთხოვნა და 978 წელს მას უბოძა „ზემო ქვეყნები“, რომელშიც, როგორც ასოლიკი გადმოგვცემს, შედიოდა: კარინი, ხალტო-არიჭი, ბასიანი, სევუქი, ჰარქი და აპაჰუნიქი.

ყოველივე ეს ქართველებისათვის ტაოს საკითხისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო წარმატებების გამოხატულებას წარმოადგენდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველი ქართველი ათონელების მოღვაწეობის ისტორიული ფონი

ათონის ქართველთა კულტურულმა და ლიტერატურულმა ცენტრმა, როგორც ეს მართებულადაა აღნიშნული, სრულიად განსაკუთრებული როლი შეასრულა ძველი ქართული სულიერი ცხოვრების ისტორიაში. ათონმა უჩვეულოდ გაამდიდრა ქართველთა ინტელექტუალური სამყარო[1].

იმთავითვე ათონის ქართველმა მამებმა როგორც თავიანთი ლიტერატურული, ასევე პრაქტიკულ-პოლიტიკური საქმიანობით დიდი წვლილი შეიტანეს იმ პროცესის გაღრმავება-დაჩქარებაში, რასაც ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაში ფეოდალური საქართველოს გაერთიანებას უწოდებენ ხოლმე. იგულისხმება საქართველოს ერთ სახელმწიფოდ თავმოყრის აქტი, რასაც თან სდევდა ქართველთა თვითშეგნების ხანგრძლივი რაფინირების პროცესი.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში სათანადოდაა აღნიშნული იმ იდეურ-პოლიტიკური სამყაროს პროფილი, რომლის წარმომადგენლები იყვნენ პირველი ქართველი ათონელები. ნ. ბერძენიშვილის აზრით, პირველი ათონელები X ს. მეორე ნახევრის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის დავით კურაპალატის წრიდან იყვნენ, ამიტომ, მკვლევრის შენიშვნით, ათონზე იმთავითვე ტაოელთა იდეა ბატონობდა[2]. ეს იმას ნიშნავს, რომ ტაოელთა იდეების საფუძველზე მიმდინარეობდა იქ ქართველთა კულტურულ-ისტორიული საქმიანობა, რამაც ათონის ქართველთა ცენტრს განსაკუთრებული მისიის შესრულება შეაძლებინა[3].

ასეთი აღნიშვნების მიუხედავად ყოველთვის კონკრეტულად ვერაა ხოლმე გააზრებული ის ისტორიული ვითარება, სადაც ჩამოყალიბდა ე. წ. ათონელთა იდეა, რომლის რეალური ხორცშესხმისათვის ქარ-

---

[1] ქ. ქეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, თბ., 1960, გვ. 101.

[2] ნ. ბერძენიშვილი. კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. II, თბ., 1965, გვ. 23.

[3] ქ. ქეკელიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

თველთა სისხლთან ერთად თავის დროს უხვად იქნა გაღებული მათი ინტელექტუალური ენერგიაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ეს ვითარება, ანუ პირველ ქართველ ათონელთა მოღვაწეობის ისტორიული ფონი?

ათონელთა ამ პლეადის თვალსაჩინო წარმომადგენლები—იოვანე და ექვთიმე, იოვანე-თორნიკე და სხვანი, ის ტაოელი მოღვაწეები იყვნენ, რომელთა ბიოგრაფიაშიც უშუალოდ იქნა არეკლილი ტაოს ისტორიის ბევრი მნიშვნელოვანი მომენტი... ყველაფერი ეს კი მიმდინარეობდა ბიზანტიასთან მჭიდრო თანამშრომლობის ფონზე.

ასეთი ურთიერთობა სათავეს იღებდა არაბობის პერიოდიდან, როცა ბიზანტია სახალიფოს წინააღმდეგ აქტიურად ამხედრებდა კავკასიის პოლიტიკურ ძალებს, მათ ორგანიზებას ახდენდა და მფარველობას ჩემულობდა. თავის მხრივ ეს უკანასკნელები თვითონ ცდილობდნენ ბიზანტიასთან დაკავშირებას, რათა მასთან ერთად ებრძოლათ არაბობის უღლის მოცილებისათვის.

ამგვარი ურთიერთობების მკაფიო ნიმუშს წარმოადგენდა, მაგალითად, ერთ-ერთი ადრეული ქართველი ბაგრატიონის აშოტ დიდი კურაპალატის (+826) და მისი უშუალო მემკვიდრეების დამოკიდებულება ბიზანტიასთან, მათი იმპერიის მორჩილებაში შესვლა, რა იურიდიული სტატუსიც სრული უეჭველობით დგინდება ისტორიული წყაროების საფუძველზე[4].

ქართველთ-ბიზანტიელთა ურთიერთთანამშრომლობა განპირობებული იყო მათი საერთო ინტერესებით, რომლებშიაც იმთავითვე მძლავრად დომინირებდნენ ქართველთა საკუთარი პოლიტიკური მოტივები. ეს ტენდენცია გარკვეულ ეტაპზე იმით დასრულდა, რომ IX ს. დასასრულისათვის ქართველ ბაგრატიონთა თავკაცმა ადარნასე II-მ (+923) ქართველთა მეფის ტიტული დაიმკვიდრა და უარი თქვა ერისმთავარ-კურაპალატის რანგზე. ამით, აშკარაა, ადარნასე II ქვეყნის მემკვიდრე მფლობელად აცხადებდა თავს, რაც, პირველ ყოვლისა, ბიზანტიის პოლიტიკური პრეტენზიების წინააღმდეგ იყო მიმართული[5].

ადარნასე II-დან მომდინარეობდა მთელი ხაზი ქართველი მფლობელებისა, ე. წ. ქართველ მეფეთა შტო, რომელიც ქართველ ბაგრა-

---

[4] შ. ბადრიძე. „ქართველთა სამეფოს" პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 113, თბ., 1965, გვ. 253—261.

[5] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, შ. მესხია, ბ. რატიანი, საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 131.

ტიონთა ჩრდილოეთის ზონაში — ბანას ჩრდილოეთით მფლობელობდა[6].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისდა მიუხედავად, ქართველ ბაგრატიონთა ზოგიერთი წარმომადგენელი კვლავ რჩება ბიზანტიის ვასალურ სისტემაში. სწორედ ეს ბაგრატიონები იგულისხმებიან კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობებში, საიდანაც ჩანს, რომ ეს ვასალები უმთავრესად სამხრეთი პროვინციებიდან იყვნენ[7]. ამ სამფლობელოების ბაზაზე უნდა ვიგულისხმოთ ტაოს სამეფოს ჩამოყალიბება, რის შემდეგაც იგი ბიზანტიასთან მჭიდროდ დაკავშირებულ პოლიტიკურ ერთეულად რჩებოდა. საგულვებელია, რომ ტაოს სამეფოს თავდაპირველ ბირთვს წარმოადგენდა კარინის საარხონტო-საერისთავო.

სწორედ ეს სამხრეთი ზონა, მათ შორის არაქს-ევფრატის მხარეები და ვანის ტბის სანაპიროზე მოპოვებული მიწებიც, შედიოდნენ მომავალში ტაოს პოლიტიკურ საზღვრებში. ამ სახელმწიფოს მეთაურებად გვევლინებოდნენ ქართველი კურაპალატები, რომლებიც „ქართველთა მეფეების“ შტოს გაჩენის შემდეგ თვითონ განასახიერებდნენ იმპერიის ვასალებს.

სამხრეთელი ქართველი ბაგრატიონების დარჩენას ბიზანტიის ვასალობაში ის გარემოება განაპირობებდა, რომ ამათი მფლობელობის ზონაში ბიზანტიის პოლიტიკური ბატონობა უფრო მეტად სტაბილური იყო. იმპერია ასე იოლად ვერ გუობდა აქ თავისუფალი კონკურენტების ყოფნას. ამასთანავე, უნდა დავუშვათ, რომ საკუთრივ იმპერია რამე აზრს თავისი სამფლობელოების იურიდიული სტატუსის შესახებ კავკასიის სამხრეთ სანაპირო ხაზზე არ იცვლიდა. ახლა, „ქართველთა მეფეების“ პოლიტიკური აქტის შემდეგაც იგი კვლავ მთელი ქართველი ბაგრატიონების სიუზერენად მიიჩნევდა თავს და კურაპალატების ხაზს თავის უშუალო მოკიდებაში თვლიდა. ამით საიმპერატორო ხელისუფლება კურაპალატების მეშვეობით კვლავ საერთო სიუზერენად მიიჩნევდა თავის თავს. დროებით ეს ფორმულა სავსებით მისაღები ჩანდა იმპერიისათვის, რომელსაც მომავალში, თუ საამისო დრო და პი-

---

[6] ე. თაყაიშვილი. შესავალი სუმბატ დავითის ძის „ქრონიკის“ გამოცემისათვის. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 27, 1949, გვ. 27, ტაბ. II.

[7] ჩვენთვის კონსტანტინე პორფიროგენეტის მიხედვით ცნობილთაგან ასეთები ჩანან, მაგალითად, ადარნასე, მაგისტროსი 945 წლიდან, ხოლო კურაპალატი 956 წლიდან (გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. IV, ნაკვ. II, თბ., 1952, გვ. 269); ადარნასე II-ის ძე ბაგრატ მაგისტროსი (+945), რომელიც ლაშქრობს თეოდოსიუპოლისის წინააღმდეგ და მასტატის ციხეს ილებს (იქვე, გვ. 271); დავით მაგისტროსი, მომავალში ქართველთა მეფე (+937). იქვე, გვ. 285.

რობები დაუდგებოდა, შესაფერისად შეეძლო ამ იდეის რეალიზაცია. ასეც მოხდა XI ს. დამდეგს, როცა ბიზანტიამ ენერგიული ზომები მიიღო ტაოსა და დანარჩენი ქართული მიწების ანექსიის მიზნით...

სამხრეთელი ქართველი ბაგრატიონების ვასალობის გამახანგრძლივებელი მიზეზი ისიც იყო, რომ აქ მსხდომ ბაგრატიონებს სხვანაირად ვერ წარმოედგინათ თავიანთი ეკონომიკური და პოლიტიკური ექსპანსია სამხრეთის საამიროებისაკენ. დამოუკიდებლად, ბიზანტიის რეალური თუ მორალური დახმარების გარეშე მათ ამის გაკეთება არ შეეძლოთ.

ჩვენთვის საკმაოდ კარგადაა ცნობილი ის მექანიზმი, რომლითაც ეწყობოდა ქართველთ-ბიზანტიელთა ურთიერთთანამშრომლობა საამიროების ზონაში აქაური ტერიტორიების ხელში ჩაგდების მიზნით.

ბიზანტია თავის პარტნიორებს — ქართველებს უმეტეს შემთხვევაში მორალურ-იურიდიულ დახმარებას უწევდა. იმპერია ქართველებს სთავაზობდა გაერთიანებული ძალებით ელაშქრათ საამიროების წინააღმდეგ, რის საკომპენსაციოდაც ქართველებს საზიაროდ დაპყრობილი ტერიტორიებიდან თავის წილს აძლევდა. სხვა შემთხვევებში, და ეს ყველაზე უფრო ტიპიური მოვლენა იყო, ბიზანტია ქართველებს საჩუქრად უთმობდა იმას, რაც მას რეალურად არ ეკუთვნოდა, მაგრამ მის მიმართ კი სათანადო პრეტენზიები გააჩნდა. ბუნებრივია, ამგვარ ნაბოძვარს მომავალში ხმლით შოვნა ესაჭიროებოდა, რისთვისაც ქართველები ენერგიულად იბრძოდნენ. ასეთი იურიდიული უფლებების მიხედვით უბოძეს, მაგალითად, ბიზანტიელებმა ვრცელი ტერიტორიები ქართველებს 978 წელს ბარდა სკლეროსის წინააღმდეგ ბრძოლის საკომპენსაციოდ. აღსანიშნავია, რომ ყველა შემთხვევაში ბიზანტია ამ საბოძვარს დროებითი ვადით იძლეოდა, რითაც გარანტიას ქმნიდა მათი უკან დაბრუნებისათვის საჭირო შემთხვევაში, მას შემდეგ კი, რაც რეალური თვალსაზრისით ეს ნაბოძარი ვასალის ხელით იყო ნაშოვნი. ბიზანტიის ეს ბოძებები ხორციელდებოდა იმ საკმაოდ კარგად ცნობილი პრინციპით, რომელსაც ბიზანტიური ფეოდალური ურთიერთობების ენაზე „სიცოცხლისვადიანი ბოძება“ ეწოდებოდა და პირობითი საკუთრების ერთ-ერთ ძირითად სახეს წარმოადგენდა.

რა თქმა უნდა, ბიზანტიის ამ იურიდიულ სტატუსს ქართველები რეალურად თავიანთ შეხედულებებს უპირისპირებდნენ, რომლის თანახმადაც ის, რაც ქართველთა ხმლით ნაშოვნია, საბოლოოდ მშოვნელთა საკუთრებაა. ამ შემთხვევაში ქართველები ამოდიოდნენ თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური წარმოდგენებიდან, რომელიც არც თეორიულად, და არც, რა თქმა უნდა, რეალურადაც არ ემთხვეოდა ბიზანტიურ ფორმულებს. ამიტომაა, რომ წყაროებში ესა თუ ის მოვლენა ერთი შეხედვით გაორებულადაა დახატული და პრაქტიკულად ანტიბი-

ზანტიურადაცაა გადმოცემული. მაგალითად, სუმბატ დავითის ძის ცნობა აშოტ დიდი კურაპალატის განმტკიცების შესახებ მესხეთის მხარეებში[8].

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეისათვის ჩვენ ისიც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რატომ იყვნენ ასე დაინტერესებული ქართველები ბიზანტიასთან ერთად აქტიურად ყოფილიყვნენ ჩაბმულები საამიროებისათვის ბრძოლის პროცესში. რა იზიდავდა ამ მხარეებში როგორც ერთ, ასევე მეორე მხარეს?

ეს, საამიროების ზონა, მცირე აზიაში გაბატონებისათვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პლაცდარმი იყო და, ბიზანტიის პოლიტიკურ მესვეურთა აზრით, არაბების წინააღმდეგ აღმართულ ფორპოსტებს წარმოადგენდა. ამიტომაცაა, რომ მას საიმპერატორო ხელისუფლება უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა[9]. ასეთსავე მნიშვნელობას ინარჩუნებდა ზემოაღნიშნული მხარე მომდევნო ხანებში. XI ს. ბიზანტიური პოლიტიკის დეკადანსი მცირე აზიაში სწორედ ზემოაღნიშნული მხარეების დაკარგვაში და აქ თურქი სელჩუკების დამკვიდრებაში გამოჩნდა.

ქართველებისათვისაც ბასიან-თეოდოსიუპოლის მხარეებში და ვანის ტბის სანაპირო ზონაში ფეხის მოკიდება მოასწავებდა ბუფერული ტერიტორიების მოპოვებას ბიზანტიურ-სომხურ-არაბულ სამყაროში, ამ ძალებთან მიმართებაში უპირატესობის მოპოვებას.

აღნიშნული მხარეებისადმი ინტერესს ეკონომიკური საფუძველიც განაპირობებდა. იგი გულისხმობდა უმნიშვნელოვანესი სავაჭრო მა-

---

[8] სუმბატ დავითის ძე ხაზგასმით მიგვითითებს იმის შესახებ, რომ მესხეთში დამკვიდრებული აშოტის უფლებები განმტკიცებულ იქნა ღმრთის და ბერძენთა მეფის მიერ (იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 376), მაგრამ იქვე საგანგებოდ გვახსენებს, რომ აშოტმა ზოგი სოფლები „იყიდა სოფლოთა და ზოგი ოკერი აღაშენა" (იქვე). დანარჩენები კი, როგორც მემატიანის თხრობითა ჩანს, რა თქმა უნდა, ხმლით იშოვნა და დამკვიდრა (იქვე).

აშკარაა, სუმბატს სურს გვიჩვენოს, რომ აშოტის მიერ მისი ახალი სამფლობელოები ნაშოვნი იყო იმ გზით, რაც მათ სამამულო საკუთრებას განაპირობებდა. ივ. ჯავახიშვილის მართებული დაკვირვებით, ნასყიდი, მოშენებულ-გაკაცრიელებული და ხმლით ნაშოვნი საკუთრება სამამულე იყო. ივ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, თბ., 1929, გვ. 402—406.

[9] ამ საამიროთა ლოკალიზაცია-ისტორიისათვის იხ. A. T e r-G e v o n d y a n. The Arab Emirates in Bagratid Armenia. Lisbon, 1976. კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვებით, მაგალითად, თუ ეს „სამი ციხე — ხლიატი, არზე და პერკრი (ხლათ—არჭეში — ბერქრი — შ. ბ.) მეფის (ე. ი. კეისრის) ფლობაში იქნება, სპარსელთა (ე. ი. არაბთა) ჯარი რომანიის წინააღმდეგ წამოსვლას ვერ შეძლებს, რადგან ისინი რომანიისა და არმენიის შუაში არიან და წარმოადგენენ ჯარებისათვის ღობესა და საფარს" (გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ. II, თბ., 1952, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. გვ. 253).

გისტრალებისათვის ბრძოლასაც. აქ, ხსენებულ რეგიონში მდებარეობდნენ იმ დროის აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი სავაჭრო ცენტრები და მაგისტრალები, რომლებიც საბოლოოდ ტრაპიზონში იყრიდნენ თავს და ბიზანტიასთან აკავშირებდნენ აღმოსავლეთს. შესანიშნავად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ საამიროების მიწებს ქართველთა პოლიტიკურ გეგმებში, რატომ ცდილობდნენ ტაოელები X ს-ში აქ ფეხის მოკიდებას. მაგალითად, დავით კურაპალატისადმი ბიზანტიის მიერ 978 წ. ბოძებული კარინი და ხალტოარიჭი[10] ტრაპიზონისაკენ მიმავალ კარებს წარმოადგენდნენ. დავითის სამფლობელოებში, მას რომ ებოძა, მდებარეობდა არწნი[11], რომელიც სწრაფად იზრდებოდა, მალე კი ანისსა და კართან ერთად გადაიქცა ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო ცენტრად[12].

დავითისავე ტერიტორიების მეშვეობით ხდებოდა ზემოხსენებული მხარეების დაკავშირება ქართველთა სამეფოს ზონასთან იმ არტანუჯის მეშვეობით, სადაც მოედინებოდა საქონელი სირიის ყველა ქვეყნიდან და ტრაპიზონიდან[13]. დავითისათვის ნაბოძებ ჰარქისა და აპაჰუნიქის მხარეშივე მდებარეობდნენ ისეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრები, როგორიცაა: ვანი, ვოსტანი, არჭეში, მანზაკერტი, ხლათი, ბალეში, არზნი და სხვა...[14].

ეს ადგილები ისედაც მდიდარ მხარეებს წარმოადგენდნენ თავიანთი ბუნებრივი რესურსებით, სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის პროდუქციით. ამიტომ როგორც ქართველთა, ასევე ბიზანტიელთა ხელისუფლებს ეს მიწები თავიანთი მსახურეული პირებისათვის გადასაცემად და, ამ გზით, საკუთარი პოზიციების განმტკიცებისათვის ესაჭირო-

---

[10] Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика по прозванию — писателя XI столетия, с. 135.

[11] აქ მოღვაწეობდა, მაგალითად, დავით კურაპალატის ახლობელი პიროვნება იოვანე ჩორდვანელი, რომელსაც არწნში საგანგებო ჯვარიც კი აღუმართავს. იხ. N. Adontz, Thornik le moine. Etudes armeno-byzantines, p. 309.

[12] Я. А. Манандян. О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, Ереван, 1954, с. 215—216.

[13] კონსტანტინე იმპერატორის სიტყვებით, „არტანუჯში" მოდის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა და არმენიისა და სირიის ყველა ქვეყნიდან" (გეორგიკა, IV, 2, გვ. 278—279). როგორც გარკვეულია, ჩვენთვის საინტერესო ხანაში არტანუჯი წარმოადგენდა ერთ-ერთ უმთავრეს პუნქტს „ახალქალაქობის" წარმოშობის ხანაში (IX—XI სს.). გაკვალულ ცნობილ სავაჭრო მაგისტრალზე: თბილისი-სამშვილდე-ახალქალაქი-არტაანი-არტანუჯი-ხოფა-ტრაპიზონი. ეს მაგისტრალი ქართველთა სამეფოს ტერიტორიაზე გადიოდა და ქართველთა მიწებს ბიზანტიურ-დასავლურ სამყაროსთან ვაჭრობა-ალებმიცემაში აბამდა. ამ სავაჭრო მაგისტრალის შესახებ იხ. ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. II, თბ., 1970, გვ. 87—96.

[14] Я. А. Манандян. О торговле..., с. 219.

ებოდათ. ჩვენ, მაგალითად, პირდაპირი მითითებაც კი გაგვაჩნია იმის შესახებ, თუ როგორ დაასახლა დაპყრობილი მანაზკერტის მხარეში დავით კურაპალატმა თავისი ხალხი — ქართველები და სომხები[15].

მოპოვებულ ტერიტორიებზე ტაოელი მოღვაწეები ენერგიულად საქმიანობდნენ: ჯგუფურად სახლდებოდნენ და ამასთანავე საფუძველს უყრიდნენ ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ წესს, რის ერთ-ერთ გამოხატულებასაც წარმოადგენდნენ ახალი საეპისკოპოსო ცენტრების, მაგალითად, ვალაშკერტის სამწყსოს[16] დაარსება. ისინი ხომ ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობისა და იდეოლოგიის ბურჯები იყვნენ.

ასეთ ვითარებაში ტაოელი მოღვაწეების საქმიანობაში ქართულმა ენამ იმთავითვე მეტისმეტად აქტიური იდეოლოგიური და სახელმწიფოებრივი ფუნქცია შეიძინა. ის არა მარტო ქართული ფეოდალური სამყაროს შიდასამოქმედო ენას წარმოადგენდა, არამედ ფართოდ ემსახურებოდა მის საეკლესიო და საერთო-პოლიტიკურ ამოცანებს იმ ზონაში, სადაც არაქართული ელემენტები საკმაოდ მძლავრად დომინირებდნენ ქართულის გვერდით. ასეთი ვითარება კარგად გვიხსნის, თუ რატომ იყო, რომ ტაოელები, კერძოდ, დავით დიდი კურაპალატი და პირველი ათონელები ასეთი თავგადადებული მზრუნველები იყვნენ ქართული ენისა და მწერლობისათვის, რაც ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიაში კარგადაა აღწერილი[17].

ამ ასპექტის ისტორიულ ჭრილში განხილვა, ვფიქრობთ, კარგად გვიჩვენებს ათონის ქართველთა ცენტრის პოლიტიკურსა და კულტურულ დანიშნულებას, გვაგებინებს, თუ რა როლი შეასრულა მან ისტორიულ ფონში ნაგულისხმევ საკითხთა მსვლელობაში.

X ს. 70-იანი წლების დამდეგისათვის ტაოს სამეფო სამხრეთიდან უკვე კარგა ხანია მოიცავდა კარინის ჩრდილოეთ სანახებს, 978 წელს კი მისი ტერიტორიები კიდევ უფრო გაიზარდა, რამდენადაც ბიზანტიის საიმპერატორო ხელისუფლებამ დავით კურაპალატს ახალი ტერი-

---

[15] „დავითმა, — ვადმოგვცემს სტეფანოს ტარონელი, — მას შემდეგ, რაც მოკვდა ბადი... ალყა შემოარტყა მანასკერტს და შიმშილითა და მახვილით აიძულა იგი დანებებულიყო. მან გადმოიყვანა იქიდან ტაჩიკები და გაუშვა და აავსო ქალაქი სომეხი და ქართველი მცხოვრებლებით, რომლებიც მის ძალაუფლებას აღიარებდნენ. Всеобщая история Степаноса Таронского..., с. 191.

[16] ამ საეპისკოპოსოზე იხ. ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ქოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წ., პარიზი, 1938, გვ. 78—80, 86—87.

[17] ლ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980, გვ. 186—218.

ტორიები უბოძა არაქს-ევფრატის ხეობებსა და ვანის ტბაზე[18], რომელთა ერთი ნაწილის დაპყრობისათვის იგი შემდგომში დიდხანს იბრძოდა.

ტაოელთ-ბიზანტიელთა ურთიერთობაში ეს ის ხანაა, როცა ბიზანტიას ჯერ სათანადო საფუძველი არა აქვს ტაოს ანექსიაზე იფიქროს, რასაც იგი შემდეგში ენერგიულად ცდილობს.

ზემოაღნიშნული ტერიტორიების ახალი ბოძება უკავშირდება ტაოელთა მონაწილეობის ფაქტს ბარდა სკლეროსის აჯანყების ჩაქრობაში, რაც საკმაოდ ფართოდ იქნა ასახული ძველ საისტორიო წყაროებში. ამ საკითხის სწორად წარმოდგენას უშუალო კავშირი აქვს ტაოელთა საერთო-პოლიტიკური მოღვაწეობის მიმართულებასთან, ათონის ისტორიული ფონის ერთ-ერთ კომპონენტთან.

კარგა ხანია ყურადღება მიექცა იმ ფაქტს, რომ 977—978 წწ. ბარდა სკლეროსის აჯანყების ჩაქრობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ტაოელთა ლაშქარმა, რომელმაც თვალსაჩინო როლი შეასრულა საიმპერატორო ხელისუფლების გადარჩენის საქმეში.

ინტერესთა ურთიერთდამთხვევა იყო საფუძველი ტაოელთა და ბიზანტიელთა საერთო მოქმედებისა სკლეროსის წინააღმდეგ, რომელიც მოკავშირეთა წარმატებით დაგვირგვინდა.

ტაოსა და ბიზანტიას შორის ამ ეტაპზე სრული ჰარმონია სუფევდა ტრადიციული იურიდიული სტატუსის საფუძველზე. ათონის ქართველთა მონასტერი იმ მატერიალური საფასურით იქნა აგებული, რაც ტაოელებმა ბარდა სკლეროსს და მის მომხრეებს წაართვეს. ნაწილი ამ ფასეულობიდან კი ბიზანტიის მიერ იყო ნაბოძები...[19].

ყოველივე ზემონათქვამი კარგად გვიჩვენებს, თუ როგორ და რა ვითარებაში მოხდა, რომ ათონზე იმთავითვე ტაოელთა იდეები ბატონობდნენ. იქ მყოფნი ხომ ტაოს სახელმწიფოს აქტიური მშენებლები იყვნენ.

ათონის ქართული ცენტრის ისტორიის ყოველმხრივ ცოდნას ის გარკვეული მნიშვნელობა გააჩნია, რომ იგი ერთგვარად ტაოელების პოლიტიკური და იდეოლოგიური საკონსულო იყო ბიზანტიაში, სადაც ხშირად წყდებოდა ქართველთ-ბიზანტიელთა საურთიერთობო საკითხები. გავიხსენოთ თუნდაც ის სიტუაცია, როცა ათონელ ქართველთა მეშვეობით მიმდინარეობდა მოლაპარაკება სკლეროსის წინააღმდეგ დავით კურაპალატის მომავალი ლაშქრობის შესახებ.

---

[18] ეს ტერიტორიები, „ზემო ქვეყნები" (იხ. „ცხოვრება იოვანესი და ეფთვმესი". ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. II, ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1967, გვ. 48), კონკრეტულობაში ითვლიდა: კარინს, სევუქის ციხეს მარდალიაში, ბასიანს, ხალტო-არიჟს კლისურითურთ, ჰარქსა და აპაჰუნიქს (იხ. Всеобщая история Степаноса..., с. 135).

[19] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 188—189.

X საუკუნეშივე, როგორც ცნობილია, მიმდინარეობდა ქართველთა სამზადისი ბიზანტიისაგან ყოველგვარი დამოკიდებულების უარსაყოფად. კულტურულ სფეროში იგი გულისხმობდა ქართველთა მაღალი ეთნიკური შეგნების ფორმირებას, იმ შეგნების განმტკიცებას, რომ ქართველები ქრისტიანული აღმოსავლეთის ისეთივე სრულუფლებიანი წევრები არიან, როგორც ბიზანტიელები. ამ იდეური მიმდინარეობის მესვეურთა შორის იმთავითვე ინერგებოდა ქართული ენის კულტი და მისდამი უდიდესი პატივისცემის აზრი[20].

ათონელები ამ იდეურ მოძრაობაში თავის სიტყვას ამბობდნენ.

ტაოელთა თავგადასავლის გათვალისწინება საინტერესო სურათს გვიხატავს არა მარტო წმინდა ისტორიული ფაქტების გასაგებად, არამედ ათონელთა წრიდან გამოსული ლიტერატურული ნაწარმოებების რეალისტური ძირების დასადგენად, იმის წარმოსადგენად, თუ რამდენადაა მათში დაცული თანაფარდობა რეალურსა და წარმოსახულს შორის. ჯერ კიდევ ნ. ადონცი გიორგი მთაწმინდელისეული „იოვანესა და ეფთჳმეს ცხოვრების“ ცნობების ისტორიული ღირებულების უარყოფას იმ არგუმენტზე დაფუძნებით ცდილობდა, რომ ამ ნაწარმოებში თითქოს ფანტასტიკური ფერებითაა დახატული ის მომენტი, თუ როგორ ეურჩებოდა თორნიკე იმპერატორის კარის მოხელეებს, რომლებიც მას სასახლეში ეპატიჟებოდნენ მოსალაპარაკებლად. მისი აზრით, ასევე დაუჯერებლადაა გადმოცემული, თუ როგორ სთხოვს დედოფალი თავის მცირეწლოვან შვილებს ბასილისა და კონსტანტინეს ფეხქვეშ ჩაუვარდნენ თორნიკეს და შემწეობა სთხოვონ სკლეროსისაგან თავდასახსნელად. ნ. ადონცის აზრით, ეს ადგილები ქართული პატრიოტიზმით გაბრუებული ისეთი ავტორის ხელითაა აღწერილი, რომელსაც, ჩანს, არავითარი წარმოდგენა არ გააჩნდა საიმპერატორო კარის გარიგების შესახებ[21].

ჩვენი აზრით, ნ. ადონცი ანგარიშს არ უწევდა იმ ფაქტს, რომ საქმე გვაქვს, პირველ ყოვლისა, მხატვრულ ნაწარმოებთან, სადაც, ბუნებრივია, ბევრი ბელეტრისტული ელემენტია შენახული. მაგრამ ისტორიკოსი ვალდებულია ბელეტრისტული ელემენტები წმინდა ისტორიულისაგან გამოარჩიოს და მისი ღირებულება ამგვარად გაიაზროს.

საინტერესოა ამ თვალსაზრისით იმის წარმოდგენა, თუ რატომ ცდილობს გიორგი მთაწმინდელი იმის ჩვენებას, რომ ტაოელები თავის დროს ფეხსაც კი ითრევდნენ სკლეროსთან უშუალო ბრძოლისაგან.

---

[20] კ. კეკელიძე, კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძველ ქართულ ლიტერატურაში. ეტიუდები ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, თბ., 1957, გვ. 110—124.

[21] N. Adontz. Thornik le moine. p. 302.

თორნიკე საერთოდ არც კი აპირებდა ამ საქმეში გარევას თავის ბერობაზე მითითებით. არც დავით კურაპალატი დააპირებდა რასმე, საგანგებო თხოვნა და უხვი დაპირებები რომ არ შემოეთვალათ მისთვის... და ყველაფერი ეს ხდებოდა ისეთ ვითარებაში, როცა დავით კურაპალატი ამის გარეშეც საკმაოდ მტრულად უნდა ყოფილიყო განწყობილი სკლეროსის მიმართ. თანაც, გიორგი მთაწმინდელისავე მიხედვით, იმავე ბიზანტიაში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი შემწე დავით კურაპალატის მეტი არავინ იყო.

ჩვენი აზრით, ტაოელებისადმი თხოვნის პასაჟების შემოტანა გარკვეული ლიტერატურული ხერხია. მას სურს გაამუქოს ბიზანტიის შინაპოლიტიკური მდგომარეობის სურათი და ერთგვარად ფონი მოუმზადოს ტაოელთა მომავალი ლაშქრობის მოთხრობას ბარდა სკლეროსის წინააღმდეგ. ათონელი ავტორი ცდილობს ამ გზით ერთგვარი იკონოგრაფიული სურათი შექმნას დავით კურაპალატისა და თორნიკესი, რომელმაც უშუალო ამაგი დასდო ათონის ქართველთა მონასტრის დაარსებას.

ასეთი განწყობილება სავსებით გასაგებია ათონელი ავტორისაგან. ამასთანავე თხზულების დაწერის ხანაში[22] საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობები დამძიმებულია ბიზანტიის აგრესიის ისეთი შედეგებით, როგორიცაა ტაოს სამეფოს ანექსია ბასილი II-ის დროს[23], ბიზანტიის გაუთავებელი აგრესიული აქტები ქართველთა მიწების მიმართ[24] და სხვ. ამგვარ ვითარებაში ათონელი პატრიოტი ავტორის თხზულებაში პოლიტიკურადა ჟღერს მითითება იმის შესახებ, თუ რა დიდი როლი მიუძღოდათ ქართველებს თავის დროს ბასილი II-ის ტახტის გადარჩენაში. აქ ისიც იგულისხმება, რომ მთელი ტაოს მიწები ქართველთა მიერ „ხმლით იყო ნაშოები“ და ამდენად მათსავე საკუთრებას წარმოადგენდა. საოცარი რომანტიკულობით ჟღერს მოგონება ტაოს სამეფოს სიძლიერეზე, იმ ქართულ სამყაროზე, რომლის კონკრეტული წარმომადგენლები ქართველი ათონელებიღა არიან.

ავტორის ეს იდეა არც ერთ შემთხვევაში ისტორიული ფაქტების გაყალბებით არ მიიღწევა, რისი დადგენაც საკმაოდ კარგად შეგვიძლია საკონტროლო მასალებით.

ქართველ ათონელთა ლიტერატურული პროდუქციის ყოველმხრივი განხილვა ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობების კომპლექსურად წარმოდგენის ფონზე, არა მარტო კულტურული დამოუკიდებლობი-

---

[22] დაიწერა იგი გიორგი მთაწმინდელის ათონზე მოღვაწეობისას, ე. ი. (1040—1056წწ.,) (კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 219—220).

[23] ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970—1070 წწ. თბ., 1968, გვ. 89—164.

[24] იქვე, გვ. 164—220.

სათვის ბრძოლის საერთო სქემის, არამედ ქართულ-ბიზანტიური პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ურთიერთობების მოდელის, მისი ევოლუციის გათვალისწინებით, მრავალ საინტერესო ფურცელს გადაგვიშლის ათონელთა შემოქმედებითი პროცესის, მათი თხზულებების სიუჟეტური და იდეოლოგიური შინაარსის მართებული წარმოდგენისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველო და ბიზანტია

(პოლიტიკურ ურთიერთობათა ერთი მთავარი დეტალის გარკვევისათვის)

ქართულ-სომხური წყაროების ერთობლივი მითითებით, ბასილი II-ის დროინდელი ბიზანტიის საიმპერატორო კარი დავით დიდ ტაოელს (+1000) ბარდა სკლეროსის აჯანყების ჩაქრობაში მონაწილეობის საზღაურად შეჰპირდა ვრცელი ტერიტორიის „დათმობას"[1], რაც აასრულა კიდევაც[2].

ეს „დათმობილი" მიწები, რომელსაც ქართული ტრადიცია „ზემო ქვეყნების"[3] სახელით იცნობს, ასოღიკის მიხედვით, მოიცავდა: კარინს, ხალტო-არიჭს კლისურითურთ, ბასიანს, სევუქს, ჰარქს და აპაჰუნიქს[4]. აღსანიშნავია, რომ ეს მხარეები დავითს დაეთმო თუ მიეცა „სიცოცხლის ვადით" („რაჲთა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ"[5]), ე. ი. დავითი მათი დროებითი მფლობელი გახდა.

აღნიშნული ბოძება მოხდა ბარდა სკლეროსის აჯანყების ბოლო მომენტში (978), თუმცა როგორც სხვა წყაროებიდანა ჩანს, ეს ტერიტორიები მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, დავითს და მის წინაპრებს ადრევეც ეკუთვნოდათ. როგორც დასტურდება, ქართველ ბაგრატიონებს უკვე X ს-ის პირველი მეოთხედიდანვე მიუწვდებოდათ ხელი კარინის მიწა-წყალზე[6]. ამავე საუკუნის შუა ხანებიდან კი ისინი

---

[1] Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика по прозванию, писателя XI столетия — переведена с армянского и объяснена Н. Эминым. М., 1864, с. 135.

[2] იქვე.

[3] გიორგი მთაწმინდელი. ცხოვრება იოვანესი და ეფთვმესი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. II (XI—XV სს.), ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ., 1967, გვ. 48.

[4] Асохик, с. 135.

[5] ცხოვრება იოვანესი და ეფთვმესი..., გვ. 48.

[6] იქვე, გვ. 15.

ფლობდნენ ბასიანის იმ ნაწილს, რომელიც იბერიისკენაა პირმოქცეული და ბიზანტიური სექტორისგან მდ. არაქსითაა გამოყოფილი[7].

აღნიშნული ზონა მისი მმართველობის პირველი დღეებიდანვე დავით ტაოელის ხელში ჩანს. როგორც ირკვევა, დავითს ეს „ქვეყნები" მიცემული აქვს X საუკუნის 60-იანი წლებისათვის იმპერატორ ნიკიფორე ფოკას (963—969) მიერ[8], თუმცა, რა ოდენობით, ეს არა ჩანს.

სხვა ცნობების მიხედვითაც დავითს ჰქონდა სამფლობელოები როგორც ტაოში[9], ასევე ბასიანში, კოლა-არტანში, ჯავახეთსა და შავშეთში[10], ქართველთა ამ ძველ სამკვიდრო მხარეებში. ამ ცნობებით დასტურდება, რომ ბარდა სკლეროსის წინააღმდეგ ბრძოლის საფასურად დათმობილი ტერიტორიების ერთი ნაწილი, რომელიც ბიზანტიის მიერ სიცოცხლის ვადით მიეცა, დავით დიდს 978 წლამდეც ეკუთვნოდა.

რაც შეეხება დათმობილი ტერიტორიების მეორე ნაწილს, ჰარქსა და აპაჰუნიქს, ისინი „დათმობის" დროისათვის ეკუთვნოდა ამირა ბადი იბნ-დასტაკს[11].

ჰარქი და აპაჰუნიქი, რომელთა პოლიტიკურ ცენტრსაც ქ. მანაზკერტი წარმოადგენდა, IX საუკუნის 50-იან წლებიდან მოექცა სულაიმიტების ხელში (ე. წ. მანაზკერტის საამირო). სომეხთა მეფის სუმბატ ტიეზერაკალის (+914) სიკვდილის შემდეგ კი მანაზკერტში კარინსა და ტარონთან ერთად დამყარდა ბიზანტიის გავლენა, თუმცა ეს დიდხანს არ უნდა გაგრძელებულიყო, იმავე X საუკუნის 60-იან წწ. მანაზკერტის ზონაში აქტიურდებიან ჰამდანიანები; ცოტა მოგვიანებით კი ყაისიტების ყოფილი სამფლობელოები გადადის მერვანიანების ქურთული საგვარეულოს ხელში[12]. ბადი იბნ-დასტაკიც ამ საგვარეულოს ეკუთვნოდა[13].

ყოველივე ეს ნიშნავს, რომ 978 წელს ჰარქისა და აპაჰუნიქის გადაცემა ბიზანტიას რეალურად არავისთვის შეეძლო იმ მიზეზით, რომ ისინი მას არ ეკუთვნოდა.

---

[7] ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა, წ. IV, ნაკვ. II, თბ., 1952, გვ. 271.

[8] ვ. კოპალიანი. საქართველოს და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობათა 970—1070 წწ., თბ., 1969, გვ. 23—24.

[9] სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 384—385. მატიანე ქართლისა, ქ. ცხ., გვ. 228.

[10] იქვე, გვ. 288, 384—385.

[11] N. Adontz. Thornik le moine. Etudes armeno-byzantines, Lisbonne, 1965, p. 304.

[12] А. Тер-Гевондян. Арабские эмираты в Армении при Багратидах. Краткие сообщения института народов Азии, 47, 1961, с. 74.

[13] N. Adontz. p. 304.

მაშ რა შეიძლებოდა ყოფილიყო ბიზანტიის მიერ დავით დიდისადმი ტერიტორიული დათმობების აქტი, როცა „ბოძებული“ მხარეების ერთ ნაწილზე დავითს ადრევეც მიუწვდებოდა ხელი, ხოლო მეორე ნაწილს, აგრეთვე, თავისი პატრონი ჰყავდა.

აღნიშნული კითხვა მკვლევრებს სხვადასხვანაირად აქვთ გაგებული.

მაგალითად, მკვლევართა უმეტესობას 978 წლის „დათმობები“ არსებითად ისე წარმოუდგენია, თითქოს დავით დიდმა ბიზანტიისაგან ახალი ტერიტორიები მიიღო, რასაც მოჰყვა მისი სამფლობელოების გაზრდა[14]. არსად ეს მკვლევრები არ ცდილობენ „დათმობების“ იურიდიული შინაარსის განსაზღვრას, რის გამოც ფაქტიურად გაუგებარი რჩება, თუ როგორ უბოძებს ბიზანტია დავით დიდს იმას, რის ერთი ნაწილიც ამ უკანასკნელს ადრევეც აქვს, მეორე კი სხვას უპყრია. ამ გაუგებრობას განსაკუთრებით თვალში საცემად ხდის ის გარემოება, რომ, ერთი მხრივ, დავითს 978 წელს მიღებული აქვს ჰარქი და აპაჰუნიქი, მეორე მხრივ კი იგი მოგვიანებით, მათ დასაპყრობადაც იბრძვის. ბუნებრივია, კითხვა ისმის: თუ ბიზანტიამ ჰარქი და აპაჰუნიქი დავით დიდს თავისი საქონებლიდან გამოუყო და მისცა, რაღა საჭირო იყო მათი ომით დაკავება?

ზემოაღნიშნული წინააღმდეგობა ზოგიერთ მკვლევარს აფიქრებინებს ეჭვი შეიტანოს ასოლიკისა და გიორგი მთაწმინდელის ცნობათა ჭეშმარიტებაში 978 წლის „დათმობათა“ შესახებ[15].

ამ თვალსაზრისის ტიპიური გამომხატველია ნ. ადონცი. მას მიაჩნია, რომ დავით დიდს, მაგალითად, კარინი, ბასიანი, ხალტო-არიჭი და მისი კლისურები ანუ თანამედროვე ბრნაკაპანი 978 წლამდეც ეკუთვნოდა[16]. დავითსავე ეკუთვნოდა ჩორმაირიც, ჭოროხის თავში, სადაც თორნიკე დიდის ძმები მმართველობდნენ[17]. ჩორმაირისა და ხალტოარიჭის ქალდიასთან მეზობლობის გამო ამ ძმებს ქალდიის მთავრებს უწოდებდნენ[18].

---

[14] ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბ., 1946, გვ. 158; С. Джанашиа. Об одном примере искажения исторической правды. По поводу книги Н. Токарского „Архитектура древней Армении». Тб., 1947, с. 28—29; Н. Ломоури. К истории восстания Варды Склира. თსუ. შრომები, ტ. 67, 1957. გვ. 32; Н. Асатиани, В. Копалиани, Ш. Месхиа, Э. Хоштариа. Некоторые замечания ко второму тому «Истории Византии». „Вопросы истории“. 1969, № 9, с. 179—180.

[15] N. Adontz, დასახ. ნაშრომი, გვ. 301—307.

[16] იქვე, გვ. 304.

[17] იქვე, გვ. 304—305.

[18] იქვე, გვ. 305.

რაც შეეხება ასოლიკის მიერ ჩამოთვლილ სხვა მხარეებს, როგორიცაა ჰარჭი და აპაჰუნიქი, ნ. ადონცის თქმით, ისინი ამირა ბადის ხელში იყო და დავითმა დაიპყრო X საუკუნის 90-იან წლებში მანაზკერტზე ლაშქრობის დროს[19].

აქედან გამომდინარე, ფიქრობს ნ. ადონცი, ტერიტორიის დათმობა, რომელიც გიორგი მთაწმინდელსა და ასოლიკს დამახინჯებული ქრონოლოგიით წარმოუდგენიათ, იმის გამო, რომ მას სიცოცხლითი ვადა ჰქონდა, უნდა მომხდარიყო 991 წელს. ეს ის წელია, როცა ბიზანტიის საიმპერატორო კარის მიერ ბარდა ფოკას აჯანყებაში გარევის გამო შერისხულმა დავითმა განაცხადა, რომ, როცა იგი მოკვდებოდა, მისი სამფლობელოები ბიზანტიის საკუთრება უნდა გამხდარიყო[20]. მაშასადამე, დავითი მხოლოდ 991 წლიდან უნდა გამხდარიყო თავისი მიწა-წყლის მფლობელი სიცოცხლის ვადით და ბიზანტიასაც მაშინ შეეძლო ასოლიკის მიერ ნაბოძებად ნაგულვები მიწების დავითისათვის გადაცემა, რადგანაც ეს მიწები უკვე ბიზანტიის საკუთრებაში იყო მოქცეული[21].

მიუხედავად გარკვეული საბუთიანობისა, ნ. ადონცის კონცეფცია „ბოძებების" თაობაზე მრავალმხრივ მიუღებელია, ვინაიდან მასში მიჩნეულია, რომ „ბოძება" შეიძლება იყოს ისეთი კაპიტალის გაცემა, რომელიც მბოძებელს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში სრულად ეკუთვნის, როგორც იურიდიულად, ასევე ფაქტიურადაც. ეს კონცეფცია ვერ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ბევრი იმ მხარეთაგანი, რომლებიც დავით დიდს, მის წინაპრებსა თუ სხვებს თავის ხელთ ეპყრათ, ბიზანტიასაც გარკვეული თვალსაზრისით თავისად მიაჩნდა და მათი ბოძება-წართმევის უფლებასაც თავის კომპეტენციაში იტოვებდა. ამასთანავე ისიც დგინდება, რომ სიცოცხლის ვადიანობა საერთოდ ახასიათებდა ბიზანტიურ ბოძებებს 978 წლამდეც და რომ სავალდებულო არაა ის ბოძება, რომელსაც სიცოცხლითი ვადა ჰქონდა, ამ ვადის მიხედვით მაინცდამაინც 991 წელს გადავიტანოთ[22]. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მაშინდელი პოლიტიკური წარმოდგენების თანახმად, ბიზანტიას თავის საკუთრებად მიაჩნდა არა მარტო მისი უშუა-

---

[19] N. Adontz, დასახ. ნაშრომი, გვ. 301—307.

[20] იქვე, გვ. 306.

[21] იქვე, გვ. 306—307.

[22] ასევე ეპარება ეჭვი ნ. ადონცის თვალსაზრისში კ. იუზბაშიანსაც, თუმცა არგუმენტებით, არა ჩანს. К. Юзбашян. Аристакэс Ластивертци и его исторический труд. წიგნში „Повествование вардапета Аристакэса Ластивертци". Перевод с древнеармянского К. Н. Юзбашяна. М., 1968, с. 20.

ლო ვასალების მიწები, არამედ იმათიც, რომელთა მიმართაც ბიზანტია გარკვეული პრეტენზიებით იყო განმსჭვალული. ასე უცქეროდა, მაგალითად, იგი ჰარქისა და სხვა „მიწების“ მმართველებს (რომლებშიაც შედიოდა მანაზკერტი, ხლათი, არჭეში და სხვ.). ბიზანტიის ეს შეხედულებები ვრცლად გამოსჭვივის კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობებიდან[23].

როგორც მისგან ირკვევა, იმპერია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ზემოაღნიშნული მხარეების ხელში აღებას, ვინაიდან, თუ ისინი ბიზანტიისა იქნებოდნენ, ბიზანტია დაცული იქნებოდა „სპარსელებისაგან“ (არაბები), რომლებიც ბიზანტიის წინააღმდეგ გამოლაშქრებას ვერ გაბედავდნენ, „ვინაიდან ზემოდასახელებული ციხეები ბიზანტიასა და არმენიას შორის არიან და წარმოადგენენ ჯებირსა და საფარს“[24].

იმისათვის, რომ ზემოაღნიშნული ადგილები, ანუ როგორც მას კონსტანტინოპოლის დიპლომატია უწოდებდა — „აღმოსავლეთი“ — მომავალში ბიზანტიას აეღო, ეს უკანასკნელი წინდაწინვე ქმნიდა კონცეფციას, რომლის მიხედვითაც მთელი „აღმოსავლეთი“ დიდი ხანია თითქოს უკვე ბიზანტიის მოხარკეებს ეკავათ[25]. აქედან გამომდინარე, ის რაც ბიზანტიის მოხარკეებისაა, საბოლოოდ ბიზანტიისაა. ამიტომაც მათ თავისიანს — დავით დიდს აძლევდა. ხოლო თუ დავითი ამ მხარეებს რეალურადაც დაეპატრონებოდა, მაშინ ბიზანტიის ხანდაზმული კონცეფცია ამ მხარეთა მფლობელობაზე უფრო მეტად ხორცშესხმული გახდებოდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნ. ადონცის კონცეფციაში ქართველ ბაგრატიონთა ტერიტორიული სიდიდის სურათიც 978 წლამდე ერთგვარად პრობლემატურია[26].

978 წლის ბოძების აქტზე, მის არსზე თავისი აზრი ჰქონდა გამოთქმული ამ ოთხი ათეული წლის წინ კ. კეკელიძეს. მისი შეხედულებით, ეს ბოძება იმის მსგავსი მოვლენა იყო, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ კონსტანტინე პორფიროგენეტის მიხედვით, რომელიც აღწერს იბერთა

---

[23] М. В. Левченко. Произведение Константина Багрянородного как источник по истории Руси в первой половине X в. „Византийский временник“, 1953, т. VI, с. 29.

[24] გეორგიკა, IV, 2, გვ. 254.

[25] იქვე, გვ. 248—254.

[26] ნ. ადონცის მიხედვით, ჩორმაირისა და ხალტო-არიჭის დავით კურაპალატისადმი კუთვნილება იქიდანა ჩანს, რომ ასოღიკი დავითის ვასალის თორნიკე დიდის ძმებს იხსენიებს ხალდიის მთავრებად, უეჭველია, ჩორმაირისა და ხალტო-არიჭის ხალდიასთან მეზობლობის გამო (N. Adontz, გვ. 305), მაგრამ ამისდა მიუხედავად, როდიდან უნდა ვიგულისხმოთ ისინი ქალდიის მთავრებად, 978 წლამდე, თუ მის შემდეგ, არა ჩანს. ასევე ინფორმაცია გვაკლია იმაზეც, ხელი მიუწვდებოდა თუ არა დავითს სევუქის ციხეზე 978 წლამდე.

მმართველებისადმი „აღმოსავლეთის“ ბოძების ისტორიას X საუკუნის შუა ხანებში[27], მაგრამ აღნიშნული თვალსაზრისი ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთგვარად შეუმჩნეველი დარჩა, ალბათ იმიტომ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებული სხვა დეტალები კ. კეკელიძის ნაშრომში აშკარად პრობლემატურია[28].

ზემოდასახელებული თვალსაზრისის მოდიფიკაციას წარმოადგენს პ. ინგოროყვას შეხედულებაც. პ. ინგოროყვას მიხედვით 978 წლის აქტი წარმოადგენდა დიდ დათმობას ქართველებისადმი ბიზანტიის მხრივ. ჯერ კიდევ X საუკუნიდან, მისი შუა პერიოდიდან, ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის დიდი დავა იყო ატეხილი არაქსის ხეობის მიწებზე. მაგრამ მაშინ ბიზანტია არ თანხმდებოდა მთლიანად ქართველებისად ეცნო ეს მხარეები და მათ საკუთრებად მხოლოდ ბასიანის არაქსს გამოლმა მიწებს სცნობდა, ახლა კი 978 წ. როცა სკლეროსის აჯანყების ჟამს ბიზანტიის საიმპერატორო კარი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა და ქართველები სჭირდებოდა, ბასილი II-ს მთავრობა იძულებული გახდა ქართველებისათვის სადავო მიწები მთლიანადაც დაეთმო საზღაურად[29].

ორივე ზემოდასახელებული — კ. კეკელიძისა, განსაკუთრებით კი პ. ინგოროყვას შეხედულება, რომელიც ძალზე საინტერესოა, რომ 978 წლის ბოძებას წინა ბოძებებს უკავშირებს, იმითია მნიშვნელოვანი, რომ ლოგიკურობის იერი აქვს, მაგრამ ბოძებათა იურიდიულ ფორმაზე არც ამ თვალსაზრისებშია რაიმე გარკვევით ნათქვამი.

978 წლის ბოძების იურიდიულ შინაარსზე უკანასკნელ ხანებში გამოთქმულია ახალი შეხედულებაც, რომლის მიხედვითაც ბიზანტიამ, აღნიშნული ბოძების ძალით, დავით დიდისად სცნო ის ტერიტორიები, რომლებსაც დავითი გაანთავისუფლებდა[30]. ანუ ამ ბოძებების აქტით

---

[27] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. IV, თბ., 1957, გვ. 92.

[28] ასე, მაგალითად, კ. კეკელიძეს მიაჩნია, რომ დავითი გაკურაპალატდა 961 წელს და ამავე დროს ამ პატივთან ერთად ბიზანტიის მიერ მიეცა თავისი ქვეყანა, რაც აისახა კიდევაც „იოვანესა და ეფთვმეს ცხოვრების“ ცნობებში დავითისათვის „ზემო ქვეყნების“ პირველი ბოძების შესახებ (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი., გვ. 32), მაგრამ როგორც წყაროები ადასტურებენ, დავითი გაკურაპალატდა X საუკ. 70-იანი წწ. ბოლოს (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია. თბ., 1949, გვ. 170). „ზემო ქვეყნების“ პირველ ბოძებას კი ადგილი ჰქონდა ნიკიფორე ფოკას (963—969) დროს. ასე, რომ გაკურაპალატება და ქვეყნის ბოძება ერთდროული აქტები არაა.

[29] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა. გიორგი მერჩულე. თბ., 1954, გვ. 524—525.

[30] ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი. საქართველოს და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 36.

დავითმა ფაქტურად უფლება მიიღო დაეპყრო „ბოძებული მიწები“[31].

მიუხედავად ამისა, არც ეს განსაზღვრაა ამომწურავი, ვინაიდან იგი არ ეთანხმება წყაროთა საერთო მონაცემებს. მართლაც, ბოძებული ტერიტორიების ერთი ნაწილი ქართულ-ბიზანტიურ ორბიტაში ისედაც იყო მოქცეული და მათი დაპყრობა საჭირო არ იყო. მაშასადამე, დაპყრობას საჭიროებდა ნაბოძები მიწების მხოლოდ ნაწილი, წყაროს ცნობას კი ბოძებების რაობაზე დათმობა-ბოძების ცნება ყველა მიწის მიმართ ერთნაირად წარმოუდგენია.

მაშ რა პრინციპით შეიძლება მიეცა ბიზანტიას ქართველებისათვის „ზემო ქვეყნები“ 978 წელს, ან რა შეიძლება ვუწოდოთ ამ აქტს საერთაშორისო ურთიერთობათა ლექსიკონით?

ჩვენი აზრით, ამ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ საერთოდ გავითვალისწინებთ იმ იურიდიულ სტატუსს, რომლითაც ამ ხანებში ბიზანტია საერთოდ „ასხვისებდა“ ხოლმე „თავის მიწებს“ აღმოსავლეთში. ამასთან დაკავშირებით დავიწყოთ იმაზე საუბარი, თუ რა ვიცით ჩვენ ქართველთ-ბიზანტიელთა ტერიტორიული ურთიერთმიმართების ისტორიაზე 978 წლის წინა პერიოდში.

როგორც ირკვევა, უკვე IX საუკუნიდანვე ქართლის სახელმწიფო, რომლის პოლიტიკური ცენტრიც აშოტ დიდი კურაპალატის (+826) დროიდან ჭოროხის აუზის მიდამოებშია გადატანილი, ბიზანტიის ვასალურ ერთეულს წარმოადგენდა[32].

ეს სტატუსი ცოცხალია X ს-შიც[33].

უკვე ამ საუკუნის შუა ხანებიდანვე, იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ ფიქსირებულია ხელშეკრულებები, რომლებიც დადებული ყოფილა ბიზანტიასა და ქართველებს შორის და მნიშვნელოვანწილად ტერიტორიული საკითხების რეგულირებასაც ახდენდნენ.

როგორც ამ ხელშეკრულებებიდან ვგებულობთ, იბერიის კურაპალატები ვალდებულნი იყვნენ დარჩენილიყვნენ ბიზანტიის ერთგულებად. მის მტრებს შებრძოლებოდნენ, მეგობრები დაეცვათ, აღმოსავლეთი კი იმპერიის ქვეშევრდომად გაეხადათ[34]. ამავე ხელშეკრულების თანახმად ქართველები ვალდებულნი იყვნენ დაეპყროთ ციხეები და

---

[31] К. Юзбашян. Аристакэс Ластивертци и его исторический труд, с. 20; М. Лордкипанидзе. Из истории грузино-византийских взаимоотношений на грани X—XI вв. კრებულში „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“, II, თბ., 1972, გვ. 34.

[32] შ. ბადრიძე. „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან (ცენტრალური ხელისუფლება). თსუ შრომები, ტ. 113, 1965, გვ. 253—267.

[33] იქვე.

[34] გეორგიკა, IV, 2, გვ. 267—268.

ამით დიდი სამსახური გაეწიათ ბიზანტიისათვის[35]. ხოლო თუ ქართველები ყველაფერ ამას შეასრულებდნენ, ბიზანტიის მხარეც დაპირებას იძლეოდა, რომ ქართველი ხელისუფლები და მათი მემკვიდრეებიც ურყევად დარჩებოდნენ თავიანთი ძალაუფლების მქონედ[36].

როგორც აღვნიშნეთ, ქართველებს ევალებოდათ ეფექტურად დასაქმებოდნენ ბიზანტიას, დაეპყროთ აღმოსავლეთი, რაც ბიზანტიელების პოლიტიკური ენით წარმოადგენდა დიდ ტერიტორიას მცირე აზიის სანაპირო ხაზზე, სადაც X საუკუნის დამდეგისათვის ჯერ კიდევ არსებობდნენ არაბების დეკადანსის პირობებში წარმოშობილი, ბიზანტიური ორიენტაციის მარყუჟში თავგასაყოფად გამზადებული წვრილი პოლიტიკური ერთეულები. აქ შედიოდნენ კერძოდ მანაზკერტ-ხლათის მხარეები, „ავნიკი", „მასტატი", „თეოდოსიუპოლი და მტრის სხვა ციხეები".

იმავე ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ ქართველები უფლებამოსილნი იყვნენ არ დაძრულიყვნენ ამ მხარეებიდან, თუ ისინი მას დამოუკიდებლად ან ბიზანტიელებთან ერთად დაეუფლებოდნენ[37]. აქვე აღნიშნული იყო არსებითად წინა პუნქტების გამომრიცხავი ერთი დეტალი, რომელიც ბიზანტიას ესაჭიროებოდა იმის დასამტკიცებლად, რომ ყველა ის ტერიტორია, რომელიც მისი ვასალების მიერ იყო დაპყრობილი, საბოლოოდ ბიზანტიისავე საკუთრება იყო. ეს ნათლად მჟღავნდებოდა ბიზანტიელთა მოთხოვნაში, რომ ქართველებს არც ერთ შემთხვევაში არ ჰქონდათ უფლება, მაგალითად „თეოდოსიუპოლი და მტრის სხვა ციხეები მბრძანებლობასა და ბატონობაში" ჰქონოდათ[38].

ქართველები ბიზანტიის ორბიტაში ყოფნას ოსტატურად იყენებდნენ თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის ბრძოლაში და, დიდი სახელმწიფოს მფარველობაში მყოფნი, მედგრად უპირისპირდებოდნენ თავიანთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგებს. მიუხედავად ამისა, ისინი არც ბიზანტიას ენდობოდნენ და როგორც კი შეიტყობდნენ, რომ იმპერიის პოზიციების ზრდა მათი პოლიტიკური გეგმების საზიანოდ მიემართებოდა, სწრაფად იწყებდნენ ანტიბიზანტიურ აქციებს. ქართველები ბიზანტიელებს ხელს უშლიდნენ, რომ ისინი არ დაპატრონებოდნენ ქართველთა ხელში მყოფ ზოგიერთ სტრატეგიულ პუნქტს და ზოგჯერ ბიზანტიის მოწინააღმდეგეებსაც კი ეხმარებოდნენ. უფრო მეტიც, ქართველები, ბიზანტიელთა გაგებით, „უკანონოდ" იჩემებდნენ „აღმოსავლეთს" და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა ამ პუნ-

---

[35] გეორგიკა, IV. 2, გვ. 267—268.
[36] იქვე, გვ. 268.
[37] იქვე, გვ. 269.
[38] იქვე, გვ. 263—266.

ქტების მფლობელობაში ბიზანტიელები არ ჩაეზიარებინათ. ამაზე ვრცლად მოგვითხრობს კონსტანტინე პორფიროგენეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, აღნიშნავს ამასთანავე იგი, „ვინაიდან კურაპალატი ჩვენი მორჩილი და მეგობარია, სანდო და მართალი, იყვეს თანახმად მისი მოთხოვნისა ფასიანის საზღვრად მდინარე არაქსი ანუ ფასისი და მარცხენა მხარე, იბერიისაკენ მიმართული, ეპყრათ იბერებს, ხოლო მარჯვენა, რაც თეოდოსიუპოლისაკენ არის, როგორც ციხეები, ისე სოფლები, იყვეს ჩვენი მეუფების ქვეშ, ისე, რომ, მაშასადამე, ორივეს საზღვრად მდინარე (არაქსი, შ. ბ.) იქნება"... „და ქართველებიც — უნდა დაკმაყოფილდნენ ამით და მეტი აღარ მოითხოვონ"..[39].

როგორც ვხედავთ, უკვე X საუკუნის შუა ხანისათვის თვით ბიზანტიელთა აღიარებითაც კი, ქართველ ბაგრატიონებს ეკუთვნით „აღმოსავლეთის" დიდი ნაწილი მდ. არაქსით შემოსაზღვრული, მაგრამ ბიზანტია ქართველებს უთმობს „აღმოსავლეთს" არა საკუთარი სურვილის გამო, არამედ იმიტომ, რომ ეს მიწები მართლაც ქართველების მიერ „ხმლით ნაშოები" ქვეყნებია და ქართველთა რეალური პოზიციებიც აქ ჯერჯერობით უფრო ძლიერი ჩანს, ვიდრე ბიზანტიისა. ისე კი აქვე აღსანიშნავია, რომ თუმცა ქართველებს „ანებებს" „აღმოსავლეთის" ერთ ნაწილს, მაგრამ ამასთანავე აშკარად ქმნის იმის გარანტიასაც, რომ მათ ისინი არ ჰქონოდათ მუდმივ, ე. ი. სამემკვიდრეო საკუთრებად.

მართლაც, ხომ შეიძლება, რომ მომავალში ბიზანტიამ უფრო მოიკიდოს ფეხი ამ მხარეებში, რისთვისაც აუცილებლად დასჭირდება იურიდიული არგუმენტაცია ამ მხარეთა დასაპატრონებლად? ეს არგუმენტები შეიძლებოდა ყოფილიყო ბიზანტიელთ-ქართველთა ხელშეკრულებაში აღნიშნული ის თეზისი, რომლის თანახმადაც ქართველებს არ ჰქონდათ უფლება აღმოსავლეთის მიწები მუდმივ საკუთრებაში ჰქონოდათ.

ჩვენი აზრით, ზემოთ მიმოხილული ბოძებების ანალოგიით შეიძლება წარმოვიდგინოთ დავით კურაპალატისადმი ბიზანტიის მიერ ტერიტორიული დათმობებიც 978 წლისათვის.

ამასთან დაკავშირებით, დავიწყოთ იმისი გახსენებით, რომ X საუკუნის პირველი ნახევრის ცნობების მიხედვით ქართველებს ესა თუ ის მხარე, ჩვენთვის ცნობილი წყაროებით, დროებით საკუთრებად აქვთ გადაცემული. ჩვენ უეჭველად ვიცით ასეთსავე ბოძებაზე X საუკუნის 60-იანი წლებში, როგორც უკვე ვთქვით კიდევაც, მაგრამ ცნობის სიმოკლის გამო მასში ვერაფერს ვიგებთ მფლობელობის ვადის შესახებ.

---

[39] გეორგიკა, IV, 2, გვ. 271—272.

სამაგიეროდ კარგად ვიცით, რომ 978 წლის ბოძებაც დროებითი, სიცოცხლის ვადით იყო.

ახლა თუ გავაგრძელებთ დავით დიდისათვის 978 წლის ბოძების შინაარსში ჩაწვდომას წინა ბოძებების შინაარსის მიხედვით, აღმოჩნდება, რომ ახლაც ბიზანტია დავით დიდს „აძლევდა“ „აღმოსავლეთს“, რომლის ნაწილს დავითი წინაპართაგან ფლობდა. ამის სანაცვლოდ დავითი წინაპრების მსგავსად ებრძვის იმპერიის მტერს, კერძოდ, ბარდა სკლეროსს და იმპერიის რიგ პროვინციებსაც კვლავ ბიზანტიის იმპერატორების ხელში აბრუნებს.

წინაპრების მსგავსად დავითი, როგორც ბიზანტიის მოხელე, იბრძვის მანაზკერტისა და მისი მეზობელი მხარეების ხელში ჩასაგდებად[40]. და ამავე დროს თავისი წინამორბედების მსგავსად ყველაფერს, რასაც დაეპატრონება, თავის მუდმივ საკუთრებად უპირებს ქცევას.

ნათქვამიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ 978 წლის ბოძებაც სტრუქტურული თვალსაზრისით წარმოადგენდა ადრინდელი ბოძებების, ამ ბიზანტიელთ-ქართველთა ურთიერთობების მარეგულირებელი ღონისძიებების რატიფიკაციას, რომელიც გარკვეულ მომენტში სათანადოდ შეესაბამებოდა როგორც ბიზანტიის, ასევე ქართველთა მხარის ინტერესებსაც.

მაშასადამე, 978 წლის აქტით ბიზანტია დავით დიდს აღმოსავლეთს უთმობდა გავლენის სფეროდ, სცნობდა დავითის უფლებებს იმ მხარეში, ოღონდ, რა თქმა უნდა, დროებით. გავლენის სფეროდ მიცემა კი გულისხმობდა იმ მხარეების დათმობას, რომელნიც მბრძანებელს რეალურად ეკუთვნოდა და რომელთაც იგი მომავალში დაიპყრობდა.

978 წლის ბოძებების მიმართ მსჯელობისას შესაძლო ხდება იმ დასკვნის გამოტანა, რომ ბიზანტიის საიმპერატორო კარი „ზემო ქვეყნებს“ იძლეოდა იმ წესით, რაც ბიზანტიის სოციალურ-ეკონომიკურ წყობილებაში ცნობილი იყო როგორც „სიცოცხლისვადიანი საკუთრება“[41]. ეს ფორმა იმპერიაში პირობითი მიწისმფლობელობის ერთ-ერთ გავრცელებულ სახეობას წარმოადგენდა[42].

აქვე, ბუნებრივია, შენიშნულ იქნას, რომ X საუკუნის ეს ბოძებები დროდადრო გულისხმობდნენ ამ გავლენის სფეროების ხან გაფართოებას, ხან კი შეზღუდვას. იმისდა მიხედვით, თუ როგორ იცვლებო-

---

[40] Асохик..., დასახ. თხზ., გვ. 191—196.

[41] А. П. Каждан. Формы условной собственности в Византии X—XI вв., М., 1960, с. 2—3.

[42] იქვე.

და პოლიტიკურ ძალთა განლაგება ბიზანტიელთ-ქართველთა ურთიერთობებში, საერთოდ, და აღმოსავლეთის საკითხში, კერძოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო, იქიდანაც ჩანს, რომ 978 წელს ბიზანტია ქართველთა ხელში გადასაცემად გაცილებით დიდ ზონას გულისხმობდა, ვიდრე წინა პერიოდის აქტებში. თუ, მაგალითად, წინა პერიოდში ქართველებს ეძლეოდათ არაქსის ჩრდილოეთი, ახლა მათ გაცილებით უფრო დიდი ტერიტორია ეძლეოდათ, თვით ჰარქი და აპაჰუნიკიც, ე. ი. ფაქტიურად — მთელი „აღმოსავლეთი“.

ამის შემდეგ დაგვრჩენია მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად საკმაოდ შეზღუდული უფლებებისა, დავითი მაინც არ გრძნობდა თავს შებოჭილად და ძველი პოლიტიკური სტრატეგიის მიდევნებით „აღმოსავლეთს“ თავის მუდმივ საკუთრებაში უპირებდა მოქცევას.

მისი ასეთი განწყობილება კარგად გამომჟღავნდა იმ შინაფეოდალური ომის ჟამს, რომელიც გაჩაღდა ბიზანტიის საიმპერატორო ტახტისათვის ბარდა ფოკას ცნობილი აჯანყების დროს 989 წელს[43].

ამ აჯანყების დროს დავით დიდმა ფოკას მხარე დაიჭირა[44].

ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით დავითის იმდროინდელი გეგმების შესახებ. მაგრამ თუ საერთოდ ეპოქის და თვით დავითის პოლიტიკურ ფიზიონომიას გავითვალისწინებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ მას, ეტყობა, იმ ხანებში ეჭვი არ ეპარებოდა ბარდა ფოკას საბოლოო გამარჯვებაში და იმის მომხრეობას ირჩევდა, ვისაც, მისი აზრით, მომავალი ყველაზე მეტად ამზადებდა იმპერიის ტახტზე ასასვლელად.

დავითისნაირი რეალისტისათვის ეს იყო ერთადერთი შესაძლებელი არჩევანი, მაგრამ ყველაფერი ბარდა ფოკას დამარცხებამ შეცვალა და დავით დიდიც იძულებული გახდა პასუხი ეგო ღალატისათვის — მან ხომ იმპერატორის მტრებთან შებრძოლების ნაცვლად მოყვრობით გამოიჩინა თავი?

დავით დიდის საქციელზე ბარდა ფოკას აჯანყების ჩავარდნის შემდეგ საგანგებოდ ყვება იაპია ანტიოქიელი. იგი წერს: ბასილი II განრისხებული დარჩა დავითზე, რადგანაც იგი ბარდა ფოკას მიემხრო, ამიტომ ბასილიმ „გააგზავნა მხედრები მასთან (ე. ი. დავითთან) საბრძოლველად ერთი პატრიკიოსის, სახელად ჯაყ-რუსის სარდლობით და გაემართა იგი ბაგრატის ძმებზე და მოჰკლა უფროსი მათგანი, ხოლო უმცროსი გადაასახლა. და ითხოვა დავითმა, ქართველთა მეფემ, მეფე ბასილთან შენდობა თუ პატიება და აღუქვა მას მორჩილება“ და „რომ მისი სამფლობელოები მისი სიკვდილის შემდეგ შეერთებუ-

---

[43] ამ აჯანყების შესახებ იხ. „История Византии“, т. 2, изд. „Наука“, М., 1968, с. 219.

[44] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 128.

ლი იქნებიან მის (ბასილის) სამფლობელოებთან, ვინაიდან იგი ღრმა მოხუცია და არ ჰყავს არც შვილი და არც სხვა მემკვიდრეები და ემუდარებოდა მეფეს ნება დაერთო გაეგზავნა მასთან თავისი წარმომადგენლები მის კარზე, რათა მეფეს შესძლებოდა (მათგან) ფიცი მიეღო და დაევალდებულებინა, რომ ისინი ჩააბარებენ ქალაქებს მათი ხელმწიფის სიკვდილის შემდეგ. და მოეწონა მისი ეს განზრახვა მეფე ბასილის და იგი გახადა კურაპალატი და გაუგზავნა მას ძვირფასად შემკული ტანსაცმელი. მან ჩაიცვა იგი და ბრძანა მის ქვეყანაში ელოცათ მეფე ბასილიზე"[45].

იაჰია ანტიოქიელის ეს ჩვენება ერთადერთი შედარებით ვრცელი ცნობაა დავითის განწყობილებათა წარმოსადგენად ბარდა ფოკას დამარცხების შემდეგ, ამიტომაც მკვლევრები იძულებულები ხდებიან არსებითად ამ ცნობით წარმოიდგინონ ხოლმე დავით დიდის სამფლობელოთა იურიდიული სტატუსი X ს-ის 90-იანი წლების შემდეგ.

აქედან გამომდინარე, ლიტერატურაში დამკვიდრდა ტრადიცია-მითითება, თითქოს ფოკას დამარცხების შემდეგ დავით დიდმა განაცხადა, რომ როცა იგი მოკვდებოდა, მისი როგორც უძველესი და უმემკვიდრეოს სამფლობელოები ბიზანტიას უნდა გადასცემოდა[46].

მაგრამ გვაქვს კი უფლება იაჰია ანტიოქიელის ცნობაში ყველაფერი ჭეშმარიტებად მივიჩნიოთ და სხვა ინფორმაციისაგან იზოლირებულად შევიმეცნოთ? ვფიქრობთ, რომ არა!

მაგალითად, იაჰია ანტიოქიელის მიხედვით დავითს კურაპალატობა ებოძა ბასილი II-სთან შერიგების დროს. იქნება ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ, თუ ეს ასეა, იგი უნდა ყოფილიყო დავითის ხელახალი გაკურაპალატება, თორემ დავითი რომ კურაპალატად ჯერ კიდევ X ს-ის 70-იანი წლებიდან იყო, ეს ფაქტი ძნელია ეჭვს იწვევდეს[47].

გარდა ამისა, იაჰია ანტიოქიელის ცნობების მექანიკური გამეორების შემთხვევაში ძნელი გასაგები ხდება სხვა მოვლენები. მაგალითად, ის, რომ, ერთი მხრივ, დავით დიდი თავისი სამფლობელოების საბოლოო მემკვიდრედ ბიზანტიას აცხადებს, მეორე მხრივ კი 90-იანი წლებიდან მედგრად იბრძვის ჯერ კიდევ 978 წელს ნაბოძები მიწების ერთი ნაწილის, ჰარქისა და აპაჰუნიქის შემოსამტკიცებლად. იაჰია ანტიოქიელის ცნობის პირდაპირი აღქმის შემთხვევაში უცნაური არ იქნებოდა განა იმის ფიქრი, რომ დავითი თავისი მოლაშქრეების სისხლს ღვრიდა

---

[45] Р. Розен. Император Василий Болгаробойца. Извлечение из летописи Яхъи Антиохийского, СПб., 1883, с. 27.

[46] მაგალითად, ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 128; С. Джанашиа. Об одном примере..., с. 29, აგრეთვე სხვა ავტორებთან.

[47] ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია. თბ., 1949, გვ. 170.

იმ ტერიტორიების ასაღებად, რომლებიც მისი აზრით, ფატალურად იყვნენ განწირულნი ბიზანტიის მფლობელობაში გადასასვლელად? დავითის ეპოქის ადამიანისაგან, მითუმეტეს დავითისაგან ასეთი რამ ხომ პირდაპირ მოულოდნელი იყო?[48] გარდა ამისა, თუმცა დავით დიდს არ ჰყავდა ძე, რასაც იაჰია ანტიოქიელი განსაკუთრებით უსვამს ხაზს დავითის სურვილების გადმოცემისას, მაგრამ მემკვიდრეებით იგი სრულიადაც არ იყო ღარიბი. ცნობილია, რომ დავითი თავის შვილად და მემკვიდრედ კარგა ხანია ბაგრატ III-ს მიიჩნევდა[49], იმ ბაგრატს, რომლის შტოც შემდეგში დიდხანს აცხადებდა პრეტენზიებს დავითის მემკვიდრეობაზე. ამიტომ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, როგორი ენერგიით იბრძვის დავითი 90-იან წლებში 978 წელს ნაბოძები მიწების ერთი ნაწილის შემოსამტკიცებლად, არ ვიქნებით შემცდარი, თუ ვიფიქრებთ, რომ ბარდა ფოკას დამარცხების შემდეგაც კი დავით დიდი თავის რეალურ და უახლოეს მემკვიდრეებად კვლავ ქართველ ბაგრატიონებს თვლიდა, ბიზანტია კი, მისი აზრით, საკურაპალატოს ისეთივე მესაკუთრე იყო, როგორც წინა პერიოდში.

მაგრამ, მეორე მხრივ, მაინც რას უნდა ნიშნავდეს იაჰია ანტიოქიელის ცნობის დეტალი, რომ ბასილი II-სა და დავით ტაოელის შერიგებას თან ახლდა ამ უკანასკნელის განცხადება, რომ მისი სიკვდილის შემდეგ მისი სამფლობელოები ბიზანტიას გადაეცემოდა?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე ჯერ გასარკვევია, თუ რომელ სამფლობელოებზე შეიძლებოდა საუბარი დავითის ანდერძში, იმაზე, რომელიც დავითს ადრიდანვე ბიზანტიის მიერ ბოძების პრინციპებით ჰქონდა მიცემული, თუ იმაზე, რომელსაც იგი მემკვიდრეობითი წესით ფლობდა?

ლიტერატურაში ამ საკითხზე ორი თვალსაზრისია გამოთქმული. ერთის მიხედვით, დავითი ამ ანდერძში გულისხმობდა მთელ თავის სამფლობელოებს[50]. ვ. კოპალიანის მტკიცებით, ეს იქიდან უნდა ჩანდეს, რომ დავითი თავისი „ანდერძით" ერთგვარად ებოდიშება ბიზანტიას, იგი ისჯება ბიზანტიის მიერ და დროებით მფლობელად იქცევა; რა ტერიტორიების? უეჭველია, მის ხელში მყოფი ყველა მიწის (როგორც სამკვიდრო, ისე ნაბოძების), თორემ მარტოოდენ ნაბოძებ მხარეებს დავით დიდი ისეც დროებითი მფლობელობის წესით ფლობს. ამიტომ ანდერძიც მარტო ნაბოძებ მხარეებს რომ ასახელებდეს, გამოვა, რომ ბიზანტიის მხრივ დავითი არაფრით არ ისჯება[51].

---

[48] N. Adontz. Thornik le moine, p. 306.

[49] „მატიანე ქართლისაჲ". „ქართლის ცხოვრება", ტ. I, თბ., 1955, გვ. 272—275.

[50] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. II, გვ. 126.

[51] ვ. კოპალიანი. საქართველოს და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970—1070 წლებში. გვ. 67.

ლოგიკური მსჯელობაა, მაგრამ ერთ გარემოებას არ ითვალისწინებს: იმას, რომ დავითი ჭირვეული პოლიტიკოსია და თუმცა ოფიციალურად მიწების ერთ ნაწილს ნაბოძები სახით ფლობს, მაგრამ პრაქტიკულად მათ მემკვიდრეობით საკუთრებად უყურებს, ამიტომ, 991 წელს იმის აღიარება, რომ იგი ნაბოძები მხარეების დროებითი მფლობელია, დავითს, როგორც დასჯილს, ისე წარმოგვიდგენს. ამიტომ ჩვენ მისაღებად გვეჩვენება ს. ჯანაშიას აზრი[52], რომლის მიხედვითაც დავითი თავის ანდერძში გულისხმობდა სწორედ ნაბოძებ ზონას. ამას შემდეგი გარემოება უნდა ცხადჰყოფდეს. XI ს-ის დამდეგისათვის, როცა საქართველოსა და ბიზანტიას შორის ატყდა ომი დავითის მემკვიდრეობის ირგვლივ, თავდაპირველად თვით ბიზანტია დავითის სამფლობელოებს ორნაირი თვალსაზრისით უდგებოდა. გარდაიცვალა თუ არა დავით დიდი (+1000) ბასილი II საგანგებოდ გამოემართა დავითის მემკვიდრეობის დასაკავებლად, სწორედ ამ დროს ბასილისთან გამოცხადდნენ გურგენ მეფეთა-მეფე (+1008) და ბაგრატ III (+1014), უეჭველია, დავითის მემკვიდრეობის მისაღებად, მაგრამ მათ არაფერი გამოუვიდათ — ტერიტორიები ვერ მიიღეს[53]. მაშინ, გარკვეული დროის შემდეგ, 1001 წელს გურგენმა ძალით სცადა დავითის სამფლობელოების დაკავება, ოლთისს შემოადგა, მაგრამ ვერც ის და ვერც სხვა ტერიტორია ვერ აიღო. ამ დროს მაგისტროს კანიკლმა გურგენს აღუთქვა, რომ კეისარი გურგენის სურვილს აასრულებდა, თუ იგი მშვიდობას ჩამოაგდებდა. გურგენი და ბიზანტიელები დაზავდნენ[54].

საფიქრებელია, ზავი იმ პირობით დაიდო, რომ გურგენ-ბაგრატის ხაზს რაღაცა მიწები მიეცა დავითის მემკვიდრეობიდან ბიზანტიის მხრივ. ამას ადასტურებს ბასილი II-ის ცნობილი სიტყვები, რომლითაც არისტაკეს ლასტივერტელის მიხედვით იგი გიორგი I-ს (1014—1027) მიმართავს: „თავი დაანებე ყველაფერს (იგულისხმება დავითის სამფლობელოები) და იმითი დაკმაყოფილდი, რაც მე მამაშენს ვუბოძე“[55].

ჩვენი აზრით, „ყველაფრად“ ის მიწები იგულისხმება, რომელთაც დავით დიდი „ნაბოძების“ სახით ფლობდა. ამას გვაფიქრებინებს სუმბატ დავითის ძის „ქრონიკის“ ცნობა, რომ გიორგი I-ის დამარცხების შემდეგ ბიზანტია-საქართველოს დიდ ომში ბასილიმ აიღო „ციხენი პირველ ბოძებულნი და უკანის ათოთხმეტნი და ქუეყანა, რომელი

---

[52] С. Джанашиа. Об одном примере..., с. 29.
[53] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. II, გვ. 128.
[54] Асохик..., с. 202.
[55] Повествование вардапета Аристакэса Ластивертци, с. 58.

ჰქონდა დავით კურაპალატს ტაოს, კოლა-არტანს და ჯავახეთს"[56]. ჩვენი გაგებით, ამ ტექსტში ნათქვამია, რომ ბასილიმ აიღო ყველაფერი, ციხენი პირველად, ანუ ადრე ნაბოძები, უნდა ვიფიქროთ, ბაგრატ-გურგენისათვის, ან საერთოდ მათი წინაპრებისათვის რომ ჰქონდა ბიზანტიას მიცემული. ამასთანავე ბასილიმ აიღო ის ტერიტორიები, რომლებისთვისაც მას მანამდე ხელი არ ჰქონდა ნახლები. ესენია მიწები, რომლებიც დავით დიდს ჰქონდა კოლა-არტანსა თუ ჯავახეთში. ადრე, როცა გარდაიცვალა დავითი, ბიზანტიამ ამ მიწებს ხელი არ ახლო, ვინაიდან ისინი ბაგრატიონთა ძირძველი სამფლობელოები იყო, ბიზანტია კი მიზნად ისახავდა ნაბოძები მიწების დაკავებას. ახლა კი, როცა ბიზანტია-საქართველოს დიდ ომში გიორგი დამარცხებული იყო, ბიზანტიას მადა გაეზარდა და დავითისათვის ნაბოძებ მხარეებთან ერთად მისი სამკვიდრო მიწებიც მიისაკუთრა.

როგორც ვხედავთ, წყაროებიდან თითქოს კარგად ირკვევა, რომ ბასილი II დავითის სამფლობელოებს ორ ზონად წარმოადგენდა. ერთს დავითი სამკვიდროდ ფლობდა, მეორეს კი ნაბოძებად და იმპერიის პრეტენზიებიც სწორედ ამ უკანასკნელს უტრიალებდა. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ დავითის იმ „ანდერძში", რომლის შესახებაც იაჰია ანტიოქიელი გადმოგვცემს, სწორედ ეს ნაბოძები მხარეები უნდა ყოფილიყო ნაგულისხმები. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ „ანდერძით" დავითი თავის თავს აღიარებდა არა ნაბოძები მხარეების მუდმივ, არამედ დროებით მფლობელად, რასაც არისტაკეს ლასტივერტელიც მოწმობს[57], მაგრამ ყოველივე ეს იურიდიული ნორმის თვალსაზრისით არაფერ ახალს არ წარმოადგენდა, ვინაიდან ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ დავითიც და მისი წინაპრებიც თავიანთ ნაბოძებ მიწებს ადრეც დროებით საკუთრებაში ფლობდნენ. ასე განსაზღვრავდა ამ ფლობის შინაარსს ბიზანტიის მხარე. მეორე მხრივ კი იგივე ქართველები საკმაოდ აქტიურად იბრძოდნენ დროებით მიღებული მხარეების დამკვიდრებისათვის, რაც X ს-ის მთელ სიგრძეზე უთანხმოებებს წარმოშობდა ბიზანტიასა და ქართველებს შორის. საუბარს აღარ გავაგრძელებთ იმ მიმართულებით, თუ რა აიძულებდა ან ერთ, ან მეორე მხარეს ასეთი წინააღმდეგობების მიუხედავად მაინც ეთანამშრომლათ ერთმანეთთან, შევნიშნავთ კი, რომ დავით დიდიც ზემომიმოხილული ურთიერთობების ჩარჩოებში ცდილობდა თავის სახელმწიფოს შენარჩუნებას თუ გაფართოებას, მაგრამ თუ მისი წინამორბედები ხელსაყრელი ობიექტუ-

---

[56] სუმბატ დავითის-ძე. ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 384—385.

[57] C. Toumanoff. The Background to Mantzikert. Proceedings of the XIII-th International Congress of Byzantine Studies, London, 1967, p. 425.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რი მიზეზების მეოხებით პროდუქტიულად ახერხებდნენ თავის მიზნების რეალიზაციას, ახლა სხვა დრო იდგა.

საქმე ისაა, რომ ადრე ბიზანტია ფრთხილად მოქმედებდა და ერთგვარი ტოლერანტიზმით ექცეოდა თავის აღმოსავლელ კოლეგებს — ქართველებსა თუ სომხებს, რომელთა მხარდაჭერასაც იგი სათანადოდ საჭიროებდა არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში.

X ს-ის მიწურულიდან კი ბიზანტია, მძლავრად რომ დაისადგურა აღმოსავლეთში, უკვე კავკასიელი პარტნიორების გარეშეც ახერხებდა თავის გატანას და მოკავშირის მაგივრად დამპყრობლად იქცა[58].

ტარონი, ტაო, ვასპურაკანი, ანი თუ სხვა — ყველანი ბიზანტიის იმპერიის გეგმებში დასაპყრობ მხარეებად იქცეოდნენ და როგორც ცნობილია, იქცნენ კიდევაც. ასეთ ვითარებაში ბიზანტიის საიმპერატორო კარის მესაჭენი წინა ეპოქის მსგავსად აგრერიგ იოლად ველარ ჩაყლაპავდნენ თავიანთი აღმოსავლელი „კოლეგების“ თვითნებობას და აკი ამიტომაც იყო, რომ ახლა იმპერიამ მისთვის ისეთი „ახლობელი კაციც“ კი ალარ დაინდო, როგორიც დავით დიდი იყო, დაამარცხა და დააშინა კიდევაც იგი.

ბიზანტიამ ახლა კატეგორიული ფორმით აიძულა დავითი თვითონვე ელიარებინა, რომ იგი, დავითი თავისი სამფლობელოების დროებითი მფლობელია. ელიარებინა ის, რასაც მისი წინაპრები და თვითონაც ადრე დაჟინებით უარყოფდნენ.

დავითის პოლიტიკური კურსისთვის ეს ამბავი დიდი მარცხი იყო, ბიზანტიის ექსპანსიონიზმისათვის კი წარმატება. ბიზანტია ხშირად მიმართავდა აღმოსავლეთში ანალოგიურ ღონისძიებებს. ჯერ გულმოდგინედ აგდებდა მძიმე მდგომარეობაში თავის „მოკავშირეებს“, აიძულებდა დროებით მფლობელებად გამოეცხადებინათ თავი და ბიზანტიისათვის ეანდერძებინათ თავიანთი ქვეყნები, შემდეგ კი, როცა ეს დროებითი მფლობელები გარდაიცვლებოდნენ, ბიზანტია „კანონიერი“ გზით ეპატრონებოდა მათ სამფლობელოებს. ასე მოიქცა ბიზანტია, მაგალითად, ანის სამეფოს მიმართ. ჯერ მან დიპლომატიური თუ ძალისმიერი მეთოდებით აიძულა ანის მეფე იოვანე-სუმბატი დროებით მფლობელად გამოეცხადებინა თავი, შემდეგ კი „კანონიერად“ შეუდგა ანის დაპყრობას. სწორედ ამიტომ წერს კ. თუმანოვი, რომ ანის მეფე იოვანე-სუმბატმა „გაიმეორა დავით II ტაოელის შეცდომა“. დაშინებულმა ბასილი II-ის რეპრესიებით, რადგანაც მან მხარი დაუჭირა საქართველოს მეფეს გიორგი I-ს, 1022 წელს, იმპერატორს აცნობა, რომ იგი, იმპერატორი, მისი მემკვიდრე გახდებოდა. მართლაც მისი

---

[58] C. Tumanoff, დასახ. ნაშრომი, გვ. 425.

სიკვდილის შემდეგ, 1040 წელს იმპერატორმა მიხეილ IV-მ დაიწყო ბრძოლა თავისი მემკვიდრეობისათვის, ე. ი. ანისათვის, რაც ამ უკანასკნელის ანექსიით დამთავრდა.

შექმნილი მდგომარეობის მიუხედავად „ანდერძის“ შემდეგ დავითი კვლავ ძველებურად აგრძელებდა ცხოვრებას და, უეჭველია, იმედოვნებდა თავისი სტატუსის შენარჩუნებას, მაგრამ ძველებურადვე მოახერხებდა თუ არა იგი ლავირებას, სათუო იყო, ვინაიდან ახლა ბიზანტიას სხვა პოზიციები ჰქონდა აღმოსავლეთში.

გარდაიცვალა თუ არა დავით დიდი, ბასილი II მრავალრიცხოვანი მხედრობით ეამოეპართა კაეკასიისაკენ და ხელი მიჰყო გარდაცვლილის სამფლობელოების დაუფლებას. თავის ნაბიჯს ბასილი, უეჭველია, იმით ამართლებდა, რომ იგი იყო ხსენებული სამფლობელოების საბოლოო მესაკუთრე, რასაც დავით დიდიც აღიარებდა[59].

---

[59] თვალსაზრისი, რომ 978 წელს ბიზანტიამ დავით დიდს გავლენის სფეროდ (დროებით) უბოძა არა გარკვეული მხარეების (ზემო ქვეყნების) დაპყრობის მარტოოდენ უფლება, არამედ იმისი ერთი ნაწილიც, რაც მას რეალურად ეკუთვნოდა, აშკარად დასტურდება ქართული ისტორიოგრაფიისათვის ახლად შეძენილი წყაროს, ე. წ. ესკორიალური ტაქტიკონის მონაცემებით. ტაქტიკონში, რომელიც შედგენილია 971 და 975 წლებს შორის, თუ გვიან, 979 წელს (N. Oikonomidis. L'Organisation de la frontière orientale de Byzance aux X-e siècles et le taktikon de l'Escorial. XI-e Congrés international des études byzantines. Bucarest. 6—12 sept. Rapp. II, p. 73), ე. ი. 978 წლის ბოძებათა დროზე ან ადრე, მის ახლო ხანებში, ჩამოთვლილია ბიზანტიის საკუთრებაში მოქცეული პუნქტები. მათ შორის მოხსენიებული არიან: ა) ხაუციი — (Χαυξίξί — ჰავაჭიჭი) ბინგოლ დაღის სანახებში; დაპყრობილ იქნა 940 წლის შემდეგ; ბ) მელტი (Μελτή) — ციხესიმაგრე, რომელიც მდებარეობდა IV არმენიისა და დურუპერანის ფარგლებში; შესაძლოა ეს ის ციხე-სიმაგრეა, რომელიც X საუკუნეში წოდებულია მარდალიის და სევუქის სახელით და მდებარეობდა მელედუჰ-ის (დღევანდელი ტეკმან?) წინ; გ) თეოდოსიუპოლი; დ) არტსე (Ἄρτζε) თანამედროვე სოფელი არზი თუ არდი თეოდოსიუპოლის აღმოსავლეთით 55 კმ. ახლოს ფასიან-ბასიანში, არაქსის მარცხენა ნაპირზე (იხ. N. Oikonomidis, დასახ. ნაშრ., გვ. 81). ყველა ესენი ის მხარეებია, რომლებიც ბიზანტიამ 978 წელს გადასცა დავითს, უეჭველია, თავისი რეალური საქონებლიდან და ამასთანავე დროებით, ვინაიდან მათზე ხელი ბიზანტიას ამის შემდეგაც არ აუღია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შირიმნის ბრძოლის ლოკალიზებისა და თარიღის შესახებ

1021—1022 წწ. საქართველო-ბიზანტიას შორის დავით კურაპალატის მემკვიდრეობისათვის დიდი ომი მიმდინარეობდა, რომელიც ქართველთა მძიმე დამარცხებით დამთავრდა.

XI ს-ის ქართველი ავტორები სუმბატ დავითის ძე და „მატიანე ქართლისაჲს" ავტორი მოგვითხრობენ, რომ პირველი დიდი ბრძოლა საქართველოს მეფე გიორგი I-სა და ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-ს შორის მოხდა კოლას მხარეში, შირიმნის[1] თუ შირიმთას[2] მიდამოებში. ქართველები, რომლებსაც დასაწყისში ერთგვარი წარმატებაც მოუპოვებიათ, შემდეგ დამარცხებულან. ამას მოჰყვა ბასილი II-ის მიერ ქართველთა ქვეყნის აოხრება. მომდევნო წელს ომი ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის კვლავ გაგრძელებულა და საბოლოოდ 1022 წლისათვის ბასიანის მხარეში ქართველთა სრული დამარცხებით დამთავრებულა[3].

არსებითად ქართული წყაროების მსგავსად მოგვითხრობს ზემოხსენებულ ომზე არისტაკეს ლასტივერტციც. იგი გვამცნობს, რომ ქართველთ-ბიზანტიელთა პირველი დიდი ბრძოლა მოხდა პალაკაციოს ახლო მხარეს[4]. უკანასკნელი ომის ადგილად კი 1022 წლისათვის არისტაკეს მიაჩნია შლფა[5].

მსგავსი, თუმცა ზემოხსენებულ წყაროებთან შედარებით სქემატური თხრობა აქვთ დაცული იაჰია ანტიოქიელსა[6] და სკილიცასა და კედრენეს[7].

---

[1] მატიანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 284.

[2] სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 383.

[3] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 284—287; სუმბატ დავითის ძე, გვ. 383—384.

[4] Повествование Вардапета Аристакэса Ластивертци. Перевод с древнеармянского, вступительная статья, комментарии и приложения К. Н. Юзбашяна, М., 1968, с. 61.

[5] იქვე, გვ. 67.

[6] ო. ცქიტიშვილი, მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის ხანაში, მაცნე, 1968 № 4, გვ. 125—130.

[7] Ioannis Scylitzae, Synopsis historiarum, ed. princ rec. 1. Thurn. 1973, გვ. 366—367. Ceorgius Cedrenus, Ioannis Scylitzae ope ab Immanuele Bekkero suppletus et emendatus, I—II, Bonnae, 1838—1839, გვ. 477—478, 447—478; ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. V, თბ., 1965, გვ. 45—48.

თვალში საცემია ის გარემოება, რომ სუმბატ დავითის ძისა და „მატიანის“ ავტორის ცნობები დიდი სიზუსტით მისდევენ ერთმანეთს ჩვენთვის საინტერესო ამბების აღწერისას, თუმცა ზოგიერთი დეტალი მათაც განსხვავებულად აქვთ წარმოდგენილი. ასეთი მსგავსების მიზეზად ლიტერატურაში ის გარემოებაა დასახელებული, რომ ერთ-ერთი მათგანი მეორისათვის (ან „მატიანე“ სუმბატის თხზულებისათვის[8], ან პირუკუ[9]) წყაროს წარმოადგენდა. სამწუხაროდ, ჩვენი ნაშრომის მოცულობა საშუალებას არ გვაძლევს, რომ ამ საკითხზე ვრცლად ვიმსჯელოთ და საამისო საბუთიანობაც წარმოვადგინოთ (ასეთი სამუშაო ჩვენ ცალკე გვაქვს შესრულებული). აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ სპეციალისტთა მიერ ფიქსირებულია მაგალითები, რომლებიც მოწმობენ, რომ როგორც სუმბატის თხზულებას, ასევე „მატიანესაც“ რიგი ისეთი ცნობები მოეპოვებათ, რომლებიც მხოლოდ მათშია დაცული და ქმნიან საფუძველს იმის მსჯელობისათვის, თუ რომელი რომლის წყაროს წარმოადგენდა. მაგრამ ასეთ ვითარებაში, როცა ფიქსირებულია დიდი მსგავსება ორივე ძეგლს შორის, ისე კი რომ ორთავე მათგანში რჩება ორიგინალური დეტალები, რომლებიც არც ერთისაგან არ მომდინარეობენ, შეცდომაა იმის გამორიცხვა, რომ შესაძლოა, როგორც სუმბატის, ასევე „მატიანის“ მსგავსი და ამასთანავე განსხვავებული ცნობების ნაკადი რაღაცა საერთო წყაროდან მომდინარეობენ. სწორედ ასე და, ვფიქრობთ, სამართლიანადაც, ესმოდა ეს საკითხი ივ. ჯავახიშვილს[10].

მას შემდეგ რაც აღინიშნა სუმბატის თხზულებისა და „მატიანის“ დიდი მსგავსება ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთებში, შეიძლება მსჯელობა იმის აღნიშვნითაც გაგრძელდეს, რომ ასეთივე მსგავსება არსებობს ორივე ზემოდასახელებულ ძეგლსა და არისტაკესს შორისაც.

არისტაკესი ვრცლად ყვება ბასილი II-ისა და გიორგი I-ის ურთიერთობაზე ომის დასაწყისში, კეისართან ქართველი ეპისკოპოსის მისვლაზე, ბასილი II-ის დაბანაკებაზე კარინის ფართო ველზე... ამის შემდეგ არისტაკესი იმ ამბებზე ჩერდება, რომლითაც ქართველი მემატიანეები საერთოდ იწყებენ ომის აღწერას. არისტაკესის ისტორიის ზემოხსენებულ მონაკვეთში აღწერილია ბასილი II-ისა და გიორგი I-ის ყოფნა ბასიანის ველზე, გიორგი I-ის მიერ უხტიქის (ოლთისი)

---

[8] კ. გრიგოლია. ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 234—235; ს. ყაუხჩიშვილი. „ქართლის ცხოვრების“ ძეგლთა წყაროებისათვის, წიგნში „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, თბ., 1955, გვ. 036—039.

[9] გ. გელაშვილი. სუმბატ დავითის ძე და „მატიანე ქართლისა“, თსუ შრ., ტ. 87, 1960, გვ. 250—253.

[10] ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 204.

დაწვა, რამაც ბასილის საშინელი მრისხანება გამოიწვია[11]. არისტაკესის თხრობის ეს პასაჟები შინაარსობრივად თითქმის მთლიანად ემთხვევა ქართული წყაროების ცნობებს.

ქართული წყაროები და არისტაკესი თითქმის ერთნაირ ხაზებში წარმოგვიდგენენ შირიმნის ბრძოლის პერიპეტიებს. ამ შემთხვევაში ქართულ წყაროებსა და არისტაკესს შორის თითქოს ადგილი აქვს წინააღმდეგობას, ვინაიდან ქართველი მემატიანეების ცნობით ბრძოლა მოხდა შირიმნის მიდამოებში, არისტაკესის თანახმად კი ქართველთ-ბიზანტიელთა პირველ ბრძოლას ადგილი ჰქონდა „პალაკაციოს ტბის მახლობლად". მაგრამ ზემოაღნიშნული წინააღმდეგობა ქრება, თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ ქართული წყაროების „შირიმნი", სადაც კოლას რაიონში რომ მდებარეობდა, და პალაკაციოს ტბის ახლო მხარეები ფაქტიურად ერთ და იმავე მხარეში თავსდება[12].

ქართული წყაროების სიუჟეტურ ქარგას არისტაკესის თხრობის შინაარსი იმ მონაკვეთშიც ემთხვევა, სადაც აღწერილია ბასილი II-ის მიერ ქართული მიწების აოხრება „პალაკაციოს ტბასთან" გადახდილი ბრძოლის შემდეგ[13]. ამ მონაკვეთში არისტაკესის თხრობის თავისებურება იმაშია, რომ, თავისი მხატვრულ-ერემიული სტილისა და განწყობილების შესაბამისად, იგი ბასილი II-ის მიერ ქვეყნის აოხრებას ზოგადად და ხატოვნად აგვიწერს.

არისტაკესის თხრობა შინაარსობრივად შემდგომშიც მიჰყვება ქართული წყაროების სიუჟეტურ ქარგას. არისტაკესს ქართველი ავტორებივით აქვს აღწერილი ბასილი II-ის პონტოში გამოზამთრება, ქსიფიასისა და ფოკას ამბოხება, ომის ბოლო ეტაპზე ბასილი II-ის ბასიანში ყოფნა[14]. ამასთანავე ერთად, სუმბატი და „მატიანის" ავტორი ომის ბოლო ეტაპზე ბასილი II-ის ადგილსამყოფელად მარტივად ბასიანს ასახელებენ, არისტაკესი კი უფრო აკონკრეტებს ამ საკითხს და გვამცნობს, რომ კეისარი დაბანკებული იყო სალქორში[15]... ასევე, თუ ქართული წყაროები ძალზე ლაკონურად მოგვითხრობენ, რომ ბასილი II გიორგი I-საგან მოითხოვდა მიწებს დავით კურაპალატის ყოფილი

---

[11] Повествование Вардапета Аристакэса..., с. 61.

[12] ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, „დასავლეთისაკენ პალაკაციო კოლას საზღვრამდე უწევდა; მაშასადამე, მისი მდებარეობა კოლას გასწვრივ უნდა ყოფილიყო და, რასაკვირველია, აღმოსავლეთით". ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1965, გვ. 61.

[13] Повествование Вардапета Аристакэса..., с. 61.

[14] იქვე, გვ. 63—66.

[15] იქვე, გვ. 65.

სამფლობელოებიდან, არისტაკესი უფრო ვრცლად ჩერდება ამ საკითხ-ზე[16].

ანალოგიურად უნდა ითქვას ქართველთ-ბიზანტიელთა ფინალური ბრძოლის საკითხთან დაკავშირებითაც. სუმბატის თანახმად ეს ბრძოლა უნდა მომხდარიყო ბასიანში[17]. „მატიანის“ ავტორიც ზემოაღნიშნულ ბრძოლას ბასიანში გულისხმობს და თანაც იმას დასძენს, რომ ქართველები გიორგი I-ის მეთაურობით თავს დაესხნენ ბასიანში მყოფ ბასილი II-ს დაბანკებულსა, „რომელსა სჯნდაქსად უხმობენ“[18]. ამათგან განსხვავებით არისტაკესი პირდაპირ ასახელებს ფინალური ბრძოლის ადგილს — შლფას, სადაც ბასილი კეისარი სალქორიდან მოსულა[19].

შინაარსობრივად ქართულ-სომხური წყაროების ცნობებს ემთხვევა იაჰია ანტიოქიელის სიუჟეტიც, თუმცა ამ უკანასკნელს ერთგვარი სქემატიზმი ახასიათებს[20]. ამ მხრივ, ე. ი. სქემატიზმით, განსაკუთრებით გამოირჩევა სკილიცა-კედრენეს თხრობა[21], რომელსაც ქართულ-სომხური წყაროების ცნობებთან შედარებით არა მარტო ზოგადობა, არამედ აშკარა შეუსაბამობებიც ახასიათებს. მაგალითად, სკილიცასა და კედრენეს მიხედვით ქართველთ-ბიზანტიელთა შორის ბრძოლა ორჯერ მომხდარა და ისიც ქსიფიასისა და ფოკას აჯანყების შემდეგ[22], თუმცა სხვა დანარჩენი ცნობებით პირველ ბრძოლას ქართველთ-ბიზანტიელთა შორის ზემოხსენებულ ამბოხებამდე კარგა ხნის წინ ჰქონდა ადგილი. მცდარად გადმოსცემენ სკილიცა და კედრენე იმ ფაქტსაც, თითქოს დავით კურაპალატის მიწები რომ დაიდგინა, ბასილი II-ემ „კურაპალატის ძმა გიორგი, შიდა იბერიის მმართველი, დაარწმუნა დაკმაყოფილებულიყო თავისი საკუთარი სამფლობელოთი და სხვისას არ შესეოდა, შეკრა მასთან ზავი, მძევლად წაიყვანა მისი ვაჟი, რის შემდეგაც ფინიკიაში წავიდა“[23]. სკილიცასა და კედრენეს უზუსტობა აქ იქიდანა ჩანს, რომ გიორგი დავით კურაპალატის ძმა არ ყოფილა და გიორგის შვილიც ბასილი II-ემ მძევლად მხოლოდ დავით კურაპალატის გარდაცვალებიდან 22 წლის შემდეგ წაიყვანა.

---

[16] Повествование Вардапета Аристакэса..., с. 68.

[17] სუმბატ დავითის ძე, დასახ. თხზ., „ქართლის ცხ.“, ტ. I, გვ. 384.

[18] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 287.

[19] Повествование Вардапета Аристакэса, с. 67.

[20] ო. ცქიტიშვილი. მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის..., გვ. 128.

[21] Ioannis Scylitzae, ed. Thurn, გვ. 367; Cedrenus, გვ. 478; გეორგიკა, ტ. V, გვ. 48.

[22] Scylitzae, გვ. 367; Cedrenus, გვ. 478; გეორგიკა, V, გვ. 48.

[23] Skylitzae, გვ. 367; Cedrenus, გვ. 478; გეორგიკა, ტ. V, გვ. 48.

მიუხედავად ცალკეული განსხვავებისა, კიდევ ერთხელ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ მიმოხილული წყაროები, განსაკუთრებით კი სუმბატ-მატიანე-არისტაკეს-იაჰია არსებით ხაზებში ერთნაირად გადმოსცემენ საქართველო-ბიზანტიის 1021—1022 წწ. ომის სიუჟეტს, თუმცა ამასთანავე ერთად თითოეული მათგანი ამა თუ იმ ცალკეულ საკითხზე ზოგიერთ ისეთ ორიგინალურ ცნობასაც შეიცავს, რომელიც მხოლოდ მასშია დაცული.

ასეთ ვითარებაში საქართველო-ბიზანტიის 1021—1022 წწ. ომის მკვლევარი ვალდებულია მისთვის საინტერესო საკითხის გასაშუქებლად წყაროებში დაცული ორიგინალური დეტალებიც გაითვალისწინოს და გამოიყენოს.

ასე მოიქცა, მაგალითად, ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც თუმცა საქართველო-ბიზანტიის 1021—1022 წწ. ომი არსებითად „მატიანე ქართლისაჲს“ სიუჟეტის მიხედვით წარმოადგინა[24], მაგრამ ამასთანავე ამ ქარგაში რიგი დეტალიც შემოიტანა სუმბატის, არისტაკესისა და იაჰიას მატიანეებიდან, რომელთა საფუძველზეც „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობები გაამუქა და ცალკეულ შემთხვევებში დააკონკრეტა კიდევაც[25].

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე — „მატიანის“ ცნობებზე დაყრდნობით — რომლებიც განსაკუთრებით სანდო ინფორმაციის შემცველ მასალად მიაჩნდა[26], ივ. ჯავახიშვილი ქართველთ-ბიზანტიელთა პირველი დიდი ბრძოლის ადგილად 1021 წლისთავის მიიჩნევდა კოლაარტაანის მხარეს მდებარე შირიმნ-შირიმთას[27]. ასევე იქნა წარმოდგენილი თუ გააზრებული შირიმნის ბრძოლის საკითხი სხვა ნაშრომებშიც[28].

მდგომარეობა მხოლოდ მას შემდეგ შეიცვალა, რაც შირიმნის ბრძოლის შესახებ სპეციალური ნაშრომი გამოაქვეყნა ვ. კოპალიანმა[29].

---

[24] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 134—136.

[25] იქვე.

[26] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 206—207.

[27] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 134—135.

[28] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბ., 1948, გვ. 165; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვ. დ ო ნ დ უ ა, მ. დ უ მ ბ ა ძ ე, გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, შ. მ ე ს ხ ი ა. პ. რ ა ტ ი ა ნ ი, საქართველოს ისტორია, ტ. I, თბ., 1958, გვ. 106; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 221; Հ. Տաշեան, Տայք, Պլացիք և Խոռորջուր, Վիեննա, 1973, გვ. 221—222.

[29] ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი. „შირიმნის“-„შირიმთას“ ბრძოლისა და ადგილმდებარეობის შესახებ, „მნათობი“, 1972, № 7, გვ. 176—182.

მან ყურადღება მიაქცია არისტაკესის რუსულად მთარგმნელისა და კომენტატორის კ. იუზბაშიანის ერთ შენიშვნას, რომელშიც განმარტებულია სომეხ მემატიანესთან მოხსენიებული შლფას საკითხი, სადაც ბასილი II-სა და გიორგი I-ს შორის 1022 წელს უკანასკნელი დიდი ბრძოლა მოხდა. კ. იუზბაშიანის თანახმად, შლფა ესაა „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში მოხსენიებული პუნქტი „შირიმქი“, რომელსაც ამ ძეგლის ქართულ ორიგინალში „შირიმნი“ ეწოდება. კ. იუზბაშიანის მიხედვით, ეს პუნქტი — შლფა, ე. ი. შირიმქი არშარუნიქის გავარში, ყარსის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა[30]. კ. იუზბაშიანის ამ შენიშვნის საფუძველზე, რომ ქართული წყაროების შირიმნი იგივე შლფაა და იგი არშარუნიქის ქვეყანაში მდებარეობდა, ვ. კოპალიანმა ის დასკვნა გამოიტანა, რომ ქართულ წყაროებში შირიმნის ბრძოლის თარიღი და ლოკალიზება არეულია. მკვლევრის სიტყვებით, მართალია ქართული ნარატიული ძეგლების მიხედვით საქართველო-ბიზანტიის ომის პირველ ეტაპზე ბასიანიდან წამოსული მოწინააღმდეგეები (ბასილი II და გიორგი I) ოლთისსა და კოლაზე გავლით მოვიდნენ შირიმნში, სადაც მოხდა ბრძოლა, მაგრამ სომხური წყაროების მიხედვით „შირიმნი“ მეორე ბრძოლის ადგილია და ის სამხრეთით ბევრად უფრო შორს უნდა ყოფილიყო იმ ადგილიდან, სადაც ქართველთ-ბიზანტიელთა პირველი დიდი ბრძოლა მოხდა[31]. ამასთან დაკავშირებით, ვ. კოპალიანი შედარებითი თვალსაზრისით სვამს ქართული (სუმბატი და „მატიანე“) და სომხური (არისტაკესი) წყაროების ღირებულების საკითხს და უპირატესობას არისტაკესის ინფორმაციას ანიჭებს. მკვლევრის აზრით, არისტაკესის ცნობის უპირატესობაზე ის უნდა მიუთითებდეს, რომ მან კარგად იცის მეორე ბრძოლის ადგილის სახელწოდება. მაშინ, როცა ქართველი ისტორიკოსები მეორე ბრძოლის ადგილს ვეღარ ასახელებენ, ვინაიდან ის პირველი ბრძოლის ადგილად მიიჩნიეს[32].

ზემორე შეხედულებიდან გამომდინარე ვ. კოპალიანი ახლებურად ცდილობს საქართველო-ბიზანტიის ომის მსვლელობის წარმოდგენას და თვლის, რომ 1021 წელს ომი ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის არ დამთავრებულა, არამედ იგი კვლავ განახლდა 1022 წელს, რასაც ერთნაირად გადმოგვცემენ როგორც ქართველი მემატიანეები, ისე არისტაკეს ლასტივერტცი, რომელიც, თითქოს, ერთადერთი მოიხსენიებს ქართველ-ბიზანტიელთა ფინალური ბრძოლის ადგილს და მას შირიმნად მიჩნევს. ამ შემთხვევაში მსჯელობისას ვ. კოპალიანი ა პ რ ი-

---

[30] Повествование Вардапета Аристакэса..., с. 149.

[31] ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

[32] იქვე, გვ. 178.

ორულად გულისხმობს, რომ შირიმნი ესიგივე შლფაა, რომელსაც მოიხსენიებს არისტაკესი. შემდეგშიც, სადაც ვ. კოპალიანი არისტაკეს ლასტივერტცის იმ ცნობებს გადმოსცემს, რომ 1022 წელს ომის დასკვნით ეტაპზე ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის შლფაში გადამწყვეტი ომი მოხდა, ეს უკანასკნელი ყველგან გაიგივებულია შირიმნთან. მაგალითად ვ. კოპალიანს მიაჩნია, რომ „მატიანე ქართლისაჲ"-ს ცნობა, სადაც მითითებულია გიორგი I-ის ბრძოლაზე ბასილის წინააღმდეგ, რომელიც დაბანკებული იყო ბასიანში „სჳნდაქსად"... ისე უნდა გავიგოთ, რომ ქართველები თავს დაესხნენ შირიმნში-შლფაში მდგომ ბასილი II-ს. „ამრიგად, — შენიშნავს ავტორი, — ისე როგორც 1020 წელს, ქართველები ახლაც ღრმად შეჭრილან სადავო მიწებზე, კერძოდ არშარუნიქის მხარეებში... ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამჯერად საკმაოდ დიდი ტერიტორიების იმედი ჰქონდათ"[33].

დასასრულ ვ. კოპალიანი თვლის, რომ არშარუნიქის მიწებისათვის ბრძოლის სტიმული ქართველებისათვის უნდა აღეძრა ნიკიფორე ქსიაფიასისა და ნიკიფორე ფოკას აჯანყებას, რომლის ზოგიერთმა ქართველმა მონაწილემაც (ასეთი იყო, მაგ. ფერის ჯოჯიკის ძე) იმთავითვე კავშირი დაამყარა გიორგი I-თან და, როგორც ეს წყაროებში პირდაპირაა მითითებული, ეს უკანასკნელი დაარწმუნა, რომ აჯანყების გამარჯვების შემთხვევაში გიორგი I მიიღებდა დავით კურაპალატის სამფლობელოების ერთ ნაწილს[34].

ამრიგად, ვ. კოპალიანის გამოკვლევის ძირითადი დასკვნები შემდეგში მდგომარეობს: 1. „შირიმნი" მდებარეობდა არა კოლას მხარეში, როგორც ეს სუმბატ დავითის ძესა და „მატიანის" ავტორს წარმოუდგენიათ, არამედ არშარუნიქის მხარეში. ამასთანავე „შირიმნი" არის არა ქართველთ-ბიზანტიელთა 1021, არამედ 1022 წლის ბრძოლის ადგილი და შეესაბამება არისტაკეს ლასტივერტცის შლფას; 2. 1021 წ. პირველი წარუმატებლობის შემდეგ ბასილი II-ის წინააღმდეგ ბიზანტიელ შეთქმულებთან შეთანხმებამ და საკუთარი ძალების იმედმა საფუძველი მისცა გიორგი I-ს როგორც დავით კურაპალატის მემკვიდრეს, 1022 წელს ბრძოლა განეახლებინა არა მარტო სამხრეთი ტაოს, არა-

---

[33] ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

[34] იქვე, გვ. 179—180. ამ შემთხვევაში ვ. კოპალიანი ეფუძნება არისტაკეს ლასტივერტცის ცნობას იმის შესახებ, რომ „ფერსი და ანდრონიკე თავიანთი აჯანყების დროს აფხაზის მოკავშირენი იყვნენ და დაპირება მისცეს მას" მიეცათ ქვეყანა ხალტო-არიჭამდე, „ვინაიდან ჯერ კიდევ წინათ ეს [მხარეები] დავით კურაპალატს ეპყრა, მაგრამ არა როგორც თავისი მამული".

:მედ უფრო ვრცელი ტერიტორიების (კერძოდ, არშარუნიქის მიწების — შ. ბ.) დაბრუნების იმედით"[35].

როგორც ვხედავთ, ვ. კოპალიანის განხილული ნაშრომით საქართველო-ბიზანტიის 1021—1022 წლების ომის ფაქტიური მხარის გაგებაში არსებითი მნიშვნელობის კორექტივები იქნა შეტანილი. ეს, უეჭველია, იმაზეა დაფუძნებული, რომ საძიებელ საკითხზე იგი განსაკუთრებით ენდობა სომხური წყაროების მონაცემებს, ქართველ მემატიანეთა ცნობებს კი შედარებით ნაკლებად ენდობა და მათ სომხურ მასალასთან პარალელურად კი არა, მისგან მოწყვეტით იხილავს[36].

უნდა ითქვას, რომ ვ. კოპალიანის თვალსაზრისს შირიმნის ბრძოლის საკითხზე ზოგიერთი მკვლევარი იმთავითვე ეჭვით შეხვდა და, როგორც ჩანს, არცთუ უსაფუძვლოდ. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედვე-

---

[35] ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

[36] ასევე უკანა პლანზეა გადატანილი ქართული წყაროების მონაცემები ზოგიერთ სხვა ავტორთანაც. გავიხსენოთ თუნდაც ერთი ასეთი მაგალითი. ცნობილია, რომ ქართველთ-ბიზანტიელთა 1021—1022 წწ. ომს წინ უსწრებდა ბასილი II-ის პროტესტები გიორგი I-ის წინააღმდეგ. არისტაკესის თანახმად ომის დაწყებამდე ბასილი II კატეგორიულად მოითხოვდა გიორგი I-სგან, რომ დაეტოვებინა ის მიწები, რომლებიც მისმამას დავით კურაპალატის სამფლობელოებიდან ჰქონდა ნაბოძები ბასილი II-სგან და მხოლოდ საკუთარი მამულებით დაკმაყოფილებულიყო. ბასილი II გიორგი I-ს უთვლიდა: „თავი ანებე ყველაფერ იმას, რაც მე ვუბოძე შენ მამას დავით კურაპალატის სამფლობელოდან და საკუთარი მამულები იკმარე" (Повествование Вардапета Аристакеса..., с. 58).

იმის გარკვევას, თუ ბასილი II გიორგის მამისათვის ბოძებულ რომელ მიწებზე დავობდა, ჩვეულებრივ არისტაკეს ლასტივერტცის ზემოთ ციტირებული სიტყვებითვე ცდილობენ. სწორედ ამ სიტყვების მიხედვით მსჯელობს, მაგალითად, კ. იუზბაშიანი, რომელიც აღნიშნავს, რომ 1001 წელს „ბასილიმ დავითის მემკვიდრეობის ნაწილი, ჩანს, სიცოცხლის ვადით უბოძა ბაგრატ III-ს" (Повествование Вардапета Аристакеса..., с. 21). მაგრამ კონკრეტულად რომელი მხარე იყო ეს მიწები — „ნაწილი", კ. იუზბაშიანი ვერ არკვევს. კ. იუზბაშიანის თვალსაზრისი სხვაგანაცაა კრიტიკებული (იხ. М. Д. Лордкипанидзе. История Грузии XI — начала XIII века, Тб., 1974, с. 52).

ჩვენი აზრით, ამ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ არისტაკესის ცნობებთან ერთად ქართული წყაროების მონაცემებიც იქნება გათვალისწინებული. ამ უკანასკნელთა მიხედვით ჩანს, რომ 1021—1022 წწ. როცა ქართველთ-ბიზანტიელთა ომი მიმდინარეობდა, ბასილი II-მ დალაშქრა მიწები ჯავახეთში, კოლა-არტაანში და თრიალეთს (სუმბატ დავითის ძე, გვ. 383; მატიანე ქართლისაჲ, გვ. 284 — 285), სადაც ადრე დავით კურაპალატს სამამულე სამფლობელოები ჰქონდა. ამ ფაქტებიდან საფიქრებელია, რომ თავის ულტიმატუმში გიორგი I-სადმი ბასილი II დავითის სამამულე ტერიტორიებს გულისხმობდა და იმ აზრს გამოხატავდა, რომ ისინი გარკვეულ დროს გიორგი I-ის მამას მან, ე. ი. ბასილიმ უბოძა. კურაპალატის სამფლობელოთა ერთი ნაწილი კი (ბიზანტიის მიერ ქართველებისათვის ნაბოძები ტერიტორიები არაქს-ევფრატის ხეობებსა და ტაოს სამხრეთში) ბასილი II-ს ჯერ კიდევ 1001 წელს ჰქონდა უკვე დაკავებული.

ლობაში გვაქვს ა. აბდალაძის აზრი, რომელიც მან გაატარა თავის საკანდიდატო დისერტაციაში[37].

ა. აბდალაძემ თავის კვლევის საგნად აქცია ერთი ძველი სომხური ტექსტი ი. თოვფეანის წიგნიდან[38] ,რომელსაც ქართველი მკვლევარი — ჰიშატაკარანად, ე. ი. ანდერძ-მინაწერად ასახელებს. ამ ტექსტში მოთხრობილია: „იყო სომეხთა წელთაღრიცხვის „დჭ“ (1021 წ. 16/III—1022 15/III). რომაელთა მეფე ვასილი ბარბაროს ტომთაგან შეკრებილი ურიცხვი მხედრობით დაიძრა. ჰოვანეს გაგიკის ძეს მოსთხოვა ქალაქი ანი და ყოველი შირაკი; ჰოვანესმა თავისი სხეულის უძლურების გამო აღუთქვა [ვასილს] ანისის მიცემა თავისი სიკვდილის შემდეგ. მაშინ მეფე მიბრუნდა ქართველთა ქვეყანაში, მოციქული მიუგზავნა ქართველთა მეფეს გორგს, რათა [გორგი] მასთან მისულიყო; ქართველთა მეფემ ყური არ ათხოვა, რადგან მას მრავალი რომაელთა მთავარი მოესპო და ბერძენთა ქვეყნიდან დიდდიდნი აღეგავა. მაშინ მეფე ვასილი ჩაება ქართველებთან ომში. [მოწინააღმდეგეები] ერთმანეთს მიუახლოვდნენ შირაკის ველზე და შეებნენ ერთმანეთს. ქართველთა მხედართმთავარი რატი და ზოიატი კვეთებით ჟლეტდნენ რომაელთა ჯარს; ამ დროს რატის ცხენი ერთ ადგილას წყალში შევიდა, დაეფლო ტალახში და იქ მოკლეს მხნე [რატი]: იძლია ქართველთა მხედრობა და ივლტოდა რომაელთაგან. საშინელი ხოცვა-ჟლეტა შეიქმნა. მეფე ვასილმა იმ (ქართველთა, შ. ბ.) ქვეყანაში 6 თვე დაჰყო, დაიმორჩილა ქართველები და ტრაპიზონში მობრუნდა გამოსაზამთრებლად“[39].

ა. აბდალაძემ ზემოთ ციტირებული ტექსტი რამდენიმე თვალსაზრისით შეისწავლა და შეეხო 1021 წელს ქართველთ-ბიზანტიელთა პირველი დიდი ბრძოლის საკითხსაც. ა. აბდალაძე იმ აზრისაა, რომ შეუძლებელია შირიმჭი და შლფა ერთიმეორესთან გავაიგივეოთ, ისე როგორც ამას ვ. კოპალიანი აკეთებს, ვინაიდან უცნობია თვით შლფას ადგილმდებარეობა[40]. ა. აბდალაძეკე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თვით სომეხი მკლევრებიც კი შლფა პუნქტის ლოკალიზების საკითხში ერთსულოვანნი არ არიან. მაგალითად, ღ. ინჭიჭია-

---

[37] ა. აბდალაძე. სომხურ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები როგორც წყარო X—XIII სს. საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973, გვ. 76—77 (დისერტაციის ტექსტი ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში).

[38] Ց. Թ ո վ փ ե ա ն, Ցուցակ ձեռագրած Սրմաշի վանքին, Վենետիկ, 1962, გვ. 402.

[39] ციტირებულია ა. აბდალაძის შრომიდან „სომხურ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები...,“ გვ. 27—28.

[40] ა. აბ დ ა ლ ა ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 76.

ნი შლფას ბასიანში ათავსებს[41], გ. ალიშანი კი მას ტაოში მდებარე პუნქტად მიიჩნევს[42]. ყოველივე ამასთანავე ერთად, შენიშნავს ა. აბდალაძე, ჩვენ ძალზე მწირი ცნობები გვაქვს თვით შირიმნზეც, რომელსაც „ქართლის ცხოვრების“ გარდა მოიხსენიებს XI ს-ის სომეხი მემატიანე ასოლიკიც[43]. ა. აბდალაძისავე თქმით, „შირიმნი თუ შირიმთა შეიძლებოდა ყოფილიყო არა მხოლოდ არშარუნიქში, არამედ სხვაგანაც. თანაც, შირიმნი მართლაც არშარუნიქის მხარეში რომ ყოფილიყო, იქ 1022 წელს ბრძოლა მაინც ვერ მოხდებოდა, რადგანაც, როგორც ქართული ნარატიული წყაროები, ისე არისტაკესი ქართველ-ბიზანტიელთა ფინალური ბრძოლის ადგილად ბასიანს თვლიან“[44]. დასასრულ, წერს ა. აბდალაძე, „ჩვენ ვერ ვიტყვით დაბეჯითებით, თუ სად მდებარეობდა „შირიმნი“ და მოხდა თუ არა აქ გადამწყვეტი ბრძოლა 1021 წელს, მაგრამ ის კი უნდა აღინიშნოს, რომ ქართული და სომხური წყაროების მიხედვით ბრძოლა ხდება ერთმანეთისაგან არც თუ დაშორებულ კოლაში თუ მის მახლობლად (იგულისხმება, ალბათ, ამ ტბის სამხრეთი მიდამოები), ან შირაკის ველზე. ბრძოლა, ალბათ, მართლაც, „სადღაცა ამ სამ მხარეს შორის მოხდა“[45].

ა. აბდალაძის კრიტიკული შენიშვნები ვ. კობალიანის სქემისადმი ჩვენ საკმაოდ საფუძვლიანად მიგვაჩნია და გვგონია, რომ მან არსებითად სწორად აუღო ალღო საკითხს. მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოაღნიშნული შენიშვნების გამოთქმა მეტი კატეგორიულობითაც შეიძლებოდა, რაზეც ა. აბდალაძე თავს იკავებს. ეს კარგად ჩანს, თუნდაც ა. აბდალაძის განცხადებიდან, რომ იგი ვერ იტყვის „დაბეჯითებით“, თუ სად მდებარეობდა შირიმნი და მოხდა თუ არა „იქ გადამწყვეტი ბრძოლა 1021 წელს“. გარდა ამისა ა. აბდალაძეს არსად წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით არა აქვს შესწავლილი მის მიერ მოხმობილი სომხური ტექსტი, რომელიც, როგორც ვთქვით, მას ანდერძ-მინაწერად მიაჩნია. ეს კი თავისთავად უაღრესად საინტერესო და აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ ქართველთ-ბიზანტიელთა ბრძოლის ადგილად ეს სომხური წყარო შირაკის ველს ასახელებს და ამრიგად სუმბატ-მატიანე-არისტაკესისაგან განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის.

ქვევით ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით ა. აბდალაძის მიერ გარჩეულ სომხურ ტექსტს ქართველთ-ბიზანტიელთა 1021 წლის ბრძოლის ად-

---

[41] Ղ. Ի ն ճ ի ճ ե ա ն, Սոորագրութիւն հին Հայաստանեայց, 1822, გვ. 534.
[42] Պատմութիւն Արիստակեայ Վարդապետի Լաստիվերտցւոյ, 1844, გვ. 121.
[43] ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 76.
[44] იქვე, გვ. 77.
[45] იქვე.

გილთან დაკავშირებით, ახლა კი კიდევ ერთხელ შევუდაროთ ერთიმეორეს შირიმნის ბრძოლაზე არსებული ტრადიციული და ვ. კოპალიანისეული სქემები, რომლის მიმართ ერთგვარი სწორი კრიტიკული პოზიცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ა. აბდალაძემ გამოამჟღავნა.

როგორც მივუთითებდით, ვ. კოპალიანი სრულად ენდობა რა არისტაკესს, მის ცნობებს და მასთან მოხსენიებულ შლფას შირიმქ-შირიმნთან აიგივებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეს შირიმნ-შლფა იყო არა 1021, არამედ 1022 წლის ბრძოლის ადგილი.

ეს თვალსაზრისი დამაჯერებელი არაა.

საჭიროა, კერძოდ, იმის აღნიშვნით დავიწყოთ, რომ არსებითად ვ. კოპალიანის მთელი თვალსაზრისი წინააღმდეგობაში იმყოფება ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ იმ უდავო შეხედულებასთან, რომ სუმბატ დავითის-ძის თხზულება და „მატიანე ქართლისაჲს“ ის მონაკვეთი, სადაც XI ს-ის პირველი მესამედის საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობებია გადმოცემული, განსაკუთრებით სანდო ინფორმაციას შეიცავენ. ეს არცაა გასაკვირი, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ საქმე ეხება ქართველი ხალხის ისტორიის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდის გადმოცემას... თანაც, ზემოხსენებულ თხზულებათა ავტორები იმ ეპოქის მოღვაწეები იყვნენ, როცა მათ (თუ მათი თანამედროვეების) მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალი უნდა ყოფილიყო მრავალრიცხოვანი მოგონებები 1021—1022 წწ. საქართველო-ბიზანტიის ომსა თუ მის შედეგებზე... ასეთ ვითარებაში ულოგიკობა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ქართველ მემატიანეებს, ან მათ წყაროს, არეოდათ საქართველო-ბიზანტიის ომის დროს მომხდარი ბრძოლების თანმიმდევრობა და შეშლოდათ სახელი და ადგილი შირიმნის ბრძოლისა, სადაც ქართველებმა კინაღამ სძლიეს კიდევაც ბიზანტიის დიდ ავტოკრატორს ბასილი II-ს.

ვ. კოპალიანის ახალი სქემისადმი ეჭვებს სრული კატეგორიულობით აღრმავებს არისტაკეს ლასტივერტცის ინფორმაციაც, რომლის საფუძველზეც კ. იუზბაშიანი და მის მიდევნებით ვ. კოპალიანი თვლიან, რომ შლფა იგივე არშარუნიქში მდებარე შირიმქია.

თავისთავად გეოგრაფიული პუნქტი „შირიმქ“ მართლაც მდებარეობდა არშარუნიქის გავარში და, როგორც კ. იუზბაშიანი, ვ. კოპალიანი და ა. აბდალაძეც შენიშნავენ, სწორედ მასზე გვაწვდის ცნობებს XI ს-ის სომეხი მემატიანე ასოლიკი, რომლის მიხედვითაც შირიმქში ეკლესია და საძვლეც ააშენა კარის სომხეთა მეფე აბასმა[46], რომელიც მმართველობდა 954—989 წწ.

---

[46] Всеобщая история Степаноса Таронского, прозванного Асохиком, перевод Н. Эмина. М., 1864, с. 139.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენთვის ცნობილია შირიმქზე უფრო ადრინდელი ცნობაც, რომელიც ეკუთვნის V ს-ის სომეხ მემატიანე ლაზარე ფარპეცს. იგი თავის თხზულებაში მოგვითხრობს ნერსეს კამსარაკანის ძუძუმტეზე ხურსიზე, რომელიც იყო არშარუნიქის მხარის შირიმქიდან[47].

ასეთი ცნობების მიუხედავად, არისტაკეს ლასტივერტცის თხზულებიდან ჩანს, რომ ბასილი II და გიორგი I არასოდეს, არც 1021 და არც 1022 წლებში ერთმანეთს არ შეხვედრიან არშარუნიქის მხარეში. არისტაკესის ცნობით, 1021 წელს აღმოსავლეთისაკენ დაძრული ბასილი II ჯერ მოსულა კარინის დიდ ველზე, შემდეგ კი ბასიანში, ხოლო აქედან კარმირ ფორაკში გადასულა[48]. ეს უკანასკნელი — კარმირ ფორაკი იგივე ქართული წყაროების კარნიფორია და ყარსის დასავლეთით მდებარეობდა[49]. ამდენად, ომის დასაწყის ეტაპზე ბასილი II არშარუნიქის მხარიდან საკმაოდ შორს იმყოფებოდა.

ამ ამბების შემდეგ, არისტაკესის ცნობით, ბასილი II საქართველოს მიწებზე შეჭრილა და გიორგი I-თან დიდი ბრძოლა გადაუხდია „პალაკაციოს ტბასთან". უფრო მოგვიანებით კი პონტოს ქვეყანაში მისულა, სადაც ზამთარიც გაუტარებია[50].

მომდევნო, ე. ი. 1022 წელს, ბასილი II კვლავ ბასიანში მოსულა და დამდგარა მაზდატის ციხეში... სწორედ აქ გაუგია, რომ მის წინააღმდეგ აჯანყება დაუწყიათ ქსიფიასსა და ფოკას. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ კი ბასილი II ბასიანის ქვეყანაში — სალქორას დაბანაკებულა[51]. ლიტერატურაში კარგადაა გარკვეული, რომ მაზდატი და სალქორი ბასიანის ქვეყანაში მდებარეობდნენ[52].

დასასრულ, არისტაკესის ცნობითვე, ბასილი II-ს შლეგაში მიუღწევია, სადაც 1022 წელს მომხდარა დიდი ბრძოლა ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის.

სად უნდა ყოფილიყო შლეგა?

---

[47] Lazare de Pharbe, Histoire d'Arménie. Traduite pour la première fois en fraiçais... par le P. Samvel Dr. Chésarian. Collection des historiens anciens et modernes de l'Arménie, t. II, Paris, 1869, გვ. 61.

[48] Повествование Вардапета Аристакеса..., с. 61.

[49] Ս. Տ. Ե ր ե մ յ ա ն, Հայաստանը ըստ „Աշխարացույց"-ի (փորձ VII դարի հայկական բարեզի վերակազմության ժամանակակից քարտեզագրական հիմքի վրա) Երևան, 1963. გვ. 58.

[50] Повествование Вардапета Аристакеса..., с. 61—63.

[51] იქვე, გვ. 64.

[52] Է. Դ ա ն ի ե լ յ ա ն. Կեց (Κετσέον) եվ Մազդատ (Μαστάτον) ամրոցների տեղագրությունը, Вестник отделения общественных наук АН Армянской ССР, 1976, № 8, с. 73—85.

უეჭველია, ბასიანის ქვეყანაში. ეს, თითქოს, კარგად ჩანს არისტაკეს ლასტივერტცის ცნობებითვე. ავტორი უბრალოდ ყვება, რომ სალქორიდან ბასილი II-მ შლფაში წაიწია. აქ არისტაკესი საჭიროდ არა თვლის მიგვანიშნოს, რომ ბასიანის სალქორაში მყოფი ბასილი II სხვა გავარში გადავიდა, როგორც ამას არისტაკესი ჩვეულებრივ აკეთებს ხოლმე, თუ მისი პერსონაჟი ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადის. მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ თუმცა ბასილი II სალქორიდან შლფაში გაემართა, მაგრამ არსებითად ისევ ბასიანის ქვეყანაში დარჩა. ამ დასკვნას კატეგორიულად ემოწმებიან სუმბატ დავითის-ძე და „მატიანე ქართლისაჲ"-ს ავტორი, რომლებსაც ქართველთ-ბიზანტიელთა მხედრობის ბრძოლის ადგილად ბასიანის მხარე წარმოუდგენიათ[53].

ამ ფაქტების შუქზე მართლაც სავსებით სწორია ა. აბდალაძის მიხვედრა, რომ შლფა არ შეიძლებოდა ყოფილიყო არშარუნიქში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შლფა სხვაგან მდებარე ადგილი უნდა ყოფილიყო. აქედან, ბუნებრივია, თავისთავად იხსნება დებულება იმის შესახებ, რომ ქართველთ-ბიზანტიელთა უკანასკნელი დიდი ბრძოლა 1022 წელს მოხდა არშარუნიქის მიწაზე, სადაც ქართველები ამაზე უწინ შეიჭრნენ, ვითომცდა, ამ უკანასკნელებმა ისარგებლეს რა ბასილი II-ის მძიმე მდგომარეობით ქსიფიასის და ფოკას აჯანყების დროს.

ასეთ ვითარებაში ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს არ ვენდოთ ქართული წყაროების იმ ცნობას, რომ 1021 წელს პირველი ბრძოლა ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის მოხდა სადღაც კოლას მიდამოებში. მით უმეტეს, რომ ამ ცნობას არსებითად არისტაკეს ლასტივერტცის მიერ მოთხრობილი ფაქტებიც ემოწმებიან. აქვე — კოლასა თუ პალაკაციოს სექტორში უნდა ყოფილიყო ქართველთ-ბიზანტიელთა ურთიერთბრძოლის ადგილი შირიმნი, რომელიც, აშკარაა, ძალზე დაშორებული უნდა ყოფილიყო არშარუნიქში მდებარე მისივე თანამოსახელე ადგილისაგან.

„შირიმ" ტოპონიმის ერთდროული არსებობა არშარუნიქში და კოლას მიწაზე, სადაც საქართველო-ბიზანტიის 1021—1022 წ. ომის თეატრი მდებარეობდა, მოულოდნელი არ უნდა გვეჩვენოს, თუ გავითვალისწინებთ „შირიმ" ფუძიანი ტერმინის გავრცელების შესაძლებლობას როგორც ძველ სომხეთში, ასევე საქართველოშიც. შირიმ (მრ.

---

[53] სუმბატ დავითის ძე, გვ. 384; მატიანე ქართლისაჲ, გვ. 287. ამ ცნობას „მატიანე" კერძოდ იმასაც უმატებს, რომ ქართველები, რომლებსაც გიორგი I მეთაურობდა, თავს დასხმიან „ბასილი მეფესა" „დაბანაკებულსა, რომელსა უწოდიან სკნდაქსად". მატიანე ქართლისაჲ, გვ. 287. ს. ყაუხჩიშვილის მართებული განმარტებით, „სკნდაქსი" ბერძნული სიტყვაა — სუნტაქსის — რაც ნიშნავს „დარაზმვას", „საბრძოლველად დარაზმვას". ქართლის ცხოვრება", ტ. I, გვ. 039.

შირიმქ) სიტყვა ძველ სომხურში სასაფლაოს, საძვლეს ნიშნავდა[54]. მაგრამ ამავე მნიშვნელობით ეს სიტყვა ქართულშიც იყო ცნობილი და გავრცელებული. ეს სიტყვა გვხვდება, მაგალითად იპოლიტე რომაელის — „ქებაი ქებათას“ ძველ ქართულ თარგმანში[55] და სხვა ნათარგმნ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში[56], რომლებიც არსებითად ადრეფეოდალური ხანის ქართული ლექსიკის ბაზაზეა შექმნილი.

ბუნებრივია დავუშვათ, რომ ქართულ-სომხურისათვის საერთო ეს სიტყვა—„შირიმ“ ფუძით—საფუძვლად დასდებოდა არა ერთსა და ორ ტოპონიმს როგორც ქართულ, ისევე სომხურ მიწებზე, ან ისეთ მხარეებში, სადაც ქართული და სომხური ეთნიკური მასები მჭიდრო კონტაქტებში იმყოფებოდნენ. 1021—1022 წწ. საქართველო-ბიზანტიის დიდი ომი ხომ ნაწილობრივ ასეთნაირ მხარეში მიმდინარეობდა.

საინტერესოა, რომ ქართული წყაროები კოლა-პალაკაციოს მხარეში მდებარე შირიმნს წმინდა ქართული ფორმით მოიხსენიებენ: — „შირიმთა“ — „შირიმნი“... სამწუხაროდ, ამჟამად ვერ ხერხდება „შირიმთა“ — „შირიმნის“ კვალის მიგნება-მინიშნება კოლა-პალაკაციოს სექტორში, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე ეთნიკური და დემოგრაფიული თვალსაზრისით, დიდი ცვლილებები აქვს განცდილი. ე. თაყაიშვილი, რომელმაც კოლასა და მის სანახებში ჯერ კიდევ ამ საუკუნის დამდეგს იმოგზაურა, შენიშნავს, რომ „სიძველეთა ნაშთები, ეტყობა, კოლაში ბევრი ყოფილა. არ არის სოფელი ან ნასოფლარი, სადაც არ იყოს ნანგრევები ან ნაშთები ეკლესიებისა, კოშკებისა თუ ციხეებისა, მაგრამ ახლა ყველა ეს უმეტეს შემთხვევაში განადგურებულია“[57]. ბუნებრივია ასეთ ვითარებაში ძალზე ძნელდება შირიმნის კვალის მიგნება.

დასასრულ რამდენიმე სიტყვით სომხური ტექსტის შესახებ, რომელიც ა. აბდალაძემ გაარჩია. როგორც ვთქვით, მასში საუბარია გიორგი I-ის და ბასილი II-ის ურთიერთბრძოლის შესახებ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ა. აბდალაძე ამ სომხურ ტექსტს ანდერძ-მინაწერად თვლის და მის ცნობებს სანდო ინფორმაციის შემცველად მიიჩნევს. სწორედ ამ ცნობების საფუძველზე დაასკვნის იგი, რომ ბრძოლა, ჩანს, მოხდა არა მაინცდამაინც „პალაკაციოს ტბის მახლობლად“, როგორც ეს არისტაკეს ლასტივერტცის ცნობებით ვიცით,

---

[54] Н. Марр, Ипполит—Толкование «Песни Песней». Грузинский текст по рукописи X века, перевод с армянского, исследование и издание. „Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии“, кн. III, СПб., 1901, с. LXI.

[55] იქვე, გვ. 24.

[56] ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 505.

[57] ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938, გვ. 10.

არამედ — „შირაკის ველზეც“. „ბრძოლა, ალბათ, მართლაც ამ სამ მხარეს შორის მოხდა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი აზრით, ა. აბდალაძის მიერ გარჩეული ტექსტისადმი ასეთი ნდობა და მის მიხედვით ისტორიული ფაქტის დადგენა გამართლებული არ უნდა იყოს. თვითონ ა. აბდალაძესვე აქვს აღნიშნული, რომ მის მიერ განხილულ ტექსტს შეიცავს XVII ს-ის სომხური ხელნაწერი. თუ ეს ასეა, ვფიქრობთ, უკვე მარტო ეს გარემოებაც გვიკარნახებს იმას, რომ ზემოხსენებული სომხური ტექსტის ინფორმაციის გამოყენებისაგან ასე ნაუცბათევად თავი შევიკავოთ და წინასწარი წყაროთმცოდნეობითი შესწავლის გარეშე მასში დაცულ ცნობებს ისევე არ ვენდოთ, როგორც ვენდობით, მაგალითად, XI ს-ის ზემოთ უკვე არაერთხელ ციტირებულ ავტორებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ი. თოვფჭეანის წიგნში მართლაც არის დაბეჭდილი ბასილი II-სა და გიორგი I-ის ურთიერთბრძოლის მაუწყებელი ცნობები[58], მაგრამ იგი ანდერძ-მინაწერი კი არაა, როგორც ეს აღნიშნულია ა. აბდალაძის დისერტაციასა და გამოქვეყნებულ ავტორეფერატში, არამედ თანდართვა, დასაწყისი იოვანე კოზერნის „ხილვისა“, რომელიც არმენისტიკაში კარგად ცნობილი აპოკრიფული შინაარსის ლიტერატურული ძეგლია და რომლის დასაწყისსაც ის ტექსტი წარმოადგენს, რომელიც ა. აბდალაძეს აქვს განხილული. იოვანე კოზერნის „ხილვის“ ტექსტი მთლიანობაში, რუსული თარგმანითა და სათანადო გამოკვლევითურთ ჯერ კიდევ ამ საუკუნის დამდეგს გამოაქვეყნა ნიკო მარმა[59]. ნ. მარის მიხედვით იოანე კოზერნის „ხილვა“ ესაა აპოკრიფული შინაარსის თხზულება სასწაულებით განთქმულ იოვანე კოზერნზე, რომელიც სომეხთა კათალიკოს პეტროსთან (ვედროს) ერთად 1022 წელს ტრაპიზონში მდგომ ბასილი II-ს ეახლა. „ხილვა“ შექნილა XII საუკუნეში, შავ მთაზე, 1147 წლის მეორე ჯვაროსნული ომის მოლოდინში. ხსენებული ძეგლი გამოყენებული ჰქონდა XII ს-ის ცნობილ სომეხ ჟამთააღმწერელს მათეოს ედესელ-ურჰაელს თავის „ჟამთააღმწერლობაში“. ანდა, შესაძლებელია, კოზერნის „ხილვის“ სათანადო ადგილები მათეოსის თხზულებაში სხვის მიერაც იყო შეტანილი[60].

ნ. მარის მიერ მოტანილ არგუმენტებს, რომლებიც აშკარას ხდიან იოვანე კოზერნის „ხილვისა“ და მათეოს ედესელის „ჟამთააღმწერლობის“ შინაარსობრივ-ფაქტობრივ დამთხვევას, უთუოდ ის ფაქტიც

---

[58] Ց. Թ ա փ չ ե ա ն, Ցուցակ ձեռագրաց Արմաշի վանքին, Վենետիկ. 1962, გვ. 402.

[59] Н. Марр, Сказания о католикосе Петре и ученом Иоанне Козерне. „Восточные записки“, СПб., 1905.

[60] იქვე, გვ. 17—18.

უნდა დაემატოს, რომ ასეთი დამთხვევა არსებითად თავს იჩენს, კერძოდ, იმ ბრძოლების აღწერისას, რომლებიც მიმდინარეობდა ბასილი II-სა და გიორგი I-ს შორის.

იოვანე კოზერნის „ხილვის“ ზემოთციტირებულ ნაწყვეტთან შეხვედრას ამჟღავნებს მათეოს ედესელის „ჟამთააღმწერლობის“ ის ადგილი, რომელშიც მოთხრობილია 1021—1022 წწ. ბასილი II-სა და გიორგი I-ს შორის მიმდინარე ბრძოლებზე. მათეოს ედესელი წერს: „სომეხთა წელთაღრიცხვის 470-ე წელს (1021 წ. III/16—1022 წ. 15/III) ვასილი უამრავი მხედრობით გაემართა აღმოსავლეთში და სომეხთა მეფისაგან მოითხოვა ანი და ყარსი. გაგიკ ოვანესის ძემ თავისი სულმოკლეობის გამო გადაწყვიტა მიცემა. ვასილმა, დაბრუნდა რა თავის ქვეყანაში, წერილი მისწერა ქართველთა მეფე გორგის, წინადადებით, გამხდარიყო მისი ქვეშევრდომი, რაზეც გორგიმ უარი განაცხადა. მაშინ ვასილიმ ომი გამოაცხადა და მის წინააღმდეგ დაიძრა. ლიპარიტის მამაცი ძმები რატი და ზოიატი გაემართნენ მის წინააღმდეგ და ვასილის მხედრობას მძიმე დარტყმა მიაყენეს. რატის მოკვლის შემდეგ (მისი შვილი ქვიშიან მიწაში ცოცხლად ჩაიფლო), ლტოლვილ ქართველთა ჯარს ვასილის მხედრობა მისდევდა უკან. ვასილიმ აქ დაჰყო სამი თვე, ვიდრე არ დაიმორჩილა ისინი და შემდეგ გამოსაზამთრებლად ტრაპიზონს მივიდა“[61]. ასევე იოვანე კოზერნის „ხილვას“ მისდევს ის ადგილი, სადაც მოთხრობილია იოანე კოზერნის სასწაულებზე, ხოლო შემდეგ კვლავ გიორგი I-ისა და ბასილი II-ის ურთიერთბრძოლებზე[62].

როგორც უკვე აღინიშნა, ა. აბდალაძე იოანე კოზერნის „ხილვის“ თანდართვას სანდო ღირებულების შემცველ წყაროდ თვლის და მასზე დაფუძნებით ცდილობს 1021—1022 წწ. ომის დეტალების დაზუსტებას. ამასთანავე ერთად იგი ფიქრობს, რომ კოზერნის „ხილვის“ თანდართვას, მისი თქმით ანდერძ-მინაწერს, ისე როგორც მათეოს ედესელსაც, მთელი რიგი ისტორიული ფაქტები უფრო სწორადა აქვს გადმოცემული, ვიდრე XI ს-ის წყაროებს, კერძოდ, კედრენეს და არისტაკესს. საქმე ის არის, რომ სკილიცა-კედრენეს მიხედვით, ანის მეფე იოანე-სუმბატი თავის დროს მიემხრო გიორგი I-ს (როცა ეს უკანასკნელი ბიზანტიელებს ებრძოდა). ამის შესახებ ზემოხსენებულ ავტორთან ვკითხულობთ: „როდესაც აფხაზთა მთავარმა გიორგიმ იარაღი ააღლარუნა რომაელთა წინააღმდეგ, მისი მოკავშირე იყო იოვანესიკეც, რომელიც ფლობდა ანისის ქვეყანას. ხოლო როდესაც, როგორც ზემოთ

---

[61] Մատթեոս Ուրհայեցի, ժամանակագրութիւն, թարգմանությունը, ներածությունը և ծանոթագրությունները՝ Հրաչ Բարթիկյանի, Երևան, 1973, გვ. 33.

[62] იქვე, გვ. 34.

ითქვა, ბასილი მეფე იბერიაში გაემგზავრა და ბრძოლა გაუმართა გიორგის, აოტა იგი და გააცამტვერა, იოვანესიკეს შეეშინდა, ვაითუ ბეფემ განრისხებულმა, რომ გიორგის მოკავშირე ვიყავი, საშინელი რამ არ დამმართოსსო, ქალაქის გასაღებებით ეახლა მეფეს, დანებდა მას და გასაღებებიც გადასცა"[63]. დაახლოებით ასეთნაირად ესახება მოვლენათა ერთი ნაწილი არისტაკესსაც, რომელიც გვამცნობს, რომ კათალიკოსმა პეტროსმა იოვანე-სუმბატის მითითებით მოაწერა ხელი ანის ბიზანტიისათვის გადაცემის აქტს, როცა ბასილი II ტრაპიზონში იმყოფებოდა[64].

ა. აბდალაძეს ეჭვი ეპარება მოვლენათა კედრენე-არისტაკესისეული თხრობის თანმიმდევრობაში და უპირატესობას მათეოს ედესელისა და კოზერნის „ხილვის" თანდართვას ანიჭებს. ა. აბდალაძის აზრით, შეიძლება დავუშვათ, რომ იოვანე-სუმბატი დახმარებას ჰპირდებოდა გიორგი I-ს, მაგრამ მას ბიზანტიის წინააღმდეგ მოქმედებაში არ მიუღია მონაწილეობა. ამ შემთხვევაში გაცილებით სწორი უნდა იყოს „1021 წლის ანდერძნამაგისა" და, აგრეთვე, მათეოს ურჰაელის ცნობა იმის შესახებ, რომ ბასილი II-მ იოვანე-სუმბატი გიორგი I-თან ომამდე დაიმორჩილა. გიორგი კედრენეს ცნობა კი, რომ იოვანე-სუმბატმა თავისი სამეფო ბიზანტიას გადასცა, რადგან ეშინოდა, რომ კეისარს იგი არ დაესაჯა, აშკარად ტენდენციურია. გიორგი კედრენე, ან მისი წყარო, რომელიც მას გამოუყენებია, ცდილობს გაამართლოს ანის სამეფოს ანექსია"[65].

ა. აბდალაძის ეს მსჯელობა ლოგიკურია, მაგრამ მათეოს ურჰაელის, ისე როგორც კოზერნის „ხილვის" თანდართვის ცნობები სინამდვილეში გვიანდელი ინფორმაციის საფუძველზეა შექმნილი და თანაც, როგორც ვნახეთ, ხსენებული თანდართვა არც ანდერძნამაგია და არც 1021 წელს განეკუთვნება. ამასთანავე, არ უნდა შეგვექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მათეოს ედესელისა და არისტაკესის ცნობები იმდენად განსხვავდებიან, რომ სხვადასხვანაირად წარმოგვიდგენენ ისტორიულ ფაქტებს. მათეოსის ისტორიული ქარგა (იგივე ითქმის იოვანე კოზერნის „ხილვის" თანდართვაზეც) შეიძლება ისე გავიგოთ, რომ 1021 წელს ბასილი II-მ ჯერ დიპლომატიურად დაიმორჩილა ანის მეფე იოვანე-სუმბატი და აიძულა იგი თავისი სამეფო ბიზანტიის სამფლობელოდ ეცნო, რის შემდეგაც მან დაიწყო ცნობილი ლაშქრობა გიორგი I-ის წინააღმდეგ. ამ ლაშქრო-

---

[63] I. Scylitzae, გვ. 556—557; გეორგიკა, ტ. V, გვ. 59.

[64] Повествование Вардапета Аристакеса..., с. 63.

[65] А. Абдаладзе. Памятные записи армянских рукописей как источник по истории Грузии X—XIII веков. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб., 1975, с. 10.

ბის პირველმა ეტაპმა 1022 წლის ზამთრამდე გასტანა, შემდეგ კი ბასილი II-ემ ტრაპიზონს მიაშურა გამოსაზამთრებლად. აქ ეახლნენ მას იოვანე კოზერნი და კათალიკოსი პეტროსი.

ანალოგიურად მოგვითხრობს არისტაკესიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იგი 1021 წელს ბასილი II-ის და იოვანე-სუმბატის ურთიერთობებს კი არ ეხება, არამედ გადმოგვცემს 1022 წელს ტრაპიზონში პეტროსის მოსვლის ამბავს ბასილი II-სთან, როცა სომეხთა კათალიკოსმა უკვე დოკუმენტურად გააფორმა იოვანე-სუმბატის სურვილი. არისტაკესის თქმით, სწორედ აქ დაიწერა სომეხთა დაღუპვის წერილი[66]. ვფიქრობთ, არისტაკესისა და მათეოსის მოთხრობათა შორის წინააღმდეგობას არა აქვს ადგილი და მათ შორის განსხვავებანიც მხოლოდ იმაშია, რომ არისტაკესს, რომელიც სომხეთის ტრაგიკული ბედის გადმოცემას ტაოს ამბებით იწყებს, ამ უკანასკნელს მეტ ყურადღებას უთმობს. ტრაპიზონის ამბების აღწერისას კი ძირითადად ხსენებული ფაქტების ფინალზე ჩერდება. ასე რომ, რაიმე არსებითი განსხვავება მათეოსისა და არისტაკესის მოთხრობათა შორის არაა. ასევე უფლება არ უნდა გვქონდეს ეჭვი შევიტანოთ იოვანე-სუმბატის მონაწილეობაზე გიორგი I-ის მხარეზე, როცა ეს უკანასკნელი ბასილი II-ის წინააღმდეგ მოქმედებდა. მართალია, 1021—1022 წწ. მოვლენათა აღწერისას სომეხი ისტორიკოსები ამის შესახებ არაფერს გვამცნობენ, მაგრამ სკილიცა-კედრენეს ცნობაში მაინცდამაინც 1022 წელი როდი იგულისხმება. ბიზანტიელი ქრონისტის თქმით, იოვანე-სუმბატმა გიორგი I-ის მხარე დაიკავა მაშინ, როცა ამ უკანასკნელმა ბასილის წინააღმდეგ იარაღი ააღარუნა. გიორგის გამოსვლები კი ბასილის წინაამდეგ დაიწყო 1015 წლიდან[67]. ეს იმას ნიშნავს, რომ იოვანე-სუმბატმა გიორგი I-ის მხარეზე ბრძოლა დაიწყო, საფიქრებელია, 1020 წელზე გაცილებით ადრე. აქედან გამომდინარე, სავალდებულო არაა სკილიცა-კედრენეს ცნობის სიმართლეში ეჭვი შევიტანოთ მარტოოდენ იმ საფუძველზე, რომ სხვა ისტორიკოსები, რომელთა ყურადღებაც უმთავრესად 1021—1022 წწ. მოვლენებზეა კონცენტრირებული, იოვანე-სუმბატს ხსენებულ დროში გიორგის აქტიურ მომხრედ არ წარმოსახავენ.

საერთოდ, მუდამ უნდა გვახსოვდეს იოვანე კოზერნის „ხილვის" და ამასთანავე მათეოს ურჰაელის თხზულების შედარებითი ნაგვიანო-

---

[66] Повествование Вардапета Аристакеса..., с. 63.

[67] Повествование Вардапета Аристакеса..., с. 57. სადაც მითითებულია, რომ დავით კურაპალატის სამფლობელოების ანექსიის შემდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა 450 წელს (1001. 21/III—1002. 20/III), „ქვეყანაში 14 წლით დამკვიდრდა მშვიდობა". იგი, მაშასადამე, 1015 წელს დაირღვა გიორგი I-ის პოლიტიკის მეოხებით.

ბა, ის, რომ მათ მიერ აპოკრაფიული ხასიათის ცნობებია გამოყენებული, რაც, ჩანს, მათში რიგი ფაქტების არასწორი გადმოცემის მიზეზი უნდა იყოს.

ასეთ უზუსტობად უნდა მივიჩნიოთ, კერძოდ, კოზერნის „ხილვის" თანდართვაში ბასილი II-ისა და გიორგი I-ის პირველი დიდი ბრძოლის ადგილად „შირიმქის", თუ „შირიმქის ველის" ნაცვლად „შირაქის ველის" დასახელება. ეს აღრევა იმის შედეგი უნდა იყოს, რომ XII ს-ის ავტორი, თუ მისი წყარო, თავის მოთხრობაში მისთვის უფრო ნაცნობი გეოგრაფიული ტერმინების გამოყენებას ცდილობს. არ იცის რა ქართველთ-ბიზანტიელთა პირველი დიდი ბრძოლის ზუსტი სახელწოდება, იგი მას მისთვის ნაცნობი შირაქის ველით ცვლის. ყველაფერი ეს სავსებით გასაგებია იმ ავტორისათვის (თუ გადამწერი?), რომელიც ჩვენთვის საინტერესო ფაქტზე მსჯელობს მისი მოხდენიდან საუკუნეზე მეტი დროის შემდეგ და გეოგრაფიულადაც შირიმნის ველიდან ძალზე დაშორებულ მხარეში, სადღაცა სირია-ანტიოქიასა თუ მის სანახებში.

ამდენად, ჩვენი ნაშრომი შეიძლება დამთავრდეს შემდეგი დასკვნებით:

1. შირიმნი, ისე როგორც ამას ქართული წყაროები გვაუწყებენ, ნამდვილად მდებარეობდა კოლა-პალაკაციოს სექტორში და 1021 წელს სწორედ აქ მოხდა პირველი დიდი ბრძოლა ბასილის II-სა და გიორგი I-ს შორის; 2. მცდარია ის აზრი, თითქოს შირიმნის ბრძოლა მოხდა 1022 წელს კარის სამხრეთ დასავლეთით არშარუნიქის მხარეში, ან თითქოს, ქართულმა წყაროებმა ამ მეორე ბრძოლის ადგილი შეცდომით დაუკავშირეს 1021 წლის ბრძოლის ადგილს და მის სახელწოდებას; 3. ქართველთ-ბიზანტიელთა ბოლო დიდი ომი უნდა მომხდარიყო 1022 წელს ბასიანის მიწაზე. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ის ადგილი, რომელსაც არისტაკეს ლასტივერტცი შლფას ადგილად იხსენიებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენიშვნები პროტოსპათარისა და დუპატოსის ევსტათე ბოილას ანდერძზე

საქართველოსა და სომხეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესასწავლად XI საუკუნის შუა ხანებში — როცა ქართველები და სომხები მოექცნენ ბიზანტიის აგრესიის ორბიტაში — დიდი მნიშვნელობა აქვს პროტოსპათარისა და დუპატოსის ევსტათე ბოილას ანდერძის მონაცემებს.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს ამ მონაცემებს საკუთრივ ბიზანტიური კულტურის, ხელოვნების, ენისა და, საერთოდ, ბიზანტიის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის რიგი საკითხების შესწავლისათვის; ამიტომაცაა, რომ შეუნელებელი ინტერესი ამ ძეგლისადმი უკანასკნელ ხანებამდეც არ წყდება, რასაც მოწმობს, თუნდაც, ცნობილი საბჭოთა ბიზანტინისტის გ. ლიტავრინის სულ ახლახან გამოსული ერთ-ერთი შრომა[1], სადაც ბოილას ანდერძი კვლავ საგანგებო ყურადღების ცენტრშია მოქცეული.

ევსტათე ბოილას ანდერძი პირველად გამოაქვეყნა ვ. ბენეშევიჩმა[2], შემდეგ კი ამ ძეგლის ირგვლივ შეიქმნა სოლიდური მოცულობის ლიტერატურაც[3]. მიუხედავად ამისა, ბოილას ანდერძის ზოგიერთი ადგილის გაგება მეცნიერებაში ჯერ კიდევ საკამათოდაა ქცეული, რის გამოც ჩვენ თავს უფლებას მივცემთ ამ საკითხებზე გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება.

ბოილას ანდერძი მოთავსებულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ კუალენის ფონდის (Coislin, 263)[4] ხელნაწერში. ან-

---

[1] Г. Г. Литаврин. Относительные размеры и состав имущества провинциальной византийской аристократии во второй половине XI в. (по материалам завещаний). Византийские очерки, М., 1971, с. 154—155; 158—164.

[2] В. Бенешевич. Завещание византийского боярина XI века. Журнал министерства народного просвещения, май, 1907, с. 219—231.

[3] იხ. საკითხზე არსებულ შემდეგ ნაშრომებში: Sp. Vryonis, The Will of Provincial Magnate, Eustatios Boilas (1059); Dumbarton Oaks Papers. Harvard University Press. Cambrige, Massachusetts. 1957. გვ. 264 — 277. Հ. Բարթիկյան, Եվստաթիու Բոյլասի կտակ (1059) որպես Հայաստանի և Վրաստանի պատմության կարևոր սկզբնաղբյուր. „Բանբեր Մատենադարանի», Երևան“, 1960, №5 գգ. 393—430.

[4] R. Devress. Catalogue des manuscrits grecs, II, Le fonds Coislin. Paris, 1945, გვ. 241—242.

დერძის ტექსტის წინ ნათქვამია, რომ ეს ანდერძი შედგენილია ღვთისმშობლის მონასტრის ბერისა და პრესვიტერის თეოდულეს ხელით ბოილას თხოვნით და ხელმოწერილია მოწმეების მიერ მე-12 ინდიქტიონს, 6567 წლის აპრილის თვეში (1059)[5].

ამავე მინაწერს მოსდევს ასეთი ხელრთვა: ევსტათე პროტოსპათარი ბოილა ამ საბუთს ვაწერ საკუთარი ხელით[6].

ანდერძისავე წინ მოთავსებულია ვრცელი მინაწერი, შესრულებული იმავე თეოდულე ბერის ხელით, რომელიც პირველი პუბლიკაციისა და გავრცელებული წაკითხვის მიხედვით შემდეგი სახისაა:

„დამთავრებულია „კიბე"[7] პროტოსპათარისა და იუპატოსის ევსტათიოს ბოილას ბრძანებით, სალიმის უწმინდესი ღვთისმშობლის ბერისა და პრესვიტერის ხელით, ორივე კაპადოკიელნი, მეფობასა პროედროსის და პროტოვესტიარის ისააკიოს კომნინოსისა წმინდა ქალაქში, პატრიარქობასა ანტიოქიის პატრიარქის თეოდოსიოსის დროს, 6567 წელს 12 ინდიქტიონს, 4 აპრილს, მე-7 საათს წმინდა და დიდ შაბათს, ედესის კატაპანის იოანე დუკიწის დროს. ანტიოქიაში ადრიანესა და იმპერატორის მესოპოტამიაში პროედროს აარონის ჟამს. ბასილიოს პარადუნაბისის მაგისტროსის დუკობასა; აგრეთვე ჟამსა იოანე მონასტერიოტიოს იბერიელისასა, ბაგრატიოს ვასპურაკანელისასა და იოანე კომნინოსის კურაპალატობასა"[8].

Ἐτελειώθη ἡ πανάρετος κλίμαξ προστάξει Εὐσταθίου πρωτοσπαθαρίου καὶ ὑπάτου τοῦ Βοήλα διὰ χειρὸς ἐμοῦ Θεοδούλου μοναχοῦ καὶ πρεσβυτέρου τῆς ὑπεραγίας Θεοτόκου Σαλήμ, ἀμφότεροι Καππαδόκαι, ἐπὶ τῆς βασιλείας Ἰσαακίου τοῦ Κομνηνοῦ καὶ πατριάρχου τῆς βασιλίδος Κωνσταντίνου προέδρου καὶ πρωτοβεστιαρίου καὶ Θεοδοσίου Ἀντιοχείας ἔτει ,σφξζ' ἰνδικτιῶνος ιβ' μηνὸς ἀπριλλίου δ', ὥρα ζ', τῷ ἁγίῳ καὶ μεγάλῳ σαββάτῳ, καταπάνω Ἐδέσης Ἰωάννου τοῦ Δουκίτζη, δουκῶν Ἀδριανοῦ Ἀντιοχείας, Ἀαρὼν προέδρου καὶ αὐτοῦ δὲ τῆς Αὐγούστης Μησοποταμίας, Βασιλείου μαγίστρου τοῦ Παραδούναβι, Ἰωάνου Μοναστηριότου Ἰβηρίας, Παγρατίου Βασπρακᾶ καὶ Ἰωάννου κοροπαλάτου καὶ δομεστίκου τῶν σχολῶν τοῦ Βασιλέως Κομνηνοῦ.

---

[5] В. Бенешевич. დასახ. ნაშრომი, გვ. 220.

[6] იქვე.

[7] ესაა სახელწოდება იოანე კლიმაქსის თხზულებისა, რომლის ტექსტის წინ მოთავსებულია ეს მინაწერი.

[8] В. Бенешевич. Завещание, გვ. 220. ზოგიერთი შესწორებით იგივე ტექსტი იხ. ამავე ავტორის თხზ.: „Три Анийские надписи XI в. из эпохи византийского владычества". Петроград, 1921, с. 16.

ხსენებული ანდერძიდან ვიგებთ, რომ ბოილა, მისივე თქმით, იყო ბრწყინვალე წოდებისა, მისდევდა ჭეშმარიტი სარწმუნოების კანონებს და მუდამ იყო თავისუფალთა წარმომადგენელი. ამავე ძეგლიდან ვგებულობით, რომ ბოილას მუდამ დიდი სიკეთით ექცეოდნენ აწ გარდაცვლილი მისი უფალი დუკა მიხეილი და მიხეილის მემკვიდრე ბასილი.

ანდერძისავე თანახმად, გარკვეული დროიდან ბოილა გადმოსახლდა და დაეფუძნა უცხო მხარეში, თავისი სამშობლოს კაპადოკიიდან მოცილებით, იქ, სადაც ცხოვრობდა უცხო ენაზე მოლაპარაკე და უცხო სარწმუნოების ხალხი.

პირველად, გვამცნობს ბოილა, ეს ადგილები, რომლებიც მან დაიკავა, ყოველმხრივ გამოუსადეგარი იყო, რადგანაც აქ ჭარბობდა სიმყრალე და მრავლად ესახლნენ საზიზღარი ქვეწარმავლები. ამავე ადგილას მეფობდა ცუდი ჰავა, რის გამოც ამ მხარეს ძნელად იტანდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები და თვით სომხებიც კი, რომლებიც აქედან შორიახლო ცხოვრობდნენ. მიუხედავად ამისა, გადმოგვცემს ბოილა, მან ეს მხარეები ააყვავა და მოაშენა. აქვე ბოილა ჩამოთვლის თავის მამულებს და პირებს, რომლებიც მის სიახლოვეს ან მოკიდებაში იყვნენ და მის მამულებში ცხოვრობდნენ; ბოილა ასახელებს თავის მამულებს, როგორიცაა, ვუზინა, ისაია, უზიკი, ხოსპაკრატი, ოფიდოვუნი, კალმუხი, კუზნერია; მის ახლო ადამიანებს კი ჰქვიათ: ანა, მიხაილი, ბასილი, გარიპონი, მუსესი, ფარსმანი და სხვ.

სად დაესახლა ბოილა კაპადოკიიდან წამოსვლის შემდეგ, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სად მდებარეობდა ბოილას მამულები, რომლებშიც იგი ცხოვრობდა თუ მოღვაწეობდა სიცოცხლის ბოლო ხანებში? ამ საკითხზე მკვლევრები სხვადასხვაგვარად პასუხობენ:

მაგალითად, ომონი, ანდერძის პირველი კომენტატორი, ბოილას სამფლობელოებს კაპადოკიაში ასახელებდა[9], პ. ბეზობრაზოვი — ანტიოქიის თემში[10], ვ. ზლატარსკი კი — ედესის სანახებში[11].

ბერძენმა ბიზანტინისტმა სპირო ვრიონისმა კი, რომელმაც 1957 წელს გამოაქვეყნა ანდერძის ინგლისური თარგმანი და კომენტარები, ბოილას სამფლობელოთა ადგილად მიიჩნია მცირე აზიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი, კერძოდ ტაო, მისი თქმით, ტაიქი, ეს სომხურ-ქართული მხარე (armeno-georgian district)[12].

---

[9] H. Omont, Facs. des manuscrits grecs du IX au XIV s. Bulletin de la Société Nationale des Antquaires de France, 1890, გვ. 101.

[10] П. Безобразов. Завещание Войлы. „Византийский Временник". XVIII, 1911, с. 107—119.

[11] V. N. Zlatarski. Една датирана приписка на гръцки от средата на XI век. „Byzantinoslavica", I, 1929, с. 25.

[12] S. P. Vryonis. The Will of Provincial Magnate, Eustatios Boilas, გვ. 275.

თავის დასკვნას სპ. ვრიონისი იმაზე აფუძნებს, რომ ანდერძში მოხსენებული სახელი კალმუხი უნდა იყოს საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი გეოგრაფიული პუნქტი კალმახი[13]. სპ. ვრიონისის აზრით, ასევე შეიძლება ამოცნობილ იქნას ბოილას ანდერძში მოხსენებული მეორე პუნქტიც — კოპტერიონი, სადაც, თითქოს, 1049 წელს, ერთმანეთს შეებრძოლნენ ბიზანტიელები და სელჯუკები[14].

სპ. ვრიონისს მხარი დაუჭირა რ. ბართიკიანმა, რომელმაც ბოილას ანდერძისადმი მიძღვნილ რიგ შრომებში სცადა ახალი ფაქტებით გაემაგრებინა ბოილას მამულების ტაოში მდებარეობის კონცეფცია. ამასთან დაკავშირებით რ. ბართიკიანმა გამოთქვა აზრი, რომ ბასილი ბერის მიერ მინაწერში მოხსენიებული პიროვნებების რიგში ერთ-ერთი უკანასკნელი რგოლი ასე უნდა წაიკითხოთ: „... Βασιλείου μαγίστρου, Ἰωάννου μοναστεριώτου Ἰβηρίας...“[15] თუმცა ამ ფრაგმენტს ადრე ასე კითხულობდნენ: „...βασιλείου μαγίστρου τοῦ Παραδούναβι, Ἰωάννου μοναστηριοτου Ἰβηρίας“[16].

აქედან გამომდინარე, დაასკვნის რ. ბართიკიანი, სიტყვა Παραδούναβι ეკუთვნის არა ბასილის, როგორც წინათ კითხულობდნენ, არამედ პროედროს აარონს, რომელიც ყოფილაო აარონ პარადუნაბისი — დუნაისპირელი და რიგის მიხედვით თეოდულეს მინაწერში ბასილიზე ადრეა მოხსენიებული[17].

რ. ბართიკიანის თვალსაზრისით, თეოდულეს მინაწერში ბასილი რჩება ერთადერთ პირად, ვისი სამფლობელოებიც მითითებული არაა, მაშინ, როცა ყველა სხვა პირი დასახელებულია თავის საგამგეო მხარეებთან ერთად. მაგრამ, — წერს რ. ბართიკიანი, — ჩვენი წაკითხვისას ეს ფაქტიც ადვილად გასააზრებელია. მართლაც, მინაწერში სიტყვა დუკა ერთნაირად მიეკუთვნება ბასილისაც და იოანე მონასტერიოტსაც, რაც იმას მოწმობს, რომ ორივე ერთად იბერიის დუკები არიან; ეს კი ნიშნავს, რომ ევსტათე ბოილას მამულებიც, ბოილასი, ამ ბასილის ქვეშევრდომი რომ იყო — იბერიაში მდებარეობდნენ[18].

---

[13] Sp. Vryonis. The Will of Provincial Magnate Eustatios Boilas, გვ. 275.

[14] იქვე.

[15] Р. Бартикян. Относится ли прозвище Παραδούναβι к магистру Василию в памятной записи монаха Феодула (1059)? Изв. Акад. Наук. Арм. ССР, Ереван, 1959, 8, с. 85.

[16] იქვე.

[17] იქვე, გვ. 85—86.

[18] იქვე, გვ. 85—86; ამსარი, О завещании Евстафия Войлы. „Византийский Временник“, 1961, XIX, с. 37. ამსარი, О значении завещания Евстафия Войлы (1059) для изучения истории Армении и Грузии в эпоху византийского владычества (XI век), М., 1960, с. 2.

მიუხედავად სპეციალური ახსნა-განმარტებისა, რომელსაც რ. ბართიკიანი გვთავაზობს, საკითხს, თუ ვინ უნდა იყოს მინაწერში მოხსენიებული პარადუნაბისი — ბასილი თუ აარონი, ჩვენის აზრით, არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ბოილას სამფლობელოთა ლოკალიზაციისათვის. მართლაც, რ. ბართიკიანის კონიექტურის გაზიარების შემთხვევაში ჩვენ უნდა ბასილიცა და იოანე მონასტერიოტიც — ორივე ერთად—„იბერიელებად" ვცნოთ. მაგრამ, თუ ჩავუკვირდებით მინაწერის ტექსტს, დავრწმუნდებით, რომ ამ მინაწერში ყველა გეოგრაფიული სახელი მოხსენიებულია იმიტომ, რომ განსაზღვროს ამა თუ იმ პირის ხელთ მყოფი ქვეყანა, მისი სამმართველო ობიექტი. ამიტომ, სრულიად უეჭველია, რომ სიტყვა ი ბ ე რ ი ა ც მასში აღნიშნავს იმ სამმართველო მხარეს, რომელსაც, ტექსტის მიხედვით, იოანე მონასტერიოტი განაგებს. მინაწერისეული იბერია კი აქ აღნიშნავს იმ პოლიტიკურ ერთეულს (ბიზანტიურ იბერიას)[19], რომელიც შეიქმნა ბასილი II-ის დროიდან, მის მიერ დავით კურაპალატის სამფლობელოთა ანექსიისა და ცოტა უფრო გვიან ამ მხარეების ანისის მიწა-წყალთან გაერთიანების გზით. ბოილას ანდერძის შედგენის დროისათვის (1059 წ.) იბერია წარმოადგენდა სადუკოს, ადრე კი ის იყო ჯერ თემი, ხოლო უფრო მოგვიანებით — საკატაპანო[20].

როგორც ვთქვით, გარკვეული დროიდან იბერიაში, ე. ი. ბიზანტიური იბერიის ერთეულში შედიოდა ანისის ქვეყანაც. ამიტომაცაა, რომ ანისში მოპოვებულ ერთ-ერთ ფრაგმენტულ წარწერაში მოხსენიებულია იოანე მონასტერიოტიც: „Ἰωάννης βεστάρχης κατεπάνω Ἀρμενίας καὶ Ἰβηρείας Μοναστηριώτης"[21].

იოანე მონასტერიოტის, როგორც იბერიის სადუკოს მმართველის წარმოდგენის შემდეგ შეუძლებელია იმის დაშვება, რომ თეოდულეს მონაწერში მოხსენიებული სიტყვა „იბერია" ბასილისაც ეკუთვნოდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ რომ ეს სიტყვა ბასილის მსაზღვრელადაც მივიჩნიოთ, გამოვა, რომ „იბერიას" ერთდროულად ორი „ბიზანტიელი მმართველი" ჰყავს. ეს კი შეუძლებელია იმ გარემოების გამო, რომ 1059 წლისათვის იბერია ერთი სადუკი იყო და მას მხოლოდ ერთი დუკა შეიძლება ჰყოლოდა. ეს ერთი დუკა კი, როგორც ვნახეთ, იყო იოანე მონასტერიოტი. ამრიგად, იბერია ვერ იქნება ბასილის განმსაზღვრავი ვერც მაშინ, თუ სიტყვა „პარადუნაბის" ბასილის მივაკუთვნებთ და ვერც მაშინ, თუ ამ ზედწოდება — სახელის მატა-

---

[19] Р. Бартикян. О значении завещания Евстафия Войлы, с. 2.

[20] Н. Скабаланович. Византийское государство и церковь в XI в., СПб., 1884, с. 201—202.

[21] В. Н. Бенешевич. Три Анийские надписи XI века..., с. 19.

რებლად აარონს მივიჩნევთ. აქედან კი გამომდინარეობს, რომ თეოდულეს მინაწერში მოხსენიებული ბასილის სადაურობას უნდა განსაზღვრავდეს არა სიტყვა იბერია, არამედ ანდერძში ასახული სხვა მომენტები.

ამ მხრივ პირველ რიგში საყურადღებოა სახელი ბასილის ძმის ფარსმანისა, რომელიც, უეჭველია, უნდა იყოს ქართველი ან სომეხი დიდებული, ვინაიდან ეს სახელი, ჩვეულებრივ, ან ქართველებს, ან სომხებს ჰქვიათ ხოლმე[22]... ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ ფარსმანის ძმა ბასილიც და მამამისი მიხაილიც ქართველი ან სომეხი უნდა ყოფილიყვნენ.

ამასვე გვიდასტურებენ ჩვენ სხვა მონაცემებიც, რომლებითაც მართლაც აშკარაა იმ მხარეების ქართულ ან სომხურ მსოფლიოსადმი კუთვნილება, სადაც ევსტათე ბოილა ცხოვრობდა.

მაგალითად, თეოდულეს მინაწერში ბასილი იოანე მონასტერიოტთან ერთად მაინცდამაინც იმიტომაა მოხსენიებული, რომ იგი იყო ბოილას უფალი; ამიტომ ბოილას ანდერძის შემდგენელმაც ბასილი საგანგებოდა და თანაც გამონაკლისის წესით მოიხსენია ანდერძში, თანაც მოიხსენია სწორედ იმ პიროვნების გვერდით, ვინც „იბერიის“ გამგებელი იყო. ეს უკანასკნელი—იოანე მონასტერიოტი კი მინაწერში აუცილებლად უნდა მოხსენიებულიყო, ვინაიდან თეოდულე, პოლიტიკურად კარგად განსწავლული ბერი, მიზნად ისახავდა საერთოდ ჩამოეთვალა მხოლოდ ბიზანტიური აღმოსავლეთის პირველი რანგის ადმინისტრაციული და საეკლესიო იერარქები.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ასე შეიძლება იმის მტკიცება, რომ ევსტათე ბოილაც, როგორც ბასილის ქვეშევრდომი, საკუთარი უფლის მსგავსად, თვითონაც იბერიაში ცხოვრობდა და მფლობელობდა. ბასილი კი იოანე მონასტერიოტის ქვეშევრდომი იმდენადაა, რამდენადაც თვითონ „იბერიაში“ იმყოფებოდა.

ახლა კი ვცადოთ უფრო კონკრეტულად შევეხოთ ევსტათე ბოილას სამფლობელოთა ლოკალიზაციის საკითხს. როგორც ვთქვით, სპ. ვრიონისის აზრით, ბოილას ანდერძში მოხსენიებული ორი პუნქტი — კალმუხი და კოპტერიონი ისტორიულ წყაროებში კარგად ცნობილი კალმახი და კაპეტრუ არიან.

რაც შეეხება რ. ბართიკიანს, იგი სპ. ვრიონისის მიერ დასახელებულ პუნქტებს ახალ სახელებს უმატებს, ერთის, სახელდობრ კაპეტრუს და კოპტერიონის იდენტიფიკაციას კი უარყოფს იმ საფუძველზე, რომ, როგორც ეს ჩანსო სკილიცა-კედრენეს ტექსტიდან, კაპეტრუ,

---

[22] Р. Бартикян. Относится ли прозвище *Παρδόναβις* к магистру Василию..., с. 2.

სადაც 1049 წელს ერთმანეთს შეებრძოლნენ ბიზანტიელები და სელჩუკები, მდებარეობდა არა ტაიქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, არამედ ქ. არწნთან, კარინ-თეოდოსიუპოლის სანახებშიო[23].

ის პუნქტები კი, რომლებიც ბოილას ანდერძში რ. ბართიკიანს თავის ამოცნობილად მიაჩნია, შემდეგია: ტანძუთი, ოპიზა და ვართა[24].

რ. ბართიკიანის აზრით, ამ პუნქტების ამოცნობა ადვილია იმ შემთხვევაში, თუ გადავხედავთ კავკასიის ხუთვერსიან რუკას, რომელიც გვიჩვენებს, რომ ბოილას შემდგომ ეპოქაშიც კი მისი სამფლობელოების სახელები თითქმის არ შეცვლილა.

მაგალითად, კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე ქ. არტანუჯის ახლოს აღნიშნულია პუნქტი ტანძუთი, რაც ბართიკიანის აზრით, უნდა იყოს ბოილას ანდერძის ტანძუთი[25].

ამავე რუკაზე მითითებულია გეოგრაფიული აღგილი ვართხელი და ვართისხევი, რომლებიც რ. ბართიკიანის მიხედვით, უნდა იყვნენ ბოილას ანდერძის ვართა[26].

დასასრულ, — მიუთითებს რ. ბართიკიანი, — კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე მოხსენიებულია ოპიზა და ოპისჭალა, რომლის ბადალიც უნდა იყოს ბოილას ანდერძის ოფიდოვუნი. ეტყობა, ბოილამ სიტყვა „ოპიზა“ და „ოპის“ გაიაზრა ბერძნული სიტყვის „ოფის“-ის (გველი) მიხედვით, საიდანაც მივიღეთ „ოფიდოვუნი“, ე. ი. „გველთა მთა“[27].

ყველა ამ პუნქტს კი, დაასკვნის რ. ბართიკიანი, ჩვენ მივყავართ ტაიქში და მაშასადამე, ბოილასაც აქ უნდა ეცხოვრაო.

ჩვენი შეხედულებით ევსტათე ბოილას სამფლობელოების ასეთი ლოკალიზაცია ზოგადად სწორია, მაგრამ კონკრეტულობის თვალსაზრისით ჯერ კიდევ დაუსაბუთებელია.

რას ნიშნავს ლოკალიზაციის სისწორე მხოლოდ ზოგადად?

იმას, რომ ბოილას მამულების მდებარეობის ადგილად ზოგადად მართლაც შეიძლება მივიჩნიოთ ტაო, ოღონდ იგულისხმება არა საკუთრივ ტაოს პროვინცია, არამედ ის დიდი ტერიტორია, რომელიც თავის დროს შეადგენდა დავით კურაპალატის სამფლობელოებს, მისი ოკუპაციის შემდეგ კი საფუძვლად დაედო იბერიის თემს[28].

ბოილას სამფლობელოების ტაოში მდებარეობის თვალსაზრისს მხარს უჭერენ რიგი სხვა ფაქტებიც ბოილას ანდერძიდანვე. მაგალი-

---

[23] Р. Бартикян, О значении завещания Евстафия Войлы, с. 2—3.

[24] იქვე. გვ. 2.

[25] იქვე, გვ. 25.

[26] იქვე.

[27] იქვე, გვ. 2—3.

[28] დავითის სამფლობელოები იყო საკუთრივ ტაოს პროვინციის სამხრეთი პუნქტები (ხახული, ოშკი), აგრეთვე კარინის ქვეყანა, ნაწილობრივ მარდალიის პუნქტები, ბასიანი და, ბოლოს, ხლათ-არჭეშის სანახები.

თად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოილას უფლის ბასილის სამყოფელი ბიზანტიის იბერიაშია საძიებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ მის ქვეშევრდომ ბოილასაც აქვე უნდა ეცხოვრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, ბოილას სიახლოვეს იმყოფებიან ისეთი პირები, რომლებიც, მათ ონომასტიკონს თუ გავითვალისწინებთ, უეჭველად ქართულ ან სომხურ სამყაროს ეკუთვნიან.

ერთ-ერთ ასეთ პიროვნებაზე — ვესტარქოს ფარსმანზე, როგორც ქართველსა, ან სომეხზე, ჩვენ უკვე სათანადოდ ვისაუბრეთ.

საინტერესოა აგრეთვე ბოილას ანდერძში მოხსენიებული პირის 'Αβασγον -ის ვინაობაც[29]. ჩვენი აზრით, ეს სახელი უნდა გავიგოთ, როგორც „აბასგი", ე. ი. აფხაზი, რაც გასაკვირი არაა, ვინაიდან, ეთნონიმებიდან ანთროპონიმების წარმოების შემთხვევები საერთოდ ხშირია. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს აბაზგი წარმოშობით დასავლეთ საქართველოდანაა, ან არადა, მისი სახელი მიუთითებს „აბაზგურ" შთამომავლობაზე. ყოველ შემთხვევაში, რომ აბაზგი კავკასიელი უნდა იყოს, ეს ეჭვმიუტანელია[30].

ბოილას მამულების ლოკალიზაციაზე მსჯელობის დროს საინტერესოა, აგრეთვე ანდერძის პირდაპირი ჩვენებაც ბოილას მეზობლების შესახებ. საქმე ისაა, რომ ბოილა გვიყვება, თუ სად და რანაირ ადგილებში დაემკვიდრა იგი მას შემდეგ რაც სამშობლოდან გადმოსახლდა. ამასთან დაკავშირებით ბოილა ამბობს, რომ იგი დაემკვიდრა კლიმატურად ძნელად ასატან მხარეში, რომელსაც ამის გამო გაჭირვებით იტანდნენ აქ მაცხოვრებლები და თვით სომხებიც კი, რომლებიც ამ ადგილებიდან ახლოს მოსახლობდნენ[31].

მაშასადამე, ბოილას სამფლობელოების ახლოს სომხები იმყოფებოდნენ!

ყოველივე ნათქვამის შემდეგ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ა) ბოილას მამულები მდებარეობენ იბერიაში, ე. ი. იმ მხარეებში, რომლებიც წარმოადგენდნენ დავით კურაპალატის სამფლობელოებს, ბ) ამ მამულებზე და მის სიახლოვესაც ცხოვრობენ ქართველები და სომხები —

---

[29] В. Бенешевич. Три Анийские надписи XI века..., с. 228.

[30] ასევე ძნელია ეჭვის შეტანა ბოილას ანდერძის Γαρίπιον-ის ვინაობაზეც (იხ. ვ. ბენეშევიჩი, დასახ. თხზ., გვ. 229). ვინაიდან მისი სახელი უნდა იყოს „ღარიბი". ეს უკანასკნელი კი ქართულ და სომხურ ონომასტიკონში ძალიან გავრცელებული სახელია.

[31] სპ. ვრიონის (გვ. 265) ამ ადგილს ასე გადმოსცემს: «The armenians who dwelled opposite here were not able to have even a little rest». რ. ბართიკიანი კი თარგმნის: ეს ცუდი ადგილები: «не давало покоя даже живущим рядом и охваченным страхом армянам" (В. Вр. XIX. 1961, с. 27). ოდნავი განსხვავების მიუხედავად, ერთ რამეში ორივე წაკითხვა მაინც ერთსა და იგივეს გვიმტკიცებს, კერძოდ, რომ სომხები ბოილას მიწებზე არ ცხოვრობდნენ.

მაშინ ჩვენ უფრო მეტად შეგვიძლია დავაზუსტოთ იბერიის საკატაპანოს ის არეალი, სადაც ბოილას უნდა ეცხოვრა და ვცადოთ იმის მტკიცება, რომ ბოილა მოსახლობდა დავით კურაპალატის ყოფილი სამფლობელოების იმ რაიონში, რომელიც ქართული ელემენტებით ძალიან მდიდარი იყო.

აქვე იყო სომხური ელემენტებიც, რაც ადვილად გასაგებია იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ დავით კურაპალატის სამფლობელოთა ისტორიას.

როგორც ცნობილია, X საუკუნის პირველი მეოთხედიდან, საკუთრივ ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი პოლიტიკური ცენტრის — ტაოს მეთაურობით, მისივე გარშემო თანდათან იკვრებოდა ახალი გაერთიანება, რომელიც თავიდანვე ღრმად იყო შეჭრილი სომხური სახელმწიფოებრიობისა და ეთნიკური მასების გარემოცვაში. სწორედ აქ მმართველობდა დავით დიდი კურაპალატი. შემდეგში კი ამ ტერიტორიების საფუძველზე დაიწყო ფორმირება ბიზანტიის იმ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულმა ერთეულმა, რომელსაც იბერია დაერქვა.

ამდენად, ძალიან ადვილია იმის დაშვება, რომ XI საუკუნეში ბიზანტიის პოლიტიკურ საზღვრებში შემავალ მხარეთა შორის, დავით კურაპალატის ყოფილი სამფლობელოები იყო ის ზონა, სადაც განლაგებული უნდა ყოფილიყვნენ ევსტათე ბოილას მამულები.

დასასრულ, ბოილას სამფლობელოების ზოგად ლოკალიზაციაზე საუბრისას ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოილას სამფლობელოების მიჩნევას იბერიის თემში არათუ ეწინააღმდეგება, არამედ ეთანხმება კიდევაც ანდერძის ერთი ცნობა, რომ, როცა ბოილამ დატოვა თავისი სამშობლო კაპადოკია და დაემკვიდრა ახალ მხარეში, ეს უკანასკნელი მდებარეობდა მისი სამშობლოდან კვირა ან კვირა-ნახევარის სავალზე[32]. ასეთი დაშორება კი იბერიის თემის ტერიტორიებსა და კაპადოკიას შორის სავსებით ნორმალური და ადვილად აღსაქმელია.

ახლა კი გადავიდეთ ჩვენი მსჯელობის იმ ნაწილზე, საიდანაც, ჩანს, რომ ვრიონის-ბართიკიანის ლოკალიზაციაში კონკრეტული დეტალები ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ არგუმენტირებული.

ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ, ჩვენი აზრით, დასახელებულ ავტორებს, განსაკუთრებით კი რ. ბართიკიანს, კონკრეტულად ვერა აქვთ წარმოდგენილი ტაოს ერთეულის ცნება.

---

[32] ვრიონისის თარგმანის თანახმად ბოილა ამბობს: „I become an emigrant from the land which bore me, and I went a distance of one and one-half weeks from my fatherland», დასახ. თარგმანი. გვ. 264.

მაგალითად, არ ეთანხმება რა სპ. ვრიონისს კაპეტრუ-კოპტერიონის იდენტიფიკაციაზე, რ. ბართიკიანი ფიქრობს, რომ ეს კაპეტრუ არ უნდა იყოს ბოილას ანდერძის კოპტერიონი, ვინაიდან კაპეტრუ მდებარეობდა არა ტაოში, არამედ თეოდოსიუპოლ-არწნის სიახლოვესო[33]. მაგრამ რ. ბართიკიანის კრიტიკა ზუსტი არაა, ვინაიდან ის ამ შემთხვევაში ანგარიშს არ უწევს იმ ფაქტს, რომ ტაოს სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც თავდაპირველად ჩამოყალიბდა ბიზანტიის იბერია, მოიცავდა არა მხოლოდ საკუთრივ ტაოს პროვინციას, არამედ—ბევრ სხვა და მათ შორის თეოდოსიუპოლის მხარესაც[34]. აღნიშნული გარემოების გამო გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ბოილას კოპტერიონი და ისტორიული კაპეტრუ ერთი და იგივე ადგილებად მიგვეჩნია, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი იდენტურობის დასაბუთება სხვა მხრივაც (ფონეტიკურად, დოკუმენტურად) იქნებოდა შესაძლებელი.

ჩვენთვის მიუღებელია ბოილას ანდერძში მოხსენიებული სხვა პუნქტების ლოკალიზება, რომელსაც რ. ბართიკიანი გვთავაზობს. ავიღოთ, მაგალითად, კალმუხ-კალმახის ერთიდაიგივეობა, რაც ძნელი გასაზიარებელია, რადგანაც, როგორც ჩვენ გვეჩვენება, აქ საქმე გვაქვს მარტოოდენ გეოგრაფიული სახელების ერთგვარ ფონეტიკურ მსგავსებასთან. ამის დასაბუთება იმით შეიძლება, რომ ბოილას ანდერძის შედგენის დროს, ე. ი. 1059 წლის ახლო ხანებში ისტორიულ კალმახს ჰყავდა თავისი პატრონი, ბაგრატ IV-ის მომხრე და ლიპარიტ-ბიზანტიის საწინააღმდეგო ორიენტაციის პატრონი სულა კალმახელი[35].

სხვათა შორის, ეს სულა კალმახელი კალმახის მფლობელად იმყოფებოდა დიდი ხნის მანძილზე, თვით XI ს. 40-იან წლებშიაც კი[36]. ეს კი ნიშნავს, რომ კალმახი არ შეიძლება მივიჩნიოთ ბიზანტიელთა საკუთრებად და, მაშასადამე, ის ვერც მოხვდებოდა ევსტათე ბოილას ხელში, ევსტათესი, რომელიც ბიზანტიის იბერიაში ცხოვრობდა. აქედან გამომდინარე ისიც შეუძლებელია, რომ მას ისტორიული კალმახი კალ-

---

[33] Р. Бартикян. О значении завещания Евстафия Войлы, с. 2.

[34] როგორც ცნობილია, არწნი კარინის ქვეყანაში მდებარეობდა. Я. А. Манандян. О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен. Ереван, 1930, с. 150—151.

ამ მხარის დავით კურაპალატის ხელში ყოფნა რიგი ფაქტებითაა ცნობილი. ქართველთა, კერძოდ დავით კურაპალატის ვასალების ამ ადგილებში აქტიური ტრიალი ძალიან კარგად დასტურდება იმითაც, რომ არწნში წარწერიან ჯვარს აღმართავს დავითის ერთ-ერთი უახლოესი და უთვალსაჩინოესი კაცი იოანე თორნიკ-ყოფილი. (იხ. N. Adontz. Thornik le moine, „Etudes arméno-byzantines", Lisbonne, 1965, p. 309.

[35] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1948, გვ. 62.

[36] იქვე, გვ. 144, სადაც მოყვანილია ცნობები სულას საქმიანობაზე 1048 წლის ახლო ხანებში.

მუხვით ანდერძით გადაეცა ვისთვისმე. გარდა ამისა, ისტორიული კალმახი იყო ციხე[37], ბოილას კალმახი კი მამულის, სოფლის სახელწოდებას წარმოადგენდა. ყველაფერი ეს შეუსაბამობანი კი თითქოს საფუძვლიანად უნდა გამორიცხავდნენ კალმუხ-კალმახის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას, რასაც ვრიონის-ბართიკიანი უშვებენ.

ასევე ძნელია ბოილას ანდერძისა და კლარჯეთის ტანძუთის გაიგივებაც, იმიტომ, რომ ჯერ ერთი, ბოილას ტანძუთი ბიზანტიის იბერიაში, მაშასადამე, კლარჯეთიდან შორს მდებარედ უნდა ვიგულისხმოთ[38]. რეალური ტანძუთი კი, რომლის პარალელადაც რ. ბართიკიანს მიაჩნია ბოილას ანდერძის ტანძუთი, მდებარეობდა კლარჯეთში[39]. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ კავკასიის ტოპონიმიკაში სახელი ტანძუთი ძალიან ხშირად გვხვდება ხოლმე. ამ მხრივ საკმარისია გადავხედოთ თუნდაც მხოლოდ კავკასიის ხუთვერსიან რუკას და მისთვის შედგენილ საძიებელს, სადაც სახელი ტანძუთი რამდენჯერმე გვხვდება მოხსენიებული[40]. აღნიშნული გარემოება კი თავისთავად გამორიცხავს კატეგორიულ მტკიცებას, თითქოს ბოილას ანდერძის ტანძუთი მაინცდამაინც კლარჯეთის ტანძუთი უნდა იყოს, მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბოილას ანდერძისეული ტანძუთის პარალელური სახელი იყო სალიმი[41].

დასასრულ, რ. ბართიკიანი არც კი თვლის საჭიროდ დაასაბუთოს, იყო თუ არა ტანძუთი პირვანდელი სახელწოდება იმ პუნქტისა, რო-

---

[37] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 62.

[38] მხედველობაში ვიღებთ იმას, რომ კლარჯეთი დიდხანს არ შედიოდა იბერიის თემში, სადაც, რ. ბართიკიანის აზრით, მდებარეობდნენ ბოილას მამულები. ეს ფაქტი, რომ კლარჯეთი არასოდეს ყოფილა მოქცეული იბერიის თემში, იქიდან ჩანს, რომ თავდაპირველად ეს თემი ჩამოყალიბდა დავით კურაპალატის სამფლობელოთა და იმ ტერიტორიების ბაზაზე, რომლებიც XI ს. დამდეგისათვის მიტაცებულ იქნა ბიზანტიელების მიერ. ეს ტერიტორიები, რომლებიც იყო „დავით კურაპალატისა ნაქონები“ (სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ქ. ცხ., ტ. I, 1955, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 384) მდებარეობდნენ „ტაოს, ბასიანს და ჯავახეთს, შავშეთს“ (იქვე, გვ. 384—385). „მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვითაც ბასილი მეორემ მიიტაცა „ქუეყანა, რომელი ჰქონდა დავით კურაპალატსა ტაოსთა, ბასიანს, კოლა-არტანთა და ჯავახეთს“ (ქ. ცხ., ტ. I, გვ. 288).

[39] ტანძუთი აღწერილი აქვს ნ. მარს, იხ. Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского. Грузинский текст, введение, издание, перевод—Н. Марра. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VII, СПб., 1911, с. 105.

[40] Д. Д. Пагирев. Алфавитный указатель к пятиверстной карте Кавказского военно-топографического отдела, Тифлис, 1913, გვ. 237, სადაც მითითებულია ტოპონიმები Танзот (ყაზახის, არეშის მხარეებსა და ელისავეტოპოლის გუბერნიებში) და Танзут (ოლთისის მხარეში).

[41] В. Н. Бенешевич. დასახ. ნაშრომი, გვ. 224.

მელიც, როგორც ვთქვით, თავის დროს ჯერ კიდევ ნ. მარმა აღწერა. წინაალმდეგ შემთხვევაში ჩვენ ყოველთვის შეიძლება ეჭვი გამოვთქვათ, რომ ტანძუთი არაა ჩვენთვის საინტერესო პუნქტის თავდაპირველი სახელწოდება და ივ. ჯავახიშვილივით ვიფიქროთ[42], რომ ტანძოთი (ასე წერს იგი) შეიძლება იყოს გვიან ხანებში დამკვიდრებული სომხური თარგმანი ტოპონიმ „სხულოვანისა", რომელიც მელქისედექ კათალიკოზის ცნობილი დაწერილის თანახმად, კლარჯეთში მდებარეობდა[43].

ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ რ. ბართიკიანის მიერ ოპიზაოფიდოვუნის და ვართა-ვართხელის გაიგივების ცდებზე, რადგანაც აშკარაა, რომ ეს გაიგივება მხოლოდ გარეგნულ და შორეულ ფონეტიკურ ასოციაციებს ემყარება და ასეთი გზით თუ ვივლით, ასევე შეიძლება ისიც ვამტკიცოთ, რომ ბოილას ანდერძის ვართა, ვთქვათ, ისტორიული ბერთაა, რადგანაც ასეთი გაიგივება სრულიადაც არ იქნება ვართა-ვართხელის იდენტიფიკაციაზე ნაკლები, მაგრამ განა ამ იგივეობას ოდნავ მაინც ექნება მეცნიერული ღირებულება?

ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ ბოილას მამულების კონკრეტული ლოკალიზება ჯერ კიდევ შეუძლებელია საბოლოოდ გადაჭრილად იქნას მიჩნეული, მაშინაც კი, როცა საფუძველი გვაქვს ზოგადად ვამტკიცოთ, რომ ბოილას სამკვიდრებელნი იბერიის თემში, დავით კურაპალატის ყოფილ სამფლობელოში მდებარეობდნენ, XI საუკუნიდან კი ბიზანტიას ჰქონდა მიტაცებული და ანისის გაუქმებული სამეფოს ოლქებთან ერთად ჰქმნიდა ცალკეულ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულს.

* * *

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ბოილას ანდერძის შესწავლისას საგანგებო კომენტირებას მოითხოვს, ესაა იმ მოსახლეობის საკითხი, რომელიც ბოილას მამულებზე მკვიდრობდა.

ამის თაობაზე ზოგიერთი მითითება დაცულია თვით ბოილას ანდერძის ტექსტში, სადაც, კერძოდ, ნათქვამია, რომ ის, ე. ი. ევსტათე ბოილა დაესახლა უცხო მხარეში[44], რომ ამ მხარეში, საცხოვრებლად ძნელად ასატანი ადგილები იყო მხოლოდ[46], რომ აქაურობა სავსე იყო ქვეწარმავლებით — გველებით, მორიელებით და გარეული მხეცე-

---

[42] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 61.

[43] თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა. ქრონიკები, წ. II, 1897, გვ. 33.

[44] В. Б е н е ш е в и ч. დასახ. ნაშრომი, გვ. 222.

[45] იქვე.

ბით[46]. აქვე ნათქვამია, რომ ამ მხარეებს ძნელად იტანდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები და თვით სომხებიც კი[47], რომლებიც აქედან ახლოს ცხოვრობდნენ[48]. უფრო ზევით კი ბოილა ამბობს, რომ ის დაესახლა იქ, სადაც ცხოვრობდა უცხო ენაზე მოლაპარაკე და უცხო სარწმუნოების ხალხი.

მკვლევრებს და, მათ შორის სპ. ვრიონისაც, ბოილას ანდერძის ეს ცნობები პირდაპირი მნიშვნელობით ესმით[49].

რაც შეეხება რ. ბართიკიანს, მას ეს ჩვენებები სხვანაირად აქვს გაგებული. მისი აზრით, ბოილას ანდერძში მოხსენიებული უცხო სარწმუნოების ხალხი უნდა იყვნენ მონოფიზიტი სომხები[50] და შეუძლებელია, რომ ამ გამოთქმაში არა სომხები, ვთქვათ ქართველები იგულისხმებოდნენ, ვინაიდან თუმცა ბოილასთვის ქართველებიც უცხო ენაზე მოლაპარაკენი არიან, მაგრამ იმას ვეღარ ვიტყვით, რომ ისინი მისთვის სარწმუნოებითაც უცხონი იყვნენ. ასეთ ვინმეებად ვერ იქნებოდნენ ქალკედონელი ქართველები, ისე როგორც ქალკედონელი სომხები, ვინაიდან თვითონ ბოილაც ქალკედონელი იყო.

აქედან გამომდინარე, დაასკვნის რ. ბართიკიანი, უცხო სარწმუნოებისად ბოილასათვის შეიძლება იყვნენ მხოლოდ სომხები, თანაც ისეთნი, რომელნიც მონოფიზიტობას აღიარებდნენ[51].

ამასთან დაკავშირებით რ. ბართიკიანს ახსენდება ნ. მარის ცნობილი დებულება, რომ კლარჯეთი თვით XI საუკუნეშიც კი განიცდიდა დიოფიზიტიზაციას. ბოილას ანდერძიდან კი ვხედავთ, რომ ეს პროცესი აქ ჯერ კიდევ XI საუკუნის შუა ხანებშიაც არ ყოფილა დამთავრებული, ვინაიდან ბოილას ანდერძის მიხედვით, მის სამფლობელოში, ე. ი. კლარჯეთში მრავლად არიანო საგულვებელი სომეხი მონოფიზიტები.

დასასრულ იმ ადგილებთან დაკავშირებით, სადაც წერია, რომ ბოილას მამულებში, როცა ის აქ დაესახლა, მრავლად ცხოვრობდნენ ქვეწარმავლები, რ. ბართიკიანი აკრიტიკებს იმათ, ვისაც ეს სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით აქვთ გაგებული და თვლის, რომ აქ უნდა იგულისხმებოდნენ არა ნამდვილი ქვეწარმავლები, არამედ სომეხი თონ-

---

[46] В. Бенешевич. დასახ. ნაშრომი, გვ. 222.

[47] იქვე.

[48] იქვე.

[49] იხ. სპ. ვრიონისის დასახ. ნაშრომი, გვ. 275, სადაც მკვლევარი შენიშნავს: „As have been mentione, above, the will states that Boilas migrate from Cappadocia to a land one and one-half weeks distant, and settled amongst people who had a different language and religion".

[50] Р. Бартикян. О значении завещания Евстафия Войлы, с. 6.

[51] იქვე.

დრაკელები[52], რომლებსაც მართლმორმწუნე ავტორები მართლაც ხშირად იხსენიებდნენ ხოლმე ღვარძლიანი ეპითეტებით და ქვეწარმავლებსაც კი უწოდებდნენ ხოლმე[53]. მაგალითად, არისტარკეს ლასტივერტელი თონდრაკელებზე წერს, რომ ისინი არიან „ადამიანისმაგვარი მხეცები“, მათი ბელადი — „ჯიუტი დემონი-გველი“, თონდრაკელების ცენტრი თონდრაკი — „გარეული მხეცების ბუნაგი“. გარდა ამისა, თონდრაკელების წინამძღოლის კუთვნილ მხარეს ეწოდება „ადგილი, რომელიც დასახლებულია გველებით“, თონდრაკელთა საცხოვრებელს კი ჰქვია „გველების ბუნაგი“[54].

რ. ბართიკიანის აზრით, ასეთივე ეპითეტებით მოიხსენიებენ თონდრაკელებს ევსტათე ბოილას თანამედროვე, მესოპოტამიის დუკა გრიგოლ მაგისტროსი ფაჰლავუნი (გარდ. 1058 წ.) და სხვა ავტორები[55].

დასასრულ, შენიშნავს რ. ბართიკიანი, ბოილა წერს, რომ მას შემდეგ, რაც დასახლდა თავის ახალ მამულებში და ხელი მიჰყო აოხრებული მხარეების მოშენებას — ცეცხლითა და მახვილით გაანადგურა ამ მხარეში მყოფი გველები, მორიელები და გარეული მხეცები. ბოილას ამ სიტყვების განმარტებას — განაგრძობს რ. ბართიკიანი — სპ. ვრიონისი არც კი ცდილობს. მაგრამ არასწორი იქნებოდა ფიქრი, რომ ბოილა აწარმოებდა ბრძოლას მხეცების თუ ქვეწარმავლების წინააღმდეგ და უფრო სწორი იქნებოდა ფიქრი, რომ ბოილამ ცეცხლითა და მახვილით გაანადგურა ერეტიკოსი-თონდრაკელები, რომლებიც მის მიწა-წყალზე ცხოვრობდნენ, ცეცხლს მისცა მათი სამკვიდრებელი[56]. რ. ბართიკიანის მიხედვით, ამის დასამტკიცებლად საჭიროა გავიხსენოთ გრიგოლ მაგისტროსის სიტყვები, რომელიც მოიპოვება სირიის ეპისკოპოსისადმი მიმართულ წერილში. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ მრავალმა სამხედრო პირმა მახვილით მოსპო ერეტიკოსი თონდრაკელები, ხოლო მათი სამკვიდრებელი კი ცეცხლს მისცა[57].

ჩვენ ახლა არ შევეხებით იმ კონცეფციას, რომლის თანახმადაც თითქოს XI საუკუნეშიც კი ჯერ კიდევ ხდებოდა კლარჯეთის ქალკედონიზაცია, ვინაიდან ეს კონცეფცია, მაშინაც კი, ის უეჭველობით

---

[52] Р. Бартикян, О значении завещания Евстафия Войлы, с. 5.

[53] იქვე.

[54] ციტატები რ. ბართიკიანს ამოღებული აქვს ვარდაპეტ არისტაკეს ლასტივერტელის თბილისური გამოცემის მიხედვით, 1912 წ., თ. XXII, XXIII (ძველ სომხურ ენაზე) იხ. რ. ბართიკიანის ნაშრომი, გვ. 9.

[55] Р. Бартикян. დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

[56] იქვე.

[57] იქვე. მითითებულია გრიგოლ მაგისტროსის „წერილები“, ალექსანდროპოლი, 1910, გვ. 162 (ძველ სომხურ ენაზე).

რომ იყოს დასაბუთებული, ამჟამად ჩვენი ინტერესების მიღება რჩება, ვინაიდან ჩვენი გაგებით ბოილას მამულები მდებარეობდნენ არა კლარჯეთში, არამედ კლარჯეთიდან შორს.

ამიტომ ჩვენ ახლა გადავალთ უშუალოდ ბოილას ანდერძის მითითებული ადგილების რ. ბართიკიანისეული ინტერპრეტაციის განხილვაზე. როგორც ვთქვით, ანდერძში ნათქვამია, რომ ბოილა დაემკვიდრა „უცხო ენაზე მოლაპარაკე და უცხო სარწმუნოების მქონე ხალხში".

ჩვენი რწმენით, ბოილას ასეთი განცხადება ადვილი გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოილა წარმოშობით კაპადოკიიდან იყო. ამიტომაც, მისთვის იბერია მართლაც რომ სხვა, უცხო მხარე შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგრამ ეს ოდნავადაც იმას არ ნიშნავს, რომ ეს უცხო მხარე — რ. ბართიკიანის აზრით, კლარჯეთი და ტაო — მოფენილი იყო უსათუოდ მონოფიზიტური სომხური ელემენტებით.

ჯერ ერთი, როგორც ითქვა, რ. ბართიკიანს კლარჯეთი უადგილოდ აქვს მიკუთვნებული ტაოსთან, რადგანაც ტაოს მსგავსად (იგულისხმება მისი ზოგიერთი პუნქტი) კლარჯეთი არ შედიოდა ბიზანტიური იბერიის ტერიტორიაში. მეორეც ის, რომ ანდერძში იგულისხმება არა საკუთრივ ტაო, არამედ ტაოს სახელის მატარებელი დიდი პოლიტიკური ერთეული, რომელიც, როგორც ვთქვით, ტაოსთან ერთად მოიცავდა სხვადასხვა სომხურ მხარეებსაც.

ამრიგად, იმის კატეგორიული მტკიცება, რომ საკუთრივ ტაოს და კლარჯეთის პროვინციებში ცხოვრობდნენ სომეხი მონოფიზიტები იმ არგუმენტებით, რომლებსაც რ. ბართიკიანი ასახელებს, შეუძლებელია.

ამის მტკიცება კატეგორიული ფორმით მაშინაც შეუძლებელი იქნებოდა, რომ ვისმე მოეხერხებინა და უეჭველობით ეჩვენებინა, რომ ბოილას მამულები ნამდვილად ტაოში მდებარეობდნენ, ვინაიდან უცხო ენაზე მოლაპარაკე და უცხო სარმწუნოების მქონე ხალხი, რომელიც ციტატაშია მოხსენიებული, ბოილას გაგებით, სავსებით შესაძლებელია ქართველებიც ყოფილიყვნენ.

მართლაც, როგორც ეს ცნობილია, ბიზანტიელები, განსაკუთრებით ბოილას ეპოქაში, ძალიან ხშირად სწორედ ერთმორწმუნე ქართველებსაც პირდაპირ სარწმუნოებიდან გადამდგარადაც კი მიიჩნევდნენ ხოლმე[58]. ეს კი გვავალებს ვიფიქროთ: ბოილას მამულებში, ეს

---

[58] ასეთი ფორმის ბრალდებები წამოყენებული იქნა, მაგალითად, ანტიოქიის საეკლესიო კრებაზე, თუმცა, როგორც ეს ცნობილია, გიორგი მთაწმინდელმა ბრწყინვალედ უარყო ეს ბრალდებები და დაამარცხა კონსტანტინოპოლის „პარტია" კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძველ ქართულ

უკანასკნელები მართლაც ტაოში რომ მდებარეობდნენ, ქართული მოსახლეობის დაუნახაობა კატეგორიული ფორმით შეუძლებელი იქნებოდა მაშინაც კი, როცა აქაური მკვიდრნი, ბოილას ანდერძის მიხედვით, უცხოს სარწმუნოებისად არიან წოდებულნი.

საწინააღმდეგოდ რ. ბართიკიანის არზისა, ვითომც ბოილას მამულებში ძირითადად სომხები სახლობდნენ, ის ფაქტებიც მიუთითებს, რომ ანდერძის ტექსტის მიხედვით, ეს სომხები მისი მამულებიდან მოცილებით ცხოვრობდნენ. ამის თაობაზე ანდერძში პირდაპირ ნათქვამია, რომ ბოილა დამკვიდრდა უაღრესად ძნელად ასატან მხარეში, რომელსაც ამის გამო ძნელად იტანდნენ ადგილობრივი მოსახლენი და, აგრეთვე, აქედან შორიახლოს მყოფი სომხებიც კი[59]. ამრიგად ჩანს, რომ ისინი, ვინც ბოილას მამულებში ცხოვრობდნენ და სომხები სხვადასხვანი იყვნენ. ამიტომ, ჩვენ არაფერი გვიშლის ხელს, რომ ამ ადგილობრივ მოსახლეობაში სწორედ ქართველები დავინახოთ, მაშინაც კი, როცა ამ ხალხს ბოილა უცხო სარწმუნოების მქონედ იხსენიებს.

ამის შემდეგ, ბუნებრივია, ეჭვი შევიტანოთ რ. ბართიკიანის იმ მტკიცების სისწორეშიც, თითქოს ის ქვეწარმავლები, რომლებითაც ბოილასავე განცხადებით სავსე იყო მისი ტერიტორიები — მაშინ, როცა ის იქ დაემკვიდრა, მაინცდამაინც სომეხი თონდრაკელები უნდა იყვნენ.

მაგრამ ვიდრე ამ საკითხზე უფრო კონკრეტულად ვისაუბრებდეთ, შევნიშნავთ, რომ რ. ბართიკიანი თონდრაკელების „აღმოჩენით", როგორც ეს აშკარად იგრძნობა მისი ზოგადი თვალსაზრისიდან, უფრო იმიტომაა გატაცებული, რათა დაამტკიცოს, რომ ბოილას მამულებზე (როგორც რ. ბართიკიანს ჰგონია — კლარჯეთსა და ტაოში) დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ ეთნიკურად სომხური მასები, რამდენადაც, როგორც ამას არმენისტი მკვლევრები წერენ ხოლმე, თონდრაკელები არსებითად სომხური საზოგადოებიდან იყვნენ გამოსულები.

ამის შემდეგ ჩვენთვის იოლია ასეთი კითხვის დასმა: თუ რას უნდა შეეშალა ხელი ბოილასათვის პირდაპირი სახელით მოეხსენიებინა თონდრაკელები და ბუნდოვანი ალეგორიებით არ დაეწყო მათზე საუბარი. რა თქმა უნდა, ოფიციალური ეკლესიის თვალსაზრისზე მდგომი პირები ხშირად „ქვეწარმავლებად" იხსენიებენ ხოლმე თონდრაკელებს, მაგრამ განა ამ შემთხვევაში ისინი ფარავენ, რომ მაინც ადამიანებზე საუბრობენ და არა ნამდვილ ქვეწარმავლებზე, როგორც ამაზე პირდაპირაა საუბარი ბოილას ანდერძში?

ლიტერატურაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, წ. IV, თბ., 1957 წ. გვ. 120—121).

[59] „The armenians who dwelled opposite here". სპ. ვრიონის, დასახ. ნაშრომი, გვ. 265.

თონდრაკელების შესახებ, ისე როგორც ამას რ. ბართიკიანი მიუთითებს, მართლაც საუბრობს არისტაკეს ლასტივერტელი თავისი ისტორიის XXII და XXIII თავებში[60]. მიუხედავად ამისა, ყველგან, სადაც იგი ნეგატიური ფერებით ამკობს თონდრაკელებს, ეჭვი არაა, რომ ეს ეპითეტები მაინც ხალხს, ადამიანებს ან ადამიანთა ჯგუფებს აქვთ მიკუთვნებული.

არისტაკესი ვრცლად ყვება, თუ როგორ ცდილობდა ერეტიკული საქმიანობით ჭეშმარიტი სარწმუნოების შერყვნას ჰარქის ოლქის ეპისკოპოსი იაკობი[61]. ამ იაკობს თავდაპირველად შეუერთდა ვინმე ესაიაც, რომელიც წარმოშობით კარინელი იყო, მაგრამ მან შემდეგ მიატოვა თავისი მოძღვარი და ეახლა პატრიარქ სარგისს. ესაიამ სარგისს მოახსენა იაკობის საქმენი, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ სარგისმა მოიხმო იაკობი და, როგორც არისტაკესი გადმოგვცემს, ჩამოართვა მას სამღვდელმთავრო პატივი, სახე ამოუწვა მელიის ნიშნით და თანაც ასე დაიმოძღვრა: „ვინც ღალატობს წმინდა განმანათლებელის რჯულს, უჩოჩდება თონდრაკელების ცრუსარწმუნოებას, შეაღწევს ხოლმე ადამიანის სახის მქონე მხეცების ჯოგში და ეთვისება მათ — დაე იწვნიოს ასეთი სასჯელი“[62].

შემდეგ არისტაკესი გადმოგვცემს, თუ როგორ გაიქცა იაკობი ბიზანტიაში, რათა იქაურებს იგი ბერძნულ სარწმუნოებაზე მიეღოთ, მაგრამ მას აქ ამაზე უარი განუცხადეს, იმიტომ, რომ ამის ღირსად არ ჩათვალეს, რადგანაც, „ვიღასთვის იყო საჭირო ის პირი, ვინც სომხებმაც კი გამოაგდეს თავიანთგან“[63].

აღნიშნული ამბების შემდეგ იაკობი წავიდა აპაჰუნიქის მხარეში (იმ ადგილებში, სადაც თავდაპირველად თონდრაკელობა წარმოიშვა) ანუ, როგორც არისტაკესი ამბობსა, „სატანის საცხოვრებელში, ღვთისაგან განდგომილთა შეკრების ადგილში, მხეცების ბაკში, რომელიც იწოდება თონდრაკად“[64].

თონდრაკელების თაობაზე არისტაკესი საგანგებოდ საუბრობს თავისი თხზულების XXIII თავში. იქ მოთხრობილია ჰრანოიშის, ვრვერისა და სხვათა ერეტიკულ საქმეებზე და მხოლოდ ასეთ ნათლად მოთხრობილ ამბებზე საუბრისას აღნიშნავს არისტაკესი, რომ განდგომილებმა დაანგრიეს ეკლესიები, რომლებიც ოდითგანვე ააშენეს თა-

---

[60] Повествование Вардапета Аристакэса Ластивертци, перевод с древнеармянского, вступительная статья, комментарии и приложения К. Н. Юзбашяна. Москва, 1968.

[61] არისტაკესი. დასახ. ნაშრ., გვ. 118—129.

[62] იქვე, გვ. 121.

[63] იქვე.

[64] იქვე.

ვიანთ „გველის ბუნაგში“[65]. ასეთივე ეპითეტებით იხსენიებს თონდრაკელებს არისტაკესი, როცა ყვება, თუ როგორ დალეწეს მათ ერთ-ერთ ადგილას აღმართული ჯვარი[66].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე აქედან ძალიან კარგად ჩანს, რომ არისტაკესი უარყოფითი გამოთქმებით იმიტომ ამკობს მათ, რომ, მისი აზრით, თონდრაკელები ღირსნი არიან ყოველგვარი ლანძღვისა, მაგრამ ჩვენ ვერ ვნახავთ ვერც ერთ ადგილს მის თხზულებაში, რომ იგი უარყოფით ეპითეტებს წარმოთქვამდეს მხოლოდ განყენებულად და ეს სავსებით გასაგებიცაა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მკითხველი ვეღარ გაიგებდა, რომ ეს „ბილწები“ თონდრაკელები არიან და ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ ლანძღვის ობიექტები ნამდვილი მხეცები და ქვეწარმავლები არიან, ისე როგორც ეს არის ევსტათე ბოილას ანდერძში. ამიტომ მასში მოხსენიებული ეპითეტები არავითარ საფუძველს არ გვაძლევს იმის საფიქრებლად, რომ სიტყვები: „მხეცები“, „ქვეწარმავლები“ და ა. შ. გავიგოთ არა პირდაპირი, არამედ გადატანითი გაგებით და რომ ამ სიტყვებში ადამიანები უნდა ვიგულისხმოთ.

ანალოგიურად გვაქვს საქმე გრიგოლ მაგისტროს ფაჰლავუნის წერილებშიც. მართალია, გრიგოლი მუდამ არაჩვეულებრივი, პირდაპირ წრეგადასული ზიზღით ლაპარაკობს თონდრაკელებზე, მაგრამ არასოდეს მკითხველს არ უხდება იმაზე ფიქრი, თუ ვინ იგულისხმება იმ ოდიოზური ფრაზების ქვეშ, ვისაც გრიგოლ მაგისტროსი ეხება ხოლმე. ეს ძალიან კარგად ჩანს გრიგოლ მაგისტროსის წერილების ისეთ ადგილებშიაც, რომლებიც თავისი სტილისტური თუ გარეგნული ფორმებით ერთგვარად ჰგვანან კიდევაც ბოილას ანდერძის იმ ფრაზებს, რომლებშიაც საუბარია საზიზღარ ქვეწარმავლებზე, სიმყრალეზე და იმაზე, რომ ბოილამ ყოველივე ამისაგან გაწმინდა თავისი სამკვიდრებელი.

ერთ-ერთ ასეთ ფრაგმენტად გრიგოლ მაგისტროსის წერილებიდან შეიძლება მივიჩნიოთ ნაწყვეტი იმ პასუხებიდან, რომელიც გრიგოლმა გაუგზავნა „თულაელებს, ახალი მანიქეველ-თონდრაკელების ნაშთებს, რომლებიც მოვიდნენ სირიის კათოლიკოსთან მისი მოტყუების მიზნით“. აღნიშნულ პასუხში გრიგოლ მაგისტროსი იქადნის: „მესოპოტამიაში მოსვლისას მე იქ შევხვდი სიკვდილისმომტან, აბობოქრებულ და მღვრიე ნაკადებს, რომელთაგანაც მოედინებოდა წყეული სმბატ თონდრაკელის[67] სასიკვდილო ჭირი. მე გავწმინდე ისინი და, გავემარ-

---

[65] ა რ ი ს ტ ა კ ე ს ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

[66] იქვე, გვ. 124.

[67] ამ სმბატ თონდრაკელზე, ანუ სმბატ ზარეჰავანცზე იხ. Ա. Գ. Հովհաննիսյան, Սմբատ Զարեհավանցին, նրա ժամանակն ու ժամանակակիցները. „Բանբեր մատենադարանի“, 1956, № 3.

თე რა, მივაღწიე წყაროს, სადაც ჩაბუდებული იყო გველი, ბოროტების ქვეწარმავალი და დრაკონი, მე აღმოვფხვერი ისინი, დავანგრიე...“[68].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე აშკარად იგრძნობიან ადამიანები გრიგოლ მაგისტროსის სხვა ეპისტოლეებშიც, მაგალითად, მის ეპისტოლეში სირიის კათალიკოსისადმი, სადაც გრიგოლი საუბრობს თონდრაკელების ცნობილ წინამძღოლზე სმბატ ზარეხვანცზე და ამბობს, რომ ის არის „სისხლისმოყვარული, ბრაზიანი მხეცი, მამათმავალი და გარყვნილი“, საზიზღარი და წყეული“[69]. ყოველივე აქედან გამომდინარეობს, რომ, რ. ბართიკიანის განცხადება, ვითომც ბოილას სამფლობელოში მაინცდამაინც უნდა ვიგულისხმოთ სომეხი მონოფიზიტები და თონდრაკელები, უეჭველი არგუმენტებით ვერაა დასაბუთებული. უფრო მეტიც, აშკარად ნაძალადევადაა აგებული და არავითარი სიძლიერე არა აქვს იმათ ძალდაუტანებელ აზრთან შედარებით, ვისაც ამ ანდერძში მოხსენიებული ქვეწარმავლები პირდაპირი მნიშვნელობით აქვს გაგებული[70].

ამრიგად, ჩვენი ნაშრომის დასასრულს შეიძლება დავასკვნათ: ბოილას მამულების ლოკალიზაცია შესაძლოა მხოლოდ ზოგადად იბერიის თემში, იმ მხარეებში, რომლებიც ადრე დავით კურაპალატის სამფლობელოებს შეადგენდნენ. რაც შეეხება კონკრეტულ პუნქტებს, რომლებშიც ეს მამულები უნდა ვიგულისხმოთ, ამისი დაბეჯითებით მითითება კვლევა-ძიების დღევანდელ დონეზე ჯერ კიდევ შეუძლებელია. აზრი, ვითომც ბოილას მიწები მდებარეობდნენ კლარჯეთში ან საკუთრივ ტაოში და რომ ამ მიწებზე მრავლად ესახლნენ სომეხი მონოფიზიტები და თონდრაკელები, ვერაა დამაჯერებელი.

---

[68] Р. Бартикян. Два послания Григория Магистра Пахлавуни (XI в.) относительно еретиков тондракитов. „Палестинский сборник“, вып. 9 (72), 1962, с. 137.

[69] Р. Бартикян. Ответное послание Григория магистра Пахлавуни сирийскому католикосу. „Палестинский сборник“, вып. 7 (70), 1962, с. 134.

[70] ამავე შეხედულებას გამოთქვამს გ. გ. ლიტავრინიც, რომელიც წერს: „Нам эта догадка (იგულისხმება რ. ბართიკიანის თვალსაზრისი) представляется маловероятной. Такого рода выражения — общее место в византийской (особенно агиографической) литературе. Это, конечно, преувеличение, имеющее целью прославить труд ктитора или переселенца, но оно означает только это и — ничего больше“ (Г. Г. Литаврин, დასახ. ნაშრომი, გვ. 160).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველო და ჯვაროსნები

ჯვაროსნულმა მოძრაობამ ღრმა კვალი დატოვა მსოფლიო ისტორიაში.

ეს იყო ევროპის ხალხთა გრანდიოზული სამხედრო-საკოლონიზაციო მიგრაცია, რომელიც დაიწყო XI საუკუნის მიწურულში და გაგრძელდა XIII საუკუნის 70-იან წლებამდე.

რა იყო ამ მოძრაობის გამომწვევი მიზეზები? რამ შეუწყო ხელი ევროპის ხალხთა ისტორიაში მანამდე არნახული სიდიდის ამ მიგრაციას?

XI საუკუნეში დასავლეთ ევროპის ფეოდალური საზოგადოების შიგნით უაღრესად მწვავე ხასიათი მიიღო სოციალურმა წინააღმდეგობებმა.

ფეოდალებმა თავიანთი გაზრდილი ეკონომიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად კიდევ უფრო გააძლიერეს ყმა-გლეხების ექსპლოატაცია, მაგრამ არც ეს აღმოჩნდა საკმარისი. გაღატაკებულ გლეხობას, რომელიც უამისოდაც წელში იყო გატეხილი, აღარ შეეძლო ახალ-ახალი ფულადი თუ შრომითი ვალდებულებების შესრულება ფეოდალების სასარგებლოდ.

გლეხობა ყოველნაირად ცდილობდა საკუთარი ქონების დაცვას და სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა გათავხედებულ სენიორებს, ყოველ ნაბიჯზე ებრძოდა მათ. გლეხობა ოცნებობდა კარგ ცხოვრებაზე, თავისუფლებაზე, მიწა-წყალზე.

არც ფეოდალთა კლასში იყო ყველაფერი რიგზე.

შუა საუკუნეების სამართლის მიხედვით, ამა თუ იმ ფეოდალის მიწა-წყალი და ქონება მემკვიდრეობით მამიდან უფროს ვაჟიშვილზე გადადიოდა. დანარჩენი ძმები კი ცხოვრების სახსრების გარეშე რჩებოდნენ. იშვიათად საგვარეულოს უმცროს წევრს ცხენი და იარაღ-საჭურველი თუ შეხვდებოდა ხოლმე. მაშინ ეს უკანასკნელი ემატებოდა უმიწაწყლო რაინდების მთელ არმიას, რომელიც, ოღონდ საარსებო საშუალება ეპოვნა, არაფერს დაერიდებოდა: დადიოდა ერთი სენიორიდან მეორესთან, მსახურობდა მის ამალაში და მონაწილეობდა შინაფეოდალურ ომებში.

ხშირად ეს რაინდები დათარეშობდნენ გზებზე, მეკობრეობდნენ და ძარცვავდნენ ვაჭარ-სოვდაგართა ქარავნებს, ეკლესია-მონასტრებს თუ გლეხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არცთუ იშვიათად რაინდების ასეთი ბანდები შეერთებასაც ახერხებდნენ და მაშინ ეს უკანასკნელები დიდი მასშტაბის შორეულ ლაშქრობებსაც აწყობდნენ ხოლმე სიმდიდრისა თუ ნადავლის საშოვნელად. მაგალითად, XI საუკუნისათვის ნორმანებმა შეძლეს ხელში ჩაეგდოთ სამხრეთ იტალია და სიცილია. ნორმანთა რაზმებმავე დაიპყრეს ინგლისიც 1066 წელს, ხოლო ფრანგი რაინდები აქვიტანიიდან, ბურგუნდიიდან და ნორმანდიიდან ენერგიულად დაიძრნენ ესპანეთისაკენ, სადაც უკვე დიდი ხანია მიმდინარეობდა ქრისტიანი ესპანელების ბრძოლა მაჰმადიანი არაბების წინააღმდეგ, ე. წ. რეკონკისტა.

და მაინც ეს იყო წვეთი ზღვაში: ევროპის რაინდთა უმრავლესობა კვლავ უსახსროდ ცხოვრობდა და ოცნებობდა ახალ-ახალ ლაშქრობებზე, სადაც შეიძლებოდა დიდი სიმდიდრისა და მიწა-წყლის შოვნა.

XI საუკუნის ევროპაში ყველაზე შეძლებული და ძლიერი ორგანიზაცია კათოლიკური ეკლესია იყო. ამ დროს იგი გადაიქცა გამაერთიანებელ ძალად დაქუცმაცებულ და შინაფეოდალური ომებით გადაღლილ ევროპაში.

კათოლიკური ეკლესიის სათავეში იდგნენ რომის პაპები, რომლებსაც დასავლეთის მსოფლიოში მოპოვებული ჰქონდათ უდიდესი ძალა და ავტორიტეტი. მიუხედავად ამისა, პაპობა კვლავ ცდილობდა ახალ-ახალი ქვეყნების მოქცევას თავისი ძალაუფლების ქვეშ. ყველაზე მეტად ამ უკანასკნელებს ბიზანტია აინტერესებდათ.

XI საუკუნეში ბიზანტია საგრძნობლად იყო დასუსტებული გარეშე მტრებთან—თურქ-სელჩუკებთან, ნორმანებთან, პაჭანიკებთან ბრძოლაში. გაჭირვებაში მყოფი საიმპერატორო ხელისუფლება გამუდმებით თხოვდა ხოლმე დახმარებას დასავლეთ ევროპის სიუზერენებს, პირველყოვლისა კი რომის პაპებს, რითაც ხელს უწყობდა ამ უკანასკნელთა აგრესიული განწყობილების ზრდას ბიზანტიის მიმართ. მაშ ასე: სიმდიდრეზე, ახალ მიწა-წყალსა და გავლენის სფეროებზე ოცნებობდა ყველა, იქნებოდა ის შიმშილით დაბეჩავებული გლეხი, მეკობრეობაში მობერებული რაინდი თუ ქრისტეს მცნებათა აღმსრულებელი ეკლესია.

აი, სწორედ ამ ვითარებაში მომწიფდა ჯვაროსნული მოძრაობის იდეა, რომელმაც ძალიან მალე საარაკო სისწრაფით შეისხა ფრთები. საამისოდ კათოლიკური ევროპის მესვეურებმა დემაგოგიურად გამოიყენეს ის პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც XI საუკუნის ბოლო მესამედისათვის შეიქმნა. საქმე ისაა, რომ ამ დროს აღმოსავლეთის

ქვეყნების უმეტესობა თუ ბიზანტიის იმპერიის რიგი ტერიტორიები მომთაბარე თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს. მათ ხელში აღმოჩნდა აღმოსავლეთის ქვეყნები და სიმდიდრეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაპის ხელისუფლებამ ოსტატურად გამოიყენა ეს ფაქტი. მან ს

მხურვალე სურვილს წასულიყვნენ აღმოსავლეთში, რათა იქ „ბინძური მაჰმადიანების“ ხელიდან დაეხსნათ მაცხოვრის საფლავი. აღმოსავლეთში გამგზავრებისათვის მზადყოფნის ნიშნად პაპის მოწოდებით გაბრუებული, ბევრი იქვე ტანსაცმელზე იკერებდა წითელი ქსოვილის ჯვარს, ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლოს, და ამით ხაზს უსვამდა მზადყოფნას მართალი, ე. ი. ქრისტეს, საქმისათვის საბრძოლველად. შემდეგში აღმოსავლეთის ლაშქრობათა ყველა მონაწილეს ტანსაცმელზე დაკერებული ჰქონდა ასეთივე ჯვრები, რის გამოც მათ „ჯვაროსნებს“ უწოდებდნენ, თვით სამხედრო კამპანიებს კი „ჯვაროსანთა ლაშქრობებს“.

პაპის მოწოდების შემდეგ დასავლეთ ევროპაში დიდი ჩოჩქოლი ატყდა. აღმოსავლეთში სიმდიდრისა თუ სიკეთის შოვნის იმედითა თუ რელიგიური პროპაგანდით გარბუებული ხალხი მთელი ძალით ემზადებოდა ომისათვის.

ყველაზე ადრე, ჯერ კიდევ 1096 წლის გაზაფხულზე, „ქრისტეს საფლავისაკენ“ დაიძრნენ ღარიბ-ღატაკთა მასები საფრანგეთიდან, გერმანიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ისინი ნაკლებად წააგავდნენ სამხედრო რაზმებს და უფრო მეტად მოხეტიალე ბრბოს მოგვაგონებდნენ. მათ ყველაფერი ჩალის ფასად გაყიდეს თავის სამშობლოში და ახლა ზოგჯერ ოჯახებიანად უცხო ქვეყანაში მიდიოდნენ გასამდიდრებლად.

სამწუხარო იყო მათი ბედი: ღარიბების ნაწილი გზაზე, ევროპაშივე, გაანადგურეს უნგრელებმა და ბულგარელებმა, ნაწილი კი ბოსფორის სრუტის გამოღმა თურქ-სელჩუკების მოღუნულმა ხმლებმა იმსხვერპლეს. მხოლოდ მცირე რაოდენობამ უშველა თავს უკან გაქცევით.

ცოტა უფრო გვიან აღმოსავლეთისაკენ დაიძრნენ ფეოდალთა, ან როგორც მათ უწოდებენ, რაინდების დიდი ჯგუფები. ეს იყო ჯვაროსანთა ძირითადი ძალა, რომელიც შედგებოდა ჩრდილო საფრანგეთის, ლოთარინგიის, ნორმანდიის, სამხრეთ იტალიისა და სამხრეთ საფრანგეთის კარგად შეიარაღებული რაზმებისაგან. ისინი პირობისამებრ ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ კონსტანტინოპოლში, საიდანაც შემდეგ იერუსალიმისაკენ წავიდოდნენ.

ჯვაროსანთა ბელადების ჩამოსვლას ბიზანტიის სატახტო ქალაქში დიდი ეჭვითა და სიფრთხილით ელოდებოდნენ. და მართლაც ეს ეჭვი უსაფუძვლო არ იყო.

კონსტანტინოპოლისაკენ მიმავალი რაინდები ბიზანტიის ტერიტორიაზე ისე მიდიოდნენ, თითქოს მტრის ქვეყანაში არიანო. მაგალითად, გზაზე მყოფმა ჯვაროსნებმა სასტიკად გაძარცვეს და გადაწვეს ქ. პელაგონია. სიფრთხილისათვის ბიზანტიის საიმპერატორო კარმა სასწრა-

ფოდ მიიღო ზომები: ჯვაროსანთა გზებზე დააყენეს ბიზანტიისა და აგრეთვე პაჭანიკთა დაქირავებული რაზმები, რომლებიც საშუალებას არ აძლევდნენ ჯვაროსნებს გზიდან გადაეხვიათ. მოსახლეობაც პარტიზანულ ბრძოლას უცხადებდა ჯვაროსნებს. 1096—1097 წლებში ჯვაროსანთა რაზმებმა კონსტანტინოპოლში დაიწყეს თავის მოყრა.

იმპერატორმა ალექსი I კომნინოსმა მოახერხა ჯვაროსანთა რაზმების დაქსაქსვა და, რათა ბიზანტიის წინააღმდეგ არ გაერთიანებულიყვნენ, ისინი ბოსფორის სრუტით ცალ-ცალკე გადაიყვანეს მცირე აზიის სანაპიროზე. გარდა ამისა, იმპერატორმა გამოიყენა მთელი თავისი სამხედრო თუ დიპლომატიური ნიჭი და აიძულა ჯვაროსანთა ბელადები ვასალური ფიცი დაედოთ მისთვის; ამ ფიცით აღმოსავლეთში დაპყრობილი ქვეყნები უნდა გადაქცეულიყვნენ ბიზანტიის იმპერიის საკუთრებად, რომლებიც შემდეგ ჯვაროსნებს, როგორც იმპერატორის ვასალებს, მფლობელობაში გადაეცემოდათ.

ეს იყო ალექსი პირველის დიდი პოლიტიკური წარმატება. იგი აშკარად ჩაერია ჯვაროსანთა საქმიანობაში და გამოამჟღავნა საკუთარი პრეტენზიები.

1097 წლის გაზაფხულზე ბოსფორის სრუტეზე გადასული ჯვაროსნები მცირე აზიის სიღრმეში გაემართნენ. დაიწყო უფსკრულებით, მთებითა და უდაბნოებით აღსავსე საშინელი გზა. თურქ-სელჩუკებმა ყველაფერი გადაწვეს და ჯვაროსნებს მხოლოდ ფერფლი და ნაცარი ხვდებოდათ წინ.

პირველად ჯვაროსანთა არმია მიადგა ქ. ნიკეას და ალყა შემოარტყა მას. ერთ ღამეს, სრულიად მოულოდნელად, ეს ქალაქი აიღო ბიზანტიელთა რაზმმა, რამაც ნიკეა იხსნა ძარცვისა და აოხრებისაგან. საშინელი რისხვითა და უკმაყოფილებით შეხვდნენ ჯვაროსნები ბიზანტიელთა ამ „გამცემლობას“.

1097 წლის 1 ივლისს, ჯვაროსანთა არმია დორილეას ველზე პირისპირ შეეგება თურქ-სელჩუკების დიდ არმიას და ცხარე ბრძოლების შემდეგ სასტიკად დაამარცხა იგი.

უკვე ამ პერიოდშივე ჯვაროსანთა ბელადებს შორის თავი იჩინა უთანხმოებამ. დაობდნენ არა მარტო ერთიან საბრძოლო გეგმებზე (ასეთი გეგმები მათ არც ჰქონდათ სინამდვილეში), არამედ იმ ტერიტორიების შესახებაც, რომლებიც მომავალში უნდა დაეპყროთ. ამასთანავე მთელი სამხედრო კამპანიის პერიოდში ჯვაროსნები დიდი სიძულვილით იხსენიებდნენ ბიზანტიას და ცდილობდნენ თავი აერიდებინათ ალექსი კომნინოსისადმი მიცემული ფიცისათვის.

იერუსალიმისაკენ მიმავალი რაინდები ახალ-ახალ ტერიტორიებს იპყრობდნენ და მათ ადგილზე ჯვაროსნულ სახელმწიფოებს აარსებდნენ.

პირველად კილიკიის სომხეთში აღმოცენდა ედესის საგრაფო, შემდეგში კი ანტიოქიის სამთავრო (სირიაში), რომლის მფლობელობაც წილად ხვდა ნორმანების წინამძღოლს ბოემუნდ ტარენტელს. ანტიოქიის სახელმწიფო დიდხანს თამაშობდა მთავარ როლს ჯვაროსნულ აღმოსავლეთში.

1099 წელს რაინდები „ზღაპრულ ქალაქ“ იერუსალიმსაც მიადგნენ.

სისხლისმღვრელი იერიშების შემდეგ იმავე წლის 15 ივლისს მათ აიღეს „ქრისტეს წმინდა ქალაქი“, საშინლად გაძარცვეს იგი და მოსახლეობაც თითქმის მთლიანად გაჟლიტეს. ასე დაარსდა იერუსალიმის სამეფო, რომლის ტერიტორიები გადაფენილი იყო პალესტინასა და სამხრეთ სირიაში.

უკანასკნელად ჯვაროსნებმა აიღეს ქ. ტრიპოლი და აქ საგრაფო დააარსეს. დაპყრობილ იქნა სხვა ტერიტორიებიც. ხმელთაშუა ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო, კილიკიასა და ეგვიპტეს შორის, ჯვაროსანთა ხელში აღმოჩნდა.

ამ კამპანიით უმთავრესი მოგება ნახეს ჯვაროსნული რაზმების წინამძღოლებმა — ბარონებმა და რაინდებმა — რომლებმაც დაპყრობათა შედეგად დიდძალი ქონება და მამული შეიძინეს. სარგებლობა მოუტანა ომმა ბიზანტიასაც. ალექსი პირველმა ჯვაროსანთა ძალების გამოყენებით დაიბრუნა შავი ზღვის მეზობლად მდებარე რიგი ტერიტორიები, რომლებიც XI ს. 70-იანი წლებისათვის მიტაცებული ჰქონდათ თურქ-სელჩუკებს. თვალსაჩინოდ ამაღლდა ბიზანტიის საერთაშორისო პრესტიჟიც.

რაც შეეხება ჯვაროსანთა რიგებში მყოფ მდაბიო ხალხს, მას ამ ომში არაფერი მიუღია გარდა გაჭირვებისა და დიდი მსხვერპლისა.

ასე დამთავრდა პირველი ლაშქრობა.

ჯვაროსანთა სახელმწიფოებს შორის, ფორმალური თვალსაზრისით, მთავარ პოლიტიკურ ერთეულად იერუსალიმის სამეფო ითვლებოდა; დანარჩენი სახელმწიფოები კი მისი ვასალები იყვნენ, მაგრამ ფაქტიურად ეს უკანასკნელებიც სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ.

ჯვაროსნულ სახელმწიფოთა სოციალური და პოლიტიკური წყობილება დასავლეთ ევროპის ქვეყნების ანალოგიით იყო შექმნილი.

ევროპელმა დამპყრობლებმა ახლო აღმოსავლეთში მთლიანად დატოვეს ფეოდალური წყობილება და გამდიდრების სურვილით შეპყრობილებმა ადგილობრივი მაჰმადიანური და ქრისტიანული მოსახლეობის სასტიკი ექსპლოატაცია გააჩაღეს. ამ უკანასკნელებს სასტიკად სძულდათ ჯვაროსნები და მათ წინააღმდეგ დროდადრო ჯანყდებოდნენ. ამასობაში ჯვაროსანთა პირველი დარტყმებით დასუსტებული თურქ-სელჩუ-

კები კვლავ იკრებდნენ ძალას, ერთიანდებოდნენ და იწყებდნენ რევანშის პოლიტიკას. XI ს. 10-იანი წლებისათვის მათ უკვე თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს და რამდენჯერმე სერიოზულადაც დაამარცხეს ჯვაროსნები. მაგრამ როგორც ერთი, ისე მეორე მხარის საბოლოო გამარჯვებას ხელს უშლიდა შინაფეოდალური შუღლი და კინკლაობა რომელიც ორივე მხარისათვის თანაბრად იყო დამახასიათებელი.

ჯვაროსანთა პოლიტიკური პოზიციების ამ მერყეობამ რომის პაპების წინაშე დააყენა ამოცანა: შექმნილიყო აქ სპეციალური ძალები, რომლებიც საგანგებოდ დაიცავდნენ ჯვაროსანთა მონაპოვარს, შეინარჩუნებდნენ მას. 1118 წელს იერუსალიმში ჩამოყალიბდა ტამპლიერთა სამხედრო-სასულიერო ძმობა, რომელიც თავის თავს უწოდებდა „ტაძრის", ანუ „მეტაძრეთა" ორდენს, ვინაიდან მის განკარგულებაში გადავიდა სოლომონის ტაძრის გვერდით მდებარე სამეფო სასახლის ნაწილი. უფრო გვიან, 1191 წელს, დაარსდა აგრეთვე გერმანელების, ანუ ტევტონთა სასულიერო ორდენიც, რომელიც შემდეგ ბალტიისპირეთში გადავიდა აქაური „წარმართების გასაქრისტიანებლად", სინამდვილეში კი ბალტიისპირეთისა და დასავლეთ სლავთა დასაპყრობად და გასაძარცვავად.

სასულიერო ორდენების სათავეში იდგნენ „დიდი მაგისტრები", რომლებსაც თავიანთ ქვეშევრდომთა მიმართ განსაკუთრებული უფლებები ჰქონდათ მინიჭებული. ეს ორდენები წარმოადგენდნენ უაღრესად სერიოზულ სამხედრო ძალას აღმოსავლეთში. მათ ჰქონდათ შეძენილი უდიდესი სიმდიდრე როგორც პალესტინაში, ასევე დასავლეთ ევროპაში.

გვიან, როცა ჯვაროსანთა მოძრაობა საბოლოოდ დაეცა, სასულიერო ორდენებმა ყველაზე ბოლოს მიატოვეს თავიანთი პოსტები და დასავლეთ ევროპაში გადაბარგდნენ.

იმ დროს, როცა დასავლეთი ევროპა პირველი ჯვაროსნული ომისათვის ემზადებოდა, კავკასიაში თვალსაჩინო ამბები მოხდა.

XI ს. 80-იანი წლებისათვის ახლო აღმოსავლეთის დიდმა დამპყრობლებმა თურქ-სელჩუკებმა საბოლოოდ დაამთავრეს თავიანთი იმპერიის შექმნა. მათ პოლიტიკური ბატონობის მძიმე უღელი დაადგეს ამიერკავკასიის ხალხებს და კერძოდ ქართველებს.

საქართველოში დამპყრობლებმა დიდი რაოდენობით შემოიყვანეს თურქული ტომები და ენერგიულად დაიწყეს მათი აქ დასახლება; რაც დრო გადიოდა, ეს ტომები უფრო მეტი რაოდენობით იყრიდნენ თავს საქართველოში.

თურქული ტომები მომთაბარე ცხოვრებას იყვნენ მიჩვეულნი, მათი მეურნეობა და კულტურაც ჩამორჩენილ-მომთაბარული იყო,

ამიტომ საქართველოში მოსვლის დროიდან მათ აქაური ნაყოფიერი ველები საზამთრო სადგომებად დაიჭირეს, ხოლო მთიანი რაიონები საზაფხულო საძოვრებად აქციეს ცხვრისა და მსხვილფეხა საქონლის ჯოგებისათვის.

ქართველი ხალხი, რომლის მეურნეობას განვითარებული მიწათმოქმედება ედო საფუძვლად, მძიმე განსაცდელში ჩავარდა. მისი ეკონომიკური ყოფნა-არყოფნის წყარო — სამეურნეო ტერიტორია დამპყრობელს ჰქონდა დაკავებული და მას სრული გაპარტახებით ემუქრებოდა.

უაღრესად ამაღელვებლადა აქვთ აღწერილი იმ ხანის თანამედროვე ისტორიკოსებს ის საფრთხე, რომელიც თურქ-სელჩუკებმა შეუქმნეს საერთოდ ახლო აღმოსავლეთის ფეოდალურად განვითარებულ ხალხებს და კერძოდ საქართველოს.

ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების პერსპექტივაში დიდი დილემა იყო აღმართული: პოლიტიკური თვალსაზრისით ან უნდა საბოლოოდ გაემარჯვათ თურქ-სელჩუკებს და ჩამორჩენილ ბეურნეობრივ სისტემაზე დაფუძნებულ მათ დაბალ კულტურულ-საზოგადოებრივ წყობას, რასაც შედეგად მოჰყვებოდა უცხო მასის ეთნიკური გაბატონება, „ქართველობის“ (ქართული ენის, კულტურისა და გახვითარებული საბეურნეო-სოციალური წყობის) გადაგვარება, ან გამარჯვებულის როლში „ქართველობა“ უნდა გამოსულიყო.

ასეთ პირობებში უცხოელი დამპყრობლების განდევნა ყველაზე ახლობელი ამოცანა იყო, მაგრამ ამას ხელს უშლიდა ქვეყნის შინაგანი ერთიანობის უქონლობა. საქმე ისაა, რომ ზოგიერთმა ორგულმა ფეოდალმა საერთო ენა გამონახა თურქ-სელჩუკებთან და მათთან ბრძოლის მაგიერ მშვიდობიანი გზით ამჯობინა ქვეყნის პატრონობა.

საჭირო ხდებოდა ქართული ფეოდალური საზოგადოების ყველა იმ ფენის ღარაზმვა და გაერთიანება, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ თურქ-სელჩუკთა პოლიტიკური ბატონობის გადაგდებით და საკუთარი თვითმყოფობის შენარჩუნებით.

როგორც ჩანს, XI ს. 80-იანი წლებიდან საქართველოში ქვეყნის მომავალი განვითარების შესახებ ორი აზრი იბრძოდა: ფეოდალური არისტოკრატიის ერთი ნაწილი ფიქრობდა; საჭიროა უცხოელ დამპყრობლებთან შერიგება, მათ სასარგებლოდ მძიმე ხარკის გადახდა და, ამ გზით, მშვიდობიანობის შენარჩუნება. ამ თვალსაზრისის მომხრე იყო თვით საქართველოს მეფე გიორგი II (1072—1089). გარდა ამისა, ფეოდალური ოპოზიციის დაწყნარებას (რომელმაც განსაკუთრებით

იჩინა თავი XI ს. 80-იან წწ.) გიორგი II მშვიდობიანი მეთოდებით, დიდგვაროვანთა დასაჩუქრებითა და გულის მოგებით ცდილობდა.

ასეთი პოლიტიკა მაშინდელი საქართველოსათვის დამღუპველი იყო. იგი ხელს უწყობდა ქვეყნის შემდგომ დეცენტრალიზაციას, ასუსტებდა მის თავდაცვითუნარიანობას და აშკარად ხელს უწყობდა „თურქობის“ გამარჯვებას.

სულ სხვა პროგრამას აყენებდა ფეოდალური არისტოკრატიის პატრიოტულად განწყობილი ნაწილი, უმთავრესად ახალგაზრდობა, რომელთა შორის იყო გიორგი II-ის ძე დავითი. ეს უკანასკნელები მოითხოვდნენ ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების შექმნას, დიდგვაროვანთა პარტიკულარისტული ტენდენციების სრულ აკკვეთას, თუ საჭირო იქნებოდა, მათ სიკვდილით დასჯასაც კი, ცენტრალისტური რეფორმების გატარებას, ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური პოტენციალის შენარჩუნება-აღორძინებას, უცხოელი დამპყრობლების სრულ განდევნას საქართველოს ტერიტორიიდან და კავკასიის ფეოდალურად დაწინაურებული ხალხების გაერთიანებას „თურქობის“ წინააღმდეგ საბრძოლველად.

ეს ჯგუფი მიზნად ისახავდა პროგრესულ საქმეს.

ასეთი იყო ვითარება, როცა 1089 წელს, პროგრესულმა დასმა იძულებული გახადა გიორგი II უარი ეთქვა სამეფო ტახტზე. მის ნაცვლად ცენტრალურ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა დავით IV აღმაშენებელი (1089—1125) და მისი მომხრე ფეოდალთა ჯგუფი. ახალმა ხელისუფლებამ თავიდანვე სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა საერო და საეკლესიო ფეოდალების პარტიკულარიზმს.

თავისი მეფობის მანძილზე დავით აღმაშენებელმა და მისმა მომხრეებმა ჩაატარეს მრავალი, ღირსშესანიშნავი სახელმწიფო რეფორმა, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ქვეყნის ეკონომიკურსა და კულტურულ აღმავლობას, მისი თავდაცვითუნარიანობის გაძლიერებას, „თურქობის“ დამარცხებას.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მოღვაწეობის უმთავრესი ამოცანა უცხოელი დამპყრობლების განდევნა იყო. ამ საქმიანობაში იგი ოსტატურად იყენებდა იმ საერთაშორისო ვითარებას, რომელმაც XI საუკუნის 90-იანი წლებიდან ხელი შეუწყო თურქ-სელჩუკების სწრაფ დასუსტებას.

საქმე ისაა, რომ 1092 წლიდან სელჩუკების იმპერიაში გაჩაღდა დიდი შინაფეოდალური ომი ტახტისათვის, რამაც საგრძნობლად შეარყია იმპერიის სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალი. მალე ამას მოჰყვა ჯვაროსანთა ომი, რომელმაც საბოლოოდ დასცა ეს სახელმწიფო.

ჯვაროსანთა გამოჩენის შემდეგ საქართველო მარტო აღარ იყო თურქების წინააღმდეგ. გარდა ამისა, ამ დროს მაჰმადიანური იმპერიის მთე-

ლი ყურადღება სირია-პალესტინაზე გადავიდა და საქართველო დროებით ხელგახსნილი დარჩა დამპყრობელთაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით აღმაშენებელმა მარჯვედ შეარჩია დრო: მან ჯერ ხარკი შეუწყვიტა თურქ-სელჩუკებს და მერე კი მეთოდურად დაიწყო საქართველოს გაწმენდა უცხოელი დამპყრობლებისაგან.

როგორც ვთქვით, XI ს. დამლევსა და XII ს. დასაწყისშივე დავით აღმაშენებელმა ოსტატურად გამოიყენა ჯვაროსანთა მიერ ახლო აღმოსავლეთში მოპოვებული წარმატებები და მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი თურქები კავკასიიდან შეავიწროვა.

შემდეგშიც, XII საუკუნის 10-იანი წლებისათვის საქართველოს პოლიტიკური მესვეურები კვლავ ოსტატურად ახერხებდნენ აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის ანალიზს, ისინი წარმატებით უკავშირდებოდნენ აქ განლაგებულ ანტითურქულ ძალებს და მათ სამშობლოს თავისუფლებისა თუ ძლიერებისათვის ბრძოლაში იყენებდნენ.

ამ მხრივ ყველაზე საინტერესო იყო დავითის ურთიერთობა ჯვაროსნებთან.

როგორც ერთი ძველი, ლათინურენოვანი ქრონიკა გვამცნობს, დავით აღმაშენებელი კარგ განწყობილებაში იყო ჯვაროსნული იერუსალიმის მეორე მეფე ბალდუინთან და მას ხშირად საჩუქრებსაც კი უგზავნიდა ხოლმე. უნდა ვიფიქროთ, რომ დავითისა და ბალდუინის ურთიერთობა საკმაოდ ფართო ხასიათისა იყო და ალბათ ეს მმართველები ერთიმეორეს თვალსაჩინო დახმარებას უწევდნენ სელჩუკებთან ბრძოლაში. ამას განსაკუთრებით გვაფიქრებინებს თამარის ისტორიკოსის („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის) შემდეგი ცნობა: „სპანი ახლისა დავითისნი წყობათა დავითისათა იერუსალიმს ერთობდეს“. ე. ი. დავით აღმაშენებლის („ახალი დავითის“) ჯარები გაერთიანებულნი იყვნენო დავით წინასწარმეტყველის ჯარებთან იერუსალიმში. ამ ცნობაში დავით წინასწარმეტყველის „წყობად“ იგულისხმებიან ჯვაროსნები, რომლებიც თითქოს მიზნად ისახავდნენ დავით წინასწარმეტყველის სატახტო ქალაქის, იერუსალიმის, განთავისუფლებას მაჰმადიანთა ხელიდან (მემატიანის თხზულების ამ ადგილის ასეთი ინტერპრეტაცია კ. კეკელიძეს ეკუთვნის).

ის, რომ დავით აღმაშენებელს უშუალო კონტაქტი ჰქონდა ჯვაროსნებთან, განსაკუთრებით კარგად მტკიცდება დიდგორის ბრძოლის ეპოპეითაც (1121 წ.). ამ ომში ქართველთა მხარეზე ფრანგი ჯვაროსნე-

ბის საკმაოდ მოზრდილი რაზმიც იბრძოდა, მაგრამ ამაზე ცოტა ქვევით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულ, დავით აღმაშენებლისა და ჯვაროსნების ურთიერთობაზე მსჯელობის დროს უნდა ითქვას: თითქოს მართალი ხდება იოანე ბატონიშვილის ცნობა იმის შესახებ, რომ დავით აღმაშენებლის მეფობის დროს ქართლში „იდუმალ“ ჩამოსულა თვით იერუსალიმის მეფე ბალდუინიც (1100—1119) კი[1]. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, საიდანა აქვს ეს ცნობა აღებული ბატონიშვილს, მაგრამ მის შესაძლებელ სანდოობას სავსებით უჭერს მხარს ჯვაროსანთა და ქართველთა მთელი ურთიერთობის სურათი XII ს-ში.

როგორც ვხედავთ, XII ს-ში ჯვაროსანთა და ქართველთა ინტერესები ნაწილობრივ ემთხვეოდნენ ერთმანეთს. ერთსაც და მეორესაც აკავშირებდათ საერთო მტრის, თურქ-სელჩუკების, წინააღმდეგ ბრძოლის მიზანი.

სხვა მხრივ კი ჯვაროსანთა და ქართველთა სუბიექტური ინტერესები სავსებით განსხვავებული იყო: ჯვაროსნები ევროპიდან ჩამოსული კოლონისტები იყვნენ, სხვის ქვეყნებში ომობდნენ და მთავარ მიზნად ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ძარცვა-გლეჯას ისახავდნენ.

დავით აღმაშენებლის საქართველო კი იბრძოდა დიდ განმათავისუფლებელ ომში და ცდილობდა კავკასიის ფეოდალურად განვითარებული ხალხების შეერთებას „თურქობის“ მოსასპობად, „თურქობისა“, რომელიც წარმოადგენდა დაბალი, მეჯოგური სოციალურ-ეკონომიკური სისტემის აგრესიულ ტალღას კავკასიასა და საერთოდ ახლო აღმოსავლეთში.

დავით აღმაშენებლის სახე ჯვაროსანთა შორის თავიდანვე პოპულარული გახდა. ეს უკანასკნელები ქართველთა მეფეში სამართლიანად ხედავდნენ ჩრდილოელ მოკავშირეს. ჯვაროსანთა ასეთი შეხედულებები ჯერ კიდევ 1108 წელს მკაფიოდ გადმოსცა იერუსალიმში მყოფმა ფრანგმა მეფსალმუნემ (კანტორმა) ანსელუსმა, ანუ, როგორც მას მდაბიურად უწოდებდნენ, — ანსომ.

---

[1] იოანე ბატონიშვილის თქმით, როცა დავით აღმაშენებელმა აიღო ლორე, მეორე წელს „მოვიდა დაფარვით დავრიშის სახით, მელიქშას შვილი, ტანღან მელიქ სულთანი, გამსტრობად ივერიისა და ხილვად მეფისა დავითისა, და ეგრეთვე ამავე სახედ ბერძენთა მეფე ალექსანდრე. თუმცა ვახუშტის დაუწერია ალექსანდრე, მეფე ბერძენთა, გარნა ალექსანდრე უწინ იყო ამა დავით მეფეზედ, ხოლო ამა რიცხვს შინა იყო ბალდვოინ იერუსალიმის მეფედ რომელმანცა მრავალი ძლევა მიიღო სარაცინელთა, ანუ არაბთა ზედა. და ესე ბალდვოინ მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა მოთხრობისამებრ სხვათა ისტორიებთა“... „და ვერა რომელთამე ქართველთა სცნეს ამათი იდუმალი მოსვლა და უკუნიქცნენ მასვე წელსა შინა“.

1108 წელს იერუსალიმის წმინდა საფლავის ამ მეფსალმუნემ პარიზის მღვდელმთავარის გალონისა და მისი ეკლესიისათვის საფრანგეთში გასაგზავნად ძვირფასი საჩუქარი შეიძინა: ეს იყო ჯვარი, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, „ძელი-ცხოველის“ ნაწილებიდან იყო ამოღებული.

ამ საჩუქრის მოსატანად პარიზიდან ბერი ანსელმე გააგზავნეს, მაგრამ ის გზაში გარდაიცვალა და ჯვრის წამოღება წილად ხვდა გარდაცვლილი ანსელმის ძეს ფულკს. ამ უკანასკნელმა თავისი მხლებლებითურთ გამოიარა საბერძნეთი, უნგრეთი, გერმანიაზე გავლით პარიზს მიაღწია.

იერუსალიმიდან საფრანგეთში ჩამოსულებმა თავისი დაბრუნების ამბავი ეპისკოპოს გალონს ფონტენედან შეატყობინეს. ეპისკოპოსი ამ ჯვრის შესახვედრად მთელი თავისი კრებულით წამოვიდა. ფონტენედან ეს რელიკვია დიდი ამბით წამოიღეს და ჯერჯერობით დაასვენეს სენ-კლუს ეკლესიაში. ეს მოხდა 1109 წლის 30 ივლისს, პარასკევ დღეს, შემდეგ კი, კვირა დღეს, 1 აგვისტოს, მოს და სანლისის ეპისკოპოსების მონაწილეობით, ურიცხვი ხალხის თანხლებით, ეს ჯვარი ზეიმით გადაასვენეს პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში.

შუა საუკუნეების ცრურწმენებით შებოჭილ ფრანგებს სჯეროდათ, რომ ეს ჯვარი გაკეთებული იყო იმ ჯვრის ნაწილებისაგან, რომელზედაც თვით იესო ქრისტე გააკრეს და აწამეს.

საფრანგეთში ეს თითქმის პირველი შემთხვევა იყო: იესო ქრისტეს ჯვრის დიდი ნატეხი პირდაპირ იერუსალიმიდან მოდიოდა „და ეს ხის ნატეხი, ზღვის იქიდან მოტანილი, ამ ღრმად და ბრმად მორწმუნე ფრანგებს ნამდვილ, ნივთიერ ნიშნად ეჩვენებოდათ იმ ჭეშმარიტებისა, რომლისათვისაც მათი მოძმე გმირი რაინდები პალესტინაში იბრძოდნენ“.

დასახელებული ჯვარი გადაიქცა ფრანგების უდიდესი პატივისცემის ობიექტად და იგი რამდენიმე საუკუნის მანძილზე ინახებოდა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში.

XII ს-ში პარიზის ღვთისმშობლის გოთური შენობისა და აგრეთვე სამრეკლოს ადგილზე სულ სხვა, ბაზილიკური ტიპის ეკლესია იდგა. მაგრამ ეს შენობა პატარა იყო და ვერ იტევდა უამრავ ხალხს, რომელიც ამ ჯვრის სანახავად მოდიოდა ხოლმე. ჯვრის გამოსაფენი ადგილი ვერ შეარჩიეს პარიზის ახლო მიდამოებშიც კი, რადგანაც მაშინ ეს რაიონი მთლიანად ეკავა ვენახებს, ბაღებს, ყანებსა და ბუჩქნარს.

მაშინ სასულიერო ხელისუფლებმა ამოირჩიეს ერთი ადგილი სანდენის განთქმული სააბატოს ახლოს, დიდ ველზე. აქ ყოველწლიურად მოდიოდნენ ზღვის იქიდან, ე. ი. იერუსალიმიდან. მოტანილი

ჯვრის სანახავად, რომელსაც ველზე აღმართავდნენ ხოლმე. ჯვრის აღმართვის დროს, ივნისის მეორე ორშაბათობით, სან-დენის ველზე მიემართებოდა დიდი პროცესია, რომელშიც მონაწილეობდნენ: ეპისკოპოსი, სამღვდელოება და ხალხი. შემდეგში ამ პროცესიების მუდმივი მონაწილეები იყვნენ პარიზის უნივერსიტეტი და ძველი სასამართლო-პარლამენტი.

სან-დენის ველზე ტრიბუნიდან ქადაგებდა ეპისკოპოსი, შემდეგ შეკრებილ ხალხს დალოცავდა ამ ჯვრით, რომელსაც ჯერ აღმოსავლეთისაკენ მიმართავდა, საიდანაც ეს ჯვარი მოიტანეს, შემდეგ კი პარიზისაკენ, სადაც იგი მუდმივად ინახებოდა.

აღნიშნულ პროცესიას პარიზელები სისტემატურად მართავდნენ, მაგრამ XV საუკუნიდან პარიზის განვითარებასთან ერთად ეს ტრადიცია თანდათან დავიწყებას მიეცა. მიუხედავად ამისა, „ანსოს ჯვარი“ კვლავ დიდ რელიკვიად ითვლებოდა და ღვთისმშობლის ეკლესიაში ინახებოდა ისევ. დასახელებულ წმინდა ჯვართან ერთად ანსელუსმა საგანგებო წერილიც გაგზავნა პარიზში.

ანსოს თქმით, მან ეს ჯვარი შეიძინა იერუსალიმში, ქართველთა მეფის დავითის ქვრივისაგან, რომელსაც იგი წმ. ქალაქში შეხვედრია. როგორც ჩანს, ანსოს სავსებით სწორად არ გადმოუცია დავით აღმაშენებლის პირადი ცხოვრების ზოგიერთი მომენტი.

ამ ეპისტოლეში დავით აღმაშენებელი, შეცდომით, გარდაცვლილადაა ნაგულისხმევი. რა თქმა უნდა, „დავითის ქვრივიც“ ნამდვილი ქვრივი არ იქნებოდა, ვინაიდან წერილი გაგზავნილია 1107 თუ 1108 წელს, ე. ი. იმ დროს, როცა დავით IV აღმაშენებელი ჯერ კიდევ ჯანმრთელი და ახალგაზრდა კაცი იყო. შესაძლებელია, ეს „ქვრივი“ ის ქალი იყო, რომელიც დავით აღმაშენებელს ცოლად ჰყავდა, ვიდრე ის ათრაქა შარაღანის ძის (ყივჩაყთა მთავრის) ასულზე გურანდუხტზე დაქორწინდებოდა. როგორც ცნობილია, ამ ქორწინებამ დიდი როლი შეასრულა დავითის სამხედრო რეფორმის წარმატებაში. დავით აღმაშენებელმა ჩრდილო კავკასიიდან, თავისი სიმამრის სამფლობელოდან, 40 000 ყივჩაყი გადმოასახლა და ეს ძალა წარმატებით გამოიყენა საკუთარი პოლიტიკური პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

რა თქმა უნდა, ქართულ წყაროებში დავითის ცოლად გურანდუხტის გარდა არავინაა დასახელებული, მაგრამ შეიძლება ეს იყოს შეგნებული დუმილი და მიზნად ისახავდეს დავითის განქორიწნებისა და შემდეგ პოლიტიკური ანგარიშით ახალი ქორწინების დაფარვას (უნდა გვახსოვდეს, რომ ქრისტიანული ეთიკა საერთოდ სასტიკად კრძალავდა „უმიზეზო“ განქორწინებას).

ასეთ მსჯელობას განსაკუთრებით მისაღებად ხდის დავითის ისტორიის შესანიშნავი მცოდნის მათე ურჰაელის ცნობა იმის შესახებ, რომ ქართველთა მეფეს ცოლად ჰყავდა სხვა ქალი (არა ყივჩაყი). დასასრულ, აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც: ზოგიერთ მკვლევარს დავითის ისტორიკოსის თხზულების ზოგიერთი ადგილი და ამავე დროს დავით აღმაშენებლის პოეტური ნაწერები საფუძველს აძლევს იფიქროს, რომ დავით IV-ს, როგორც თვითონ ამბობს, რაღაცა „ცოდვები“ ჩაუდენია სიჭაბუკეში; ვინ იცის, იქნებ ეს განქორწინებაც იგულისხმებოდეს ამ „ცოდვების“ ქვეშ.

ასე იყო თუ ისე, როგორც ჩანს, ანსელუსს მიზნად დაუსახავს ეთქვა პარიზელებისათვის: ეს ჯვარი დავითის ქვრივისაგან შევიძინე და მე მას იერუსალიმში შევხვდიო.

ეტყობა იგი შეგნებულად ქმნიდა „ქვრივ“ ქალთან შეხვედრის ამბავს. მართლაც, პარიზში არავინ გაიგებდა და არც დაინტერესდებოდა ამ ქალის „ქვრივობის“ მიზეზებით. მთავარი აქ იყო ჯვარი, რომელიც „ძელი ჭეშმარიტისაგან“ იყო ამოღებული და რომელიც დავით აღმაშენებლის, ამ დიდი გმირის და ქრისტიანობისათვის სიცოცხლის არდამრიდის (იქნებ იმიტომაც ის გარდაცვლილად აქცია ანსელუსმა) ნაქონი იყო. იგი საგანგებოდ აქებს დავით აღმაშენებელს. თავის თანამემამულეებს უამბობს: „ამ ჯვარს დავით, მეფე ქართველთა“... უაღრეს თაყვანისცემას და სიყვარულს უძღვნიდა“. მას „კასპიის კარი— გოგსა და მაგოგს რომ ზღუდავს — ეჭირა“, ხოლო მისი „ქვეყანა და სამეფო მედელთ და სპარსთა წინააღმდეგ ჩვენი, ასე ვსთქვათ, წინა ბურჯია“.

მოტანილ წერილში ანსელუსმა ძალზე სრულად და რელიეფურად გადმოსცა პალესტინაში მყოფი ჯვაროსნების შეხედულება დავით აღმაშენებლისა და მისი მოღვაწეობის ხასიათზე. კერძოდ, ამ შეხედულების მიხედვით ქართველთა ეს მეფე იგივე საქმეს აკეთებდა ჩრდილოეთში, რასაც ჯვაროსნები—სამხრეთში. ის ებრძოდა მაჰმადიანებს, ანადგურებდა მათ და ჯვაროსნებისათვის იყო „წინაბურჯი“, ანუ თანამედროვე ენით რომ ვთქვათ — მოკავშირე.

XII საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს დავით აღმაშენებელი შეეცადა ხანგრძლივი დროით შეენარჩუნებინა თურქობასთან მოპოვებული წარმატებები, ამიტომ, თუ ადრე იგი მარტო საქართველოს ფარგლებიდან ერეკებოდა თურქებს, ახლა ამიერკავკასიიდანაც დაუწყო განდევნა.

ქართველებმა დიდი წარმატება მოიპოვეს. ამიერკავკასიაში შევიწროებული თურქები დახმარების სათხოვნელად ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიანური სამფლობელოებისაკენ გაემართნენ. გადაწყდა, დავით

ალმაშენებლის წინააღმდეგ დიდი ლაშქრობის მოწყობა. მასში მონაწილეობას მიიღებდნენ სელჩუკთა იმპერიის მთავარი მფლობელები. ისინი მიზნად ისახავდნენ ქართველთა სამხედრო ძალების მოსპობას და საქართველოს პოლიტიკური აღორძინების შეჩერებას.

აღნიშნული ლაშქრობის მომზადებას ყველაზე მეტად ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამაც, საქმე ისაა, რომ XII ს. 10-იანი წლებისათვის, როგორც უკვე ვთქვით კიდეც, ჯვაროსანთა პირველი დარტყმებით დასუსტებული თურქ-სელჩუკები კვლავ ერთიანდებოდნენ, ღონეს იკრეფდნენ და წარმატებით იწყებდნენ რევანშის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში დამკვიდრებული ჯვაროსნების წინააღმდეგ. მაჰმადიანური სახელმწიფოების მეთაურები კარგად ხედავდნენ, რომ ჯვაროსანთა სამთავროების დამარცხება მხოლოდ მაშინ იქნებოდა ეფექტური, თუ თურქ-სელჩუკები გზიდან ჩამოიცილებდნენ საქართველოს—ჩრდილოეთით, კავკასიაში მდებარე მონოლითურსა და აღმავალი ძლიერების ქვეყანას.

დასახელებული მიზეზით 10-იანი წლების ბოლოს მაჰმადიანური ახლო აღმოსავლეთის მეთაურებმა გადაწყვიტეს გაენადგურებინათ საქართველო, გზიდან ჩამოეცილებინათ იგი, რათა ხელგახსნილებს წარმატებით შეემუსრათ ჯვაროსნები. ამას გარდა, დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ კურსს განსაკუთრებული უკმაყოფილებით შეხვდნენ თვით ამიერკავკასიისა და საქართველოს რიგი ქალაქები.

XI საუკუნის მანძილზე საქართველოს სამეფო ხელისუფლება ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლის დროს წარმატებით ეყრდნობოდა ქალაქების მხარდაჭერას, ქალაქებისა, რომლებიც თავისი სამეურნეო-პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, სასიცოცხლოდ იყვნენ დაინტერესებული გაერთიანებით.

ასე იყო დავით აღმაშენებლის მმართველობის პირველ ხანებშიც. მაგრამ 10-იანი წლებისათვის დავით მეფემ უკვე უარყო ქალაქებთან მოკავშირეობის ძველი ტაქტიკა და თანდათანობით მათი დამორჩილებაც დაიწყო. განსაკუთრებით მძიმედ განიცადეს ეს პოლიტიკა ამიერკავკასიის დიდმა სავაჭრო ცენტრებმა: თბილისმა, დმანისმა, განძამ და სხვა. ამ ქალაქების მმართველებმა ისიც კი მოახერხეს, რომ საგანგებო ელჩობა გაუგზავნეს ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიანურ მფლობელებს. მათ აქ დახმარება ითხოვეს და თავისი მფარველები დავითის წინააღმდეგ საბრძოლველად მოიწვიეს.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები აიძულებდა აღმოსავლეთის მაჰმადიანებს უზარმაზარი კოალიციის შექმნას, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მაჰმადიანური სახელმწიფოების უდიდესი მფლობელები: სპარსეთის სულთანი მუჰამედ მუჰამედის ძე, მისი ძმა თოღ-

რულ ბეგი — ყაზვინის, ზენჯანისა და გილანის, ხოლო 1121—1122 წლებში არანისა და განძის გამგებელი, ნეჯმ-ედ-დინ-ილ-ღაზი — ჯვაროსანთა ეპოქის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი სამხედრო მოღვაწე, ბაღდადის გამგებელი, მარანდის მფლობელი, ალეპოსა და მაიფარიკის მბრძანებელი; დუბეის სადაყას ძე—ილ-ღაზის სიძე, ქ. ჰილას მფლობელი. გარდა ამისა, კოალიციის შემადგენლობაში შედიოდნენ აგრეთვე ახლო აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის სხვა მაჰმადიანური საამიროების მფლობელებიც.

1121 წლის აგვისტოს მაჰმადიანთა უზარმაზარი მხედრობა საქართველოს ტერიტორიაზე, დიდგორის მიდამოებთან, შეხვდა დავით აღმაშენებლის ჯარებს.

ქართველთა ლაშქარი რიცხობრივად დიდად ჩამოუვარდებოდა კოალიციას, მაგრამ იგი შედგებოდა სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანებისაგან, რომლებსაც ხელმძღვანელობდა XII ს. უდიდეს სტრატეგი და უნიჭიერესი პოლიტიკური მოღვაწე დავით აღმაშენებელი.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქართველთა ლაშქარში იმყოფებოდა აგრეთვე ჯვაროსანი რაინდების მოზრდილი რაზმი, რომელიც დაახლოებით ორასამდე კაცს ითვლიდა. ამათი აქ ყოფნა ერთ-ერთი ეპიზოდი იყო იმ ხანგრძლივი ურთიერთობისა, რომელიც კარგა ხანია არსებობდა საქართველოსა და ჯვაროსნებს შორის.

სისხლისმღვრელი ბრძოლა დიდგორის მიდამოებში ქართველთა ტრიუმფალური გამარჯვებით დამთავრდა. საქართველოს პოლიტიკური განვითარების გზა სავსებით გაწმენდილი იყო.

პატარა ქვეყნის გამარჯვებამ უზარმაზარ სამხედრო კოალიციასთან დიდი რეზონანსი გამოიწვია მაშინდელ მსოფლიოში. დავითის სახელი კიდევ უფრო შეიმოსა შარავანდედით. განსაკუთრებული სიყვარულით და აღტაცებით წარმოსთქვამდნენ მის სახელს ჯვაროსნები, რომლებიც დავით აღმაშენებლის გამარჯვებას ქრისტიანობის საერთო გამარჯვებად თვლიდნენ.

ასეთი შეხედულებებით უხვად იყო გაჟღენთილი ის ცნობები, რომლებიც დავით აღმაშენებლის შესახებ შემოგვინახა ანტიოქიის ჯვაროსნული სამთავროს კანცლერმა, დიდი თანამდებობის პირმა, გოტიემ.

მეცნიერებაში დღემდე გაურკვეველია გოტიეს ეროვნება. ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ გოტიე წარმოშობით ნორმანდიელია, ზოგიერთს კი მიაჩნია, რომ ის სამხრეთ საფრანგეთიდანაა. 1118 წლამდე გოტიე იმყოფებოდა ანტიოქიის სამთავროს კანცლერის თანამდებობაზე, მაგრამ ამ წელს, ერთ-ერთი სისხლისმღვრელი ბრძოლის დროს

თურქ-სელჩუკებმა სასტიკად დაამარცხეს ანტიოქიის დამცველი ჯვაროსანთა მხედრობა, მოკლეს სამთავროს მფლობელი როჟერ ანტიოქიელიც, ხოლო გოტიე სხვებთან ერთად ტყვედ იგდეს. დანარჩენ ქრისტიანებთან ერთად გოტიე ალეპოში წაიყვანეს. 1122 წლის ნოემბერში, როცა გარდაიცვალა ალეპოს მფლობელი ილ-ღაზი (იგი, ჩანს, გარდაიცვალა დიდგორის ბრძოლაში მიღებული მძიმე ჭრილობის გამო), გოტიე გაათავისუფლეს და ანტიოქიაში დაბრუნდა.

რამდენიმე წლის შემდეგ კანცლერმა გოტიემ ლათინურ ენაზე შეადგინა საისტორიო ქრონიკა, სადაც ვრცლად აღწერა ანტიოქიასთან წარმოებული ბრძოლები თურქ-სელჩუკებსა და ჯვაროსნებს შორის.

თავის ქრონიკაში ერთ ადგილას გოტიე საგანგებოდ შეეხო დიდგორის ბრძოლას და აქ ქართველთა საარაკო გამარჯვებას. როგორც ჩანს, ამ აღწერილობას ანტიოქიის კანცლერმა საფუძვლად დაუდო ის გადმოცემა, რომელიც დიდგორის ეპოპეის შესახებ ჭარბად მოედო ჯვაროსანთა წრეებს, ისევე როგორც მთელ აღმოსავლეთს.

გოტიეს ქრონიკის მიხედვით, დავით აღმაშენებელი წარმოგვიდგება გმირ მეფედ, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოების განდიდების მიზნით სიცოცხლესაც კი არ ზოგავს და ებრძვის მაჰმადის ურიცხვ მიმდევრებს.

როგორც ვხედავთ, XII საუკუნის პირველ მეოთხედში აღმოსავლეთისაკენ წამოსული რაინდები დავით აღმაშენებელს ტიპიურ ჯვაროსნად აღიქვამდნენ. ეტყობა ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ დავით აღმაშენებელი უკიდურესი, ჯვაროსნულად მოაზროვნესავით თავის თავს „მესიის ანუ ქრისტეს მონას“ უწოდებდა. ამ დროიდან მოყოლებული სწორედ აღნიშნული ტიტულით მიმართავდნენ ხოლმე ქართველ მეფეებს უცხოელთა დიპლომატიური მისიებიც კი და საერთოდ ახლო აღმოსავლეთის მმართველები.

ამასთანავე დავითის მიერ მოჭრილ ფულებზე, რომლებიც მრავლად ტრიალებდნენ მაშინდელი აღმოსავლეთის სავაჭრო ბრუნვაში, დავით მეფე ასეთივე ტიტულით — „მესიის მახვილი“—მოიხსენიებოდა, ხოლო თვით მეფეს ამავე ფულებზე სიმბოლურად გამოხატავდა ქრისტიანი მხედარი შუბით ხელში.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ უწყობდა ხელს იმ წარმოდგენათა გავრცელებას, რომლითაც ევროპის რაინდებს დავით აღმაშენებელი მიაჩნდათ ნამდვილ ჯვაროსნად. ევროპელი რაინდები ასევე უცქეროდნენ დავით აღმაშენებლის ძეს დემეტრე I (1125—1156).

დაახლოებით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ ჯვაროსნებისა და ქართველების პოლიტიკური ურთიერთობის სურათი თუ შინაარსი იმ

ხანაში, რომელსაც ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის ეპოქა ეწოდება პირობითად.

ამავე ხანაში საფუძველი ჩაეყარა აგრეთვე თვალსაჩინო კულტურულ ურთიერთობასაც ჯვაროსანთა და ქართველთა შორის. ამის ერთ-ერთ მოწმობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ XII საუკუნეში ქართული ფეოდალური არისტოკრატიის წრეებში ჯვაროსანი ფრანგებისაგან შეითვისეს ყარყუმის ძვირფასი ბეწვიანი საზეიმო ტანსაცმლის ტარება.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ ამავე ხანაში ქართული კედლის მხატვრობის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი დაეთმო „ჯვაროსნული სამყაროდან“ აღებული სიუჟეტების გამოსახვასაც. მაგალითად, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე გამოუსახავთ წმინდა სებასტიანე, რომლის შიშველი სხეულიც გამსჭვალულია ისრებით. წმინდა სებასტიანე ითვლებოდა ქ. რომის მფარველად, ამიტომ მისი სახე ფართოდ იყო გავრცელებული განსაკუთრებით აღორძინების ხანის იტალიურ ხელოვნებაში.

რაც შეეხება ქართულ და საერთოდ მართლმადიდებლურ ეკლესიას, ეს უკანასკნელი თავის ხელოვნებაში ერიდებოდა და გვერდს უვლიდა ხოლმე წმ. სებასტიანეს გამოსახვას, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯვაროსანთა ეპოქაში შექმნილმა ვითარებამ დაარღვია ეს ტრადიცია, ისე რომ ქართული სავანის გამგებელთა ნება-სურვილით ჯვრის მონასტრის კედლებზე დახატულ იქნა ჯვაროსანი რაინდების საყვარელი წმინდანის სახე, ჯვაროსნებისა, რომლებიც მაშინდელ ქართველებს სამართლიანად მიაჩნდათ თავიანთ მოკავშირედ XII ს. ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ არენაზე.

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ამავე ხანებში (XII ს. პირველი ნახევარი) „დასავლეთ ევროპელის“ აღმნიშვნელ სიხშირიმად ქართულ მეტყველებაში საბოლოოდ მკვიდრდება ტერმინი „ფრანგი“ და „მოფრანგე“, თუმცა კი თავის სალაპარაკო პრაქტიკაში ქართველები კარგად ასხვავებენ ერთმანეთისაგან დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ხალხებსაც. მაგალითად, თამარის ისტორიკოსი („ისტორიანი და აზმანის“ ავტორი) „გერმანელის“ აღსანიშნავად ხმარობს ტერმინს — „ალემანი“. „გერმანელის“ ასეთი სახელწოდება კი, ჩანს, ქართველებს უნდა შეთვისებული ჰქონდეთ ფრანგებისაგან. მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ „გერმანიას“ ფრანგები „ალემანიას“ უწოდებენ, „გერმანელებს“ კი „ალემანებს“.

გერმანელთა ეთნიკური სახელწოდების ფრანგული ფორმით შემოსვლა ქართულ სამეტყველო პრაქტიკაში, ისე როგორც ტერმინ „ფრანგის“ ახლებური შემეცნება (დასავლეთ ევროპელი), ძალზე მეტ-

ყველად მიუთითებს იმ ფაქტებზე, რომ XII ს. ჯვაროსანთა ძალები უმთავრესად საფრანგეთიდან იყვნენ და ქართველებიც ჯვაროსნულ მოძრაობას უმთავრესად ფრანგების მეშვეობით უკავშირდებოდნენ.

საქართველოს კულტურული და ეკონომიკური კავშირი თუ ნაცნობობა ჯვაროსნებთან და მათი მეშვეობით XII საუკუნის დასავლეთ ევროპასთან, გაცილებით უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, რაც კარგად დასტურდება აღნიშნული ეპოქის ქართველთა გეოგრაფიულ-ასტრონომიული წარმოდგენების, მხატვრული აზროვნებისა და ეკონომიკური ისტორიის რიგი ფაქტებით.

ჯვაროსანთა პირველი გამოჩენის დროიდან რამდენიმე ათეული წელი გავიდა. ამასობაში მაჰმადიანურმა სამფლობელოებმა პირველი დიდი დარტყმები მიაყენეს ჯვაროსნებს.

1144 წელს მოსულის ამირამ ფრანგებს ხელიდან გამოგლიჯა ედესის საგრაფო. მტერი ანტიოქიასაც ემუქრებოდა. საშინელი განგაში ატეხა პაპობამ: იერუსალიმი და, მაშასადამე, ფეოდალთა თუ ეკლესიის ინტერესები საფრთხეში იყო.

სწორედ ამის საპასუხოდ 1147 წელს დაიწყო ჯვაროსანთა მეორე ლაშქრობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთისა და გერმანიის ფეოდალებმა, მაგრამ ჯვაროსანთა ეს ლაშქრობა უიღბლო აღმოჩნდა. დაუსრულებელმა ურთიერთკინკლაობამ არ მისცა ჯვაროსნებს საშუალება გამარჯვება მოეპოვებინათ.

ქრისტეს რაინდების მდგომარეობა სულ უფრო უიმედო ხდებოდა. ასეთი იყო საქმის ვითარება, როცა ჯვაროსანთა შორის გავრცელდა სასიხარულო ცნობა. იგი უძველესი, თუმცა კი უკვე საკმაოდ შეცვლილი სახით, 1145 წ. თარიღით, შემონახული აქვს გერმანელ მემატიანეს ოტო ფრაიზინგელს, დიდ საეკლესიო ფეოდალს, იმპერატორ ფრიდრიხ I ბარბაროსას ბიძას.

ამ ცნობაში ნათქვამი იყო:

შორს, უკიდურეს აღმოსავლეთში, სპარსეთისა და არმენიის მიღმა, ცხოვრობს ძლიერი ქრისტიანი ხელმწიფე იოვანე, რომელიც თავის ხელში აერთიანებს როგორც საერო, ასევე სასულიერო ხელისუფლებას, იგი ერთდროულად მეფეცაა და ხუცესიც და ნესტორიანობის მიმდევარია.

ერთ-ერთი სისხლისმღვრელი ბრძოლის დროს, რომელიც დიდხანს გაგრძელდა, ამ მეფე-ხუცესმა დაამარცხა სპარსეთისა და მიდიის გამგებელი მეფე-ძმები — სახელად შამიარდოები, აიღო მათი სატახტო ქალაქი ეკბატანა და ბოლოს განიზრახა იერუსალიმში წასვლა, რათა იქ დახმარება აღმოეჩინა წმინდა საფლავის მფლობელი ჯვაროსნებისათვის.

მართლაც, ეს გმირი ხელმწიფე თავისი მხედრობით გაემართა იერუსალიმისაკენ, მაგრამ იძულებული გახდა შეჩერებულიყო მდ. ევფრატთან გემების უქონლობის გამო.

დიდხანს ელოდა ეს ხელმწიფე ზამთარს, ეგონა მდინარე გაიყინება და ისე გადავალო, მაგრამ ამაოდ: კარგი, თბილი, ამინდები იდგა და მდინარეც არ იყინებოდა. მაშინ ლეგენდარული მმართველი დროებით უკანვე გაბრუნდა თავის ქვეყანაში იმ იმედით, რომ შემდეგში ისევ წამოვიდოდა იერუსალიმისაკენ.

აღნიშნულმა ხმამ დიდი სიხარული მოჰფინა ჯვაროსნებს, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ გმირი ხელმწიფე მალე მოვიდოდა და სასტიკად დასჯიდა მაჰმადიანებს, რომლებმაც ხელი აღმართეს ჯვაროსანთა მიწა-წყალზე. დიდხანს ელოდებოდნენ ჯვაროსნები აღმოსავლეთში ნაგულვებ ამ ზღაპრულ პირს, მაგრამ ამაოდ.

იგი არ მოდიოდა!

მიუხედავად ამისა, დახმარების მოსურნე რაინდებს ხშირად ახსენდებოდათ ეს მეფე-ხუცესი და მის მოსვლაზე მთელი საუკუნის მანძილზე არ გადაუწყვეტიათ იმედი.

გადმოცემა აღმოსავლეთში მოსახლე დიდი ხელმწიფის შესახებ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ცოცხლობდა ევროპელთა შორის.

ამჟამად დადგენილია, რომ გადმოცემა იოვანე მეფე-ხუცესის შესახებ შეიქმნა ჯერ კიდევ XII საუკუნის პირველ მესამედში იმ ხმების საფუძველზე, რომლებიც ამ ეპოქაში ჭარბად გავრცელდნენ ევროპელთა შორის დავით აღმაშენებლის, მისი ძის დემეტრესი და, საერთოდ, საქართველოს შესახებ.

საფიქრებელი ხდება, რომ იოვანე მეფე-ხუცესის ლეგენდარული ტიპის „კონსტრუირებას“ ჯვაროსანთა ფანტაზიაში საფუძვლად დაედო დავით აღმაშენებლისა და მისი შვილის მოღვაწეობის ისეთი მომენტები, როგორიც იყო: ბრძოლა საერო და სასულიერო ხელისუფლებათა სრული კონცენტრაციისათვის, შეტევითი პოლიტიკა თურქსელჩუკების წინააღმდეგ, ქრისტიანობის პანეგირიზაცია და მისი გამოცხადება წმინდათაწმიდა იდეალად, ობიექტური თვალსაზრისით თვალსაჩინო ხელისშეწყობა ჯვაროსნული მოძრაობისათვის ახლო აღმოსავლეთში, რაც ევროპის რაინდთა ცნობიერებაში ხშირად ნახევრად ზღაპრული თუ მისტიკური ფერებით იმოსებოდა.

საინტერესოა ვიცოდეთ ის ფაქტიც, რომ ხმებს იოვანე მეფე-ხუცესის შესახებ საგანგებოდ აზვიადებდნენ და ავრცელებდნენ რომის პაპები, რომლებიც ამ გზით ჯვაროსანთა აწ უკვე საგრძნობლად დაცემული ენთუზიაზმის ანთება-გაღიზიანებას ცდილობდნენ.

XII საუკუნის მანძილზე ყველაზე თვალსაჩინო ადგილი, სადაც ქართველები და ჯვაროსნები ხვდებოდნენ ურთიერთმანეთს, პალესტი-

ნა იყო. ამ შეხვედრათა და თანამშრომლობათა საუკეთესო მოწმობას წარმოადგენს ტამპლიერთა ორდენის წევრთა ის დიდი მოსახსენებელი, რომელიც დაცულია იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ ხელნაწერში.

აღნიშნული ხელნაწერი მეცნიერებისათვის ცნობილი გახდა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში. იგი გადაწერილია ქ. იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, ვინმე გიორგი დოდისის მიერ. ხელნაწერს ახლავს სათანადო ანდერძი, რომელიც გვაუწყებს, რომ მისი გადაწერა დაუსრულებიათ: „ბერძენთა ზედა მანოელისსა, ქართლს დიმიტრისსა, იტ'ლმს ბულდიონისსაჲ", საერთოდ 1155 წელს.

ამ საინტერესო ხელნაწერში, რომელიც შინაარსობლივად სხვადასხვა თხზულებებს შეიცავს, დაცულია XII ს. შედგენილი, ჯვაროსან ტამპლიერთა ორდენის წარჩინებული რაინდების აღაპები.

ქართულ ხელნაწერს დაუცავს მოსახსენებელნი შემდეგი რაინდებისა: 1. სირ უგ და ყოველნი [მოყვარენი მისნი], 2. ჯოფრე ფაუსათ, 3. სინენბრინ და მოდეარ ჯირაოდ, 4. ვ¯გი¯ლლმ, 5. ფილიპე, ელისაბედ, ელენე, სტეფანე მ¯მჲ ელისაბედისი ოდი და დედაჲ მაბილა და პაპი ფილიპესი გ¯ი, 6. სირ პერ კომანდური ტაძრელთა, 7. პერი ტაძრელთა, 8. პერია, მისი დედაჲ ბ¯სლა და მამაჲ მისი ნელინ, 9. გჳლიამ პატერა და დედაჲ და მამაჲ მისი, 10. ჯირარდ და დედაჲ და მამაჲ მისი, 11. ორსიშოდ სილგილამ დელოლველ, 12. სირ ვრიდრიშ, 13. რაუ, გილა, ასქილანი, ასილინე, ჟუან, ელისაბედ, 14. სირ უდრი და მაჰად, 15. სირ რაო და მიქაელ, 16. ქრისტოდულ ეკ¯ონმი, 17. სირი ჯილიბედ, 18. სირ არბერდ ბჭე და ძ¯მჲ ტაძრელთა ჯუან.

როგორც ჩანს, ზემორე აღაპები ქართველ ბერებს ჩაწერილი ჰქონიათ ფრანგი რაინდების კარნახით. ამიტომაც ფრანგული სახელების ქართულად გადმოცემის დროს აღაპების შემდგენელ ბერებს თვალსაჩინო შეცდომები დაუშვიათ, რის გამოც ბევრი სახელი დამახინჯებულია, ზოგიერთის აღდგენა კი ადვილად ხერხდება. მაგალითად: „სირ უგ": სირ-ტიტულის აღმნიშვნელია, „უგ" ფრანგული სახელის „ჰიუგის" ქართული შესატყვისი. სახელი „ჯოფრე" უდრის ფრანგულ „ჟოფრუას". საკუთარი სახელი „სინენბრინ" სავარაუდოა „სირ ენბრინს" უდრიდეს, ხოლო „ჯირაოდ"—„ჟირარდს" ან „ჯიროლდს". აღაპებში მოხსენიებული „ასქილანი" ფრანგული აქვილინას (ქალის სახელია) შესატყვისი არის. „რაუ" შეესაბამება ფრანგულს რაულს, „გილა — „გილიომს", ან „გულიომს", „ვრიდრიშ" უნდა იყოს გერმანული „ფრიდრიხის" ფრანგული გამოთქმით მიღებული სახელი, „არბერდ" „ალბერტი" და ა. შ.

დასახელებული პირები და მათი აღაპები საინტერესოა არა მარტო იმით, რომ იგი ააშკარავებს ქართველთა და ტამპლიერთა ახლო

ნაცნობობას, არამედ იმიტომაც, რომ ისინი გვიხასიათებენ ჯვაროსანთა ამ უდიდესი ორდენის დამოკიდებულებას ქართველთა ჯვრის მონასტრისადმი. როგორც ირკვევა, ტამლიერთა რაინდები მამულებსა და ფულებს სწირავდნენ ქართველთა ჯვრის მონასტერს და საამისოდ სვინაქსარზე აწერინებდნენ მოსახსენებელს.

უნდა ღრმად გვჯეროდეს, რომ ჯვაროსან-ტამლიერთა და ქართველთა ეს ურთიერთობა გაცილებით უფრო დიდი იყო და გულისხმობდა ორივე მხარის მიერ შეთანხმებულ ურთიერთობებს ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ცხოვრებაში.

ჯვაროსანთა მეორე ლაშქრობის დამარცხების შემდეგ ორმოცი წელი გავიდა. ჯვაროსანთა საქმე სულ უფრო უკან მიდიოდა ახლო აღმოსავლეთში. 1187 წელს ეგვიპტის ნიჭიერმა და ენერგიულმა მმართველმა სულთანმა სალაჰ ად-დინმა (ანუ სალადინმა, როგორც მას ჯვაროსნები უწოდებდნენ) ევროპელ რაინდებს წაართვა იერუსალიმი და აღმოსავლეთის ბევრი სხვა ადგილი. რომის პაპებმა რამდენჯერმე მოუწოდეს ევროპელებს მესამე ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ.

და აი, 1189 წელს რაინდების ახალი კოალიცია კვლავ აღმოსავლეთისაკენ დაიძრა. ამ ლაშქარს სათავეში ედგნენ გერმანიის იმპერატორი ფრიდრიხ I ბარბაროსა, საფრანგეთის მეფე ფილიპე II ავგუსტუსი და ინგლისის ცნობილი ხელმწიფე რიჩარდ ლომგული.

ჯვაროსანთა ეს ლაშქრობაც წარუმატებლად გათავდა.

ფილიპე მეორე და რიჩარდ ლომგული გამუდმებით კინკლაობდნენ ერთმანეთთან. ამასთანავე ეს უკანასკნელი უფრო ძარცვა-გლეჯით იყო გატაცებული, ვიდრე გეგმიანი ომის წარმოებით.

ფრიდრიხ ბარბაროსასაც ცოტა დააკლდა, რომ ომი დაეწყო ბიზანტიასთან. მან მიაღწია სირიას, მაგრამ აქ ერთ-ერთი მთის მდინარეზე გადასვლის დროს დაიხრჩო. გერმანელებმა მიატოვეს კოალიცია და სამშობლოში დაბრუნდნენ.

იერუსალიმი კვლავ მაჰმადიანების ხელში რჩებოდა.

ერთადერთი პუნქტი, რომელიც ჯვაროსნებმა ამ ომში დაიბრუნეს, ეს იყო აკრა. შემდეგ რიჩარდ ლომგულმა ხელთ იგდო კუნძული კიპროსიც, მაგრამ იგი ტამპლიერებს მიჰყიდა.

როგორც ჩანს, ქართველები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობას და ევროპელთა გეგმებს ახლო აღმოსავლეთში.

ჩვენამდე შემონახულია ცნობა, რომ იერუსალიმის ჯვაროსნულ სამთავროსთან XII ს. დასაწყისში დამყარებულ კეთილმეგობრულ დამოკიდებულებას აგრძელებდა ჯერ კიდევ გიორგი III (1156—1184).

ახლა კი, მესამე ლაშქრობის პერიოდში, ეს იყო დიდი თამარის (1184—1212) ხანა, 1189 წელს იერუსალიმისაკენ მიმავალ ფრიდრიხ

ბარბაროსასაც ქ. ფილიპოპოლში შეხვდა პეტრიწონის მონასტრის ქართველი წინამძღვარი. საკმაოდ კარგადაა ცნობილი, რომ ფრიდრიხ ბარბაროსას დიდი სიხარულით მიუღია ეს ბერი, ტკბილად უსაუბრია მასთან და შემდეგ პატივით გამოუსტუმრებია.

ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ ფრიდრიხ I-ს მაინცდამაინც ბერი შეხვდა გზაზე. როგორც ცნობილია, შუა საუკუნების უცხოეთის ქართული მონასტრები ჩვენი სახელმწიფოსათვის თავისებურ დიპლომატიურ კორპუსებს წარმოადგენდნენ. საამისოდ სავსებით საკმარისია დიდი თორნიკეს გახსენება. როგორც ცნობილია, თორნიკემ ბერად აღკვეცის შემდეგ დიპლომატიური შუამავლის როლი შეასრულა ბიზანტიის საიმპერატორო ხელისუფლებასა და ტაოს მმართველს — დავით კურაპალატს შორის (X საუკუნის ბოლო მესამედი).

როცა პეტრიწონის წინამძღვარ ქართველ ბერზე ვსაუბრობთ, უნდა ვიფიქროთ, რომ მისი და ფრიდრიხის საუბარი თანაბრად ეხებოდა როგორც გერმანელი ჯვაროსნების, ასევე ქართველთა პოლიტიკურ ინტერესებს. წინაალმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, თუ რატომ მაინცდამაინც ქართული და არა სხვა მონასტრის წარმომადგენელი იყო გაგზავნილი გერმანელ იმპერატორთან მოსალაპარაკებლად. ცნობილია, რომ ბიზანტია-ბულგარეთში სხვა ხალხთა მონასტრებიც მრავლად იყო აგებული.

ვიმეორებთ — იმპერატორ ფრიდრიხთან წარმოებული საუბარი ქართველთა და ჯვაროსანთა საერთო პოლიტიკურ ამოცანებს ეხებოდა, ხოლო ამ მოლაპარაკების მთავარი პუნქტი იყო გერმანელთა და ქართველთა დამოკიდებულების საკითხი ბიზანტიის იმპერიასთან. ამ დროს კონსტანტინოპოლის საერთაშორისო ინტერესები თანაბრად ეწინააღმდეგობდნენ როგორც გერმანული მონარქიის, ასევე საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ინტერესებს. ყოველივე ეს კი ხელს უწყობდა ქართველთა და გერმანელთა ანტიბიზანტიურ სოლიდარობას, რაც რეალურად ხორცს ისხამდა ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობის პერიოდში. როგორც ცნობილია, ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობა მიმდინარეობდა თამარ მეფის მმართველობის დასაწყისში.

საქართველომ დიდ ძლიერებას მიაღწია თამარის ხანაში. ამ დროს სახელმწიფო გადაჭიმული იყო დიდ ტერიტორიაზე — შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. ჩრდილოეთ კავკასიიდან სპარსეთ-არზრუმამდე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და კულ-

ტურულმა ცხოვრებამ უმაღლეს დონეს მიაღწია. თამარის დროის საქართველო კვლავ დიდი წარმატებით ახორციელებდა შეტევით პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიანური აგრესიის წინააღმდეგ და ამ პოლიტიკაში უთვალსაჩინოეს წარმატებასაც აღწევდა.

ამავე დროს საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება ენერგიულად ცდილობდა სახელმწიფო საზღვრების გამაგრებას და მტკიცე სადემარკაციო ზონების შექმნას მეზობელ პოლიტიკურ ერთეულებთან.

თავის დროზე ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობის წარუმატებლობამ თავზარი დასცა რომის პაპებს. მალე ინოკენტი III-ს ინიციატივით დაიწყო ახალი, რიგით უკვე მეოთხე, ჯვაროსნული ომის მომზადება, რომელიც მიმართული უნდა ყოფილიყო მაჰმადიანური სამყაროს ცენტრის — ეგვიპტის წინააღმდეგ.

ეგვიპტის სანაპიროებზე ჯვაროსანთა მხედრობის გადაყვანა ხმელთაშუა ზღვით იკისრა ვენეციის რესპუბლიკამ, რომელმაც გასამრჯელოდ 85 000 ვერცხლის მარკა და აგრეთვე იმ ტერიტორიების ნახევარი მოითხოვა, რომელსაც ამ ომში ჯვაროსნები დაიპყრობდნენ.

ჯვაროსნებს არ შეეძლოთ ასეთი დიდი თანხის გადახდა ვენეციელებისათვის. მაშინ, გადასახადის მიღება დროზე რომ უზრუნველეყო, ვენეციის გაქნილმა და ნიჭიერმა დოჟმა ენრიკო დანდოლომ ჯვაროსანი რაინდები ვენეციის ერთ-ერთ უდაბურ კუნძულ ლიდოზე ჩაკეტა. მიუხედავად ამისა, ჯვაროსნებმა მაინც ვერ შეძლეს გადაეხადათ დათქმული თანხის ორი მეხუთედი. მაშინ ენრიკო დანდოლომ აიძულა ჯვაროსნები ვალის ანგარიშში დაეპყროთ ვენეციისათვის მისი სავაჭრო კონკურენტი, დალმაციის ქალაქი ზადარი (ზარა), რომელიც უნგრეთის მეფე იმრეს ექვემდებარებოდა.

ძარცვა-გლეჯას მიჩვეული ჯვაროსნები დათანხმდნენ ამაზე, თუმცა კი მათ შესანიშნავად იცოდნენ, რომ ეს ქალაქი უნგრეთის მეფის ბატონობას აღიარებდა, ხოლო ეს უკანასკნელი ქრისტიანი იყო და აღთქმაც ჰქონდა დადებული, რომ მონაწილეობას მიიღებდა ჯვაროსნულ ომში.

1202 წელს ჯვაროსნებმა იერიშით აიღეს ზადარი და გაძარცვეს. ინოკენტი III-მ მრისხანე ორჭოფული მუქარა გაუგზავნა მათ: როგორ გაბედეთ ქრისტიანული ქალაქის ხელის ხლებაო, მაგრამ ბოლოს „დაშოშმინდა“ და ცოდვილ რაინდებს საეკლესიო მონანიებალა მოსთხოვა. პაპი ერიდებოდა ჯვაროსანთა წყენას. მათ ხომ ადვილად შეეძლოთ ლაშქრის მიტოვება და ჯვაროსნული ლაშქრობის ჩაშლა.

სწორედ ამ პერიოდისათვის ბიზანტიაში დატრიალებულმა ამბებმა დიდი ცვლილებები შეიტანეს ჯვაროსანთა გეგმებში.

XII ს. ბოლოს ბიზანტიის იმპერია სწრაფად დასუსტდა. მოწინააღმდეგე სახელმწიფოებმა ყველა მხრიდან შეუტიეს მას. მკვეთრად შემცირდა სახელმწიფო შემოსავალიც, რადგან ის სავაჭრო პრივილეგიების მეოხებით ძირითადად ხელში ჩაუვარდათ ვენეციელებს.

ამის საპასუხოდ ვენეციელთა ჯიბრზე ბიზანტიის საიმპერატორო ხელისუფლებამ მრავალი სავაჭრო შეღავათი მისცა ვენეციის კონკურენტებს: პიზასა და გენუას, მაგრამ ამით მან საბოლოოდ მოშალა საკუთარი ქვეყნის ეკონომიკა. ვენეციელები ოცნებობდნენ შავი ზღვის სრუტეებზე გაბატონებას და ამ გზით ბიზანტიის მოთვინიერებას.

1195 წელს ბიზანტიის იმპერატორი ისაკ II ანგელოსი შეთქმულებით ტახტიდან ჩამოაგდეს. მისი შვილი ალექსი კი დასავლეთში გაიქცა და რომის პაპს შეევედრა: ოღონდ ტახტი დამაბრუნებინე, მონაწილეობას მივიღებ ჯვაროსნულ ომში და ბიზანტიის ეკლესიასაც რომის საყდარს დავუმორჩილებო. ამის შემდეგ ალექსი გაემართა გერმანიის იმპერატორ ფილიპე შვაბელთან, რომელსაც ცოლად ჰყავდა ტახტის მაძიებელი უფლისწულის და.

ზადარში მყოფ ჯვაროსნებს ფილიპე შვაბელის ელჩები ჩამოუვიდნენ. ეს უკანასკნელები წინადადებას აძლევდნენ ჯვაროსნებს: ტახტის დაბრუნებაში დაეხმარეთო ალექსის. ვენეციას და ევროპელებს ხელსაყრელი დრო დაუდგათ: ახლა კი შეიძლებოდა ბიზანტიის შინაურ საქმეებში ჩარევა. გადაწყდა — „დახმარება" აღმოეჩინათ უსამართლოდ დაჩაგრული ბიზანტიის უფლისწულისათვის. ამიტომ ეგვიპტეზე ლაშქრობა სხვა დროისათვის უნდა გადაედოთ. სამაგიეროდ ალექსი III დაპირებებს იძლეოდა, რომ ტახტის დაბრუნების შემდეგ ჯვაროსნებს გადაუხდიდა ზღაპრულ თანხას — 200 000 ვერცხლის მარკას, გამოიყვანდა მათ სასარგებლოდ 10 000 მოლაშქრეს და ბოლოს ჯვაროსანთა მიერ აღმოსავლეთში დაპყრობილი პუნქტების შესანახად გამოიყვანდა 500 რაინდს.

მართლაც, 1203 წლის ივნისის ბოლოს ჯვაროსანთა ფლოტი კონსტანტინოპოლის კედლებს მიადგა. ისაკსა და ალექსის დაუბრუნეს ტახტი, მაგრამ სიწყნარე მაინც ვერ დამყარდა. იმპერატორებმა ვერ შეძლეს ჯვაროსანთა ვალის გადახდა და ეს მაშინ, როცა ვენეციელები უფრო და უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებდნენ ბიზანტიას. 1204 წლის იანვრისათვის კონსტანტინოპოლის მოსახლეობა აჯანყდა და იმპერატორების ტახტი კვლავ დაამხეს.

დიდი შინაბრძოლები მიმდინარეობდა ბიზანტიაში.

ასეთი რთული კატაკლიზმების დროს ჯვაროსნებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს კონსტანტინოპოლის დაპყრობა და იმპერიის დანაწილება. 1204 წლის 13 აპრილს მათ იერიშით აიღეს ბიზანტიის დედაქალა-

ქი. საშინლად გაძარცვეს იგი, დახოცეს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი და მიწასთან გაასწორეს ხელოვნების უშესანიშნავესი ძეგლები. ბიზანტია დაიშალა რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად. დაეცა მისი პოლიტიკური პოტენციალი.

ბიზანტიაში მიმდინარე შიდაპოლიტიკურ ბრძოლებსა და მის დასუსტებას თავიდანვე დიდი ინტერესით აკვირდებოდნენ საქართველოს დიპლომატები. ქართველები ყოველნაირად ცდილობდნენ მძლავრი მეზობლის დასუსტება საკუთარი საზღვრების გასაძლიერებლად გამოეყენებინათ. საქართველოში ყოველთვის ახსოვდათ, თუ ადრე, საუკუნეთა მანძილზე როგორი აგრესიული გეგმებით იცქირებოდა ხოლმე საქართველოსაკენ ბიზანტიის იმპერია, როცა ის ჯერ კიდევ ძლიერი იყო პოლიტიკურად.

და აი, ახლა დადგა შესაფერისი დრო.

ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის გეგმები თუ შედეგები ოსტატურად იქნა შეფასებული ქართველთა მიერ:

სწორედ ამ ლაშქრობის ახლო ხანებში საქართველოში ჩამოვიდნენ უცხოეთის ქართულ სავანეთა წარმომადგენლები, რომლებსაც თამარ მეფემ დიდძალი ქონებრივი შეწირულება მისცა. მაგრამ უკან გამობრუნებულ ბერებს ბიზანტიაში ეს სიმდიდრე საიმპერატორო ხელისუფლების წარმომადგენლებმა წაართვეს.

ეს ამბავი თამარ მეფემ ოსტატურად გამოიყენა დიპლომატიურ საბაბად და თავისი არმიით სწრაფი სამარი მოქმედება დაიწყო ბიზანტიის იმპერიის სახელმწიფო ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობდა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, საქართველოს უშუალოდ ემეზობლებოდა და უძველესი დროიდან ლაზების, ანუ ჭანების ქართული ტომებით იყო დასახლებული. ამ სამარი ოპერაციების შედეგად თამარ მეფის მხედრობამ სწრაფად დაიპყრო თითქმის მთელი ლაზისტანი: ტრაპიზონი, სამსუნი, კერასუნტი, სინოპი, კოტიორა და ჰერაკლიასაც კი მიაღწია.

ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნით ადრე ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში მოქცეული ეს მხარეები ცალკე ერთეულად ცდილობდნენ გამოყოფას, ახლა კი იმპერიის ცენტრის საერთო დასუსტების პირობებში ეს ამოცანა დღის წესრიგში დადგა საბოლოოდ.

საქართველოს ხელისუფლებამ დაპყრობილი მხარეები ცალკე ერთეულად გამოყო და მისგან შექმნა ბუფერული სახელმიწფო, რომლის სათავეში ჩააყენა ბერძენი უფლისწული ალექსი კომნინოსი.

ამ უკანასკნელისათვის თამარ მეფე უფროსი თაობის გარეთა მამიდად ითვლებოდა. თამარ მეფის ამ ნაბიჯს კონსტანტინოპოლმა ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ასე შეიქმნა საქართველოს მე-

ზობლად დიდი სამეფო, სადაც უმთავრესად ქართული ტომები მოსახლეობდნენ. აქ თავიდანვე ქართული ორიენტაცია იყო გაბატონებული.

ტრაპიზონის სამეფოს შექმნა ქართული დიპლომატიის დიდი გამარჯვება იყო. ამიერიდან, თუ ბიზანტია ან სხვა ვინმე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის საზღვრებისაკენ აგრესიულად გამოიხედავდა, მას ჯერ ტრაპიზონი უნდა გადმოელახა. აქ კი ყოველთვის ძლიერი იყო ქართული ორიენტაცია.

აღნიშნული დიპლომატიური გამარჯვება მნიშვნელოვნად განპირობებული იყო იმით, რომ საქართველოს ხელისუფლებამ თავის სასარგებლოდ წარმატებით გამოიყენა ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის შედეგები.

თამარის სახელი შორს იყო გავარდნილი ჯვაროსანთა შორის. ამას მოწმობს თამარის სახის პანეგირიზაციაც ერთ-ერთ ისლანდურ საგაში, რომელსაც ეწოდება საგა ინგვარის შესახებ.

ინგვარ-მოგზაური (ისლანდურად „ინგვარ ენ ვიდჰორლი“ — შორეულ ქვეყნებში ნამყოფი) შვედი რაინდი ყოფილა. მკვლევართა აზრით, ის XII საუკუნეში ცხოვრობდა. ერთხელ, ინგვარმა შეკრიბა დიდი რაზმი და გაემგზავრა „აღმოსავლეთისაკენ“, სადაც თავი ისახელა მრავალ ბრძოლაში. ბოლოს ინგვარი თავის მეგობრებითურთ დაიღუპა სადღაც სამხრეთით — „სარაცინების“, ე. ი. სარკინოზების ქვეყანაში.

ინგვარის საგა მრავალ ფანტასტიკურ ეპიზოდს გადმოგვცემს შვედი რაინდის მოგზაურობათა შესახებ. მაგრამ ეს საგა გვიანაა ჩამოყალიბებული და ამიტომ მასში ბევრი ისეთი ფაქტი და მოვლენაა შეტანილი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ერთი ან მეტი საუკუნის შემდეგაც.

ერთ-ერთი ასეთი გვიანი წარმოშობისაა საგის ის ფენა, რომელიც ეჭვს გარეშეა, თამარ მეფეს ეხება და დაახლოებით XII — XIII საუკუნეთა მიჯნაზე უნდა იყოს წარმოშობილი.

საგის მიხედვით, ინგვარი ჩამოდის ერთ-ერთ ძლიერ ხელმწიფე ქალთან, უნდა იგულისხმებოდეს თამარ მეფე, და მასთან იქორწინებს. საგაში მოთხრობილია, აგრეთვე, რომ ამ ხელმწიფე-ქალის სამსახურში იმყოფება ვარიაგების დიდი — 3000 მებრძოლისაგან შემდგარი რაზმი.

1212 წელს გარდაიცვალა მეფე დიდი თამარი და მის მაგიერ სამეფო ტახტზე ლაშა-გიორგი IV (1213—1222) ავიდა. ახალგაზრდა მეფეს წილად ხვდა ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს მმართველობა. ლაშა-გიორგი ყოველმხრივ ცდილობდა საქართველოს სახელმწიფო ძლიერების შენარჩუნებას და მტკიცედ ებრძოდა სამეფო ხელისუფლებისაგან განდგომის მოსურნე ფეოდალებსა და ვასალური

ქვეყნების გამგებლებს. ასე მოიქცა იგი განძის ათაბაგის წინააღმდეგ, რომელმაც ლაშას გამეფების დროისათვის სცადა განდგომა.

ლაშა-გიორგის სახელი შორს იყო გავარდნილი. მოუხედავად იმ არასასიამოვნო მითქმა-მოთქმისა, რომელსაც მის შესახებ ცენტრალისტური პოლიტიკით უკმაყოფილო და თვითნებობის მოსურნე ზოგიერთი ფეოდალი ავრცელებდა, ლაშა-გიორგის რაინდული სულისკვეთებისა და ფართო განათლების ადამიანად თვლიდნენ. ამასთანავე ლაშა-გიორგი წარმატებით აგრძელებდა იმ საგარეო პოლიტიკურ ხაზს, რომელსაც ჯერ კიდევ დიდი თამარი ახორციელებდა.

1218 წელს ლაშამ მოაწყო დიდი ლაშქრობა ნახჭევანის, ხლათისა და კარნუ-ქალაქის (ერზერუმის) წინააღმდეგ ყმადნაფიცობის პირობაზე მათ შემოსამტკიცებლად.

სწორედ ამ ხანებში დაიწყო სამზადისი ჯვაროსანთა V ლაშქრობისათვის (1217—1221), რომელიც ეგვიპტის წინააღმდეგ უნდა მიმართულიყო. მაგრამ ამ დროისათვის ჯვაროსნული მოძრაობა უკვე საბოლოოდ დასუსტებული იყო.

ჯვაროსანთა ამ სამხედრო კამპანიის ორგანიზატორმა პაპმა ჰონორიუსმა საგანგებო ელჩების ხელით დიდი ეპისტოლე გამოუგზავნა ლაშა-გიორგის და სთხოვა მას მონაწილეობა მიეღო ლაშქრობაში, რათა ჯვაროსნებს უფრო გაადვილებოდათ „მაჰმადიანური სამყაროს შემუსვრა“.

ლაშა-გიორგიმ დაუყოვნებლივ განაცხადა თანხმობა და სალაშქროდ დაიწყო მზადება. ასეთივე თანხმობა განაცხადეს მსხვილმა ქართველმა ფეოდალებმაც. მაგრამ სრულიად მოულოდნელად ეს წამოწყება ჩაიშალა.

1221 წელს საქართველოს საზღვრებს პირველად ესტუმრნენ ცენტრალური აზიიდან წამოსული ახალი მეჯოგე-დამპყრობლები—მონგოლები. ეს იყო მათი დროებითი, დაზვერვითი ხასიათის ლაშქრობა. მონგოლებმა მძიმე დამარცხება მიაყენეს მანამდე უძლეველ ქართველებს და შემდეგ უბრძოლველად გაეცალნენ კავკასიას. ამ ბრძოლაში სასიკვდილო ჭრილობა მიღო ლაშა-გიორგიმ და გარდაიცვალა კიდეც.

როგორც ირკვევა, ჯვაროსნული ლაშქრობის სამზადისის პერიოდში ევროპის ფეოდალები დიდ იმედებს ამყარებდნენ ლაშა-გიორგიზე და მის სახელს განსაკუთრებული მოწიწებით იხსენიებდნენ.

შემთხვევითი როდი იყო ის ფაქტი, რომ სწორედ ჯვაროსანთა V ლაშქრობის პერიოდში ევროპელებს ხელახლა გაახსენდათ ზღაპრული იოვანე მეფე-ხუცესი, რომელსაც ისინი ამაოდ ელოდნენ XII ს-ში და ახლა ნამდვილი პროტოტიპის მიხედვით „დავით მეფეს“ უწოდებდნენ. ევროპის მოსახლეობაში, ეს იყო 1221 წლისათვის, ასეთი ხმაც კი გავრცელებულა: დავით მეფემ, რომელსაც იოვანე მეფე-ხუ-

ცესს უწოდებენ, უკვე გადმოლახა თავისი ქვეყნის საზღვრები და დაიპყრო მიდია თუ სპარსეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ვიფიქროთ, რომ დავით-იოვანეს ზღაპრული „სახის“ ასეთ ინტენსიურ აღორძინებას ხელი შეუწყო ლაშა გიორგის საერთო პოლიტიკურმა წარმატებებმა და იმ თანხმობამ, რომელმაც ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობის მონაწილეებს დიდი იმედი აღუძრა. სავსებით აშკარაა, რომ ლაშა-გიორგის ღვაწლსა და სახელს ევროპული ფოლკლორი მექანიკურად უერთდება ლეგენდარული „იოვანეს“ ლიტერატურულ „ტიპს“, იოვანესი, რომელიც ჯვაროსანთა ფანტაზიაში არც ბერდებოდა და არც კვდებოდა.

თუ რა დიდი იყო ჯვაროსანთა აღფრთოვანება და პატივისცემა ლაშა-გიორგისადმი, ამას მოწმობს ერთ-ერთი ფრანგი ჯვაროსნის, დე-ბუას წერილი, რომელიც მას ქართველთა მეფის სიცოცხლეშივე საფრანგეთში, ბეზანსონის არქიეპისკოპოს ამედე დე ტრემლეისადმი გაუგზავნია.

დე-ბუას მიზნად დაუსახავს ლაშა-გიორგის დახასიათება ფრანგი მღვდელმთავრისათვის. ამის შესახებ დე-ბუა მოგვითხრობს: „აწ ისმინეთ სხვა რამ საკვირველი და საყურადღებო. ამბად მივიღე, და საქმის სიჭეშმარიტე სანდო მოციქულთაგან გავიგეთ, რომ ივერიითგან ვინმე ქრისტეანენი, გიორგიანებად წოდებულნი, ურიცხვი მხედრობით და ქვეითი ჯარით ღვთის აღმაფრთოვანებელ დახმარების ძალითა ფრიად აღჭურვილით, ურწმუნო წარმართთა წინააღმდეგ სწრაფად აღდგნენ და, აიღეს რა უკვე 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, მაგარნი დაიპყრეს, ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქციეს. აღნიშნულ ქალაქთაგან ერთი, ევფრატზე მდებარე, ყველა წარმართთა ქალაქთაგან უფრო წარჩინებული ყოფილა და დიდი“. დე-ბუა იქვე განაგრძობს: „... ზემო აღნიშნულნი წმინდა იერუსალიმის მიწის სახსნელად მოვლენ და მთელ საწარმართოს დაიმორჩილებენ. მეფე მათი წარჩინებული, თექვსმეტი წლისაა, ალექსანდრეს ბადალი ძალით და სიკეთით, თუმცა არა სარწმუნოებით. ჭაბუკი ესე დედისმისის დედოფლის უძლიერესის თამარის ძვლებს თან ატარებს, რომელმაც სანამ ცოცხლობდა, იერუსალიმად წასვლის აღთქმა დასდვა, და შვილსა თვისსა სთხოვა, თუ მიიცვალებოდა, რომ ძვლები მისი უფლის საფლავთან წაესვენებიათ“.

დე-ბუას ეს წერილი მეტად საინტერესო დოკუმენტია; რა თქმა უნდა, მასში ბევრი რამ ლეგენდარული იერითაა წარმოჩენილი, მაგალითად, მეფის მიერ მისი დედის ნეშტის იერუსალიმში გადასვენების ისტორია, ეპისტოლეს გეოგრაფიული მეტყველება და სხვა, მაგრამ იგი კარგად გვიჩვენებს, თუ რა დიდი წარმოდგენისა იყვნენ ჯვაროსნები ქართველთა შესახებ და როგორი ენთუზიაზმით ელოდნენ დახმარებას ამ უკანასკნელებისაგან.

დასასრულ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დე-ბუას წერილში აშკარად შეიმჩნევა ლაშა-გიორგის დახასიათება ისეთივე ფოლკლორული ფერებით, რომელიც ჩვენთვის კარგადაა ცნობილი იოვანე ხუცესის მაგალითით.

საბოლოოდ ჯვაროსანთა V ლაშქრობა, ისე როგორც წინა ლაშქრობები, წარუმატებლად დამთავრდა.

ცუდი დღე გაუთენდათ ქართველებსაც: 1231—32 წლებში დაიწყო მონგოლთა გენერალური შემოტევა, რომელმაც ძირს დასცა საქართველოს პოლიტიკური პრესტიჟი. მონგოლებმა სწრაფად დაიპყრეს ოდღესაც ძლიერი და აყვავებული ქვეყანა.

ამ პერიოდში საქართველოს სამეფო ხელისუფლების სათავეში ლაშა-გიორგის და რუსუდანი იდგა. მან დიდი ვედრება გაუგზავნა რომის პაპ გრიგოლ IX-ს და სთხოვა მას დახმარება აღმოეჩინათ მონგოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ამ უკანასკნელმა ქართველებისათვის სიტყვიერი ნუგეშის მეტი არაფერი გაიმეტა.

მალე ქვეყანა საბოლოოდ მოექცა მონგოლთა მფლობელობის ქვეშ.

*

* *

XIII საუკუნის შუა ხანებისათვის ჯვაროსნული მოძრაობა დაეცა.

მართალია, ამ საუკუნის 70-იან წლებამდე კიდევ მოეწყო ჯვაროსანთა რამდენიმე ლაშქრობა, მაგრამ ახლა ეს ომები საბოლოოდ აშკარა ყაჩაღურ კამპანიებს წარმოადგენდა პოლიტიკურად სუსტად განვითარებული სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ამ საუკუნის დამლევისათვის კი ეს კამპანიებიც საბოლოოდ შეწყდა.

XIII საუკუნეშივე, მონგოლთა ურდოები მსოფლიო არენაზე რომ გამოჩნდნენ, ევროპაში მათი შემოჭრით დაშინებულმა რომის პაპებმა ერთხელ კიდევ ენერგიულად გაიფიქრეს ახალ ჯვაროსნულ ომზე „წარმართი მეჯოგეების“ წინააღმდეგ, მაგრამ ამ იდეას განხორციელება არ ეწერა.

აღმოსავლეთ ევროპის, ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხების თავგანწირულმა ბრძოლამ მონგოლთა წინააღმდეგ მნიშვნელოვნად შებოჭა ამ უკანასკნელთა სამხედრო ძალები. ამიტომაც მონგოლები იძულებულნი გახდნენ ხელი აეღოთ დასავლეთ ევროპის დაპყრობაზე.

აღმოსავლეთ ევროპამ, კავკასიამ და ახლო აღმოსავლეთმა, თავიანთ თავზე გადაიტანეს რა მონგოლთა ბატონობისა და ლაშქრობათა მთე-

ლი სიმძიმე, საშინელი განსაცდელისაგან იხსნეს დასავლეთის ცივილიზაცია. ასეთ პირობებში კი მეჯოგე ბარბაროსების ბატონობას გადარჩენილი, ეს უკანასკნელი, განვითარების უკეთეს პირობებში დარჩა და თავისი სამეურნეო თუ კულტურულ-სოციალური დონით სწრაფად გაუსწრო მონგოლთა მიერ დალაშქრულ ქვეყნებს.

ამასთანავე რომის პაპებმაც და დასავლეთ ევროპამ საერთო ენა გამონახეს მონგოლთა იმპერიასთან და მასთან მშვიდობიანი სავაჭრო-პოლიტიკური კავშირი დაამყარეს.

ყოველივე ამან შეარყია საქართველო. ამიერიდან დასავლეთ ევროპისა და საქართველოს პოლიტიკური გეგმების ურთიერთდამთხვევა ახლო ამოსავლეთში, რასაც XII ს. ქართველი დიპლომატები ოსტატურად იყენებდნენ ხოლმე საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ, აღარ ხერხდებოდა.

ევროპული დიპლომატიის მზერა ახლა უკვე რამდენიმე საუკუნით მოსცილდა საქართველოსა და ამიერკავკასიას, რომლებიც თანდათან სტაბილურად ექცეოდნენ დაბალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და კულტურულად ჩამორჩენილ სახელმწიფოების გარემოცვაში. ამიტომაც ამ დროის ქართველი პოლიტიკოსები ვერ ახერხებდნენ იმ დიპლომატიური თუ სტრატეგიული მანევრების განხორციელებას ახლო აღმოსავლეთში, რომლებსაც ჯვაროსნული ომების პერიოდში მეტად პროდუქტიული შედეგები ჰქონდა ხოლმე საქართველოსათვის.

XV საუკუნიდან მოყოლებული, როცა საბოლოოდ შეიქმნა ოსმალეთის დიდი და აგრესიული სახელმწიფო, ქართველები კვლავ ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ ანტითურქული კოალიციების ჩამოყალიბებისათვის, კოალიციებისა, რომლებშიც ქართველებთან ერთად მონაწილეობას მიიღებდნენ დასავლეთის სახელმწიფოები.

ყოველივე ეს იყო ჯვაროსნული იდეის გაგრძელება. მაგრამ ეს გეგმებიც უიღბლო აღმოჩნდა. პრაქტიკულად ევროპამ ახლაც თვალი აარიდა საქართველოს და ოსმალეთთან მშვიდობიანად ყოფნა ამჯობინა. და განა ეს საკვირველი იყო? ახლა ხომ ევროპის თვალი დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებისაკენ იყო მიმართული და ახლო აღმოსავლეთი მის პოლიტიკურ გეგმებში შედარებით, ან თითქმის, უმნიშვნელო ადგილს იკავებდა.

ცოტა უფრო გვიან მოიხედა ევროპამ კავკასიისაკენ, მაგრამ ეს იყო უკვე ბურჟუაზიული ცივილიზაციის გზაზე დაწინაურებული ევროპა, დიდი სახელმწიფოების ევროპა.

ამასობაში კი საქართველო მეტისმეტად ჩამორჩენოდა დასავლურ სამყაროს, რომელიც XII საუკუნეში დიდ იმედებს ამყარებდა კავკასიის ამ პატარა, მაგრამ დიდად დაწინაურებულ და გაძლიერებულ ქვეყანაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართველები და გერმანული სამყარო შოთა რუსთაველის ეპოქაში

ქართველებისა და გერმანული სამყაროს კონტაქტებზე, იმაზე, თუ როგორ აისახა იგი საისტორიო წყაროებში, საყურადღებო ინფორმაციაა შემონახული რუსთაველის ეპოქიდან, რაც XI ს.—XIII ს. დამდეგს მოიცავს.

ეს გარემოება ცნობილი რეალურ-ისტორიული მომენტებითაა გაპირობებული და იმ ფართო საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ წარმატებებს გულისხმობს, რასაც თავის დროს მიაღწიეს, ერთი მხრივ, დავით აღმაშენებლისა (1089—1125) და თამარის (1184—1212) საქართველომ, ხოლო მეორე მხრივ შტაუფენების ეპოქის გერმანელებმა. წარმატებიანი იყო ამ დროის ქართველთა ბრძოლა თავიანთი ქვეყნის თავისუფლებისა და სიძლიერისათვის. საქართველო აქტიურად შეებრძოლა თურქ-სელჩუკებს, მოიცილა მათი უღელი და სათავეში ჩაუდგა კავკასიის ქრისტიანი ხალხების საერთო ბრძოლას თურქულ მაჰმადიანური ძალების წინააღმდეგ. ამ პოლიტიკურ საქმიანობაში თავსდებოდა დავით აღმაშენებლისა და მისი უშუალო მემკვიდრეების ურთიერთობა ჯვაროსნებთან, რომელთა ომებშიაც აქტიურად მონაწილეობდა გერმანული სამყარო. ყველაზე მეტად სწორედ ჯვაროსნულმა მოძრაობამ გააცნო ერთიმეორეს ქართველები და გერმანელები.

წინამდებარე სტატიაში თვალი აქვს გადევნებული იმას, თუ როგორ აისახა გერმანულ-ქართული კონტაქტები საკუთრივ რუსთაველის ეპოქის ქართულ წყაროებში.

*

* *

ცნობილია, რომ IX—X სს-დან მიმდინარეობდა გერმანელი ხალხის ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესი, მისი ეროვნული შეგნების შემდგომი ევოლუცია, რაც სათანადოდ აისახა კიდევაც გერმანიის ტერიტორიულ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში. ამიერი-

დან ტერმინი „გერმანელი ხალხი“ მთელ გერმანულ მასას აღნიშნავდა[1].

ქართულმა წერილობითმა ძეგლებმა და მათმა შემდგენლებმა იმთავითვე ვერ აღიქვეს ზემოაღნიშნული ისტორიული პროცესი. X—XI სს. მიჯნაზე გამოჩენილი ქართველი მთარგმნელი ექვთიმე მთაწმინდელი, მაგალითად, ანტიკურ-ბიზანტიური სქემით იცნობს ეთნონიმს „გერმანელნი“. მათ იგი ერთგან სემისაგან[2], სხვა შემთხვევაში კი ქამისაგან წარმოშობილ[3] ხალხად მიიჩნევს. ასეთივე სქემით გადმოსცემს ექვთიმე გერმანელი ტომის გოთების, ანუ გუთების შესახებაც[4].

მოგვიანებით, რუსთაველის ეპოქის ქართველთა ტრადიციაში „გერმანელთა“ (ამ შემთხვევაში მთელი გერმანული ხალხის) ექვივალენტად ფეხს იკიდებს ტერმინი „ალამანნი“. აშკარაა ამ ფაქტზე ფრანგებისა და ბიზანტიელების გავლენა: ისინი ხომ გერმანელებს ამ ეთნონიმით აღნიშნავდნენ.

როგორც ითქვა, იმთავითვე ქართულ-გერმანული კონტაქტების იმპულსი გახდა ჯვაროსანთა ომები, რომლებშიაც სხვა ხალხებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ გერმანელები. მაგრამ ჯვაროსანთა უმთავრესი მასის მიხედვით ჯვაროსანთა I ლაშქრობის დროიდან ქრისტეს საფლავისათვის მებრძოლ ევროპელ მოლაშქრეებს ხშირად „ფრანგებს“, ანუ „ფრანკებს“ უწოდებდნენ. ამ ფორმით შემოინახა მათი სახელი მრავალრიცხოვან წყაროებში. ამიერიდან ტერმინი „ფრანგი“ კონკრეტულობაში გულისხმობდა როგორც საკუთრივ ფრანგებს, ასევე გერმანელებს, იტალიელებს და სხვა, ე. ი. საერთოდ დასავლეთ ევროპელებს. XI—XII სს. მიჯნაზე ქართულმა ტრადიციამ მთლიანად აითვისა ეს სახელწოდება. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, რომელიც ჯვაროსანთა I ლაშქრობის მონაწილეთა მიერ იერუსალიმისა და ანტიოქიის აღებას ეხება, წერს: „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია“[5]. იგივე ისტორიკოსი, როცა იგი გვამცნობს დავით აღმაშენებლის კეთილდამოკიდებულებაზე ახლო აღმოსავლეთის

---

[1] Н. Ф. Колесницкий. Об этническом и государственном развитии средневековой Германии (VI—XIV вв.). „Средние века“, сб. 23, М., 1963, с. 190—191.

[2] კ. კეკელიძე. ხალხთა კლასიფიკაციის საკითხები ძველს ქართულ მწერლობაში (Liber Generationis-ის ქართული ვერსია). ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. 1, თბ., 1956, გვ. 171.

[3] იქვე, გვ. 172.

[4] იქვე, გვ. 171—172.

[5] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა. ქართლის ცხოვრება. ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 325.

დასავლეთ ევროპელ ჯვაროსან ხელმწიფეებთან, ამ უკანასკნელებს „ფრანგთა მეფეებს“ უწოდებს[6]. ასევე იქცევა თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი 1204 წ. დასავლელი რაინდების მიერ კონსტანტინოპოლის აღების აღწერისას. ისტორიკოსის სიტყვებით, „ესმა ესე ფრანგთა, რამეთუ მოელო ბერძენთა შეწევნა აღმოსავლეთით, გადმოვიდეს ვენეტიკნი და წარუღეს სამეუფეო ქალაქი“[7], ე. ი. კონსტანტინოპოლი.

„დასავლეთ ევროპელების“ მნიშვნელობით ხმარობს ტერმინს „ფრანგი“ (კერძოდ, „მოფრანგენი“) XII ს. დიდი ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილის სიმღერის აღწერისას[8].

ჯვაროსანთა პირველივე წარმატებები დავით აღმაშენებელმა ოსტატურად გამოიყენა. იგი ევროპელთაგან დასუსტებულ თურქებს კავკასიის მხრიდან შეებრძოლა. დავითი ამ ბრძოლაში ჯვაროსანთა ბუნებრივი მოკავშირე გახდა, რაც იმაშიც გამოჩნდა, რომ 1121 წ. დიდგორის ცნობილ ბრძოლაში მის მხარეზე მოქმედებდა ჯვაროსანთა რაზმი. დავით აღმაშენებლის მოლაშქრეები იერუსალიმშიაც იბრძოდნენ ჯვაროსანთა მხარდამხარ[9].

დავით აღმაშენებლის ჯვაროსნულ განწყობილებებზე უნდა მიუთითებდეს მისი განსაკუთრებული ყურადღება სირია-პალესტინის, კერძოდ, წმინდა ადგილების მიმართ. მეფის ისტორიკოსის თქმით, „ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თჳსთა ოდენ სამეფოთა, არამედ... პალესტინისანი, აღავსნა კეთილითა, უფროსღა საფლავი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და მყოფნი იერუსალიმისანი თჳთოფერთა მიერ შესაწირავთა განამდიდრნა“[10].

სავარაუდებელია, „მყოფნი იერუსალიმისანი“-ს ასე ცალკე გამოყოფა იმას ნიშნავდეს, რომ აქ იგულისხმებიან საკუთრივ ჯვაროსნები, ალბათ, სასულიერო-საერაინდო ორდენების (მაგალითად, ტამპლიერთა)

---

[6] „...რომლისა აჩრდილსა შეკრებულ იყვნეს ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და ჴელმწიფენი ოვსეთისა და ყივჩაყეთისანი, სომხეთისა და ფრანგეთისანი, შარვანისა და სპარსეთისანი“. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა, „ქართლის ცხ.“, ტ. I, გვ. 360.

[7] ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. II, თბ., 1959, გვ. 142.

[8] „რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,... მოვიდიან შესამკობად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი: კლდით ნადირნი, წყალშიგ თევზნი, ზღვით ნიანგნი, ცით მფრინველნი, ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მაღრიბელნი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი“. „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1951, სტრ. 968.

[9] ამ საკითხზე იხ. აქვე, გვ. 121.

[10] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა. გვ. 352—353.

წევრებიც, რომლებიც სწორედ იერუსალიმში იდგნენ[11]. დავით აღმაშენებლის ასეთი კონტაქტები „ფრანგებთან", ე. ი. ჯვაროსნებთან, იმის უტყუარი ნიშანია, რომ ადგილი ჰქონდა ქართველთა შეხვედრა-ურთიერთობებს საკუთრივ გერმანელთა მასასთანაც. მაგრამ ტერმინ „ფრანგის" სპეციფიკური შინაარსი ხელს გვიშლის ამ „ფრანგთაგან" კონკრეტულად გერმანელები გამოვყოთ.

დავით აღმაშენებლის შემდეგაც ქართველთ-გერმანელთა ყველაზე მეტი შეხვედრის ადგილად იერუსალიმი რჩებოდა. გვერდი რომ ავუაროთ ჯვაროსანთა II ლაშქრობას, რომელშიაც გერმანელები განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობდნენ და, მაშასადამე, ეს გარემოება აღმოსავლეთის ხალხების, კერძოდ, ქართველებისათვისაც საკმაოდ უნდა ყოფილიყო ცნობილი, ქართველთ-გერმანელთა შეხვედრებზე უნდა მოწმობდეს 1155 წ. იერუსალიმში შედგენილი, ტამპლიერთა ძმობის ქართულ ენაზე დაცული მოსახსენებელი[12]. იგი საინტერესოა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ააშკარავებს ტამპლიერთა ახლო ნაცნობობას ქართველებთან, არამედ იმიტომაც, რომ გვიხატავს ჯვაროსანთა ამ უდიდესი სასულიერო ორდენის დამოკიდებულებას იერუსალიმის ჯვრის ქართული მონასტრისადმი. ტამპლიერი რაინდები სათანადო მატერიალურ შესაწირავს აძლევდნენ ქართველ ძმებს, რის გამოც ეს უკანასკნელები ტამპლიერებს აღაპებს უწესებდნენ. ეტყობა, ტამპლიერთა და მათი მახლობლების სახელებს ქართველები ფრანგების კარნახით იწერდნენ. ამას მოწმობს აღაპთა ონომასტიკონის ფონეტიკური გაფორმება. ძალზე ძნელია იმის გაგებაც კი, თუ რა ეროვნები-

---

[11] ფიქრობენ, თითქოს, ამ კონტაქტების შედეგი იყო დავით აღმაშენებლის მიერ ზოგიერთი ცვლილებების შეტანა ქართული ლაშქრის დისციპლინაში. მაგალითად, დავითმა თავის ლაშქარში აკრძალა „საეშმაკონი სიმღერანი, სახლობანი და განცხრომანი, და გინება ღმრთისა საძულელი, და ყოველი უწესოება მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა". ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა. გვ. 352.

ამ გარდაქმნას მიზნად ჰქონდა სამხედრო წესრიგის დამყარება და დისციპლინის ამაღლება. შ. მ ე ს ხ ი ა. ძლევაჲ საკვირველი. დიდგორის ბრძოლა და თბილისის შემოერთება. თბ., 1972. ს. კაკაბაძის აზრით (იხ. მისი „რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი", თბ., 1966, გვ. 203) ასეთი ცვლილებები ითვალისწინებდნენ ტამპლიერთა (ორდენის სახით გაფორმდნენ 1118—1119 წწ.) წესს. ბერნარდ კლერვოელის ცნობით, ტამპლიერებს ეკრძალებოდათ შავარდნით ნადირობა, კამათლის და ჭადრაკის თამაში, სანახაობათა ცქერა და ხმამაღალი გაცინებაც კი. Opera St. — Bernardi, ed Mobillon, I, 549. ციტირებულია წიგნიდან Г. Д е л ь б р ю к. История военного искусства в рамках политической истории, т. III, перевод с немецк., М., 1938, с. 162. საკმაოდ ბახვილგონივრული დაკვირვების მიუხედავად ჩვენ ხელთ არსებულიმწირი მასალით ასეთი გავლენის დანახვა ნაადრევია.

[12] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. იერუსალიმის ერთი ხელნაწერი. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელ. მუზეუმის მოამბე, 1948, ტ. XV-B, გვ. 37—48.

სა არიან ალაპში მოხსენიებული პირები. აქ ჩამოთვლილნი არიან, მაგალითად, „უგ“ (იგივე ჰიუგი, ანუ ჰუგო), „არბერდ“ (იგივე ალბერტი) და სხვა, რომლებიც შეიძლება ფრანგებიც იყვნენ და გერმანელებიც. მაგრამ იქვე მოიხსენიება ვინმე „ვრიდრიში“[13], რომელიც, უეჭველია, გერმანელი ფრიდრიხი უნდა იყოს ასეთი ფორმით სახელი იმიტომაა წარმოდგენილი, რომ ალაპის ჩამწერი კარნახით წერდა ამ სახელს, მოკარნახე კი, ალბათ, ან ფრანგი იყო, ან ფრანგულად გამოთქვამდა...

ქართულ-გერმანული კონტაქტების ისტორიის თვალსაზრისით საინტერესოა თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვები იმის შესახებ, რომ საქართველოს მეფე გიორგი III-სთან (1156—1184 წწ.) კეთილმეგობრობაში იმყოფებოდნენ იერუსალიმის ალამანი მეფეები. „სძღუნობდეს და სძმობდეს“ მას „მეფენი ბერძენთანი, იერუსალიმს ალამანთანი და ჰრომთანი“[14] (შემდეგ ჩამოთვლილნი არიან სხვა მბრძანებელნი).

ეს ცნობა თავისი რეალისტური შინაარსით ეჭვს არ იწვევს. „ბერძენთა მეფეები“ — ბიზანტიის იმპერატორებია; ხოლო „იერუსალიმის ალამან მეფეებად“ იგულისხმებიან იერუსალიმის ჯვაროსნული სამთავროს ხელმწიფეები. გიორგი III-ის თანამედროვეთაგან ასეთები იყვნენ ბალდუინ III (1152—1162); ამორი, იგივე ამალრიკ I (1162—1173) და ბალდუინ IV (1173—1184)[15].

საინტერესოა, რომ თამარის პირველი ისტორიკოსი იერუსალიმის ჯვაროსან მესვეურებს „ალამანებად“ იხსენიებს. ამით მას სურს ამ ხელმწიფეთა გერმანულ წარმოშობაზე მიგვანიშნოს. ტერმინი „ალამანი“, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი გერმანული ტომის სახელწოდება იყო[16] და გვიანკაროლინგური ხანიდან გერმანელთა აღმნიშვნელი ძირითადი ტერმინი გახდა ფრანგებსა და ბიზანტიელებში. ფსევდო ანსბერტი, მაგალითად, ხატოვნად მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორი დაჟინებით მიმართავდა ისააკ II ანგელოსი (1185—1195) ფრიდრიხ I ბარბაროსას (1152—1190) სახელდებით „ალამანთა უმთავრე-

---

[13] ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

[14] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. ტ. II, გვ. 22—23.

[15] საკითხისა და ქრონოლოგიისათვის იხ. J. Richard. Le royame Latin de Jérusalem. P., 1953; G. Shordania. Über die «Könige der Römer», die in der georgischen Geschchitschreibung erwähnt sind. „Georgica“, III, Iena — Tbilisi, 1980., გვ. 52.

[16] IX—XII სს. წყაროებში გერმანიის სახელმწიფო ასე მოიხსენიება: Francia orientalis, Germania, Teutonica, Alamania (ეს სახელწოდება განსაკუთრებით ხშირია შტაუფენების დროიდან). მასში იგულისხმებოდა სივრცე რაინიდან აღმოსავლეთით (ელბამდე), განსხვავებით Francia occidentalis, Gallia-საგან — რაინის დასავლეთი. Н. Колесницкий. დასახ. ნაშრომი, გვ. 188.

სი“. ეს გერმანელთა მბრძანებელს სასტიკად აღიზიანებდა[17], რადგანაც ამ სახელწოდებით ბიზანტიის მეთაური კატეგორიულად უარყოფდა ფრიდრიხის პრეტენზიებს რომის იმპერიის ტახტზე. ასეთად საკუთარ პიროვნებას თვით ბიზანტიის ბასილევსები მიიჩნევდნენ[18].

ამ ფაქტთან დაკავშირებით, საინტერესოა იმის გახსენებაც, რომ გიორგი III-ის თანამედროვე იერუსალიმის ჯვაროსნული სახელმწიფოს მეთაურები წარმოშობით ანჟუს ფრანგულ სახლს ეკუთვნოდნენ. ამიტომ ერთი შეხედვით უცნაურადაც კი ჟღერს მათი „ალამან“ მეფეებად დასახელება. ალბათ ასეთნაირად აღნიშვნა ქართველთა შორის დამკვიდრდა იერუსალიმის სამეფოს არსებობის პირველი ხანებიდან, რადგანაც, იერუსალიმის პირველი მბრძანებლები გოტფრიდ (გოდფრუა) ბუიონელი (1099—1100), ბალდუინ I (1100—1118) და ბალდუინ II (1118—1131) ლოთარინგიული დინასტიის წარმომადგენლები იყვნენ. ჩანს, ეს გარემოება განაპირობებდა მათ გერმანელებად, ე. ი. ალამანებად მიჩნევას ქართველთა შორის. შემდგომში, სავარაუდოა, აღნიშნული ტრადიცია სტატიკური სახით დარჩა ქართველთა მეტყველებაში. ის, ვინც იერუსალიმის მეფეა, ამავე დროს ალამანთა ხელმწიფეა.

თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობითვე ჩანს, რომ გიორგი III-ის ხანაში საქართველოს სამეფო კართან ახლო და კეთილმეგობრული დამოკიდებულება ჰქონიათ „ჰრომთა“ მეფეებსაც („მეფენი ბერძენთანი. იერუსალიმს ალამანთანი და ჰრომთანი!“). საინტერესოა ამ „ჰრომთა“, ე. ი. რომის მეფეთა ვინაობის საკითხი. ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ტრადიციით „ჰრომნი“ ეწოდებოდათ „რომაელებს“ და „ბერძენ-ბიზანტიელებს“. რაც შეეხება XI—XIII სს. წყაროებს, მათთვის ბიზანტია უკვე „საბერძნეთია“. „რომი“ კი ასეთ ვითარებაში, როგორც ცოცხლად არსებული ტერმინი და რეალურად მყოფი პოლიტიკური ერთეულის ამსახველი, შეიძლება აღნიშნავდეს მხოლოდ „რომის საღვთო იმპერიას“ (Sacrum imperium Romanorum), რომლის მეთაურებიც იყვნენ გერმანელი შტაუფენები[19].

იმავე თამარის ისტორიკოსის ცნობით ჩანს, რომ ურთიერთობა „რომის“ შტაუფენთა გერმანულ სამეფო სახლსა და ქართველ ბაგრატიონთა დინასტიას შორის იმდენად ღრმა ყოფილა, რომ რომის ხელ-

---

[17] ვრცელი ამონაწერები ამ საკითხზე ანსბერტის (იგივე ფსევდო ანსბერტის) თხზულებიდან. იხ. Дж. Б р а й с. Священная Римская империя, М., 1891, с. 152—153.

[18] შტაუფენების გერმანული დინასტია მთელი ძალებით ცდილობდა თავისი უფლებების გავრცობას, ბიზანტია კი ჯიუტად უარყოფდა მის იმპერატორულ ღირსებას, ამტკიცებდა რა, რომ მხოლოდ ბიზანტიის ბასილევსებს აქვთ უფლება ატარონ საიმპერატორო გვირგვინი. История Византии, т. III, М., 1967, с. 341.

[19] წყაროების ანალიზი მოცემული აქვს გ. ჟორდანიას. იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 52—53.

მწიფის შვილს თამარზე დაქორწინებაც კი ნდომებია. ისტორიკოსი წერს, რომ თამარის მეორედ დაქორწინების წინ (ე. ი. 1188 წ. ახლოხანებში)[20], როცა მისთვის მეორე საქმროს არჩევდნენ, საქართველოს მესვეურებს უთქვამთ თამარის მამიდის რუსუდანისათვის: „უკეთუმცა არა იყო ზენა განგება მისსა მოქმედებასა შინა, ჰხედავს შარავანდედობა თქუენი, თუ რაოდენნი რაოდენგზის მოყმენი, შვილნი ჯელმწიფეთანი — ბერძენთა და ჰრომთანი, სულტანთა და სკვთთანი, სპარსთა და ოვსთანი, მცდელნი, სამართალთაებრ უკუნ-არღვვნა არაშემძლეობამ თჳნიერ ბრძანებისა საუფლოისა“[21].

თამარის ისტორიკოსთან მოტანილი სიტყვების შინაარსი სრულიად ნათელია: იგი გვამცნობს, რომ თავის დროს თამარის ხელის მძებნელთა შორის ყოფილან ბერძენთა, ოვსთა, რომთა და სხვა ხელმწიფეთა შვილები, მაგრამ ყველა მათ თავიანთ სურვილზე თამარისაგან უარი მიუღიათ. სხვათა შორის, ამ საკითხზე, თუ როგორ მიიღეს მათ უარი, ვრცლადაა მოთხრობილი იმავე ისტორიკოსის მიერ თავისი თხზულების წინა ნაკვეთში. აქ, კერძოდ, ამ თვალსაზრისითაა აღწერილი ბიზანტიელი უფლისწულისა და ოვსთა ბატონიშვილების თავგადასავალი[22].

ვინ შეიძლება ყოფილიყო რომთა მეფის, ე. ი. რომის საღვთო იმპერიის მესვეურის შვილი — თამარის ხელის მთხოვნელი?

ამ საკითხზე ყურადღება გაუმახვილებია ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში ისტორიკოს ს. ბარათაშვილს, რომელიც უეჭველია, თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობის გააზრების საფუძველზე შენიშნავდა, რომ თამარის ხელის მთხოვნელთაგან ოვსთა და ბიზანტიელ უფლისწულებთან ერთად, იყო ანტიოქიის მთავარი ბოემუნდი[23]. მაგრამ ეს თვალსაზრისი დამაჯერებელი არაა ტერმინ „რომთა მეფის“ განმარტების გარეშე. ეს ახსნა გ. ჟორდანიას ეკუთვნის[24].

ამასთანავე ერთად გ. ჟორდანიამ პირველმა სცადა კონკრეტულად ამოეცნო თამარის ქმრობის მოსურნე გერმანელი უფლისწულის ვინაობა. პირველ რიგში დაისვა საკითხი, თუ ვინ უნდა ყოფილიყო საკუთრივ „ჰრომთა მეფე“. პასუხი სავსებით დამაჯერებელია: ფრიდრიხ I ბარბაროსა, რომელიც ბრძანებლობდა 1152—1190 წწ.[25]. ამის შემდეგ დასადგენია თამარის ხელის მაძიებელი ფრიდრიხის შვი-

---

[20] П. Мурадян. К хронологии некоторых событий в Грузии и Армении конца XII в. Вестник Матенадарана, т. IX, Ереван, 1969, с. 134.

[21] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, „ქართლის ცხ.“, ტ. II, გვ. 46.

[22] იქვე, გვ. 37—38.

[23] С. Баратов. История Грузии, тетр. IV—V, СПб., 1871, с. 60.

[24] გ. ჟორდანია. დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

[25] იქვე.

ლის საკითხიც, ფრიდრიხ I-ს ჰყავდა ხუთი ვაჟი: I. ჰაინრიხი (1165—1197), შემდგომში იმპერატორი ჰაინრიხ VI; II. ფრიდრიხი (1168—1191), შვაბიის ჰერცოგი (1169 წ. შემდეგ); III. კონრადი (1172—1196), რომელიც თავისი ძმის ფრიდრიხის სიკვდილის შემდეგ 1191 წლიდან შვაბიის ჰერცოგი გახდა; IV. ოტო (გარდ. 1200 წ.), ბურგუნდიის გრაფი (1169 წ. შემდეგ) და V. ფილიპე შვაბელი (დაახლ. 1176—1208), რომელიც თავისი ძმის კონრადის სიკვდილის შემდეგ შვაბიის ჰერცოგი (1196) და 1198 წლიდან მეფეც კი იყო. გ. ჟორდანიას გამოანგარიშებით თამარის ქორწინების საკითხი იდგა 1187—1188 წწ. მიჯნაზე[26].

ეს ის დროა, როცა ფრიდრიხ ბარბაროსას შვილთაგან ზოგნი ძალზე ახალგაზრდანი იყვნენ. ასეთებია: ოტო, კონრადი, რომელიც 15—16 წლის ჭაბუკი იყო. ფილიპეც 11—12 წლისა ძლივას იყო. ასეთ ვითარებაში მათი მიჩნევა თამარის ხელის მძებნელად შეუძლებელია. უფროსთაგან რჩებიან, მაშასადამე, ფრიდრიხ I-ის ვაჟები: ფრიდრიხი, შვაბიის ჰერცოგი და ჰაინრიხი. მაგრამ ჰაინრიხი 1186 წ. დაქორწინდა სიცილიის სამეფო კარის მემკვიდრე ასულზე კონსტანციაზე, რის გამოც ჰაინრიხიც გამოსარიცხია როგორც თამარის საქმრო. მაშასადამე, რჩება ფრიდრიხი, რომელიც ჯვაროსანთა ისტორიაში კარგად ცნობილი პიროვნებაა. სწორედ მან გაუჩინა ტევტონთა ორდენს სამხედრო წესდება[27].

ჩვენი აზრით, გ. ჟორდანიას ქრონოლოგიურ გამოანგარიშებაში ერთგვარი კორექტივაა შესატანი. მართალია ქართველ დიდებულთა სიტყვა რუსუდან დედოფლისათვის (სადაც მოხსენიებულია რომთა მეფისათვის თამარის მიერ უარის თქმის ფაქტი) 1187—1188 წწ. იყო ნათქვამი, მაგრამ ამ ფრაზაში რომთა მეფის ძესთან ერთად მოხსენიებულნი არიან ბიზანტიისა და ოვსეთის უფლისწულებიც. ისინი კი, როგორც ეს თამარის ისტორიიდან აშკარად ჩანს, თამარის ხელს ეძებდნენ ამ უკანასკნელის პირველი ქორწინების ახლო დროისათვის[28], ე. ი. 1184 წელს და უფრო ადრე პერიოდში. ამის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ „რომთა მეფის შვილიც“ თამარის ხელს ამ დროისათვის ეძებდა, რამდენადაც საქართველოს სამეფო კარის სასიძოს საკითხი მაშინ იდგა ასე ფართოდ.

ამგვარ პირობებში გამოვა, რომ 1184 წლისათვის ფრიდრიხ ბარბაროსას შვილთაგან საქორწინო ასაკი მართლაც ექნებოდათ ჰაინრიხს და ფრიდრიხს. ამ დროისათვის, თუ ჩვენ ყველაზე გვიან ხანად 1184 წ.

---

[26] გ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

[27] იქვე.

[28] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 37—38.

ავიღებთ, ჰაინრიხი იქნებოდა 19 წლისა, ფრიდრიხი კი 16-ის. გერმანიის ისტორიიდან კარგად ცნობილი ფაქტია, რომ სწორედ 1184 წელს მაინცის განთქმულ ზეიმზე ჰაინრიხი და ფრიდრიხი რაინდებად აკურთხეს. იმავე წლის შემოდგომაზე კი სიცილიის ნორმანთა კარი დათანხმდა ჰაინრიხი კონსტანციაზე დაენიშნათ. ასეთ ვითარებაში თამარის საქმროს კანდიდატად შესაძლოა მიჩნეულ იქნას როგორც ჰაინრიხი, ასევე ფრიდრიხი. ჩანს, ქართველი ისტორიკოსის მიერ თამარის ხელის თხოვნის ფაქტი თავსდება სწორედ 1184 წლის შემოდგომის წინა პერიოდში.

შტაუფენებების სახლის საქართველოსთან დამოყვრების ისტორია გ. ყორდანიას ფართო საერთაშორისო ურთიერთობათა ფონზე აქვს განხილული. მას ყურადღება აქვს მიქცეული საქართველოსა და გერმანიის საერთო ანტიბიზანტიურ განწყობილებებზე XII ს. 80—90-იანი წწ. მიჯნაზე[29]. რასაკვირველია ასევე შეიძლება იქნას გათვალისწინებული ბაგრატიონთა და შტაუფენთა საერთო ჯვაროსნული განწყობილებები. მხედველობაში მისაღებია, აგრეთვე, შტაუფენებისა და ბიზანტიის უთანხმოებანი რომის მემკვიდრეობის საკითხზე. შესაძლოა ვარაუდი, რომ ამ მწვავე საკითხზე ქართველთა სამეფოსთან დამოყვრება შტაუფენებს რაიმე გარკვეულ არგუმენტსა სძენდა.

ჩვენი წერილის დასასრულს უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველთ-გერმანელთა კონტაქტების შესაძლებელი ადგილი XII საუკუნის დასასრულისათვის იყო კუნძული კვიპროსიც. აქ ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელი პატრონობდა სიწმიდეებს[30]. კვიპროსზე მდებარეობდა ჟალიის ცნობილი ქართული მონასტერი, რომელსაც ძველ დროში დიდი სახელი ჰქონდა[31].

თუ ახლა იმ გარემოებასაც გავიხსენებთ, რომ 1196 წლის შემდგომ ეპოქაში კვიპროსზე შტაუფენების გავლენა შეინიშნებოდა[32], საფუძველი გვაქვს წარმოვიდგინოთ ქართულ-გერმანული კონტაქტების

---

[29] გ. ყ ო რ დ ა ნ ი ა. დასახ. ნაშრომი., გვ. 53—54.

[30] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა, „ქართლის ცხოვრება", ტ. I, გვ. 353.

[31] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე. ძველი ქართული მწერლობის კერები, წ. II, თბ., 1980, გვ. 252—253.

[32] ამ დროს კვიპროსისა და სომხეთის მმართველებმა ელჩობა გაუგზავნეს შტაუფენების კარს და მისადმი ვასალობა ისურვეს. Дж. Б р а й с. Священная Римская империя, с. 160.

კიდევ ერთი არხი, მით უმეტეს, როცა ჩანს, რომ საქართველოში კვიპროსიდანაც აღწევდა ხოლმე ინფორმაცია მაშინდელი ევროპის პოლიტიკური სიტუაციის შესახებ[33].

---

[33] 1203 წლის ახლო პერიოდში თამართან უცხოეთიდან ჩამოსულ მონაზონთა შორის, რომლებიც საქართველოს მეფემ უხვად დაასაჩუქრა, კვიპროსიდან ჩამოსული მამებიც იყვნენ (ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა. ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 142). შემდგომში, ისტორიკოსის ნაამბობის მიხედვით, დასაჩუქრებულნი, ბიზანტიის საიმპერატორო კარის ბრძანებით იმპერიის მოხელეებმა კონსტანტინოპოლში გაძარცვეს. ეს, თითქოს, საბაბი გახდა, რომ თამარმა მოაწყო ლაშქრობა ბიზანტიის ტერიტორიაზე, რაც ტრაპიზონის საკეისროს შექმნით დასრულდა. აშკარად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჩამოსულმა ბერებმა თამარს დეტალური ინფორმაცია ჩამოუტანეს ბიზანტიის მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ჯვაროსანთა IV ლაშქრობის პერიოდში. საინტერესოა, მაშასადამე, რომ, როგორც ეტყობა, ინფორმატორთა შორის კვიპროსიდან ჩამოსული ბერებიც იყვნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელსა და დემეტრე პირველზე

1

XII საუკუნის 40-იანი წლები ახლოვდებოდა.

პალესტინაში მყოფი ჯვაროსნები ზედიზედ კარგავდნენ თავის სამფლობელოებს.

ქრისტიანთა შორის ყველგან პანიკა ისადგურებდა.

ელოდებოდნენ მაჰმადიანთა წამლეკავ რევანშს.

...და აი, ასეთ პირობებში, სრულიად მოულოდნელად, დაირხა ხმა, რომელმაც ეს პანიკა ახალი იმედებით შეცვალა...

თუ რაში იყო საქმე, ამას ჩვენ ვიგებთ ოტო ფრაიზინგელის[1] ქრონიკიდან, სადაც მოთხრობილია შემდეგი:

„1145 წელს ევროპაში სირიიდან ჩამოვიდა გაბალის კათოლიკე ეპისკოპოსი. მას სურდა სხვადასხვა საქმეზე შეეჩივლა რომის პაპისათვის და, ამავე დროს, უნდოდა გერმანიის იმპერატორისა და საფრანგეთის მეფის წაქეზება, რათა ამ უკანასკნელებს დაებრუნებინათ ცოტა ხნის წინათ დაკარგული ედესა“.

„აგრეთვეო“ — ამბობს ოტო — „ეპისკოპოსმა თქვაო“.

„რამდენიმე წლის წინ, იოვანემ — მეფემა და ხუცესმა[2] — რომელიც ცხოვრობს სპარსეთისა და არმენიის იქით უკიდურეს აღმოსავლეთში (იგი თავისი ხალხითურთ ნესტორიანულ ქრისტიანობას აღიარებს) ერთ-ერთ ბრძოლაში დაამარცხა სპარსეთისა და მიდიის მეფეძმები, სახელად შამიარდოები (Samiardo) და აიღო მათი სატახტო ქალაქი ეკბატანა“.

„ეს მეფეები შეეგებნენ იოვანეს თავიანთი მხედრობით, რომელიც შედგებოდა სპარსელთა, მიდელთა და ასურელთაგან... სამ დღეს გრძელდებოდა მათი ბრძოლა, ისე, რომ თითოეული მხარე სიკვდილს უფრო

---

[1] გამოჩენილი გერმანელი მემატიანე (1114—1158). იხ. მაგალითად, Е. А. Косминский. Историография средних веков, М., 1963, с. 23—26.

[2] ლათინური ორიგინალით — Presbyter. ჩვენთან ეს ტერმინი ყველგან თარგმნილია როგორც „მეფე-ხუცესი“.

ირჩევდა, ვიდრე გაქცევას. მაგრამ ბოლოს მაინც სძლია იოვანე-ხუ-
ცესმა და მეტად სისხლიანი ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა".

„ამის შემდეგ იოვანე გაემართა საომრად, რათა დახმარებოდა იერუსალიმის ეკლესიას, მაგრამ, როდესაც ტიგროსს მიადგა, ნახა, რომ არ ჰქონდა გემები მდინარეზე გადასასვლელად და ამის გამო უკანვე გაბრუნდა ჩრდილოეთის მიმართულებით, ვინაიდან გაიგო: ამ ადგილას მდინარე იყინება ხოლმეო ზამთრობით. აქ იოვანემ რამდენიმე წელი გაატარა და ელოდებოდა ყინვის დადგომას, მაგრამ იგი არ დადგა თბილი ამინდების გამო. ამავე დროს შეუჩვეველი ამინდების გამო იოვანემ ბევრი დაკარგა თავისი ხალხიდან და იძულებული გახდა შინისაკენ გაბრუნებულიყო"...

„როგორც ამბობენ, ეს პიროვნება იმ ძველი მოგვების ჩამომავალია, რომლებიც სახარებაში იხსენიებიან და იგი მრავალ ხალხზე ბატონობსო", — დასძენს გერმანელი მემატიანე[3].

სირიელი ეპისკოპოსის ცნობამ დიდი სულიერი სიმხნევე შეიტანა ჯვაროსნებში და მათ უზომო სიხარული მოჰფინა.

მაჰმადიანურ რევანშთან ბრძოლებში უკვე გამარჯვებებს გადაჩვეული რაინდები ოცნებობდნენ, რომ დადგებოდა დრო: და ეს ძლევამოსილი მეფე-ხუცესი, რომელიც უკან გაემგზავრა თავის სამშობლოში, ისევ მოვიდოდა, რათა შეესრულებინა თავისი განზრახვა — დახმარება აღმოეჩინა იერუსალიმის ჯვაროსნული სამფლობელოებისათვის.

ასე გადიოდა დრო.

მეფე-ხუცესი კი ჯერ არსად ჩანდა.

მიუხედავად ამისა, ჯვაროსანთა ფანტაზია კვლავ დაჟინებით ფიქრობდა მასზე და საკუთარ წარმოდგენაში ახალ-ახალი „ფერებით" ამკობდა მას.

ამ დროიდან ეს ფანტაზია დიდი ცვალებადობით წარმოგვიდგენდა საკვირველ მეფე-ხუცესს, რომელიც 1145 წლისათვის ჯერ კიდევ რეალისტურად დაახასიათა გაბალის სირიელმა ეპისკოპოსმა; ამიტომაც XII საუკუნის მეორე ნახევრიდან ლაპარაკობდნენ უკვე ახალი ატრიბუტებით აღჭურვილ იოვანეზე, რომელიც ცხოვრობდა სადღაც შორს, ინდოეთსა თუ ეთიოპიაში.

მეტისმეტად საყურადღებო ფაქტია.

---

[3] Ottonis Frisingensis Chronica, Libro octo, Basilae, 1659, L. 7, t. 33, გვ. 146—147 და Alberici Monachi Trium Fontium Chronicon, t. 2, გვ. 307—308. ციტირებულია G. Oppert-ის ნაშრომიდან: «Der Presbyter Johannes in Sage und Geschichte, Berlin, 1870, გვ. 13—14 (ქვემოთ ყველგან ეს გამოცემა იგულისხმება).

რეალურად უნახავი მეფე-ხუცესის სამფლობელოები XII ს. პირველი ნახევრის ჯვაროსნულმა კოსმოგრაფიამ (ეს უკანასკნელი ფანტასტიკას ემყარებოდა ხშირად) ინდოეთსა და ეთიოპიაში მოათავსა.

ჯვაროსანთა გეოგრაფიული წარმოდგენა ხშირად ერთმანეთში ურევდა ინდოეთსა და ეთიოპიას, ამასთანავე მათ იდენტიფიკაციასაც ახდენდა.

ეს საკითხი შუა საუკუნეთა წყაროების დეტალური ანალიზით ვრცლადაა განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგალითად, საამისოდ შეიძლება მივუთითოთ ჯვაროსანთა გეოგრაფიული თვალსაწიერის კომპეტენტური მკვლევრის ი. კ. რაიტის ნაშრომზე „ჯვაროსანთა დროის გეოგრაფიული ცოდნა"[4], სადაც, უმდიდრესი ფაქტიური მასალის მოშველიებით, სათანადოდაა ილუსტრირებული ეს საკითხი.

ი. რაიტის მიხედვით, ჯვაროსანთა გეოგრაფიულ წარმოდგენაში ინდოეთი საკვირველებათა ქვეყანაა. ხშირად ეს ქვეყანა ამ წარმოდგენებით სამ ნაწილადაა დაყოფილი: პირველი მოიცავს ეთიოპიას, მეორე — მიდიას, მესამე კი იმ ადგილებს, სადაც იმყოფებოდა დედამიწის კიდე; სამზონიანი დაყოფა, ი. რაიტის მიხედვით, მოცემულია შუა საუკუნეთა ისეთ ავტორებთან, როგორიც არიან; ფსევდო-აბდიასი, ორდერიკუს ვიტალიუსი, ჟერვეზ ტიბერიელი და სხვ.[5].

აქვე უნდა ვიცოდეთ, რომ შუა საუკუნეებში განმტკიცებული ტრადიციის მიხედვით, ინდოეთიცა და ეთიოპიაც ცნობილნი იყვნენ მოციქულების წილხვდომილ ქვეყნებად, სადაც ქრისტიანულმა სარწმუნოებამ დიდი ხნის წინათვე მოიკიდა ფეხი[6].

აღსანიშნავია ისიც, რომ ქრისტიანულმა (კერძოდ, ნესტორიანული წესის) სარწმუნოებამ თავის დროზე ღრმად გაიდგა ფესვები ცენტრალურსა, უფრო ადრე კი სამხრეთ აზიაში და ჩვენთვის იოლი წარმოსადგენი იქნება, თუ როგორ მოხდა, რომ XII ს. ჯვაროსნებმა ჯერ ქრისტიანად, ხოლო აქედან გამომდინარე, შორეული აზიის მკვიდრად წარმოადგინეს რეალურად უნახავი და ლეგენდებით კარგად ცნობილი იოვანე მეფე-ხუცესი.

---

[4] I. K. Wright, The Geographical Lore of the Time cf Grusades. New-York, 1925.

[5] იქვე, გვ. 272. ავტორის მიხედვით ტერმინ „ინდოეთის" უფრო ზოგადი და არაზუსტი შუასაუკუნეებრივი წარმოდგენა საგანგებოდ და კარგადაა ნაჩვენები „Image de mundi"-ში, სადაც, „ინდოეთი" არა მარტო იმას მოიცავს, ჩვენ რომ ჰინდუსტანად ვიცნობთ, არამედ, აგრეთვე, „სპარსეთს". დასახ. ნაშრომი, გვ. 272.

[6] ი. კ. რაიტი. დასახ. ნაშრომი, კვ. 272; შდრ.: გვ. 275—178, სადაც მსჯელობა ეხება თომა მოციქულის, როგორც ინდოეთში მქადაგებელი მისიონერის, მოღვაწეობას და სხვა.

XII საუკუნის მეორე ნახევრიდან შემორჩენილი ცნობები ერთ-ხმად მოგვითხრობენ აზიის შუაგულში მცხოვრები ხელმწიფის შესახებ.

ერთ-ერთი ცნობის მიხედვით, რომელიც მკვლევართა განცხადებით, ფალსიფიკაციას წარმოადგენს, იოვანე მეფე-ხუცესს 1165 წლისათვის საგანგებო წერილი გაუგზავნია ევროპის სიუზერენების: რომის პაპისა და სხვა ხელმწიფეებისათვის. ამ წერილში, ძველი ავტორების თქმით, ვითომცდა, ნათქვამი ყოფილა, რომ იოვანე მეფე-ხუცესი იყო ხელმწიფე იმ ადგილებისა, სადაც მდებარეობდა ბაბილონის გოდოლი და თომა მოციქულის საფლავი[7]. არსებობს აგრეთვე მეორე და ასევე საეჭვო გადმოცემა, რომ 1177 წელს პაპმა ალექსანდრე III საგანგებო დესპანი გაუგზავნა იოანე მეფე-ხუცესს. ეს ელჩი პაპის პირადი მკურნალი იყო და მას ფილიპე მაგისტროსი ერქვა[8].

უცნობია ამ ელჩობის შემდეგი ბედი. იგი ჩამალულია მისტიკური გადმოცემების გროვაში.

დაახლოებით XII საუკუნის შუა ხანებშივე შეიქმნა უაღრესად თვალსაჩინო ლიტერატურული ძეგლი, რომელმაც, მიუხედავად თავისი წმინდა ლეგენდარული ფორმისა, დიდი გავლენა მოახდინა ჯვაროსნული ეპოქის გეოგრაფიულ და, საერთოდ, ნატურალისტურ წარმოდგენებზე.

ეს ძეგლი დღემდე დიდ ყურადღებას იქცევს აღმოსავლთისა თუ დასავლეთის წარსულის მკვლევართა წრეებში. ამ ძეგლში მოცემულია იმ წარმოდგენათა კონცენტრატი, რომელნიც ქმნიდნენ XII ს. ევროპელთა აზროვნებას აღმოსავლეთის გეოგრაფიის, ზოოლოგიისა და საკვირველებათა შესახებ. დასახელებული ლიტერატურული ძეგლი ეპისტოლარული ფორმისაა და ცნობილია როგორც იოვანე მღვდელმთავრის ეპისტოლე.

ძველი დროიდანვე არსებობს ამ ძეგლის მრავალი ხელნაწერი და არანაკლები თარგმანები სხვადასხვა ევროპულ ენებზე — ინგლისურად, ფრანგულად, იტალიურად, რუსულად, გერმანულად და ა. შ.

ზოგიერთი ძველი ხელნაწერით, იოვანეს ეპისტოლე ეგზავნება ბიზანტიის იმპერატორ მანუილ კომნინოსს, ზოგიერთის მიხედვით კი —

---

[7] G. Oppert. დასახ. ნაშრომი, გვ. 25—26 (აქვე იხ. საკითხის ბიბლიოგრაფია).

[8] იქვე, გვ. 50—53.

რომის იმპერატორ ფრედერიკს. ზოგჯერ კი ადრესატის როლში რომის პაპია გამოყვანილი.

ამ „ეპისტოლეში“, რომლის უძველესი ნუსხა 1177 წლითაა დათარიღებული, იოვანე ხელმწიფე აცხადებს, რომ ის მსოფლიოს ყველა მეფეზე უფრო ძლიერი და მდიდარია; მისი სამფლობელოები მოიცავენ სამთავე ინდოეთსა და თვით თომა მოციქულის საძვალეს. იოვანეს ტერიტორიები გადაჭიმულია ბაბილონის უდაბნოზე თვით ბაბილონის გოდოლამდე და მოიცავენ სამოცდათორმეტ მხარეს, რომლებსაც თავთავისი მეფეები განაგებენ.

იოვანე მეფე-ხუცესი ამაზონებისა და ბრაჰმანთა უფალიცაა. მისი სამფლობელოები, ერთი მხრით, გადაჭიმულია ოთხი თვის სავალზე. მეორე მხრით კი, არავის შეუძლია ამის განსაზღვრა; თქვენ „მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებით შემძლე, რომ შეიქმნათ წარმოდგენა ჩვენი სამფლობელოებისა და ხელისუფლების შესახებ, თუ გაქვთ უნარი დათვალოთ ცაზე ვარსკვლავები და ზღვაში ქვიშა“, — გვამცნობს ეპისტოლეს ლეგენდარული ავტორი.

წარმტაცი ფერებითაა დახატული იოვანეს სამფლობელოები: აქ არის ბევრი თაფლი და რძე... ეს ქვეყანა აღსავსეა ფანტასტიკური ცხოველებითა და მცენარეებით...

ეპისტოლეში ვრცლადაა საუბარი იოვანეს სიკეთესა და ქრისტიანულ ღვთისმოყვარეობაზე: ყოველ წელს მეფე-ხუცესი უდაბნოზე გავლით თავისი მხედრობითურთ ბაბილონის ქვეწარმავლებით აღსავსე უდაბნოში მიემართება ხოლმე დანიელ წინასწარმეტყველის საფლავისაკენ.

ეპისტოლეს დიდი ნაწილი დათმობილი აქვს სამეფო სასახლის აღწერას. იგი ძალზე წააგავს იმ სასახლეს, რომელიც წმ. თომამ მეფე გუნდეფორუსისათვის ააშენა.

ვრცლადაა დახასიათებული სამეფო კარზე მიღებული ცერემონიები და ა. შ. ეპისტოლეს ერთ-ერთ უადრეს ლათინურენოვან ვერსიაში, რომელიც, შესაძლებელია, შედგენილია ინგლისში, ჩვენ ვიგებთ, რომ სამეფო კარზე იმყოფება მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან მოსული ხალხი. იოვანეს წინაშე მოსულთა შორის არის ერთი ინგლისელი, რომელიც მას ემსახურება სუფრაზე... ათასზე მეტი ინგლისელი ითვლება მის დაცვაში და ყველა მათგანი, იქნება ის სასულიერო თუ საერო პირი, სამეფო კარზე მოსვლის დროიდანვე რაინდის პატივშია აყვანილი.

იოვანეს ეპისტოლეს ფრანგული და იტალიური ვერსიები, რომლებიც, შესაძლოა, თარგმნილია ზემორე ლათინური წყაროდან, „ინგლისელის“ მაგიერ ყველგან ხმარობენ გამოთქმას: „ფრანგი“. და-

სახელებული ეპისტოლის ირგვლივ არსებობს დიდი სამეცნიერო ლიტერატურა, სადაც ეს ძეგლი შესწავლილია ფოლკლორისტიკისა და კულტურის ისტორიის თვალსაზრისით[9], მოძებნილია მისი ლიტერატურული და ფოლკლორული წყაროები და ა. შ. მაგრამ ამჟამად ჩვენ ამ ძეგლს საერთოდ გვერდს ვუხვევთ, რადგანაც იგი საინტერესოა უმთავრესად დასავლეთ ევროპის ხალხთა აზროვნების თვალსაზრისით და არსებითად ძალიან ცოტას მოგვითხრობს იმ ისტორიული ფაქტების შესახებ, რომელთა საფუძველზე შეიქმნა იოვანე მეფე-ხუცესის უძველესი გადმოცემა.

XII საუკუნის ბოლოს ჯვაროსნული მოძრაობა თითქმის დაეცა აღმოსავლეთში. პალესტინაში მყოფმა რაინდებმა დაკარგეს თავიანთი სამფლობელოების მნიშვნელოვანი ნაწილი, დავიწყებას მიეცა იოვანე მეფე-ხუცესიც, რომელსაც ჯვაროსნები ამაოდ ელოდებოდნენ მთელი საუკუნის განმავლობაში.

მალე კარი შემოაღო XIII საუკუნის შფოთიანმა ეპოქამ. ეს დრო მონგოლთა შემოსევებით აღინიშნა.

აღსანიშნავია, რომ ამ საუკუნის დასაწყისისათვის ევროპაში ჯერ კიდევ არ იცოდნენ მონგოლთა სახელი და აქ ერთადერთ საშინელებად მხოლოდ და მხოლოდ მაჰმადიანობა მიაჩნდათ.

როგორც ცნობილია, თავისი პირველი დარტყმები დასავლეთისაკენ წამოსულმა მონგოლებმა მაჰმადიანურ ქვეყნებს (უპირველეს ყოვლისა ხვარაზმის იმპერიას) მიაყენეს, ხოლო ყოველივე ამან ქრისტიან ხალხებში დაბადა ყალბი წარმოდგენა, თითქოს სამაჰმადიანოს შემმუსრავი მონგოლები ქრისტიანობის მიმდევარნი იყვნენ; მაგრამ

---

[9] მოტანილი ძეგლის შესახებ, რომელიც მსოფლიო ლიტერატურათმცოდნეობაში დიდი ყურადღებით სარგებლობს, იხ.: Friedrich Zarnke, Der Priester Johannes, Erste Abhandlung, in: Koniglich-Sächsische Gesellschaft der Wissenschaften. Abhandlungen Philosophisch-Historische Classe, vol. VII, Leipzig. 1879, გვ. 909—924. საშუალო გერმანული თარგმანის ირგვლივ იხ.: Fr. Zarnke, ibidem, გვ. 947—1028. დანარჩენი, ლათინური და ინგლისური ვერსიების შესახებ იხ. Fr. Zarnke, in: Koeniglich-Sachsische Gesellschaft der Wissenschaften Berichte, vol. XIX, Leipzig, 1877, გვ. 111—156; vol. XXX, pt. 1, 1878, გვ. 41—46.

ძეგლის შინაარსს ზოგჯერ უაღრესად დეტალური კომენტირებით, ზოგჯერ კი გაკვრით, ეხებიან სხვა მკვლევრებიც, რომლებიც ჩვენ ქვევითა გვყავს დასახელებული იოვანე მეფე-ხუცესის საკითხთან დაკავშირებით. ამათგან აქ მოვიხსენიებთ მარტო იმ ავტორებს, რომლებიც დაწვრილებით ჩერდებიან ზემორე ძეგლზე: G. Oppert. Der Priesbyter Iohannes in Sage und Geschichte, 2-e aufl, გვ. 26—50; I. K. Wright The Geographical Lore of the Time of Crusades, New-York, გვ. 283 — 286. Fr. Kampers. Von Werdegang der Abendlanden. Keisermystik. Leipzig und Berlin, 1924.

მალე ეს ილუზიები გაქრა და ყველამ შეიტყო, თუ როგორი „ქრისტიანები“ იყვნენ აზიიდან მოსული ეს ბარბაროსები.

მონგოლთა გამოჩენის პირველ ხანებში, როცა ეს უკანასკნელები მარტო მაჰმადიანების მტრებად და ქრისტიანობის მიმდევრებად მიაჩნდათ, ევროპის შუაგულში კვლავ გააცხენდათ ძველისძველი იოვანე მეფე-ხუცესი, რომელსაც ჯვაროსნები ამაოდ ელოდნენ XII საუკუნეში. დაირხა ხმები: მეფე-ხუცესი (თუ მისი შვილი) დიდი ძალით გამოემართა მაჰმადიანების წინააღმდეგ და მან მიზნად დაისახა დახმარება აღმოუჩინოსო ქრისტიანებს.

ამ ხანებში მეფე-ხუცესსა თუ მის შვილს ქრისტიანების დიდი ნაწილი „დავით მეფეს“ (რექს დავიდ) უწოდებდა...

თავისი მრისხანე საომარი მოქმედებით მონგოლთა არმიამ საშინელი პანიკა შექმნა დასავლურ მსოფლიოში. ქრისტიანული ქვეყნები შიშით ელოდნენ თავიანთ ქვეყნებში მონგოლთა გამოჩენას და მათ ღვთის მიერ მოვლენილ სასჯელად მიიჩნევდნენ.

სრულიად მოულოდნელად, უკვე ადრიატიკის სანაპიროებთან მისული მონგოლები, რომლებმაც უგედე ყაენის გარდაცვალების ამბავი შეიტყვეს, შემობრუნდნენ და თავის სამშობლოში წავიდნენ.

დიდმა შიშიანობამ დროებით მიატოვა ევროპა.

მიუხედავად ამისა, არავინ იყო დარწმუნებული, რომ მონგოლთა შემოსევები კვლავაც არ გაგრძელდებოდა. ამიტომ იყო, რომ პაპმა ინოკენტი IV-მ საგანგებო მოციქულები გააგზავნა მონგოლთა სამფლობელოში და დაავალა მათ დაზვერვითი ხასიათის დაწვრილებითი ცნობების შეკრება მონგოლთა ყოფა-ცხოვრების, სამხედრო ხელოვნებისა და მომავალი პოლიტიკური გეგმების შესახებ. ასე დაიწყო ის ურთიერთობა მონგოლებსა და ევროპას შორის, რომელმაც ძვირფასი წერილობითი ძეგლებით გაამდიდრა მაშინდელი მოგზაურობითი ჟანრის ლიტერატურა.

თავდაპირველად მონგოლთა ცენტრისაკენ მიმავალ ელჩებს დავალებული ჰქონდათ აზიის ამ ახალ მბრძანებელთა, ე. ი. მონგოლთა მოქცევა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. ამავე დროს მისიონერებს უნდა შეეგროვებინათ ცნობები იოვანე მეფე-ხუცესზე, რომელიც, ევროპელთა უკვე დიდხნოვანი ტრადიციით, შუაგულ აზიაში მოსახლეობდა და რომელსაც შეეძლო მოკავშირის როლი შეესრულებინა ევროპისათვის.

ასე დაიწყო კიდევ უფრო ახალი ცნობების შეკრება იოვანეზე, მაგრამ მისი კვალი, შეიძლება ითქვას, თითქმის დაკარგული იყო.

მონგოლეთში ჩასულმა ჯოვანი დელ პლანო კარპინიმ ამ მეფე-ხუცესის სამყოფელად ინდოეთი მიიჩნია[10], გიიომ რუბრუკვისმა კი აღიარა: იოვანე მეფე-ხუცესი სინამდვილეში იყო ყარა-კიდანის მბრძანებელი, რომელიც ჩინგიზყაენმა დაამხო[11].

იოვანე მეფე-ხუცესის „სახე“ თავის მოთხრობაში კოლორიტული ელფერით წარმოადგინა მარკო პოლომაც. დიდი ვენეციელი საგანგებოდ შეჩერდა მასზე და მიიჩნია: იოვანე ხელმწიფე იყო ცენტრალურ აზიაში მცხოვრები ერთ-ერთი მმართველი, რომლის მემკვიდრეებიც მოსახლეობდნენ ქვეყანა ტიან-დუხში და ნესტორიანულ ქრისტიანობას აღიარებდნენო[12].

მარკო პოლოს თვალსაზრისი გაიმეორეს მონტე-კორვინომ და ოდორიკო ფრიულელმა.

ამ შეხედულებათა პარალელურად ვრცელდებოდა მეორე კონცეფცია, რომელიც, აგრეთვე, ძალიან ძველი იყო და რომლის მიხედვითაც იოვანე მეფე-ხუცესი ეთიოპიის მკვიდრად მიაჩნდათ. ასე სჯეროდათ, მაგალითად, იტალიის სამხრეთსა და სხვა ქვეყნებში. ცნობილ თხზულებაში — „ესპანელი ბერის წიგნი“, — რომელიც 1350 წელს გამოვიდა, მითითებული ყოფილა, რომ იოვანე მეფე-ხუცესის სამფლობელოები მდებარეობდა აფრიკის სილრმეში, აბისინიასთან[13]. მაგრამ ბევრი რამ ჯერ ისევ გამოუცნობელი რჩებოდა: ამიტომაც, 1487 წელს, პორტუგალიის მეფე ჟუან II-მ საგანგებო ექსპედიცია გააგზავნა იოვანეს მოსაძებნად. წარგზავნილებმა — პედრო კოვილონიმ და ალფონსო პაივამ მიაღწიეს ეთიოპიას და ადგილობრივი ხელმწიფე მიიჩნიეს იოვანე მეფე-ხუცესად.

შემდეგშიც დიდხანს გრძელდებოდა იოვანე მეფე-ხუცესის ძებნა, მაგრამ ამაოდ. იგი არ იხსნიდა თავის ნიღაბს.

რომელი ფაქტების საფუძველზე შეიქმნა პირველი ცნობები იოვანე მეფე-ხუცესზე, ვინ იყო სინამდვილეში ის პიროვნება, რომლის მოღვაწეობის ამბავიც სიუჟეტის სახით საფუძვლად დაედო შუა საუკუნეთა ამ უდიდეს ლეგენდას?

---

[10] Джиованни дель Плано Карпини, История монголов. Изд. Н. П. Шастиной, М., 1957, с. 41.

[11] Гильом де Рубрук. Путешествие в восточные страны. Изд. В. П. Шастиной, М., 1957, с. 116, 130, 134.

[12] Книга Марко Поло. Перевод И. П. Минаева. Редакция и вступительная статья И. П. Магидовича, М., 1955, с. 84—87, 94, 129—131 და ა. შ.

[13] Дж. Бейкер. История географических открытий и исследований, перевод с английского, под редакцией и предисловием И. П. Магидовича. М., 1950, с. 47—48.

ეი ძირითადი კითხვა, რომელიც დიდი ხანია აინტერესებს მეცნიერებას და რომელზედაც დღემდე არ არსებობს ერთი აზრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოვანე მეფე-ხუცესის პიროვნების „ამომხსნელებმა“ მრავალი ჰიპოთეზა წამოაყენეს თავიდანვე: ზოგიერთ მკვლევარს იოვანეს ზედწოდება—პრესვიტერი — გამოჰყავდა სპარსული სიტყვისაგან „პრიესტეგჰანი“ ან „ფრიესტეგიანი“, ე. ი. მოციქულებრივი ხანი (სკალიგერი). დანარჩენებს იმავე სახელის ახსნა სურდათ სიტყვისაგან — პრესტერ-ხან, ე. ი. თაყვანისმცემელთა ხანი (იოლ ლუდოლფი). „პრესბუტერო იოჰანნემ“-იდან აწარმოებდნენ, აგრეთვე „პრეტრო იოჰანნე“, რაც ნიშნავს „შავ იოვანეს“.

ჰერბელოს მიხედვით, იოვანე იყო კერაიტების ტომის ბელადი. განსაკუთრებით მარკო პოლოს შემდეგ ამ მოსაზრებას ბევრი მიმდევარი ჰყავდა (მაგალითად, ცნობილი კ. რიტერი[14]). მიუთითებდნენ, რომ კერაიტების ბელადი ჩინგიზყაენის გამოჩენამდე უძლიერესი მმართველი იყო აღმოსავლეთ აზიაში და მას ჩინეთის ხელისუფლებისაგან მიღებული ჰქონდა ტიტული „ვან“, ე. ი. მეფე. დიდხანს სახელი იოვანეც კი გამოჰყავდათ წოდება „ვან“-ის შერყვნილი ფორმიდან, რომელიც თურქულ-მონგოლურ ყაიდაზე გამოითქმოდა როგორც „ონგ“-ი. მაგრამ ასეთი შეხედულება უსაფუძვლო გახდა, რაც დაადგინეს, რომ კერაიტების ბელადს „ვან“-ის ტიტული მიენიჭა XII საუკუნის მიწურულში, ე. ი. გაცილებით გვიან, ვიდრე წარმოიშობოდა თვით ლეგენდა იოვანე მეფე-ხუცესის შესახებ[15]. როგორც მივუთითეთ, გადმოცემა იოვანეს შესახებ დამოწმებულია ჯერ კიდევ 1145 წელს, გერმანელ მემატიანე ოტო ფრაიზინგელთან.

ჟერბილონის აზრით, იოვანე იყო ტიბეტის ერთ-ერთი ხელმწიფე, ლაკროზის შეხედულებით — დალაილამა, ფიშერის კონცეფციით კი ნესტორიანელი კათალიკოსი.

XIX საუკუნის 60-იან წლებში იოვანე მეფე-ხუცესის საკითხით ყველაზე მეტად დაინტერესდა გერმანელი მეცნიერი გ. ოპერტი, რომელსაც შემდეგ მიმდევრებიც გამოუჩნდნენ, მაგალითად ფრ. ცარნკე, იოვანეს ლეგენდის უმთავრესად ფილოლოგიური თვალსაზრისით მკვლევარი. გ. ოპერტმა საგანგებო მონოგრაფიაც კი დაწერა ამ საკით-

---

[14] C. Ritter. Die Erdkunde von Asien: Der Norden und Nord-Osten von Hoch-Asien, ცნობილ სერიაში: Die Erdkunde im Verhältniß zur Natur und zur Gesehichte des Menschen, oder allgemeine vergleichende Geographie... Bd. 1, 2 stark verm. u. umgearb. ausg. II, Th., II Buch., გვ. 153.

[15] В. В. Бартольд. რეცენზია F. H. Skrine-ს და E. D. Ross-ის ნაშრომზე „The Hearth of Asia. A History of Russian Turkestan and the Central Asian Khanats from the Earliest Times“, London, 1899, იხ. Сочинения, т. II, ч. I, М., 1963. с. 632.

ხზე და თავის ნაშრომს ასეთი სათაური მისცა: „იოვანე პრესვიტერი თქმულებებსა და ისტორიაში“[16].

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახელებულ წიგნში, რომელიც შეიცავდა საკითხის ირგვლივ არსებულ დიდძალ შტუდირებულ მასალას, გ. ოპერტი ამტკიცებდა, რომ ოტო ფრაიზინგელის ქრონიკაში მოხსენიებული ხელმწიფე სინამდვილეში არისო ყარა-ხატაეთის ფუძემდებელი, ხოლო მისი სახელმწიფო, როგორც დიდი იმპერია, არსებობდაო XII საუკუნის უკანასკნელი მესამედის მთელ მანძილზე. ყარა-ხატაეთის ფუძემდებელი იყო ლიაოს დინასტიის წარმომადგენელი და მას ჩინელი ისტორიკოსები ელიუ დაშს უწოდებდნენ, აბულ-ღაზი და რაშიდ-ედ-დინი კი ნუზის, ან-ნუში (ფუში?) ტაიფუს.

გ. ოპერტის მიხედვით, ელიუ-დაშმა (როცა ის მეტისმეტად გაძლიერდა) თავის ძალას დაუმორჩილა აღმოსავლეთი თუ დასავლეთ თურქესტანი და მათ შორის — ხვარაზმი. ამის შემდეგ ელიუ-დაშმა მიიღო ტიტული „გურხან“, რაც ნიშნავს უდიდეს, ანუ ყველას მბრძანებელ ხანს. გურხანი დამკვიდრდა ბალა საგუნში, ტიან შანის ჩრდილოეთით და თავის იმპერიას უწოდა ყარა, ე. ი. შავი ხატაი.

1141 წელს გურხანი დაეხმარა ხვარაზმელების მბრძანებელს, რომელიც იბრძოდა სპარსეთის სულტანის, სანჯარის წინააღმდეგ (აქედან სირიელი ეპისკოპოსის შამიარდი). გურხანმა და მისმა მოკავშირემ სამარყანდის ჩრდილოეთით სასტიკად დაამარცხეს სპარსელები, მაგრამ შემდეგში გურხანი უკანვე გაბრუნდა.

გურხანი — აი ის პიროვნება, რომლის თავგადასავალიც, გ. ოპერტის მიხედვით, საერთოდ საფუძვლად დაედო იოვანეზე გავრცელებული ლეგენდის თავდაპირველ სიუჟეტს.

ასეთი იყო გერმანელი მკვლევრის ძირითადი თეზისი.

მიუხედავად ამისა, გ. ოპერტმა ღიად დატოვა ბევრი საკითხი და, შეიძლება ითქვას, ვერ ამოიცნო. კერძოდ, მან ვერ გაარკვია, თუ საიდან გაჩნდა გურხანის მაგივრად სახელი იოვანე. ამიტომაც იგი დასჯერდა ვარაუდს რომ ტიტული გურხანი თუ კურხანი, დასავლურ-თურქული გამოთქმით — იურხანი-გარკვეული დროის შემდეგ დაემსგავსა სახელ იოჰანს თუ იოჰანესს, საიდანაც შემდეგ აღმოცენდა სახელი იოვანე...

ამასთანავე გ. ოპერტმა ვერ გვიჩვენა, რომ გურხანი იყო ქრისტიანობის მიმდევარი. უამისოდ კი ძნელი ჩანდა მისი გაიგივება იოვა-

---

[16] G. Oppert. Der Presbyter Iohannes in Sage und Geschichte. Ein Beitrag zur Völker- und Kirchenhistorie und zur Heldendichtung des Mittelalters, Berlin, 1864; 2 Aufl. 1870.

ნესთან, რომელიც გადმოცემაში თავიდანვე ქრისტიანად გამოიყურებოდა.

გარდა ამისა, გ. ოპერტმა გურხანის ბიოგრაფიაში ვერ უჩვენა ისეთი მომენტები, რომლებიც ასოციაციის ძალით მიგვანიშნებდნენ მის მიერ სპარსეთისა და მიდიის მმართველთა დამარცხებას, მათი სატახტო ქალაქის აღებას, ბოლოს კი იერუსალიმისადმი (რომელიც მაშინ ჯვაროსანთა ხელში იმყოფებოდა) დახმარების განზრახვას.

გ. ოპერტის მტკიცებაში აუხსნელი დარჩა ერთი უაღრესად საგულისხმო მომენტიც: ოტო ფრეიზინგელის ქრონიკით, სახელოვანი ქრისტიანი მმართველის ქვეყანა მდებარეობდა „სპარსეთისა და არმენიის“ იქით. ხოლო რადგან ეს ასეა, ძნელი წარმოსადგენია, რომ გურხანის ტერიტორია, რომელიც, ოპერტის მიხედვით, ცენტრალურ აზიაში მდებარეობდა, ლოკალიზებული ყოფილიყო „არმენიაზე“ მითითებით.

ასეთი იყო უმთავრესი ხარვეზები, რომლებმაც, საყოველთაო აღიარებით, გ. ოპერტის თეორია ჰიპოთეზის ფარგლებს ვერ გააცილეს[17].

სხვა მეცნიერებიდან, რომლებიც საგანგებოდ სწავლობდნენ იოვანე მეფე-ხუცესის საკითხს, გასახსენებელია ნოვოროსიის უნივერსიტეტის პროფესორი ფ. ბრუნი[18]. მან წამოჭრილი საკითხის გადაჭრა ახალი გზით სცადა. ბრუნის მიხედვით, იოვანეს პროტოტიპი იყო არა შორეული აზიის რომელიმე მკვიდრი, არამედ — იოვანე ორბელიანი, საქართველოს ამირსპასალარი XII საუკუნეში, ვის შესახებაც დიდხანს საუბრობს ისტორიკოსი სტეფანოს ორბელიანი.

თავისი აზრის დასასაბუთებლად ბრუნმა მიუთითა ზოგიერთ საინტერესო მომენტებზე, მაგრამ მან მაინც კონკრეტულად ვერ „დახაზა“ ის გზა, რომელიც უნდა გაევლო იოვანე ორბელის „სახეს“ იოვანე ხუცესის „სახის“ ჩამოყალიბებამდე. სამართლიანად იქცეოდა გამოჩენილი იული, როცა ამბობდა: „საერთოდ ბრუნის თეორია ისეა აგებული, რომ იოვანე მეფე-ხუცესი საცაა უნდა გამოჩნდეს, მაგრამ ის მაინც არა ჩანსო...“.

მკვლევართა დიდ ნაწილს სხვა დროსაც აინტერესებდა იოვანე ხუცესის პრობლემა, მაგრამ ამაოდ: მოსაზრებები მოსაზრებებს ცვლიდ-

---

[17] გ. ოპერტის თეორიის საფუძვლიანი კრიტიკა, რომელსაც ჩვენ აქ გადმოვცემთ, მოცემული აქვს H. Yule-ს იხ. The Book of Sir Marco Polo, ed. 1903, vol. I. გვ. 231—232.

[18] Ф. Брун. О странствованиях царя-пресвитера Иоанна. Записки императорского Новороссийского университета, т. V (Отдел исследований). Одесса, 1870, с. 112—159.

ნენ და ქმნიდნენ ერთგვარ წრეს, რომელშიც მოსაზრებები ტრიალებდნენ აგრეთვე[19].

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შემდეგ, რაც ზოგადად გავიცანით იოვანე-ხუცესის პრობლემა ევროპული ლიტერატურისა და ტრადიციის მიხედვით, საჭიროა ვიცოდეთ, რომ ამ ლეგენდის „ამოხსნას“ რამდენჯერმე შეეცადნენ ქართველოლოგიის დარგში მომუშავე მეცნიერებიც.

ჯერ კიდევ 1929 წელს პროფ. ზ. ავალიშვილმა გამოაქვეყნა დიდი ერუდიციით დაწერილი ნაშრომი — „ჯვაროსანთა დროიდან“[20]. მასში გარჩეული იყო ჯვაროსანთა და ქართველთა ნაცნობობისა თუ თანამშრომლობის ფაქტები.

ამ წიგნის ერთ-ერთ გვერდზე, შენიშვნაში, ზ. ავალიშვილი წერდა: „იოვანე ხუცესზე არსებული ლეგენდის წარმოშობის საკითხი მეტად რთულია“[21]. აქვე, სხვათა შორის, ზ. ავალიშვილი მიუთითებდა იმ ფაქტზეც, რომ დავით აღმაშენებლის გარდაცვალებიდან მთელი საუკუნის შემდეგ ევროპელთა წარმოდგენამ უკვე ერთი და იმავე პირებად მიიჩნია რომელიღაც „დავით მეფე“ და „იოვანე ხუცესი“[22].

საძიებელი პრობლემის გარშემო უფრო გამოკვეთილი და კატეგორიული იყო ალ. სანდერსის (ნიკურაძე) მტკიცება; ამ ავტორის მიხედვით, იოვანე მეფე-ხუცესის თქმულება დაკავშირებულ იქნა დავით აღმაშენებლის (1089—1125) შესახებ ევროპელთა შორის გავრცელებულ შეხედულებებთან.

აი რას ამბობდა ამის შესახებ ალ. ნიკურაძე[23]. „დავით აღმაშენებელის ტიპი ევროპულ გადმოცემებში დაკავშირებულ იქნა ლეგენდა-

---

[19] იოვანე მეფე-ხუცესის შესახებ ზემოთ უკვე მითითებული ლიტერატურის გარდა, ცნობები ამოღებულია შემდეგი ნაშრომებიდან: P a u t h i e r, Les pays de Tanduc et les descendants de Prêtre Jean Paris, 1862; Н. Б а т а л и н, Сказание об Индийском царстве. Воронеж, 1876; В. В. Б а р т о л ь д. О христианстве в Туркестане в домонгольский период (по поводу семиреченских надписей), Сочинения, т. II, ч. 2, М., 1964, с. 292—293; его же. История изучения Востока в Европе и России. Л., 1925, с. 65—68; H. C o r d i e r. Les vogages en Asie au XVI-me siècle du bienheureux frère Odoric de Pordenone, Paris, 1891, p. 442. B. S p u l e r. Die Mongolen in Iran. Berlin, 1955, 498—499; Р. Х е н н и г. Неведомые земли. т. I, М., 1961, с. 440—461; В. И. Г у м и л е в. В поисках вымышленного царства. М., 1970 და სხვა. ამავე ნაშრომებში მითითებულია და გარჩეულია საკითხის ირგვლივ არსებული ვრცელი ლიტერატურა.

[20] ზ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი. ჯვაროსანთა დროიდან, პარიზი, 1929.

[21] იქვე, გვ. 151.

[22] იქვე.

[23] Al. S a n d e r s, Skandinavier und Georgier auf Pontisch — Baltischen Landsbrücke. „Bedi Kartlisa“ № 30—31, Paris, 1959, გვ. 80. ალ. ს ა ნ დ ე რ ს ნ ი კ უ რ ა ძ ი ს ამ დებულების არსებობას იხსენიებს ნ. კაკაბაძეც, იხ. მისი ინფორ-

რული „იოვანე ხუცესის“ სახესთან. შევიწროებული ჯვაროსნები იმედოვნებდნენ, რომ იმათ დასახმარებლად მოვიდოდა ნაგულვები „იოვანე ხუცესი“. ამავე დროს ეს ხუცესი აღრეულ იქნა „დავით მეფესთან“. ხოლო ორთავე პირის გაიგივება მოხდა უკვე მას შემდეგ, რაც ნამდვილი მეფე დავითი ერთი საუკუნის მკვდარი იყო. ეს გაიგივება თავს იჩენს, კერძოდ, იმ ცნობებში, რომლებიც ეხებიან უშუალოდ დამიეტის ბრძოლებსა და ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობას (1217—1221)“.

მოტანილი აზრი, რომელიც ავტორის მიერ გამოთქმული ყოფილა კარგა ხნის წინ[24], ამჟამად ფართო გავრცელებას პოულობს უცხოეთში[25].

უნდა აღინიშნოს, რომ „იოვანე ხუცესის“ ამოხსნა „დავით აღმაშენებლით“, არსებითად სწორია. მაგრამ ეს გზა ჯერ კიდევ არაა სრულყოფილი, რის შესახებაც ჩვენ ქვევით დავრწმუნდებით.

საქმე ისაა, რომ ალ. ნიკურაძეს ჯერ კიდევ არა აქვს დასაბუთებული: თუ რატომ მაინცდამაინც დავით აღმაშენებელი უნდა ვიგულისხმოთ ევროპული ქრონიკების „დავით მეფეში“. ამასთანავე მკვლევარს ჯერ კიდევ არა აქვს ნაჩვენები: ჯვაროსანთა წარმოდგენაში საქმე გვაქვს „იოვანე მეფე-ხუცესისა“ და დავით აღმაშენებლის სრულ ტიპოლოგიურ გაიგივებასთან, თუ ასეთ იდენტიფიკაციას მხოლოდ ნაწილობრივა აქვს ადგილი.

ქვევით ჩვენ საგანგებოდ ვეხებით ამ საკითხს და ვცდილობთ ახლებურად მივუდგეთ მას. ეს გამოკვლევა თავის თავშივე მოიცავს იმ სიახლეებსაც, რაც ჩვენი თვალსაზრისის საკუთრებაა და იმ კრიტიკასაც, რითაც ეს თვალსაზრისი სხვა თეორიებს უპირისპირდება.

ზემორე მიმოხილვიდან ჩანდა, რომ XII საუკუნის მეორე ნახევარში, ოტო ფრაიზინგელთან მოთხრობილი ისტორია ძლევამო-

---

მაციული წერილი: საქართველო ისლანდიურ საგაში. გაზ. „თბილისი“, № 7, 9. 1, 1963, გვ. 3.

[24] Al. Sanders. Kaukasien. Nordkaukasien, Aserbeidschan, Armenien, Ceorgien. Geschichtlicher Umriβ (Munchen, 1944).

როგორც ჩანს, ალბათ ალ. სანდერსის მიხედვით, ეს კონცეფცია აისახა „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელო წიგნშიც, რომელიც თავის დროზე ს. ჯანაშიას რედაქციით გამოვიდა. აი რას ვკითხულობთ აქ: „დავით აღმაშენებელი, რომლის შესახებაც მე-12 საუკუნის დასაწყისში ევროპელებს სავსებით რეალური ცნობები ჰქონდათ, თანდათან გადაიქცა ზღაპრულ პიროვნებად, „ქრისტიანთა ჩრდილოელ მეფე დავითად“, რომლისაგანაც მე-13 საუკუნეშიც კი მოელოდნენ ხსნას“ (საქართველოს ისტორია, თბილისი, 1948, გვ. 225).

[25] K. Salia, Histoire de la Natione Georgienne. Paris, 1980. p. 184—186.

სილი ქრისტიანი მმართველის შესახებ, არსებითად შეიცვალა და მან ჯვაროსნული ფანტაზიის წიაღში ახალი ელფერი მიიღო.

ამიტომ ჩვენ ახლა საერთოდ გვერდს ვუვლით ლეგენდის გვიანდელ ვერსიებს და „ამოხსნის“ დროს პირდაპირ მივმართავთ ოტოსეულ ვერსიას. აქ თქმულების შინაარსი ამჟამად უძველესი, ე. ი. არქეტიპული ფორმითაა დაცული.

ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ეს არქეტიპული ვერსია, რომელიც ასეთი შინაარსისაა: 1145 წელს გაბალის სირიელმა ეპისკოპოსმა ევროპის სიუზერენებთან ჩამოიტანა ამბავი, რომ უკიდურეს აღმოსავლეთში, არმენიისა და სპარსეთის იქით, ბინადრობს ნესტორიანობის მიმდევარი ქრისტიანი მმართველი. იგი ერთდროულად არის ხუცესი და მეფე. ხსენებულმა მმართველმა ერთ-ერთ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა სპარსეთისა და მიდიის გამგებელი მეფე-ძმები, რომელთა მხედრობაც სპარსელთა, მიდიელთა და ასურელთაგან შედგებოდა. ამის შემდეგ ქრისტიანმა ხელმწიფემ ჯვაროსნული იერუსალიმის დახმარება განიზრახა, მაგრამ თავისი ჩანაფიქრი ვერ შეასრულა და იგი დროებით უკან გაბრუნდა.

„ამოვხსნათ“ ახლა ეს გადმოცემა.

მაგრამ ვიდრე ამას დავიწყებდეთ, ერთხელ კიდევ უნდა გავიხსენოთ, რომ ამ გადმოცემაში საქმე გვაქვს ლეგენდარულ ფაბულასთან, ლეგენდები კი, როგორც ცნობილია, ზუსტად არ იმეორებენ ხოლმე მათ წარმომშობ რეალიებსა თუ ფაქტებს. ამიტომაც, ბუნებრივია, ჩვენი „ამოხსნაც“, ამ შემთხვევაში, მხოლოდ მიახლოებითი უნდა იყოს.

ჩვენი პირველი თეზა ეხება იმის აღნიშვნას, რომ ოტო ფრაიზინგელთან დაცული არქეტიპი შექმნილი უნდა იყოს იმ გაბუნდოვნებული ხმების ბაზაზე, რომელთა წარმოშობაც, დროის თვალსაზრისით, წინ უსწრებდა ამ არქეტიპის ჩამოყალიბებას. ამიტომაც თვით ოტოსეული ვერსია უკვე შეფერადებული იყო და ზუსტად აღარ ემთხვეოდა რეალურ-ისტორიულ ვითარებას (თუ ფაქტებს), რომელიც საფუძვლად დაედო მის წარმოშობას.

ეს მომენტი კარგადაა შესამჩნევი მისთვის, ვინც სირიელი ეპისკოპოსის ჩონაყოლს ჩაუკვირდება. კერძოდ, იქ, სადაც აღწერილია ქრისტიანი ხელმწიფის ტიგროსიდან უკან გაბრუნების ფაქტი, ფოლკლორული მანერითაა მოთხრობილი, როგორ უცდიდა იგი ყირეების დადგომას და როგორ ამაოდ გაატარა მან რამდენიმე წელი ყინვების ლოდინში.

ოტოსთან დაცულ ვერსიაში ჩანს, აგრეთვე, თუ სირიელ ეპისკოპოსს რა ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია ქრისტიანი ხელმწიფის გე-

ნეალოგიაზე: ამბობენო, — უთქვამს მას, — ეს ხელმწიფე ჩამომავალია მოგვებისა, რომლებიც სახარებაში იხსენიებიანო.

დასასრულ ისიც სათქმელია, რომ ძლევამოსილი ხელმწიფის გამოცხადება ნესტორიანული წესის ქრისტიანად, ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად მიუთითებს ლეგენდის წარმომშობი „ხმების“ ფოლკლორულ იერზე; თავდაპირველ „ჰამბავში“ ღრმად არიან შეჭრილი XII ს. ევროპელთა ქრისტოლოგიური თუ კოსმოგრაფიული ცნობები და ეს ფაბულა ახალი ფერებით აქვთ შეღებილი[26].

ვითვალისწინებთ რა ფაქტს, რომ სირიელ ეპისკოპოსს ბევრი რამ სხვებისაგან აქვს გაგონილი ჩამოკვეთილი ფოლკლორული ფორმით, ჩვენ ვვარაუდობთ:

იმ რეალურ მოვლენებს, რომელთა ნიადაგზე შეიქმნა თავდაპირველი გადმოცემა იოვანე მეფე-ხუცესზე, ადგილი უნდა ჰქონოდათ არა უშუალოდ 1145 წელს (როცა ეს ამბავი ევროპაშიც შეიტყეს), არამედ იმ პერიოდში, რომელიც წინ უსწრებდა იოვანე მეფე-ხუცესის ფოლკლორული ტიპის „ჩამოკვეთის“ დროს. მართლაცდა: ვიდრე რეალური ფაქტი თუ მოვლენა ფოლკლორული გარსით შეიმოსებოდა, საკმარის დროს უნდა გაევლო, ხოლო ეს „დრო“ უნდა დაწყებულიყო 1145 წლის წინა პერიოდში. ამდენად: ლეგენდარული ფაბულის წყაროს — ნამდვილ ისტორიულ მოვლენას, რომელიც ლეგენდარული იერით აირეკლა ოტოსთან დაცულ გადმოცემაში, ჩვენ უნდა ვეძიებდეთ 1145 წელზე ადრეულ პერიოდში.

ასეთია ჩვენი პირველი დასკვნა.

გადავიდეთ ახლა საკითხზე, თუ ძლევამოსილი ხელმწიფე, არქეტიპის მიხედვით, რომელი ადგილების მფლობელადაა წარმოდგენილი...

ოტო ფრაიზინგელის ვერსიაში დიდი სიცხადითაა მითითებული, რომ სირიელი ეპისკოპოსის მიხედვით, ძლევამოსილი ხელმწიფის სამფლობელო მდებარეობდა უკიდურეს აღმოსავლეთში, სპარსეთისა და არმენიის იქით და იგი ქრისტიანებით იყო დასახლებული.

დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ქრისტიანული ქვეყანა, რომელიც 1145 წელსა და ამაზე ადრე სპარსეთისა და არმენიის იქით მდებარეობდა, ეს იყო საქართველო. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ XII ს.

---

[26] ამ არქეტიპის ფოლკლორულ იერზე მიუთითებს, სხვათა შორის, ისტორიულ-გეოგრაფიული მეტყველებაც. სულტან შამიარდოების ლაშქარში დასახელებული არიან „მიდიელ-სპარსელ-ასურელები“. ქრისტიანი ხელმწიფის აღებული ქალაქი კი „ეკბატანად“ იწოდება. როგორც ცნობილია, ეს ნომენკლატურები ამ დროს (XII ს.) უკვე რეალურად აღარ არსებობდა. იგი აღებულია „ძველი აღთქმისა“ და ქრისტიანული ევროპის იმ ისტორიული სახელმძღვანელოებიდან, რასაც არსებითად ემყარებოდა ჯვაროსანთა გეოგრაფიული წარმოდგენები.

პირველი ნახევრის ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის ისტორიულ გეოგრაფიას, ამაში ოდნავადაც არ შეგვეპარება ეჭვი; აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყანა, რომელიც ლოკალიზებული იქნებოდა არა მარტო „სპარსეთზე", არამედ მაინცდამაინც „არმენიაზე" მითითებით, შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ საქართველო.

ამ თვალსაზრისის ნაწილობრივად გამაგრებას ემსახურება სირიელი ეპისკოპოსის განცხადებაც, რომ ტიგროსიდან გაბრუნებული ხელმწიფე გაემართა სამშობლოს მიმართულებით — ჩრდილოეთის მხარეს; მიუხედავად ამისა, იგი მაინც ტიგროსთანვე დარჩა და ელოდებოდა მდინარის გაყინვას.

თუ ჩვენ სერიოზულად დავეყრდნობით ამ ჩვენებას (სხვა გამოსავალი კი აბა სად არსებობს), შეიძლება ითქვას, რომ იერუსალიმისაკენ წასული ხელმწიფე, თუ მერე ის თავისი ქვეყნის მიმართულებით, ჩრდილოეთისაკენ მიბრუნდებოდა და, ამასთანავე, სასურველი გადასასვლელის ძიებისას ტიგროსის სანაპიროს აჰყვებოდა, საბოლოო ჯამში, ალბათ, კავკასიაში მოხვდებოდა. სწორედ აქ, ჩრდილოეთის ამ ზონაში, იქნებოდა მისი სამფლობელოები.

ერთი სიტყვით, ოტოსთან დაცული ამ მონაცემებითაც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქრისტიანი ხელმწიფის სამკვიდრო მხარეები კავკასიაშია სავარაუდებელი.

ასეთი დაშვების დროს სავსებით გასაგებია სირიელი ეპისკოპოსის ის განცხადება, რომ ქრისტიანი ხელმწიფის სამფლობელოები მდებარეობდნენ არა მარტო ა რ მ ე ნ ი ი ს ა დ ა ს პ ა რ ს ე თ ი ს ი ქ ი თ, არამედ „უ კ ი დ უ რ ე ს ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ შ ი".

ეს სალოკალიზაციო ცნება არსებითად ზოგადი ხასიათისაა და იგი შეიძლება ისეც გავიგოთ, რომ ქრისტიანი ხელმწიფის სამფლობელოები მდებარეობდნენ სირიელი ეპისკოპოსის თავდაპირველი ინფორმატორების საცხოვრისის აღმოსავლეთით, ან არადა ეს ცნება შემუშავდა იმ გარემოს მიხედვით, სადაც პირველად შეაღწიეს ხმებმა ძლიერი ხელმწიფის გამარჯვებათა შესახებ. ა მ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ე ს გ ა რ ე მ ო ჯ ვ ა რ ო ს ნ უ ლ ი ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ი ქ ნ ე ბ ო დ ა. აქედან გამომდინარე რეალური ისტორიული მოვლენები, რომელთაც შექმნეს იოვანეზე გავრცელებული სიუჟეტის თავდაპირველი ბირთვი, უნდა არსებულიყვნენ XII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს ტერიტორიაზე.

ამიტომ, შემცდარი არ ვიქნებით, თუ ლეგენდის „ამოხსნის" დროს გავითვალისწინებთ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკას XII ს. პირველ ნახევარში, ამ პოლიტიკის გამოძახილს მეზობელ ხალხებში და შევეცდებით ჩვენებას, რომ ი ო ვ ა ნ ე მ ე ფ ე-ხ უ ც ე ს ი ს ლ ე-

ვენდა შეიქმნა ჯვაროსანთა შორის საქართველოს სამეფოზე გავრცელებულ შეხედულებათა კონცენტრირებითა და თავისებური ფოლკლორული გააზრებით.

...ცნობილია, რომ XI—XII სს. მიჯნაზე საქართველოს საეფომ დავით აღმაშენებლის დროს დიდ წარმატებებს მიაღწია ცენტრალიზაციისა და ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლაში. დავით აღმაშენებელმა მტკიცედ ალაგმა დიდგვარიანი ფეოდალების პარტიკულარისტული ტენდენციები, რაც კერძოდ, კარგად გამოჩნდა მის მიერ ეკლესიის დაქვემდებარების ფაქტშიც. 1121 წლის აგვისტოს თვეში დავით აღმაშენებლის მხედრობამ დიდგორის მიდამოებთან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა თურქ-სელჩუკთა მრავალრიცხოვან კოალიციაზე, გაანადგურა და დიდხანს სდია მას. თავის საგარეო პოლიტიკას დავით აღმაშენებელი ჯვაროსნებთან კავშირში წარმართავდა. იგი ისევე ებრძოდა თურქ-სელჩუკებს, როგორც ჯვაროსნები. პირველი მათ კავკასიაში უპირისპირდებოდა, მეორენი — ახლო აღმოსავლეთში[27].

თავის პოლიტიკურ მოღვაწეობას დავით აღმაშენებელი საერთაშორისო მასშტაბით წარმოაჩენდა როგორც ქრისტიანობისათვის ბრძოლას. თვითონ კი თავს „ქრისტეს მონად“ სახავდა[28].

ყოველივე ნათქვამი საშუალებას იძლევა ფიქრისათვის, რომ ოტოსეული ქრისტიანი ხელმწიფე მეტად წაგავს დავით აღმაშენებლის ისტორიულ ტიპს. ეს ხელმწიფე დავით აღმაშენებლის მსგავსად საქართველოში უნდა მბრძანებლობდეს.

მისი ხელმწიფობის ხანაა XII საუკუნე, 1145 წლის წინა პერიოდი. დავითისავე მსგავსად იგი თავის ხელში აერთიანებს საერო და სასულიერო ძალაუფლებას (წყაროს თქმით, იგი ერთდროულად მეფეცაა და ხუცესიც). დავით აღმაშენებელივით იგი ქრისტიანია და მისი ხალხიც ქრისტიანობას მისდევს.

ეს ხელმწიფეც, ისე როგორც დავითი, ერთ-ერთი სისხლისმღვრელი ბრძოლის დროს ამარცხებს მიდიისა და სპარსეთის მეფე-ძმებს, რომელთა ლაშქარი მთლიანად შედგება მიდიე-

---

[27] ვრცლად ამ საკითხზე იხ. შ. მესხია. ძლევაჲ საკვირველი. დიდგორის ბრძოლა და თბილისის შემოერთება. თბ., 1972.

[28] დავითის ფულს ასეთი წარწერა აქვს: „მეფე მეფეთა დავით, ძე გიორგისი, მესიის მახვილი“ (ჰუსამ-ულ-მესიჰ). Д. Г. Капанадзе. Медная монета грузинского царя Давида, сына Георгия. „Эпиграфика Востока“, XII, 1958, с. 39—47.

ლების, სპარსელებისა და ასურელებისაგან. ბრძოლა სამ დღეს გრძელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდგორთან დავითის მოწინააღმდეგეებთან შეიძლება გავიგოთ „სპარსეთისა და მიდიის გამგებელი მეფე-ძმები“. მართლაც, დავითის მოწინააღმდეგე კოალიციის წევრებს შორის უზენაესი როლი ჰქონდათ სელჩუკიანთა მმართველი დინასტიის წევრებს მუჰამედ შუჰამედის ძეს და მის ძმას თოღრულ-ბეგს. პირველი მათგანი დიდგორის ომის დროს იმპერიის მთავარ გამგებლად, ანუ სულტნად ითვლებოდა. მეორე კი მაშინ არანსა და განძაკში მბრძანებლობდა. მაგრამ შემდეგდროინდელი ავტორები ამ თოღრულ-ბეგსაც დიდგორის ომის დროისათვის სულტნის სახელით მოიხსენიებდნენ[29].

გარდა ამისა, ჯვაროსანთა ტრადიციით, თოღრულის სამფლობელოები მიდიის ქვეყნად იყო ცნობილი. ჯვაროსანთა გეოგრაფიული ცნებების თანახმად, სახელწოდება „მიდია“ ფარავდა იმ არეალს, სადაც XII ს-ში არსებობდნენ ამიერკავკასიის მაჰმადიანური ქვეყნები[30].

საერთო ჯამში ისიც სავარაუდებელია, რომ იოვანე მეფე-ხუცესის „სახის“ შექმნაში ერთგვარ კომპონენტს წარმოადგენდა ინფორმაცია დავით აღმაშენებლის მემკვიდრის დემეტრე I-ის (1125—1156) მეფობის შესახებაც. დემეტრეც, მამის მსგავსად, აქტიური სახელმწიფო მოღვაწე იყო. მან მამის სიცოცხლეშივე ილაშქრა შარვანში (1117 წ.), აიღო ქალაქები დმანისი (1125 წ.) და ხუნანი (1128 წ.)[31]. დავით აღმაშენებელთან ერთად დემეტრე ხელმძღვანელობდა ქართველთა ლაშქარს დიდგორის ომში[32]. მამის მსგავსად იგი თავის პოლიტიკურ მოღვაწეობას მძაფრად გამოკვეთილი მესიანისტური ფორმით წარმართავდა. საერთაშორისო ურთიერთობებში მას მიმართავდნენ ვითარცა „მესიის (ე. ი. ქრისტეს) მონას“[33].

---

[29] შ. მესხია. დასახ. ნაშრომი, გვ. 93—101.

[30] ანსელუსის სიტყვებით, მაგალითად, დავით აღმაშენებელი ჯვაროსნებისათვის წარმოადგენდა „წინა ბურჯს“ „მიდელთა და სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლაში“. ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან. პარიზი, 1929, გვ. 29. გოტიეს ცნობით, დავით აღმაშენებლის ლაშქარშიც იყვნენ მიდიელები, რაც, ზ. ავალიშვილის მტკიცებით, შირვანელები არიან. ზ. ავალიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 67—68.

[31] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. II, თბ., 1965, გვ. 221—222.

[32] ალ-ფარიკი. ა. მამედოვის თარგმანი. Труды института истории АН Аз. ССР, т. XII, 1957, с. 223.

[33] იმაზე, რომ დემეტრე I „მესიის მახვილის“ ტიტულს ატარებდა იხ. ალ-ფარიკის ცნობა. შდრ. აბულ-ჰასან ბეიჰაკი, რ. კიკნაძე, XI—XII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1., თბ., 1960, გვ. 126; იხ. აგრეთვე ფელექი შარ-

ამ ფაქტების შუქზე, რომლებიც მიგვანიშნებენ დავითისა და დემეტრეს მსგავსებაზე (რაც, თავის მხრივ, ჯვაროსანთა ფანტაზიაში სიშუალებას იძლეოდა ამ პიროვნებათა იდენტიფიკაციისათვის) — უნდა ვიფიქროთ, რომ სირიელი ეპისკოპოსის მიერ დახასიათებული ხელმწიფის „სახე“ კონსტრუირებულია ქართველ მეფეთა შესახებ ჯვაროსანთა შორის გავრცელებული ნახევრად რეალისტური ინფორმაციების მიხედვით. ჯვაროსნულ ფანტაზიაში განდიდებულ ასეთ მეფეებად, ისტორიული თვალსაზრისით, შეიძლება ვიგულისხმოთ ან დავით აღმაშენებელი და დემეტრე პირველი ცალ-ცალკე, ან ორთავე მეფე ერთდროულად.

ის ფაქტი, რომ იოვანე ხუცესის „ლეგენდარული სახის“ შექმნას საფუძვლად დაედო დავით აღმაშენებლის სახე, სხვა გარემოებითაც ჩანს. XIII საუკუნის პირველ მეოთხედში, როცა ლეგენდის არქეტიპი საბოლოოდ ჩაბნელებული და ტრანსფორმირებული იყო, ზოგიერთ წყაროში ქრისტიანი ხელმწიფე უკვე რამდენჯერმე იქნა დაკავშირებული ვინმე დავით მეფესთან.

იოვანესა და დავითის სახელთა შერწყმა თუ აღრევა თავს იჩენს იმ ცნობებში, რომლებიც ქრონოლოგიურად დამიეტის ბრძოლებისა და საერთოდ, ჯვაროსანთა V ლაშქრობის ეპოქას ეხებიან (1217—1221).

მოგვყავს ზოგიერთი ცნობა.

I. ნაწყვეტი როდოლფ კოგეშალის ქრონიკიდან:

„1221... მთელ საქრისტიანოში გავრცელდა ხმა: დავით მეფემ, რომელიც იოვანე მეფე-მღვდლად იწოდება და ინდოეთიდან დიდი მხედრობით წამოვიდა, გაანადგურა მიდიელები და სპარსელები“[34].

II. 1221 წელს (დამიეტის დაცემის შემდეგ) ერთ-ერთ ქრისტიანულ წინასწარმეტყველებაში გატარებულ იქნა შეხედულება, რომ „როდესაც მოვლენ დავით მეფე აღმოსავლეთიდან, ხოლო იმპერატორი ფრიდრიხი (იგულისხმება ფრიდრიხ ბარბაროსსა, შ. ბ.) დასავლეთიდან, გამხმარი ხე ისევ ამწვანდება“[35].

ვანის ოდა დემეტრე I გარდაცვალებაზე. ზ. ბუნიატოვის გამოცემა, კრებულში „საქართველო რუსთაველის ხანაში“. თბ., 1966, გვ. 289.

[34] ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 151.

[35] იგულისხმება სიუჟეტი გერმანელებში ფართოდ გავრცელებული ერთ-ერთი მესიანისტური თქმულებისა, სადაც გამხმარი ხის აყვავება მიძინებულ სიცოცხლის გამოღვიძების სიმბოლოა. R. Röhricht. Quinti Belli sacri ss. minores. Publications de la soc. de l'Orient Latin. Série hist. II (1879), XLI, 205. ამ თქმულებისათვის, რომელიც აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან წამოსულ მხსნელებს ასახელებს, იხ. აგრეთვე R. Röhricht. Briefe des Iakobus de Vitrico (1216—1221). „Zeitschrift fur Kirgcengeschichte“, XVI (1895), III. ზემოთ ციტირებულიმა-

ამ ფაქტების შუქზე, თუ გავიხსენებთ მთელ ჩვენს წინარე მსჯელობას „დავით-დემეტრესა“ და იოვანეს იდენტიფიკაციაზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ XIII ს. პირველი მეოთხედის გადმოცემათა „დავით მეფის“ სახელი ნამდვილი დავითის (ე. ი. აღმაშენებლის) ასოცირებით უნდა იყოს გაჩენილი[36].

მიუხედავად ამისა, შეიძლება შევნიშნოთ, რომ ზემორე დასკვნები კატეგორიული არაა, იმიტომ, რომ, როგორც გვახსოვს, ოტო ფრაიზინგელის ქრისტიანი ხელმწიფე — ვითარცა ფოლკლორული ტიპი—შეიქმნა არა მარტო დავითისა თუ დემეტრეს კონკრეტული „სახეების“ გათვალისწინებით და მათი ფანტაზიაში გარდატეხით, არამედ საერთოდ იმ ინფორმაციების მექანიკური სინთეზირებით, რომლებიც XII ს. პირველ ნახევარში კავკასიის გარეთ ფართოდ ვრცელდებოდა ქართველთა სახელმწიფოსა და მისი თავგადასავლის შესახებ. შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ ამ გზით ყველა გადმოცემა, რომელიც უშუალოდ არც ეხებოდა ქართველთა სახელმწიფოსა და მის თავგადასავალს, უცხოელების ფანტაზიაში მექანიკურად ერწყმოდა ქართული სინამდვილიდან მომდინარე მასალას.

დიდი გამბედაობა არ უნდა იმის დაშვებას, რომ სწორედ ამ მომენტებმა შეიტანეს ის ფერები, რომელთა ამოცნობაც დავითისა თუ დემეტრეს მეფობათა ანალოგიითაც კი უკვე ველარ ხერხდება და უფრო სხვა გზით მოითხოვენ ახსნას.

მაგალითად, კარგად არა ჩანს, თუ ლეგენდის არქეტიპში საიდან შეიძლება შესულიყო ცნობა იმის შესახებ, რომ შამიარდოებთან მებრძოლი ქრისტიანი ხელმწიფე ნესტორიანობის მიმდევარი მმართველი იყო.

ამას შეიძლება სხვადასხვანაირი ახსნა მოენახოს.

გამორიცხული არაა, რომ გადმოცემა აღმოსავლეთში მცხოვრები ძლიერი ხელმწიფის შესახებ, რომელიც ნესტორიანობას მისდევს, ჩამოყალიბდა იმ ისტორიულ-პოლიტიკური თუ გეოგრაფიულ-ქრისტო-

---

სალა მოყვანილია Fr. Kamrpers-ის მიხედვით. F. K. Von Werdegang der Abendlandischen. Leipzig und Berlin, 1924, გვ. 116.

[36] ძნელია გადაჭრით მივუთითოთ იმ მიზეზებზე, რომლებსაც ჯვაროსანთა V ლაშქრობის დროს უნდა გამოეწვია იოვანეზე არსებულ წარმოდგენათა ასეთი ინტენსიური გამოცოცხლება. ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვებადება აზრი, რომ ამ დროისათვის ასეთი ასოციაცია უკავშირდება ლაშა-გიორგის მზადებას ჯვაროსნული ლაშქრობისათვის. შესაძლებელია, იგი, ვითარცა ქრისტიანული საქართველოს მეფე, კვლავ დავითის სახელით რჩებოდა ევროპელთა ცნობიერებაში. ლაშა-გიორგისა და ჯვაროსანთა ურთიერთობების შესახებ იხ. ჩვენი ნარკვევი წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 341—342.

ლოგიური ცნებების გააზრებით, რომლებიც საერთოდ გააჩნდათ ევროპელებს აზიისა და აღმოსავლეთის შესახებ.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ V საუკუნეში, ნესტორიანთა დიდმა ჯგუფმა (რომლებიც შეადგენდნენ სირიული ეკლესიისადმი დაქვემდებარებულ მოსახლეობას მესოპოტამიაში) მძიმე დევნა განიცადა ბერძნული ორთოდოქსალური ეკლესიის მიერ. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ეფესოს საეკლესიო კრებამ (451 წ.) მთელი მრისხანებით შეაჩვენა ნესტორის მოძღვრება.

რეპრესიების შემდეგ ნესტორიანობის ბევრმა დამცველმა მეზობელ სპარსეთში პოვა თავშესაფარი. აქ დევნილებმა შექმნეს ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი ეკლესია, რომელმაც შემდეგში თვითმწყემსობა მიიღო და ამ გზით ხაზი გაუსვა იმ განსხვავებას, რომელიც არსებობდა მასა და ბიზანტიის ორთოდოქსალურ ეკლესიებს შორის.

VI საუკუნეში ნესტორიანთა „აღმოსავლეთის დიდმა ეკლესიამ“ მისიონერებიც კი გააგზავნა ინდოეთის მალაბარის სანაპიროზე. აქ მათ დააარსეს თუ განაახლეს ქრისტიანული თემი, რომელიც ცნობილია წმ. თომას სახელით. ეს იყო უძველესი ქრისტიანული თემი, რომელიც დღემდე არსებობს.

უფრო გვიან, VII საუკუნის პირველ ნახევარში, ნესტორიანელებმა ცენტრალურ ჩინეთშიაც კი შეაღწიეს და იქ გაიჩინეს მიმდევართა პატარ-პატარა ჯგუფები.

ჩინური წყაროების მოწმობით, 781 წელს, როცა ქრისტიანები ჩინეთის სატახტო ქალაქ ხანგანსა და მის სიახლოვეს დამკვიდრდნენ, ქრისტიანობა გავლენიან ძალად იქცა და სულ მალე ორგანიზებული იქნა სამიტროპოლიტოდ. აქ ქრისტიანებმა ლიტერატურული მუშაობაც კი გააჩაღეს.

შემდგომში ნესტორიანობა კვლავ დიდი ენერგიით შეიჭრა ჩინეთში და მერე თათრებსა თუ თურქულ ტომებში. იგი განსაკუთრებით გავრცელდა ონგუტებსა და კერაიტებში.

სიტყვის ზედმეტი გაგრძელება იქნებოდა საუბარი აქაურ ქრისტიანობაზე XIII საუკუნეში. ცნობილია, მაგალითად, რომ ჯერ კიდევ მონგოლთა დიდი მბრძანებლის ყუბილაის დედა ნესტორიანი იყო[37].

როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ ადრეულ ხანებში ნესტორიანობა ფართოდ გავრცელდა სწორედ იმ მხარეში, სადაც ჯვაროსანთა გეოგრაფიული თვალსაწიერის თანახმად ქრისტიანი მეფე-ხუცესის სამ-

---

[37] A Short History of Chrystianity. Written in Collaboration by Archibald G. Bekker. Edit. Massey H. Shepherd, Ir. Sohn T. Mcnill, Matthew Spinka, Winfred E. Garrison, William W. Sweet. Tenth Impression. Chicago, 1962., p. 137—138.

ფლობელობები მდებარეობდა (შდრ. ცნობები, რომ ეს პიროვნება ცხოვრობს უკიდურეს აღმოსავლეთში, სპარსეთისა და არმენიის მიდამა... და ა. შ.). აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ კონცეფცია ქრისტიანი ხელმწიფის ნესტორიანობის შესახებ ასე შემუშავდა: ჯვაროსნულმა ფანტაზიამ იგი ჯერ ნესტორიანობით მოფენილი მხარეების მმართველად, შემდეგ კი ისიც ნესტორიანად მიიჩნია.

ისიც შესაძლოა დავუშვათ, რომ გადმოცემა ქრისტიანი მეფის ნესტორიანობის შესახებ ლეგენდის არქეტიპშივე მოხვდა იმ ხმების მიხედვით, რომლებშიც ასახული იყო ნესტორიანობის ისტორია საქართველოში, ან არადა ბიზანტიური ეკლესიის ბრალდებები ქართული ეკლესიის „ერეტიკოსობის“ შესახებ.

ნესტორიანობამ ქართლში V საუკუნეში მოიკიდა ფეხი. ამ მოძრაობის ბევრი მიმდევარი თავიდანვე მოდიოდა ქართლში. მალე ერეტიკოსებმა ქართლში ისეთი რაოდენობით მოიყარეს თავი, რომ, თუ ასემანის ცნობებს დავეყრდნობით, აქ ნესტორიანთა საეპისკოპოსოც კი დაუარსებიათ[38].

დანამდვილებითაა ცნობილი, რომ ქართლში VII საუკუნეში ნესტორიანობის წინააღმდეგ საგანგებო ბრძოლას აწარმოებდა კირიონ კათალიკოსი[39].

აღარაფერს ვამბობთ ცნობილ იერემია იბერიელზე, რომელიც ჯერ კიდევ ეფესოს საეკლესიო კრების დროს ანტინესტორიანული პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო[40].

შემდეგი საუკუნეებიდან ბევრი რამ სიბნელითაა მოცული. ვიცით მხოლოდ, რომ XI ს-ში, რომანოზ დიოგენის დროს, ბიზანტიის მესვეურები ნესტორიანებად მიიჩნევდნენ იბერებს. რა თქმა უნდა, ეს არ იყო მართალი, მაგრამ ბიზანტია ყოველნაირად უტეხდა სახელს ქართველთა ეთნოსს, რომელიც მედგრად იბრძოდა ბიზანტიისაგან კულტურულ-პოლიტიკური ემანსიპაციისათვის[41].

---

[38] კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960, გვ. 482.

[39] მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 24—26. 575—577.

[40] ამ იერემია იბერიელზე, რომელიც ეფესოს კრებაზე ანტინესტორიანული განწყობილებებით მიემართება, იხ. კ. კეკელიძე. იერემია იბერიელი ანტინესტორიანელი მოღვაწე V საუკუნისა. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ, 1, თბ., 1956, გვ. 51—62.

[41] ფაქტი, რომ ბიზანტიის იმპერია და ეკლესია ყოველნაირად უტეხდნენ სახელს ქართულ ეკლესიას, კარგადაა ცნობილი ლიტერატურაში. იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. II, 1948, გვ. 169—172. იმის შესახებ, რომ რომანოზ დიოგენის ეპოქაში (XI ს. 60-იანი წწ.) ქართველებსა და სომხებს შორის თითქოს ფართოდ

ძნელია იმის თქმა, არსებობდა თუ არა საქართველოში ნესტორიანობა XII საუკუნეში. ვიცით, მხოლოდ, რომ არსენ ვაჩეს ბეს დოგმატიკონში საგანგებოდ ჰქონია შეტანილი რამდენიმე ანტინესტორიანული პოლემიკური თხზულება: 1. ორი ტრაქტატი იოანე დამასკელისა, „სიტყუაჲ სარწმუნოებისათჳს, დასამხობლად ნესტორიანთა“ და „სიტყუაჲ დასამხობელი ნესტორიანთაჲ“; 2. თეოდორე ფილოსოფოსის (აბუკურა?) „ნესტორიანთა მიმართ სიტყჳსგება“; 3. თეოდორე აბუკურას ნესტორიანთა მიმართ ოთხი „სიტყჳსგება“, რომელიც შედის „მთავრისა მიმართ ედესისა შეიგანთაჲსა სიტჳსგებაში“[42].

კარგი იქნებოდა გვცოდნოდა, ეს ნაწარმოებები XII ს-ში ნესტორიანთა წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკული სახელმძღვანელო იყო, თუ ქართველები მათი კითხვით მარტოოდენ ისტორიულ-თეორიულ ინტერესებს იკმაყოფილებდნენ ნესტორიანობის შესახებ.

ასე იყო, თუ ისე, როგორც ვხედავთ, არსებობდნენ გზები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იყო ლეგენდის არქეტიპში მოხვედრილიყო ცნობა ქრისტიანი მეფის სამფლობელოში ნესტორიანობის არსებობისა და აქედან — თვით ხელმწიფის ნესტორიანობის შესახებ.

ასეთია ჩვენი მეორე თვალსაზრისი.

მიუხედავად ამისა, ეს პუნქტი ძალზე მერყეევია და კატეგორიულად ვერ ხსნის იმას, თუ საიდან გაჩნდა ცნობა, რომ ქრისტიანი ხელმწიფე ნესტორიანობის მიმდევარი იყო.

ასეთივე სიბნელითაა მოცული საკითხი იმის შესახებ, თუ ლეგენდის უძველეს ფენაშივე საიდან გაჩნდა ქრისტიანი მეფის სახელი „იოვანე“. ამ საკითხზე მრავალი ჰიპოთეზაა გამოთქმული, მაგრამ საკითხი საბოლოოდ ნათელი არაა. იგი ვერც ჩვენ ნაშრომშია ახსნილი.

მიუხედავად ამისა, მაინც ნათლად ჩანს, რომ ყველაზე შესაძლებელი წყარო, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო შამიარდოებთან მებრძოლი ქრისტიანი ხელმწიფის ლეგენდარული ტიპის შექმნა, იყო ის ნახევრადრეალისტური ინფორმაციები, რომლებიც XII ს. პირველ ნახევარში (ისე როგორც შემდეგაც) ჭარბად გავრცელდა დავით აღმაშენებლის, დემეტრე I-სა და საერთოდ ქართველთა სახელმწიფოს შესახებ.

გავრცელდა ნესტორიანობა, აკეფალობა და სხვა სახის „მწვალებლობა“, საგანგებოდ მოგვითხრობს იოანე სკილიცა. იხ. Exerpta ex Breviario Historico Iohannis Scylitzae Curopalatae. „Corpus scriptorum historiae byzantinae,“ v. XIV. Bonnae. MCM XXIV, p. 684.

[42] კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, გვ. 483.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ВЗАИМООТНОШЕНИЯ ГРУЗИИ С ВИЗАНТИЕЙ И ЗАПАДНОЙ ЕВРОПОЙ

(X—XIII вв.)

Резюме

В X—XIII вв. Грузинское феодальное государство имело широкие и многосторонние взаимоотношения с Византией, а также с образовавшимися на Ближнем Востоке государствами крестоносцев. Вопросами истории этих взаимоотношений давно занимаются специалисты разных областей: Н. Я. Марр. Ив. А. Джавахишвили, М. (Ал.), П. Тамарашвили, К. С. Кекелидзе, З. Д. Авалишвили, Гр. Перадзе, С. Н. Джанашиа, П. И. Ингороква, С. Г. Каухчишвили, Н. А. Бердзенишвили, М. С. Тархнишвили, Г. К. Гозалишвили, Ш. А. Месхиа, В. У. Копалиани, Н. Ю. Ломоури, М. О. Кахадзе, Р. М. Бартикян.

Вышеупомянутым взаимоотношениям посвящается наша книга, состоящая из отдельных очерков. Они объединяются хронологически и тематически. Содержание вышеуказанных исследований опираются на наши труды, в разное время опубликованные в отечественной и зарубежной печати.

Первый очерк — «О локализации одного архонтства, упомянутого Константином Порфирогенетом в «О церемониях византийского двора» — посвящается спорному вопросу уточнения местоположения Карнатай, о котором упоминает византийский автор. В очерке подытожены научные споры по этому вопросу и высказано предположение, что Карнатай это Каринское архонтство, территория расположенная севернее города Карин (совр. Эрзурум), которая с первой четверти X века входила в пределы государства грузинских Багратионов. Подобное решение вопроса дает возможность по-новому решить ряд вопросов истории государственности раннефеодального царства Тао.

Второй очерк — «Политические взаимоотношения между Тао и Византией в 70-х гг. X в.» — посвящается спорным вопросам истории участия грузин во внутриполитической жизни Византии указанного периода. По имеющимся источникам освещается проблема участия грузин в подавлении знаменитого мятежа Варды Склира, поднятого им в конце 70-х гг. X века против

Македонской династии. Устанавливается, что причина неправильного освещения данного факта некоторыми авторами обусловлена неправильным подходом к грузинской традиции известной по «Житию святых Иоанна и Евфимия», а также чрезмерной доверчивостью к данным византийского историка Георгия Кедрина.

Третий очерк — «Грузия и Византия» (к установлению одной детали политических взаимоотношений) — посвящен вопросу византийских пожалований грузинским феодальным владетелям в X веке. По данному вопросу в научной литературе существует разногласие. В данном очерке высказывается предположение, что Византия неоднократно жаловала грузинам территории, уже начиная с середины X века, что было зафиксировано в специальных договорах. По этим договорам грузины были обязаны сотрудничать с Византией с целью завоевания территорий на Востоке. При выполнении этих договоров грузины получали от византийцев гарантии неприкосновенности их владений. Все это дает основание заключить, что перед нами типичный вид условной собственности, известной в Византии как «пожизненное жалование».

В четвертом очерке — «Об историческом фоне деятельности первых Афонцев» — характеризуется историческая ситуация, сложившаяся во взаимоотношениях Грузии и Византии в X—XI вв. На фоне этих событий и прослеживается деятельность первых грузинских Афонцев, монахов, основавших на Афонской горе (в Византии, на Халкедонском полуострове) знаменитый Афоно-Иверский монастырь, оплот грузинской научной и политической мысли на чужбине.

Подробно исследуется грузино-византийские политические взаимоотношения и в пятом очерке — «О локализации и датировке Ширимнского сражения». По данным грузинских источников, в 1021 году между грузинами и византийцами произошло крупное, неудачное для грузин сражение в местности Ширимни, находящемся в Кола-Палакацио. После этого последовал целый ряд военных действий, закончившихся полным разгромом грузин в 1022 году в Басиани. В последние годы было высказано предположение, что место сражения, Ширимни находилось в Аршарунике, юго-восточнее г. Карса, где в 1022, а не в 1021 году произошло сражение между грузинами и византийцами. Причиной побудившей грузин проникнуть в столь отдаленную от их границ область, следует считать тяжелое положение императора Василия II в период мятежа Ксифия и Фоки.

В очерке выявляется ошибочность вышеизложенных соображений и доказывается, что Ширимнское сражение в действительности произошло в 1021 году в Кола-Палакацио, а в 1022 году грузины сражались против византийцев в Басиани, где они потерпели полную неудачу, имевшую плачевные последствия для грузин.

В шестом очерке — «Заметки о завещании протоспафария и юпата Евстафия Войлы» — дается подробный анализ данных, позволяющих локализовать владения Войлы, составителя столь популярного в византинистике завещания. В очерке доказывается, что на современном этапе наших познаний нет еще достаточных данных для локализации владений Войлы в грузинской исторической провинции Кларджети. Вместе с тем совершенно правы те авторы, которые владения Войлы локализируют с учетом истории Тао, путем аннексии которого Византия создала свою политическо-административную единицу-фему Иверии. В очерке критикуется соображения некоторых авторов, которые стараются доказать, что во владениях Войлы проживали эретики-тондракиты.

В последних трех — седьмом, восьмом и девятом — очерках — «Грузия и крестоносцы», «Грузия и Германия в эпоху Шота Руставели», «Легенда крестоносцев о Давиде Строителе и Дэметре 1-м» подробно освещаются вопросы взаимоотношения Грузии с крестоносцами. Взаимоотношения эти имели место на протяжении всей эпохи крестовых походов. Грузины мастерски пользовались плодами этих контактов для успешного претворения в жизнь своих политических целей на Кавказе и Ближнем Востоке. Об этих взаимоотношениях свидетельствуют как грузинские, так и западноевропейские письменные источники. Особенно интенсивными были политические взаимоотношения грузин с Иерусалимским крестоносным государством, где в те времена правил Анжуйский дом. Для изучения контактов грузин с западноевропейцами весьма важно сообщение первого историка царицы Тамар о том, что среди просителей руки царицы был и сын «римского царя». Вероятно, как выявлено в последнее время (Г. Г. Жордания), этим царем являлся Фридрих I Барбаросса — правитель Священной Римской империи.

В Очерке о легенде подробно исследуется генезис знаменитого сказания об Иоанне Пресвитере и доказывается, что в основу этой легенды легли многочисленные информации крестоносцев о царях Грузии Давиде Строителе и Дэметре I-м. Данная точка зрения все более находит своих приверженцев в современной историографии. К сожалению, эти выводы не всегда учитываются в специальной литературе, посвященной вопросу генезиса этой распространенной в древности легенды.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ავტორისაგან 3
კონსტანტინე პორფიროგენეტის „ბიზანტიის კარის ცერემონიათა შესახებ“-ში
მოხსენიებული ერთი საარხონტოს ლოკალიზებისათვის . . . 5
ტაოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობისათვის X საუკუნის 70-იან
წლებში 15
პირველი ქართველი ათონელების მოღვაწეობის ისტორიული ფონი . 46
საქართველო და ბიზანტია 57
შირიმნის ბრძოლის ლოკალიზებისა და თარიღის შესახებ . . . 74
შენიშვნები პროტოსპათარისა და ბუპატოსის ევსტათე ბოილას ანდერძზე . 93
საქართველო და ჯვაროსნები 112
ქართველები და გერმანული სამყარო შოთა რუსთაველის ეპოქაში . . 143
ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელსა და დემეტრე პირველზე . 153
Взаимоотношения Грузии с Византией и Западной Европой (X—
XIII вв.). Резюме 176

ეროვნული ბიბლიოთეკა

Шота Абрамович Бадридзе

ВЗАИМООТНОШЕНИЯ ГРУЗИИ С ВИЗАНТИЕЙ И ЗАПАДНОЙ ЕВРОПОЙ

(X—XIII вв.)

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1984

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 2495

რეცენზენტები: ისტორიის მეც. დოქტორი — კ. ლილუაშვილი
ისტორიის მეც. კანდიდატი — ლ. ტუხაშვილი

*

გამომცემლობის რედაქტორი ელ. ქაჯაია
მხატვარი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
კორექტორი ს. წახნაგია

გადაეცა წარმოებას 14.12.1983; ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.6.1984;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 11,4;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9,7;
უე 10542; ტირაჟი 2800; შეკვეთა № 3808;
ფასი 1 მან. 40 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

К310.100
3